წიგნები

3 ათლე ათლე



noir

ფრანკენშტაინი

წინასიტყვაობა

გოთიკურმა რომანმა „ფრანკენშტაინმა“ არა მხოლოდ მის ავტორს – მწერალ ქალ მერი შელის გაუთქვა სახელი, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაშიც საკუთარი წვლილი შეიტანა და ამ რომანის ორივე ცნობილი ეკრანიზება საუკეთესო კინოსურათებს შორის აღმოჩნდა.

მერი შელის ერთადერთი სიყვარული

ალბათ ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი დახვეწილი ნახევრად ფანტასტიკური, ნახევრად საშინელებათა ჟანრის ნაწარმოების ავტორი ქალია, თუმცა ეს ასეა. რომანის შექმნამდე ამ ქალს ყველა იცნობდა, როგორც რომანტიკოსი პოეტის პერსი შელის ცოლს, თუმცა მერი შელიმ საზოგადოება საკუთარი მწერლური ნიჭით გააოცა.

მერი შელი, რომლის ნამდვილი სახელი მერი უოლსტონკრაფტ გოდვინია, 1797 წლის 30 აგვისტოს დაიბადა ლონდონში, ცნობილი ფემინისტის, მასწავლებლისა და მწერლის მერი უოლსტონკრაფტისა და არანაკლებ ცნობილი ლიბერალური ფილოსოფოსის, ანარქისტი ჟურნალისტისა და ათეისტის უილიამ გოდვინის ოჯახში. დედამისი მასზე მშობიარობას გადაჰყვა და ორი ქალიშვილით მარტო დარჩენილ მამას მეორედ დაქორწინება მოუხდა. სწორედ მამის ხელმძღვანელობით მიიღო მერიმ შესანიშნავი განათლება, რაც იშვიათი იყო იმ დროის გოგონებისთვის.

პერსი შელის, მამამისივით თავისუფლად მოაზროვნესა და რადიკალს, მერი მაშინ შეხვდა, როცა პერსი და მისი პირველი ცოლი ჰარიეტი ლონდონში გოდვინების წიგნის მაღაზიას სტუმრობდნენ. პერსის უიღბლო ოჯახი ჰქონდა, არ იყო ბედნიერი და გოდვინებს სულ უფრო ხშირად სტუმრობდა – უმცროსი ქალიშვილით მოხიბლული. 1814 წლის ზაფხულში, როცა მერი ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლის იყო, ისინი ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდნენ და მერის ნახევარდასთან – კლერ კლერმონტთან ერთად საფრანგეთში გაიქცნენ.

რამდენიმე კვირის შემდეგ უკან დაბრუნებული ახალგაზრდა წყვილი გააოგნა ცნობამ, რომ გოდვინს მათი დანახვაც კი არ უნდოდა.

მერისთვის ნუგეშად იქცა მოთხრობების წერა და პერსი, რომელიც, იმედგაცრუებების მიუხედავად, მთელი მისი ცხოვრების ნამდვილ სიყვარულად იქცა. პერსიც საოცრად ბედნიერი და კმაყოფილი იყო თავისი თანამგზავრით. უხაროდა, რომ მერის შეეძლო „პოეზიის შეგრძნება და ფილოსოფიის გაგება“ – თუმცა მერიმაც ისევე, როგორც მანამდე ჰარიეტმა, უარი თქვა პერსის წინადადებაზე, რომ თავის მეგობარ ტომას ჰოგთანაც ექნებოდა ურთიერთობა. მერი მიხვდა, რომ პერსი თავისუფალი სიყვარულის იდეალებისადმი უფრო ერთგული იყო და ეს ყოველთვის კონფლიქტს გამოიწვევდა მათ შორის. ამ თავისუფალი სიყვარულის შესახებ პერსის არაერთხელ დაუწერია თავის ლექსებში.

ჟენევის ტბა და ცნობილ რომანად ქცეული ნოველა

1816 წლის მაისში მერი გოდვინი, პერსი შელი და მათი ვაჟი კლერ კლერმონტთან ერთად ჟენევაში გაემგზავრნენ. ისინი პოეტ ლორდ ბაირონთან ერთად აპირებდნენ ზაფხულის გატარებას – სწორედ იმ ზაფხულს გაუმიჯნურდა კლერი ბაირონს და მისგან დაორსულდა კიდეც.

ჟენევაში 1816 წლის მაისში ჩავიდნენ, ბაირონი კი მათ 25 მაისს შეუერთდა ექიმსა და მწერალ ჯონ უილიამს პოლიდორისთან ერთად. ამ პერიოდში მერი გოდვინი უკვე ითხოვდა, მისთვის მიემართათ, როგორც მისის შელისთვის.

სოფელ კოლონიაში, ჟენევის ტბასთან ახლოს, ბაირონს ვილა ჰქონდა ნაქირავები, პერსი შელის კი – უფრო მოკრძალებული სახლი, ოღონდ ზედ ტბასთან. იქ კარგად ატარებდნენ დროს – ნავებით სეირნობდნენ, ღამღამობით საუბრობდნენ და არც შემოქმედებას ივიწყებდნენ.

„ნესტიანი და ცივი ზაფხული იყო, – იხსენებდა მოგვიანებით მერი, – გაუთავებელი წვიმა მთელი დღეების განმავლობაში არ გვიშვებდა სახლიდან“. სხვადასხვა თემის გარდა, ღამეული საუბრების ერთ-ერთი თემა XVIII საუკუნეში მოღვაწე ფილოსოფოსისა და პოეტის ერაზმ დარვინის ექსპერიმენტებიც გახდა. როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, ფილოსოფოსი მკვდარი სხეულის ან დანაწევრებული ნაწილების გაცოცხლებითა და გალვანიზაციის საკითხებით იყო დაკავებული (იმ დროისათვის ტერმინი „გალვანიზაცია“ აღნიშნავდა ელექტროძაბვის ზემოქმედებას მკვდარ ორგანიზმზე, რაც კუნთების შეკუმშვას და გაცოცხლების მსგავს მოძრაობებს იწვევდა). დადიოდა ხმები, რომ მან გვამის გაცოცხლება შეძლო.

ბაირონის ვილაში ბუხრის წინ მოკალათებული კომპანია ასევე ერთობოდა გერმანული მოთხრობების კითხვით, მოჩვენებებზე. სწორედ ამან უბიძგა ბაირონს შეეთავაზებინა ყველასთვის იდეა, თითოეულ მათგანს დაეწერა „ზებუნებრივი“ მოთხრობა.

ამის შემდეგ სულ მალე მერი გოდვინს დაესიზმრა იდეა ფრანკენშტაინის შესახებ: „დამესიზმრა გაფითრებული მკვლევარი, ოკულტური მეცნიერებების მიმდევარი, რომელიც თავის მიერ შეკოწიწებულ არსებას დასცქეროდა. ამაზრზენი ფანტომი დავინახე, ადამიანის ტანში მოქცეული, მერე კი, ერთგვარი მძლავრი მოწყობილობის ჩართვით, მასში სიცოცხლის ნიშნები გაჩნდა, მისი მოძრაობები შებოჭილი და ძალაგამოცლილი იყო. დამზაფრავი სანახაობა გახლდათ. და რასაკვირველია, საშინელი იქნება ადამიანის ნებისმიერი მცდელობა, შემოქმედის სრულყოფილი მექანიზმი მოატყუოს“.

მერიმ ნაწარმოებზე დაიწყო მუშაობა, რომელიც თავდაპირველად ნოველის ჟანრში უნდა შექმნა. ამ ნოველამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და პერსი შელის ენთუზიაზმის გავლენით, ნოველა რომანად იქცა, რომელიც პირველი იყო მერი შელისთვის და ეწოდა „ფრანკენშტაინი“.

რომანი 1818 წელს გამოქვეყნდა. შვეიცარიაში გატარებულ იმ ზაფხულს მოგვიანებით მერი აღწერდა როგორც პერიოდს, „როცა პირველად გადააბიჯა ბავშვობიდან ცხოვრებაში“.

„ფრანკენშტაინს“ მოჰყვა რომანები „მატილდა“, „უკანასკნელი ადამიანი“ და სხვები. მერი შელიმ ასევე დატოვა დღიურები და წერილები, რომლებსაც არანაკლები ღირებულება აქვს ლიტერატურის მკვლევრებისთვის.

მწერალი ქალი 1851 წლის 1 თებერვალს გარდაიცვალა ტვინის სიმსივნით.

კლასიკური ეკრანიზება და „ყველაზე შთამბეჭდავი უარყოფითი როლი“

მერი შელის ფანტასტიკურმა რომანმა ბევრი შემოქმედი შთააგონა. ადამიანის მსგავსი მონსტრის შექმნის შესახებ სიუჟეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მსოფლიო კინოს ისტორიაში. ის პრაქტიკულად ყველა შესაძლო თუ შეუძლებელ ჟანრში გადაიღეს. მის მიხედვით სპექტაკლებიც იდგმებოდა, თუმცა ყველაზე წარმატებულად მისი ორი ეკრანიზაცია ითვლება.

როცა „ფრანკენშტაინზე“ საუბრობენ, პირველ რიგში ყველას ახსენდება 1931 წელს გადაღებული შავ-თეთრი, კლასიკად აღიარებული საშინელებათა ფილმი, რომელიც

მერი შელის რომანსა და მისი მოტივების მიხედვით პეგი უებლინგის მიერ დაწერილ პიესას ეფუძნებოდა. ფილმი ჯეიმს უეილმა გადაიღო და ის ნამდვილ შედევრად მიიჩნევა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა საშინელებათა ჟანრის ფილმების განვითარებაზე.

ფილმში მთავარი როლები კოლინ კლაივმა, მეი კლარკმა და ბორის კარლოფმა შეასრულეს. ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული ურჩხულის როლი მსოფლიო კინემატოგრაფში ყველაზე შთამბეჭდავ უარყოფით პერსონაჟად აღიარეს.

ეს სურათი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ე.წ. კლასიკური საშინელებათა ფილმების სერიაში.

შელის რომანში არ არის აღწერილი, თუ კონკრეტულად რა მეთოდით ცოცხლდება ურჩხული. 1910 წლის მოკლემეტრაჟიანი ეკრანიზებაში ურჩხული ქიმიკატებიან კასრში ჩნდებოდა. თუმცა არსების ელექტრობის დახმარებით გაცოცხლების სცენა პირველად უეილის ფილმში იქნა გამოყენებული და მოგვიანებით ტრადიციად იქცა ამ რომანის სხვა ეკრანიზებისთვისაც. რომანისგან განსხვავებულია ასევე დონორის ტვინის თემა, რომელიც რომანში საერთოდ არ არსებობს, თუმცა ამ სიუჟეტის შემდგომ კინოგანვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. და ასევე ურჩხულის პარტნიორის – ქალის შექმნის თემა, რომელიც კინოვერსიებში რომანისგან მკვეთრად განსხვავდება.

თავდაპირველად ივარაუდებოდა, რომ ურჩხულის როლი ბელ ლუგოშის უნდა შეესრულებინა, ფილმის რეჟისორი კი რობერტ ფლორი უნდა ყოფილიყო. თუმცა ფლორი მალე გამოვარდა პროექტიდან, მოწვეულმა რეჟისორმა ჯეიმს უეილიმ კი ლუგოში არ მოიწონა მთავარ როლზე. მოგვიანებით ბორის კარლოფი დაამტკიცეს, რომლის ნამუშევარი კლასიკურად იქნა აღიარებული და თვით მსახიობი საშინელებათა ფილმების ახალ ვარსკვლავად აქცია.

კარლოფმა თვითონ შესთავაზა გრიმის ოსტატ ჯეკ პირსს, ყბიდან ორი უკანა კბილი მოეცილებინა, რათა ურჩხულის ლოყები უფრო ჩაცვენილი გამოჩენილიყო. ყოველ დილას კარლოფს სამი საათი უკეთებდნენ გრიმს, მის მოცილებას კი საათ-ნახევარი სჭირდებოდა. ურჩხულის გრიმი და კოსტიუმი ერთად დაახლოებით 24 კილოგრამამდე იწონიდა.

ფილმის პრემიერამდე ურჩხულის გარეგნული სახე სასტიკად იყო გასაიდუმლოებული. თუ კარლოფს მოუწევდა დღისით გრიმით გადაადგილება სტუდიის ტერიტორიაზე, პავილიონის ფარგლებს გარეთ, თავზე დიდ პაკეტს ჩამოაცმევდნენ, თვალებისთვის ორი ნახვრეტით. სადილი კი მისთვის პირდაპირ გადასაღებ მოედანზე მიჰქონდათ.

ჯეკ პირსის მიერ შექმნილი გრიმი და ურჩხულის სახე სპეციალური პატენტით არის დაცული და „უნივერსალ პიქჩერსის“ ექსკლუზიურ განკარგულებაშია 2026 წლამდე.

გრიმის შემქმნელმა ჯეკ პირსმა ურჩხულის სახის შესაქმნელად დაკრძალვის ძველი ტექნიკა და ანატომია შეისწავლა, თავზე ნაპრალები იმიტომ გაჩნდა, რომ, პირსის აზრით, ასე უფრო იოლად იქნებოდა შესაძლებელი ტვინის გადანერგვა.

კარლოფს ეშინოდა იმ სცენებში მონაწილეობის, რომლებშიც მის თავზე ელექტროძაბვას ამუშავებდნენ. ამიტომ ასეთ სცენებში მას სახეაფარებული ცვლიდა ფილმისთვის ელექტრომოწყობილობების ეფექტების შემქმნელი კენ სტრიკფადენი. სხვათა შორის, მის მიერ შექმნილი აპარატურა შენარჩუნდა და მოგვიანებით მელ ბრუკსის პაროდიულ კომედიაში „ახალგაზრდა ფრანკენშტაინში“ გამოიყენეს.

საინტერესოა, რომ ფრანკენშტაინი ხშირად ურჩხულის სახელი ჰგონიათ. სინამდვილეში, ფრანკენშტაინი მისი შემქმნელი ახალგაზრდა მეცნიერის გვარია.

სცენა, რომელშიც ურჩხული გოგონას აგდებს წყალში, ფილმის გაქირავების დროს ამოიღეს, რადგან ცენზურამ მეტისმეტად სასტიკად მიიჩნია. შემდეგში ფილმი კიდევ რამდენჯერმე შეკვეცეს, თუმცა მისი ვრცელი ვერსიაც შენარჩუნდა და ის სურათი, რომელსაც დღესდღეობით ავრცელებენ, პრაქტიკულად სრულად შეესაბამება თავდაპირველ მონტაჟს.

ფილმის სამასი ათასი დოლარის ოდენობის ბიუჯეტი ჰქონდა, თუმცა საოცარი წარმატება ხვდა წილად გაქირავებაში და სოლიდური თანხაც მოაგროვა.

პროდიუსერების აზრით, სურათი იმდენად საშინელი გამოვიდა, რომ მათი დაჟინებული მოთხოვნით შესავალი ეპიზოდი დაემატა, რომელშიც ედუარდ ვან სლოუნი აფრთხილებდა მაყურებელს, რომ სუსტი ნერვების მქონეებს ჯობდა კინოდარბაზი დაეტოვებინათ, ხოლო ვინც დარჩებოდა, საკუთარი თავისთვის დაებრალებინა, თუ რამე მოუვიდოდა.

ფილმის ტიტრებში რომანის ავტორად ეწერა „მისის პერსი ბ. შელი“, ხოლო მოქმედი პირებისა და შემსრულებლების სიაში ფილმის დასაწყისში ურჩხულის როლის შემსრულებლის გრაფაში დიდი კითხვის ნიშანია დასმული. კარლოფი, როგორც ამ როლის შემსრულებელი, მხოლოდ ფინალურ ტიტრებში ჩნდება.

ბორის კარლოფი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია უილიამ ჰენრი პრატი, კინოსა და თეატრის ბრიტანელი მსახიობი იყო, რომელიც აშშ-ში 1930-იან წლებში გადაბარგდა. 50-წლიანი სამსახიობო კარიერის განმავლობაში ასობით როლი ითამაშა კინოსა და თეატრში, რომელთაგან უმთავრესი უარყოფითი გმირები იყო. მათ შორის კარლ ფროინდის „მუმიაში“, „შავ კატაში“, „ლონდონის ტაუერში“.

ბორის კარლოფს ორი ვარსკვლავი აქვს ჰოლივუდის დიდების ხეივანში – კინოინდუსტრიისა და ტელევიზიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

დე ნიროს ურჩხული

ურჩხულის კიდევ ერთი შთამბეჭდავი სახე შექმნა ჰოლივუდის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა მსახიობმა რობერტ დე ნირომ 1994 წელს გადაღებულ ფილმში „მერი შელის ფრანკენშტაინი“. მიუხედავად ორიგინალური ნაწარმოებისგან მცირე სხვაობისა, ეს კინოვერსია „ფრანკენშტაინის“ ტექსტთან ყველაზე ახლოს არის.

მერი შელის ცნობილი გოთიკური რომანის ეს ეკრანიზაცია, გენიალური დოქტორ ფრანკენშტაინის მიერ ურჩხულის შექმნის შესახებ, კრიტიკოსებმა წიგნის ყველაზე საზარელ კინოვერსიად აღიარეს. ფილმის პროდიუსერმა ფრენსის ფორდ კოპოლამ და რეჟისორმა კენეტ ბრანამ, ჟანრის აღიარებულმა ოსტატებმა, ნამდვილად ჰიპნოზური სანახაობა შექმნეს, საშინელი ურჩხულის თავგადასავლებზე. თვით დე ნირომაც, რომელიც ურჩხულის როლს ასრულებს, კიდევ ერთხელ მოახდინა თავისი უნიკალური ნიჭის დემონსტრირება – შეძლო მაყურებელი მოეჯადოვებინა და შიშისგან აეცახცახებინა.

რეჟისორმა კენეტ ბრანამ ფილმში ერთ-ერთი როლიც შეასრულა. მის გარდა სურათში თამაშობს ჰოლივუდის კიდევ ერთი ვარსკვლავი ჰელენა ბონემ კარტერი, რომლის კინოკარიერაშიც ეს როლი ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნევა.

ამერიკულ გაქირავებაში ფილმი არც ისე წარმატებული აღმოჩნდა – მხოლოდ 22 მლნ დოლარი მოაგროვა, როცა ბიუჯეტი 45 მლნ დოლარი გახლდათ, თუმცა წარმატებული იყო მსოფლიო გაქირავება – სურათის შემოსავალმა 90 მლნ დოლარი შეადგინა.

ფილმის ნახვა არ არის რეკომენდებული 16 წლამდე ასაკის მოზარდებისა და ბავშვებისთვის.

მიუხედავად ეფექტური სცენებისა, რომლებიც ძირითადად მონსტრის შექმნის ეპიზოდებს უკავშირდება, ფილმი მაინც უფრო ისტორიული დრამაა, სასიყვარულო ელემენტებით, გასული ეპოქის კოლორიტითა და დიდებული კონსერვატიული დროის ნოსტალგიური განცდებით. ამ სურათს სამართლიანად უწოდეს „საშინელებათა ჟანრის მელოდრამა“.

რობერტ დე ნიროს ურჩხული მსოფლიო კინოს ათ ყველაზე საშინელ მონსტრს შორის არის დასახელებული.

რობერტ დე ნირო საგანგებოდ ურთიერთობდა იმ ადამიანებთან, რომელთაც მძიმე ფსიქიკური ტრავმები ჰქონდათ გადატანილი, რომ ისევე ესწავლა საუბარი, როგორც მსგავს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს შეიძლებოდა ელაპარაკა.

ერთ-ერთ სცენაში რობერტ დე ნიროს ეპიზოდური გმირისთვის უნდა ეკბინა, რომლის როლსაც ფეი რიპლი ასრულებდა. სცენა გადაიღეს, თუმცა საბოლოო ვარიანტში ის არ შესულა.

ფილმში ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი როლი კრისტოფერ ლამბერტს უნდა შეესრულებინა, თუმცა გადაღებების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სხვა მსახიობით ჩაანაცვლეს.

საინტერესოა, რომ მონსტრის როლზე უარი განაცხადა ჟერარ დეპარდიემ და მოგვიანებით ინანა კიდეც.

სხვა კინო და ანიმაციური ვერსიები

რომანის პირველი კინოვერსია 1921 წელს იტალიელმა რეჟისორმა ლუჩანო ალბერტინიმ დააფინანსა და ასე გაჩნდა ეუგენიო ტესტის „ფრანკენშტაინის მონსტრი“. თუმცა ბედი ამ სურათის მიმართ ნამდვილად არ ყოფილა მოწყალე – ფილმი ჯერ ცენზორებმა დაჩეხეს, მერე კი საერთოდაც დაიკარგა და მისი ვერც ერთი ასლი ვეღარ იპოვეს.

1935 წელს ეკრანებზე გამოვიდა შესანიშნავი სურათი „ფრანკენშტეინის საცოლე“, რომელსაც უეილის მიერ გადაღებული ცნობილი სურათი ედო საფუძვლად. ის ურჩხულისთვის პატარძლის შექმნის სიუჟეტზე იყო აგებული. წიგნის მიხედვით, ფრანკენშტაინმა უარი თქვა ურჩხულის თხოვნაზე, შეექმნა მისთვის მეგობარი ქალი. ფილმში კი მაინც შეიქმნა ასეთი არსება. ეს ფილმიც წარმატებული გამოდგა და პროდიუსერებმა გადაწყვიტეს, კიდევ ერთი გაგრძელება გადაეღოთ. რეჟისორმა უეილიმ უარი თქვა კიდევ ერთი ვერსიის შექმნაზე, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი კი მოულოდნელად დაავადდა და გარდაიცვალა. თუმცა კინობოსები არ შეშინებულან, მაინც დაიწყეს მუშაობა და 1939 წელს ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ფრანკენშტაინის ვაჟი“, რომელიც ფრანკენშტაინის შვილის ბოროტმოქმედებებზე მოუთხრობდა მაყურებელს. ამ სურათმა წინამორბედი ფილმების წარმატება ვერ გაიმეორა.

ამ ცნობილი რომანის თემა შემდგომშიც არ ასვენებდა კინემატოგრაფებს და ბევრმა სცადა მისი ეკრანიზება. 1942 წელს ეკრანებზე გამოვიდა „ფრანკენშტაინის აჩრდილი“, ერთ წელიწადში – „ფრანკენშტაინი მგელკაცას ხვდება“, ორ წელიწადში – „ფრანკენშტაინის სახლი“, 1948 წელს კი პაროდიული სურათი „ებოტი და კოსტელო ფრანკენშტაინს ხვდებიან“.

1957-დან 1974 წლამდე ინგლისურმა კინოკომპანია „ჰამერ ფილმმა“ შვიდი ფილმი გამოუშვა მერი შელის მიერ მოგონილი პერსონაჟების თავგადასავლებზე. ციკლი გახსნა საკმაოდ კარგმა „ფრანკენშტაინის წყევლამ“, და დაასრულა არც ისე ხეირიანმა ფილმმა „ფრანკენშტაინი და ჯოჯოხეთის ურჩხული“.

1981 წელს იაპონელებმა შესანიშნავი ანიმაციური ფილმი გადაიღეს – „ფრანკენშტაინი: საშინელი ლეგენდა“. ამ მულტფილმში ურჩხული უბედური არსების როლში გამოდის, რომელიც სიყვარულზე ოცნებობს.

პირველი კომპიუტერული თამაში ამ თემაზე 1983 წელს შეიქმნა და მას მერე არაერთი თამაში გამოჩნდა. ასევე წარმატებით სარგებლობდა კომიქსები ფრანკენშტაინის თავგადასავლების თემაზე.

1957-დან 1959 წლამდე ფრანგმა ჟან-კლოდ კარიემ ექვსი მცირე რომანი დაწერა ურჩხულის ბოროტმოქმედებებზე, თუმცა არც ერთი არ აღმოჩნდა წარმატებული.

1978 წელს მწერალმა ალან პეტერსონმა იუმორისტული რომანი „ფრანკენშტაინის მამიდა“ დაწერა, რომელშიც ვიქტორ ფრანკენშტაინის ხანდაზმული მამიდის თავგადასავლებზე მოუთხრო მკითხველს.

ფრანკენშტეინი

პირველი წერილი

ინგლისში, მისის სევილს

სანკტ-პეტერბურგი, 11 დეკემბერი, 17.. წელი.

ალბათ გაგიხარდება, როცა გაიგებ, რომ წამოწყება, რომელსაც მეტისმეტად ალმაცერად უყურებდი და ავბედით წინათგრძნობებსაც აღგიძრავდა, სავსებით კეთილსასურველად დაიწყო. აქ გუშინ ჩამოვედი და, პირველ რიგში, მსურს ჩემი საყვარელი დაიკო დავარწმუნო, რომ ყველაფერი რიგზეა და რომ სულ უფრო მეტად ვრწმუნდები ჩემი საქმის იღბლიან განვითარებაში.

ლონდონიდან უკვე საკმაოდ შორს ვარ, ჩრდილოეთით, პეტერბურგის ქუჩებში მოხეტიალე ჩრდილოეთის ცივ ქარს ვგრძნობ სახეზე, რომელიც მაფხიზლებს და მახარებს. ნეტავ გაიგებ ჩემს განცდებს? იმ მხარეებიდან მონაბერი ქარი, საითაც მე მივისწრაფვი, უკვე მანიჭებს მათი გამყინავი სივრცეებით ტკბობის სიხარულს. აღთქმული მიწიდან მოქროლილი ამ ქარაშოტების ზუზუნში ჩემი ოცნებები სულ უფრო ცოცხალი და მგზნებარე მეჩვენება. ამაოდ ვცდილობ დავარწმუნო საკუთარი თავი, რომ პოლუსი სიცივისა და სიკვდილის სამყოფელია. ჩემს წარმოსახვაში ის სილამაზისა და სიხალისის სამეფოდ წარმოდგება. იქ, მარგარეტ, მზე არასდროს ჩადის. მისი დისკო, ჰორიზონტის თავზე ოდნავ ამოწვერილი, მარადიულ ნათებას ასხივებს. იქ – თუ ნებას დამრთავ, ცოტათი მაინც ვენდო ყოვლისმნახველ ზღვაოსნებს – მთავრდება ყინულისა და თოვლის ძალაუფლება და წყნარი ზღვის ტალღებზე შეიძლება მიაღწიო ქვეყანას, მშვენებითა და საოცრებით აქამდე ადამიანის მიერ აღმოჩენილ ყველა სხვა ქვეყანაზე უკეთესს. ამ ამოუცნობი და ჯერაც უხილავი მხარის ბუნება და სიმდიდრეები შეიძლება ისეთივე უცხო აღმოჩნდეს, როგორიც იქ დანახული ციური მოვლენები. რას აღარ უნდა ელოდო მარადიული სინათლის ქვეყნისგან! იქ შევძლებ საუცხოო ძალის საიდუმლოს ახსნას, რომელიც თავისკენ იზიდავს ანდამატის ისარს, ასევე მრავალი ასტრონომიული დაკვირვების შემოწმებას. ერთი ასეთი მოგზაურობა საკმარისია, რომ მათმა მოჩვენებითმა წინააღმდეგობრიობებმა ერთხელ და სამუდამოდ მიიღონ გონივრული ახსნა. შევძლებ დავიკმაყოფილო დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობა ჯერაც უხილავი მხარეების ცქერით და იმ მიწაზე გავიარო, რომელსაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შეხებია. აი, რა მიზიდავს, ისე, რომ ხიფათისა და სიკვდილის წინაშე შიშსაც კი მითრგუნავს, და რთული გზის დაწყების წინ იმ აღტაცებით მავსებს, რომლითაც პატარა ბავშვი თანატოლებთან ერთად მშობლიურ მდინარეზე ნავით მიცურავს, თვალუწვდენელი სამყაროს აღმოსაჩენად. მაგრამ ჩემი ეს მოლოდინი რომც არ გამართლდეს, შენ ვერ უარყოფ, რომ კაცობრიობას შეუფასებელ სამსახურს გავუწევ, თუნდაც თუ ჩრდილოეთის გზას გავკვალავ იმ მხარეებისკენ, სადაც ახლა მრავალთვიანი ცურვაა საჭირო, ან აღმოვაჩენ მაგნიტის საიდუმლოს, – რადგანაც თუ საერთოდ არის შესაძლებელი მისი აღმოჩენა, მხოლოდ მსგავსი მოგზაურობის მეშვეობით.

ამ ფიქრებმა ის ერთგვარი მღელვარება და შფოთვა გამიფანტეს, რომლითაც დავიწყე შენთვის წერილის დაწერა და გული ამიჩქროლეს, რადგან არაფერი ისე არ ამშვიდებს სულს, როგორც მტკიცე მიზნის პოვნა – წერტილის, რომლისკენაც არის მიმართული ჩვენი შინაგანი მზერა.

ეს ექსპედიცია ჩემი სიჭაბუკის ოცნება იყო. ხარბად ვეწაფებოდი წიგნებს მოგზაურობების შესახებ, რომლებიც პოლარულ ზღვებში წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის მიღწევას ისახავდა მიზნად. ალბათ გახსოვს, რომ მოგზაურობებისა და აღმოჩენების შესახებ წიგნებით იყო სავსე ჩვენი კეთილი ბიძია ტომასის ბიბლიოთეკა. ჩემი განათლებით არავინ ყოფილა დაკავებული, მაგრამ ადრიანად გამიტაცა კითხვამ. ამ ტომეულებს დღე და ღამე შევისწავლიდი და სულ

უფრო მეტად მიპყრობდა სინანული იმის გამო, რომ მამაჩემმა, როგორც მოგვიანებით ჯერ კიდევ ბავშვმა გავიგე, სიკვდილის წინ მკაცრად აუკრძალა ბიძაჩემს ზღვაში ჩემი გაშვება.

ზღვაზე ოცნებები ოდნავ გაფერმკრთალდა, როცა პირველად გავეცანი პოეტების ქმნილებებს, ჩემი სული რომ აღაფრთოვანეს და ზეცისკენ აიტაცეს. თვითონაც პოეტად ვიქეცი და მთელი წელი იმ ედემში ვიცხოვრე, ჩემმა ფანტაზიებმა რომ შექმნეს. წარმოვიდგინე, რომ მეც მელოდა ადგილი იმ ტაძარში, რომელიც ჰომეროსსა და შექსპირს ეძღვნებოდა. შენთვის ცნობილია ჩემი წარუმატებლობა და ის, თუ როგორ მძიმედ გადავიტანე ეს იმედგაცრუება. მაგრამ სწორედ იმ დროს მერგო ჩვენი ბიძაშვილის ანდერძი და ფიქრები კვლავ ბავშვობის ოცნებებისკენ მივმართე.

უკვე ექვსი წელია ვფიქრობ ამ წამოწყებაზე, რომელსაც ამჟამად შევდგომივარ. დღემდე მახსოვს ის წუთი, როცა გადავწყვიტე, საკუთარი თავი ამ დიადი მიზნისთვის მიმეძღვნა. პირველ რიგში საკუთარი თავის წრთობას შევუდექი. ჩრდილოეთ ზღვებში ვეშაპებზე მონადირეებს ვახლდი თან, სიცივეს, შიმშილს, წყურვილსა და უძილობას ვუშვერდი მკერდს. დღისით მეზღვაურებზე მეტს ვმუშაობდი, ღამღამობით კი მათემატიკას, მედიცინასა და ფიზიკური მეცნიერებების იმ სფეროებს ვსწავლობდი, რომლებიც ყველაზე მეტად შეიძლება გამოადგეს ზღვაოსანს. ორჯერ ვიმსახურე სავაჭრო გემის კაპიტნის თანაშემწედ გრენლანდიის ვეშაპთსაჭერ ხომალდზე და შესანიშნავად ვუძღვებოდი საქმეს. უნდა ვაღიარო, რომ სიამაყით აღვივსე, როცა კაპიტანმა თავისი პირველი თანაშემწის ადგილი შემომთავაზა და დიდხანს მარწმუნებდა დავთანხმებოდი, იმდენად დიდად აფასებდა ჩემს სამსახურს.

ახლა კი მითხარი, საყვარელო მარგარეტ, ნუთუ არ ვარ ღირსი, რაღაც დიდებული ჩავიდინო? ჩემი ცხოვრება შეიძლებოდა განცხრომასა და ფუფუნებაში გამეტარებინა, მაგრამ სიმდიდრის ყველა ცდუნებას სახელის მოხვეჭა ვარჩიე. ო, ნეტავ ვინმე მყავდეს წამქეზებელი! ჩემი სიმამაცე და მიღებული გადაწყვეტილებები ურყევია, მაგრამ იმედი და მხნეობა დროდადრო მღალატობენ. ხანგრძლივ, შორეულ და რთულ მგზავრობაში მივეშურები, სადაც მთელი ჩემი გამძლეობა დამჭირდება. არა მხოლოდ სხვების გამხნევება მომიწევს, არამედ ხანდახან საკუთარი თავისაც, როცა ყველა დანარჩენი სულით დაეცემა.

ახლა წელიწადის საუკეთესო დროა რუსეთში სამოგზაუროდ. აქაური მარხილები სწრაფად დაქრიან თოვლზე, გადაადგილების ეს საშუალება სასიამოვნოა და, ჩემი აზრით, ინგლისურ საფოსტო ეტლზე უფრო მოსახერხებელიც. სიცივე არ არის საშიში, თუ ბეწვში ხარ გახვეული. ასეთი სამოსი უკვე მოვირგე, რადგან გემბანზე სიარული სულაც არ არის ის, რაც ადგილზე ჯდომა, სისხლი რომ უმოძრაოდ ცივდება. ნამდვილად არ ვაპირებ გაყინვას პეტერბურგსა და არხანგელსკს შორის გადებულ საფოსტო გზაზე.

ჩემ მიერ ბოლოს დასახელებულ ქალაქში მივემართები სწორედ ორი-სამი კვირის შემდეგ. იქ ვფიქრობ გემის დაქირავებას, ეს კი იოლი გასაკეთებელია, თუ მფლობელს სადაზღვევო თანხას გადაუხდი. ასევე მინდა, საჭირო რაოდენობის მეზღვაურები ვიქირაო მათგან, ვისაც ვეშაპებზე ნადირობის დროიდან ვიცნობ. ვფიქრობ, რომ ივნისზე ადრე არ გავალ ზღვაში, ხოლო როდის დავბრუნდები? ო, საყვარელო დაიკო, რა უნდა გიპასუხო ამაზე? წარმატების შემთხვევაში, მრავალი თვე ვერ ვნახავთ ერთმანეთს, ან შესაძლოა, წელიწადიც კი. მარცხის შემთხვევაში კი, ძალიან მალე მნახავ – ან ვეღარ მნახავ ვერასდროს.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო, კეთილო მარგარეტ. ღმერთმა დაგლოცოს და დაიფაროს ჩემი ცხოვრება, რათა კიდევ ერთხელ შევძლო მადლიერების გამოხატვა შენი სიყვარულისა და ზრუნვისათვის. შენი მოსიყვარულე ძმა.

რ. უოლტონი.

მეორე წერილი

ინგლისში, მისის სევილს

არხანგელსკი, 28 მარტი, 17... წელი

რა საშინლად იწელება დრო მისთვის, ვინც სიცივითა და ყინვით არის შებოჭილი! თუმცაღა ჩემი მიზნისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი. გემი ვიქირავე და მეზღვაურებს ვკრებ. ვინც უკვე ავიყვანე, საიმედო ადამიანებად მეჩვენებიან და რასაკვირველია, მამაცებადაც.

ერთადერთი რამ მაკლია – ყოველთვის მაკლდა, მაგრამ ახლა ამის ნაკლებობას უდიდეს ბოროტებად მივიჩნევ. მე არ მყავს მეგობარი, მარგარეტ, არავინ, ვისაც გავუზიარებდი სიხარულს, თუ წარმატების ბედნიერება მელის წინ, არავინ, ვინც მხარში დამიდგებოდა, თუ სულით დავეცემი. მართალია, ჩემს ფიქრებს ქაღალდს ვანდობ, მაგრამ ის ნაკლებად გამოსადეგია გრძნობების გადასაცემად. ადამიანის საზოგადოება მჭირდება, რომელიც თანამიგრძნობდა და ნახევარი სიტყვით გამიგებდა. შეგიძლია მეტისმეტად მგრძნობიარე ადამიანად ჩამთვალო, საყვარელო დაო, მაგრამ საშინლად განვიცდი ამგვარი მეგობრის არარსებობას. ჩემ გვერდით არავინ არის მგრძნობიარე და იმავდროულად უშიშარი სულის, გონებაგამჭრიახი და წარმოსახვის უნარის მქონე, არ არის მეგობარი, რომელიც გაიზიარებდა ჩემს მისწრაფებებს, მოიწონებდა ჩემს გეგმებს ან თავის შესწორებებს შეიტანდა მათში.

რამდენ რამეს გააკეთებდა ასეთი მეგობარი შენი საბრალო ძმის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად! ხშირად ნაჩქარევად ვმოქმედებ და საკმაოდ მოუთმენელი ვარ წინააღმდეგობების პირისპირ. მაგრამ კიდევ უფრო დიდი ბოროტება ის არის, რომ თვითნასწავლი ვარ, ჩემი ცხოვრების პირველი თოთხმეტი წელი მინდორ-ველებში დავნავარდობდი და მხოლოდ მოგზაურობის შესახებ წიგნებს ვკითხულობდი ჩვენი ბიძია ტომასის ბიბლიოთეკიდან. იმ ასაკში გავეცანი ჩემი ქვეყნის განთქმულ პოეტებს, თუმცა საკმაოდ გვიან დავრწმუნდი იმის აუცილებლობაში, რომ მშობლიურის გარდა სხვა ენებიც უნდა მცოდნოდა, – მაშინ უკვე ამ რწმენას არავითარი ჭეშმარიტი სარგებლის მოტანა აღარ შეეძლო.

ახლა ოცდარვა წლის ვარ, არადა, ბევრ თხუთმეტი წლის მოწაფეზე უფრო უწიგნური. თუმცაღა, მათზე მეტი მიფიქრია და მეტად ვოცნებობ, მაგრამ ამ ოცნებებს ის აკლია, რასაც მხატვრები „თანაფარდობას“ უწოდებენ და ძალიან მჭირდება მეგობარი, საკმარისად გონიერი, რომ არ ვძულდე, როგორც თავცარიელი მეოცნებე და საკმაოდ მოსიყვარულე, რომ მიხელმძღვანელოს.

თუმცა ეს ჩივილები ფუჭია, რა მეგობარი უნდა შევიძინო ოკეანის უკიდეგანო სივრცეებში ან თუნდაც აქ, არხანგელსკში, ვაჭრებსა და მეზღვაურებს შორის? თუმცაღა მათთვისაც, მთელი მათი გარეგნული სიუხეშის მიუხედავად, კეთილშობილური განცდები უცხო როდია. ჩემი თანაშემწე, მაგალითად, იშვიათად შეუპოვარი და ფხიანი ადამიანია, უზომოდ სწყურია დიდება, ან უფრო სწორი იქნება ვთქვა, ისწრაფვის თავის საქმეში წარმატებას მიაღწიოს. ინგლისელია და თავისი ეროვნების თუ ხელობისთვის დამახასიათებელი ცრურწმენების გათვალისწინებით, რომლებიც განათლებამაც ვერ შეარბილა, არც ისე ცოტა კეთილშობილური ადამიანური თვისება შეინარჩუნა. პირველად მას ვეშაპთსაჭერი ხომალდის ბორტზე შევხვდი, გავიგე, რომ ახლა სამუშაო არ ჰქონია და იოლად გადმოვიბირე ჩემს წამოწყებაში მონაწილეობის მისაღებად.

კაპიტანიც შესანიშნავი ადამიანია, ყველასგან გამოირჩევა თავისი სიმსუბუქითა და უდარდელი ურთიერთობებით. უშიშრობასა და საოცარ პატიოსნებასთან შეზავებული სწორედ ამ თვისებებით მიმიზიდა. ჩემმა სიყმაწვილემ, განმარტოებაში გალეულმა ჩემმა საუკეთესო წლებმა, რომლებიც შენი ნაზი ქალური მეურვეობის ქვეშ გავატარე, იმდენად შეარბილა ჩემი ხასიათი, რომ გადაულახავ ზიზღს განვიცდი უხეშობის მიმართ, რომელიც ხომალდებზეა გამეფებული. არასდროს მიმაჩნდა სიტლანქე აუცილებლად. როგორც კი შევიტყვე მეზღვაურის შესახებ, რომელიც განთქმული იყო როგორც თავისი გულკეთილობით, ასევე უნარით, საკუთარი თავისადმი პატივისცემით განემსჭვალა ადამიანები და იოლადაც დაეყაბულებინა, დიდ იღბლად მივიჩნიე მისი მოპოვება. პირველად მის შესახებ საკმაოდ რომანტიკულ გარემოებაში შევიტყვე, ქალისგან, რომელიც თავის ბედნიერებას მას უნდა უმადლოდეს. მოკლედ გიამბობ მის ამბავს: რამდენიმე წლის წინ რუსი გოგონა შეჰყვარებია, ღარიბი ოჯახიდან. როცა ცოტა ფულს მოუყარა თავი, გოგონას მამა მათ ქორწინებას დათანხმდა. ქორწილამდე თავის საცოლეს შეხვდა, მაგრამ ის ფეხებში

ჩაუვარდა და ტირილით სთხოვა შებრალება, გულწრფელად გაუმხილა, რომ სხვა შეჰყვარებოდა, ის სხვა კი ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ მამა არასდროს დათანხმდებოდა მასთან ქორწინებას. ჩემმა საოცარმა მეგობარმა გოგონა დაამშვიდა, საყვარელი ქალის სახელზეც იზრუნა და თავის უფლებებზე უარი თქვა. მოგროვილი ფულით უკვე მოესწრო სახლისა და ნაკვეთის ყიდვა, სადაც სამუდამოდ აპირებდა დასახლებას – ეს ყველაფერი, ცოტა ფულთან ერთად, თავის მეტოქეს გადასცა, თვითონ კი გოგონას მამას სთხოვა, საყვარელ მამაკაცთან მისი დაქორწინებისთვის ხელი არ შეეშალა. მამამ უარი თქვა, მიაჩნდა, რომ უკვე ჩემს მეგობარს იყო შეპირებული. მაშინ, რაკი მოხუცის სიკერპეს გადააწყდა, იმ მხარიდან წავიდა და იქამდე არ დაბრუნებულა, სანამ გოგონა თავის რჩეულს არ გაჰყვა. „რა კეთილშობილებაა!“ – ალბათ წამოიძახებ. ჰო, სწორედ ასეთია, მაგრამ, იმავდროულად, სრულიად გაუნათლებელი, მდუმარე და მოსაწყენიც, რაც, რასაკვირველია, მის საქციელს კიდევ უფრო საოცარს ხდის, მაგრამ თან ამცირებს ინტერესსა და თანაგრძნობას, რაც ამ ადამიანს შეეძლო გამოეწვია.

მაგრამ თუ ხანდახან ვჩივი და მეგობრულ თანადგომაზე ვოცნებობ, რომელიც ალბათ არ მიწერია, არ იფიქრო, რომ ჩემს გადაწყვეტილებაში ვმერყეობდე. ის უცვლელია, როგორც თვით ბედი, და გაცურვა მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ ამინდმა გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით. იშვიათად სუსხიანი ზამთარი იდგა, თუმცა ამბობენ, თბილი და ადრიანი გაზაფხული იქნებაო. ასე რომ, შესაძლოა, უფრო ადრეც კი დავადგე გზას, ვიდრე ვვარაუდობდი. არ მსურს რაიმე უგუნური ნაბიჯი გადავდგა. შენ საკმარისად მიცნობ, რომ დარწმუნებული იყო ჩემს სიფრთხილეში, როცა სხვათა უსაფრთხოებაზე ვარ პასუხისმგებელი.

ვერ აღგიწერ ჩემს განცდებს, რითაც ველი მოსალოდნელ გამგზავრებას. შეუძლებელია იმ სათუთი განცდის სიტყვებით გამოთქმა, მხიარულისა და იმავდროულად მშფოთვარესი, რითაც ვემზადები სამოგზაუროდ. შეუცნობელი მიწებისკენ მივემართები, „ნისლებისა და თოვლის მხარეში“, თუმცა არ ვაპირებ ალბატროსის მოკვლას, ამიტომ ჩემ გამო ნუ შეგეშინდება – არ დაგიბრუნდები დამტვრეული და ავადმყოფი, როგორც „მოხუცი ზღვაოსანი“[1]. ამ ალუზიაზე ალბათ გაგეღიმება, მაგრამ ერთ საიდუმლოს გაგიმხელ. ჩემს დაუოკებელ ლტოლვას ოკეანის სახიფათო საიდუმლოებებისკენ ხშირად მივაწერ თანამედროვე პოეტთა შორის ყველაზე პოეტურის სწორედ ამ ქმნილებას. ჩემს სულში ცხოვრობს რაღაც, ჩემთვისვე აუხსნელი. პრაქტიკული და შრომისმოყვარე ვარ, ბეჯითი და მომთმენი მუშა. მაგრამ, ამასთან ერთად, ყველა ჩემს გეგმაში ჩაქსოვილია სასწაულის სიყვარული და სასწაულის რწმენა, რომელიც გათელილი გზებისგან შორს მიმერეკება, უხილავი ზღვებისკენ, ჯერარაღმოჩენილი ქვეყნებისკენ, რომელთა გამოკვლევასაც ვგეგმავ.

თუმცაღა დავუბრუნდები გულთან უფრო ახლოს მყოფ რამეებს. გნახავ თუ არა კიდევ, როცა უნაპირო ზღვებს გადავკვეთ და დავბრუნდები უკან, აფრიკის ან სამხრეთ ამერიკის მწვერვალების გასწვრივ? ვერ გავბედავ ასეთი იღბლის იმედი მქონდეს, თუმცა არც სხვა რამეზე მსურს ფიქრი. ნებისმიერი შესაძლებლობის დროს მომწერე.

შეიძლება, შენმა წერილებმა ჩემამდე სწორედ მაშინ მოაღწიოს, როცა ყველაზე საჭირო იქნება, და ჩემს სიმამაცეს ამოუდგებიან მხარში. ნაზად მიყვარხარ. გამიხსენე სიყვარულით, თუ ჩემ შესახებ ვეღარაფერს გაიგონებ. შენი მოსიყვარულე ძმა.

რობერტ უოლტონი.

მესამე წერილი

ინგლისში, მისის სევილს

7 ივლისი 17.. წელი

ძვირფასო დაო!

გწერ ამ ნაჩქარევ სტრიქონებს, რათა გამცნო, რომ არც ისე მცირე გზის გადალახვის შემდეგ ჯანმრთელი ვარ. ეს წერილი ინგლისში სავაჭრო ხომალდით ჩამოვა, რომელიც ახლა გადის არხანგელსკიდან. ის ჩემზე ბედნიერია, მე ხომ შესაძლოა მრავალი წელი ვერ ვიხილო მშობლიური ნაპირები. მაინც მხნედ ვარ, ჩემი ხალხი მედგარი და მტკიცეა, მათ არ აშინებთ მცურავი ყინულები, ბორტს მიღმა რომ ჩნდებიან მოსალოდნელი ხიფათების მაცნეებად. უკვე საკმაოდ შორს გავედით, მაგრამ ახლა გაგანია ზაფხულია და სამხრეთის ქარები, რომლებიც სწრაფად მიგვაქანებენ ჩემთვის სანუკვარი ნაპირებისკენ, მართალია, ნაკლებად თბილია, ვიდრე ინგლისში, მაგრამ მაინც ისეთ სითბოს ჰფენს გარშემო, აქ რომ არ ველოდი.

ჯერ ჩვენს თავს არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა, რომ მოსაწერად ღირდეს. ერთი-ორი გრიგალი – ეს ისეთი რამაა, რაც გამოცდილი მეზღვაურების მეხსიერებაში არ რჩება. მოხარული ვიქნები, თუ ამაზე უარესი არაფერი დაგვემართება.

ნახვამდის, საყვარელო მარგარეტ. გჯეროდეს, რომ შენ გამო და საკუთარი თავის გამო უგუნურად არ გადავეშვები ხიფათში. ცივსისხლიანი ვიქნები, შეუპოვარი და კეთილგონიერი.

მაგრამ მაინც მივაღწევ წარმატებას. რატომაც არა? უკვე ვიკვალავ გზას ამოუცნობ ოკეანეში, თვით ვარსკვლავები არიან ჩემი ტრიუმფის მოწმეები. რატომაც არ უნდა წავიდე უფრო შორს, მოურჯულებელი, თუმცაღა დამჯერი სტიქიის სიღრმეში? რა შეიძლება გადაეღობოს გზაზე ადამიანის ნებისყოფასა და ვაჟკაცობას?

ის გრძნობები, რომლებიც მავსებს, უნებურად გარეთ გადმოედინება, თუმცა დროა დავასრულო. ზეცამ დალოცოს ჩემი საყვარელი დაიკო!

რ. უ.

მეოთხე წერილი

ინგლისში, მისის სევილს

5 აგვისტო, 17.. წელი

ჩვენ რაღაც ისეთი უჩვეულო შეგვემთხვა, აუცილებლად უნდა მოგწერო, თუმცაღა შეიძლება უფრო ადრეც კი შევხვდეთ ერთმანეთს, ვიდრე ამ წერილს მიიღებ.

გასულ ორშაბათს (31 ივლისს) ყინულის საბრძანებელში გავედით, რომელიც თითქმის მთლიანად აღიმართა გემის გარშემო და სულ პაწაწინა თავისუფალი ადგილი დატოვა გასასვლელად. საკმაოდ სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა, განსაკუთრებით სქელი ბურუსის გამო. ამიტომაც დრეიფში გავჩერდით, ამინდის შეცვლის იმედით.

დაახლოებით დღის ორი საათისთვის ნისლი გაიფანტა და ყველა მხარეს გადაჭიმული არათანაბარი ყინულის ვრცელი ველები დავინახეთ, რომელთაც თითქოს ბოლო არ უჩანდა. ჩემს ზოგიერთ თანამგზავრს კვნესა აღმოხდა, მეც შევშფოთდი, მაგრამ უცებ ჩვენი ყურადღება უცნაურმა სანახაობამ მიიპყრო, რომელმაც სულ მიგვავიწყა ჩვენი მდგომარეობა. ჩვენგან დაახლოებით ნახევარ მილში დაბალი მარხილი დავლანდეთ, ძაღლებშებმული, რომლებიც ჩრდილოეთისკენ მიექანებოდნენ. მარხილში ადამიანის მსგავსი არსება იჯდა, მაგრამ გიგანტური ზომის. ჭოგრიტებით შევყურებდით მარხილის სწრაფ ქროლვას, სანამ ყინულის გორაკებს მიღმა არ გაუჩინარდა.

ამ სანახაობამ გაგვაოგნა. ვვარაუდობდით, რომ ხმელეთისგან მრავალი ასეული მილი გვაშორებდა, მაგრამ ნანახი იმას ადასტურებდა, რომ მიწა არც ისე შორს იყო. ყინულით შეპყრობილნი მარხილს ვერ დავედევნებოდით, თუმცა ყურადღებით კი დავათვალიერეთ.

ამ მოვლენიდან დაახლოებით ორ საათში ტალღების ხმაური შემოგვესმა. ღამისთვის ყინული გაიშალა და გემი გათავისუფლდა. თუმცა დრეიფზე დილამდე ვიდექით, სიბნელეში უშველებელ მცურავ ლოდებთან შეჯახების გვეშინოდა, რომლებიც ყინულის გახსნის შემდეგ ჩნდება ხოლმე. მე ამ საათებით ვისარგებლე, რომ დამესვენა.

დილით, ალიონზე გემბანზე ავედი და დავინახე, რომ ყველა მეზღვაური ბორტთან შეჯგუფულიყო, ჩანდა, ვიღაცას ელაპარაკებოდნენ, ვინც ზღვაში იყო. აღმოჩნდა,

გემთან, დიდი ყინულის ლოდით მარხილი მოცურებულიყო, ჩვენ მიერ წინა დღით ნანახის მსგავსი, ერთადერთი გადარჩენილი ძაღლით. მარხილში კაციც იჯდა და მეზღვაურები არწმუნებდნენ, ბორტზე ამოსულიყო. სულაც არ ყოფილა რომელიღაც უცნობი კუნძულის ბინადარი, როგორც ერთი შეხედვით მოგვეჩვენა, ის ევროპელი იყო. როცა გემბანზე გავედი, ბოცმანმა შესძახა: „აი, ჩვენი კაპიტანი მოდის და ის არ დაუშვებს, რომ თქვენ ზღვაში დაიღუპოთ“.

ჩემს დანახვაზე უცნობმა ინგლისურად მომმართა, თუმცა უცხოური აქცენტით: „სანამ თქვენს გემზე ამოვალ, იქნებ მანამდე მამცნოთ, საით მიემგზავრებით“.

ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის ჩემი გაოცება, როცა მსგავსი შეკითხვა გავიგონე მომაკვდავისგან, რომელსაც ჩემი ხომალდი, წესით, მაშველ რგოლად უნდა მიეჩნია, ყველაზე ძვირფას საუნჯედ სამყაროში. თუმცა ვუპასუხე, რომ მკვლევრები ვართ და ჩრდილოეთ პოლუსისკენ მივეშურებით.

ჩანდა, ამან დააკმაყოფილა და ბორტზე ამოსვლას დათანხმდა. ღმერთო დიდებულო! მარგარეტ, შენ რომ გენახა ის კაცი, რომლის დარწმუნებაც მოგვიხდა, როგორმე გადაგვერჩინა, შენს გაოცებას საზღვარი არ ექნებოდა. საშინლად იყო გაყინული და დაღლილობისა და ხეტიალისგან გათანგული. არასდროს მინახავს ასეთ უბადრუკ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. თავდაპირველად კაიუტაში შევიყვანეთ, მაგრამ სუფთა ჰაერს როგორც კი მოსცილდა, მაშინვე გონება დაკარგა. ამიტომ ისევ გემბანზე გამოვიყვანეთ და კონიაკით გამოვაფხიზლეთ, რამდენიმე ყლუპი ჩავასხით პირში. როგორც კი სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო, საბანში გავახვიეთ და სამზარეულოს მილთან მივსვით. თანდათან გონს მოვიდა და ცოტა სუფიც მიირთვა, რომელმაც მხნეობა შემატა.

ორი დღე გავიდა, სანამ დალაპარაკებას შეძლებდა და უკვე მეშინოდა კიდეც, რომ ტანჯვამ საღი გონება წაართვა. როცა ცოტა მომჯობინდა, ჩემს კაიუტაში გადავაყვანინე და თვითონვე ვუვლიდი, რამდენადაც ამის საშუალებას ჩემი მოვალეობები მაძლევდა. არასდროს შევხვედრივარ მასზე უფრო საინტერესო ადამიანს. ჩვეულებრივ მისი მზერა ველური და თითქმის გიჟურიც კია, მაგრამ საკმარისია ვინმემ ალერსიანად მიმართოს ან წვრილმანი სამსახური გაუწიოს, სახე მაშინვე უნათდება კეთილშობილური ღიმილით, თითქოს შინაგანი სხივი უნათებს, ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. თუმცა უმეტესწილად პირქუში და მოწყენილია, ხანდახან კბილებსაც კი აკრაჭუნებს, თითქოს აღარ შეუძლია თავისი მტანჯველი უღლის ატანა.

როცა ჩემი სტუმარი ცოტა მოგუნებდა, დიდი ძალისხმევის გამოჩენა დამჭირდა მეზღვაურების გადასარწმუნებლად, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, უცნობი გამოეკითხათ. ვერ დავუშვებდი, რომ ზედმეტი ცნობისმოყვარეობით გული შეეწუხებინათ მისთვის, როცა მისი სხეული და სული აშკარა სიმშვიდეს საჭიროებდა. ერთხელ ჩემმა თანაშემწემ მაინც ჰკითხა: როგორ გადალახა ასეთი გრძელი გზა ყინულზე, თანაც ასეთი უჩვეულო ეკიპაჟით?

უცნობს სახე მაშინვე მოექუფრა და უპასუხა: „გაქცეულს მივდევდი“.

– გაქცეულიც ასე მოგზაუროობს?

– ჰო.

– მაშ გამოდის, ჩვენ ის დავინახეთ. ერთი დღით ადრე, ვიდრე თქვენ ამოგიყვანდით, ყინულზე ძაღლებშებმული მარხილი შევნიშნეთ, მარხილში კი – ადამიანი.

ამან უცნობი დააინტერესა და უამრავი შეკითხვა დაგვისვა, თუ რა მიმართულებით გაეშურა დემონი, როგორც მან იმას უწოდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მარტონი დავრჩით, მითხრა: „ალბათ თქვენი ცნობისმოყვარეობა გავამძაფრე, როგორც ალბათ ამ ყოჩაღი ადამიანების ცნობისმოყვარეობა, მაგრამ მეტისმეტად დელიკატური ხართ, რომ დამკითხოთ“.

– რასაკვირველია, თავხედური სისასტიკე იქნებოდა, შეკითხვებით მომებეზრებინა თქვენთვის თავი.

– ჰო, მაგრამ თქვენ ხომ საკმაოდ სახიფათო მდგომარეობიდან მიხსენით და მზრუნველობით დამაბრუნეთ ამ ცხოვრებისკენ.

მერე მკითხა, ის, სხვა მარხილი, ხომ არ შეიძლებოდა ყინულის გახსნის დროს დაღუპულიყო. ვუპასუხე, რომ დაზუსტებით ამის ცოდნა შეუძლებელია, რადგან ყინული დაახლოებით შუაღამისას გაიხსნა და იმ დროისთვის მგზავრს შეეძლო რომელიმე უსაფრთხო ადგილამდე მიეღწია.

მას მერე უცნობის გათანგულ სხეულში ახალი ძალები ჩაიღვარა. სურდა, აუცილებლად გემბანზე ყოფილიყო და თვალი ედევნებინა, ჩვენთვის ნაცნობი მარხილი ხომ არ გამოჩნდებოდა. თუმცა დავარწმუნე, კაიუტა ხშირად არ დაეტოვებინა, რადგან მეტისმეტად სუსტად იყო, ყინვისთვის რომ გაეძლო. დავპირდი, რომ თვითონ ვადევნებდით თვალს და როგორც კი რაღაც უჩვეულოს შევნიშნავდით, დაუყოვნებლივ ვაცნობებდით.

აი, რა ჩაიწერა ჩემს სახომალდე ჟურნალში ამ საოცარი შემთხვევის შესახებ: „უცნობის ჯანმრთელობა უკეთესობისკენ მიდის, თუმცა მდუმარეა და თუ კაიუტაში ჩემ გარდა ვინმე შედის, შფოთავს. იმდენად მოკრძალებული და თავაზიანია ურთიერთობაში, ყველა მეზღვაური თანაუგრძნობს და იშვიათად აწუხებენ. მე რაც შემეხება, უკვე ძმასავით მიყვარს, მისი მუდმივი, ღრმა სევდა, ენით აღუწერლად მანაღვლიანებს. თავის საუკეთესო დღეებში ალბათ კეთილშობილი ქმნილება იყო, რაკი ახლა, როცა სულით გატეხილია, მაინც ასეთი მიმზიდველი რჩება.

საყვარელო მარგარეტ, ერთ წერილში გწერდი, რომ არ მქონდა ოკეანის სივრცეებში მეგობრის შეძენის იმედი, თუმცაღა ვიპოვე ადამიანი, რომელსაც სიამოვნებით დავიმეგობრებდი, ოღონდ კი დარდს არ გაეტეხა ასე.

განვაგრძობ ჩემს ჩანაწერებს უცნობის შესახებ, როცა მექნება რაიმე დასაწერი.

13 აგვისტო 17..

სტუმარს სულ უფრო ვეჩვევი. ის ერთდროულად უზომო აღტაცებასა და თანაგრძნობას იწვევს ჩემში. ან კი როგორ შეიძლება უყურო ასეთ დიდებულ ადამიანს, უბედურებით დაცემულს, და არ შეგეცოდოს? ის ისეთი მორიდებულია და იმავდროულად ისეთი ბრძენი, მრავალმხრივ განათლებულია, ხოლო როცა ლაპარაკობს, მისი მეტყველება გაოგნებს სისწრაფითა და თავისუფლებით, თუმცაღა სიტყვებს დიდი გულმოდგინებით არჩევს.

ახლა მთლად მომჯობინდა და გამუდმებით გემბანზე იმყოფება, ჩანს, იმ მარხილს ელოდება, რომელმაც გაუსწრო. მართალია, უბედურია, იმდენად მაინც არ შეუპყრია საკუთარ დარდს, რომ ჩვენი საქმეებისადმი გაცხოველებული ინტერესი არ გამოავლინოს. იშვიათად არ განიხილავს მიმდინარე მოვლენებს ჩემთან ერთად და უკვე სრულიად მივენდე. ყურადღებით მოისმინა ყველა ვარაუდი ჩემი საქმიანობის შესახებ და ჩემ მიერ მიღებული ზომების ყველა წვრილმანს ვუზიარებ. მისმა თანამონაწილეობამ ისე მომწუსხა, რომ გულის ენით დავიწყე მასთან საუბარი. ყველაფერი ამოვთქვი, რაც ჩემს გულს ავსებდა და დავარწმუნე, რომ მთელ ქონებასაც გავწირავდი, სიცოცხლესაც და ყველა ჩემს იმედს, ჩაფიქრებული საქმის წარმატებისთვის. ერთი ადამიანის სიცოცხლე – იმ ცოდნის საფასურია, რომლისკენაც მივისწრაფვი, კაცობრიობის უცვლელ მტრებზე ძალაუფლების მოპოვების საფასური.

ამ სიტყვებზე ჩემი თანამოსაუბრე მოიღუშა. თავდაპირველად შევნიშნე, რომ ცდილობდა მღელვარება დაეფარა – თვალებზე ხელები აიფარა, მაგრამ თითებს შორის რომ ცრემლები გადმოედინა და მკერდიდან კვნესა აღმოხდა, ვეღარ გავაგრძელე. გავჩუმდი – და მან ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაიწყო: „უბედურო! მაშ შენც იმ სიგიჟეს შეუპყრიხარ? შენც შეგისვამს დამათრობელი სასმელი? მაშ მომისმინე, გაიგე ჩემი ამბავი და მიწაზე დაანარცხებ შხამით სავსე ფიალას!“

ალბათ წარმოგიდგენია, როგორ გააღვიძებდნენ ჩემს ცნობისმოყვარეობას მისი ეს სიტყვები. ის მღელვარება, რამაც უცნობი შეიპყრო, მეტისმეტად ძლიერი აღმოჩნდა მისი გადაღლილი სხეულისთვის და დასვენებისა და მშვიდი საუბრების ხანგრძლივი საათები გახდა საჭირო, სანამ ძალებს აღიდგენდა. თავის გრძნობებს რომ გაუმკლავდა, ჩანდა, საკუთარი თავი ეზიზღებოდა იმის გამო, რომ დაუძლურდა. მას მერე, რაც საბრალობელი მდგომარეობა გადალახა, კვლავ გამომელაპარაკა. მოინდომა, ჩემი სიჭაბუკის ამბები მოესმინა. ამ თხრობას დიდი დრო არ დასჭირდა, თუმცა მსჯელობის საშუალება მოგვცა. ვუამბე, როგორ გულით მინდა მეგობარი, როგორ მწყურია უფრო ახლო ურთიერთობა მონათესავე სულთან, ვიდრე აქამდე მქონია, და დარწმუნებით გამოვაცხადე, რომ ბედის ამ საჩუქრის გარეშე არ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს.

– სავსებით გეთანხმებით, – მიპასუხა უცნობმა, – ჩვენ თითქოს დაუსრულებლებად ვრჩებით, სანამ ვიღაც ჩვენზე უფრო ბრძენი და ღირსეული, – სწორედ ასეთი უნდა იყოს მეგობარი, – არ დაგვეხმარება ჩვენს სისუსტეებსა და მანკიერებებთან ბრძოლაში. ერთ დროს მყავდა მეგობარი, უკეთილშობილესი ადამიანი და ამიტომაც შემიძლია მეგობრობაზე ვიმსჯელო. თქვენ გაქვთ იმედი, რომ თქვენ წინაშე მთელი სამყაროა და გულს ნუ გაიტეხთ. მე კი – მე ყველაფერი გავლიე და ცხოვრებას ხელახლა ვეღარ დავიწყებ.

ამ სიტყვების თქმისას სახეზე მძიმე, ენით გამოუთქმელი ტკივილი გამოესახა, რომელმაც გულის სიღრმემდე შემძრა. თუმცა მეტი არაფერი უთქვამს და თავისი კაიუტისკენ გასწია.

სულშეძრულსაც კი შეუძლია ბუნების სილამაზის შეგრძნება. ამ საუცხოო ადგილების ვარსკვლავურ ცას, ოკეანესა და ლანდშაფტებს ჯერ კიდევ აქვთ ძალა მასზე და შეუძლიათ მიწიერზე მაღლა აიტაცონ. ასეთი ადამიანი თითქოს ორმაგ ცხოვრებას ეწევა: მას შეუძლია იტანჯოს და გადატანილის სიმძიმეს ქედი მოუხაროს, თუმცა საკუთარ თავში ჩაღრმავებული ზეციურ სულს ემსგავსება. მას შარავანდედი მოსავს და ამ ჯადოსნურ წრეში დარდსა და ბოროტებას არ აქვს გზა.

შესაძლოა, იმ აღტაცებამ, რითაც აღვწერ ამ უჩვეულო მწირს, შენში ღიმილი გამოიწვიოს. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ის არ გინახავს. წიგნებმა და განმარტოებამ შენ თითქოს აგამაღლა და უფრო მომთხოვნი გაგხადა, მაგრამ შენ უფრო მეტადაც შეგიძლია ამ საოცარი ადამიანის არაჩვეულებრივი ღირსებების შეფასება. ხანდახან ვცდილობ გავიგო, მაინც რა თვისება ამაღლებს მას ასე სხვა ადამიანებზე, რომლებიც კი აქამდე მინახავს. მეჩვენება, რომ ეს რაღაც ინტუიციაა, სწრაფი, თუმცა შეუცდომელი მსჯელობის უნარი, უჩვეულოდ მკაფიო და ზუსტი წვდომა საგნების მიზეზში. ამას დაუმატე მჭევრმეტყველების იშვიათი ნიჭი და მდიდრული ხმა.

19 აგვისტო 17..

გუშინ უცნობმა მითხრა: „თქვენ ალბათ ხვდებით, კაპიტანო უოლტონ, რომ გაუგონარი უბედურება გადავიტანე. ერთხელ გადავწყვიტე, რომ მათი მოგონება ჩემთან ერთად დაიმარხებოდა, მაგრამ თქვენ მაიძულეთ, გადაწყვეტილება შემეცვალა. ისევე, როგორც მე ერთ დროს, თქვენც მიიწევთ ჭეშმარიტებისა და შეცნობისკენ და ძალიან მინდა, რომ მიზნის მიღწევა თქვენც ისეთ საშინელ უბედურებად არ გექცეთ, როგორც მე დამემართა. არ ვიცი, მოგიტანთ თუ არა რაიმე სარგებელს ჩემს უსიამოვნებებზე თხრობა, მაგრამ ვხედავ, რომ თქვენც იმავე გზით მიდიხართ, საკუთარ თავს იმავე ხიფათებში ხვევთ, რომლებმაც ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობამდე მომიყვანეს. ვფიქრობ, რომ ჩემი ნაამბობიდან გარკვეულ მორალს გამოიტანთ და თანაც ისეთს, რომელიც სახელმძღვანელოდ გამოგადგებათ წარმატების შემთხვევაში, ხოლო წარუმატებლობისას – ნუგეშად. მოემზადეთ

მოისმინოთ ამბავი, რომელიც შეიძლება დაუჯერებლადაც მოგეჩვენოთ. შედარებით ჩვეულ გარემოში რომ ვიყოთ, თქვენი უნდობლობის შემეშინდებოდა, დაცინვისაც კი, მაგრამ ამ იდუმალ და სუსხიან მიდამოებში ბევრი ისეთი რამ ჩანს შესაძლებელი, რაც ბუნების საიდუმლოებების არმცოდნეს სიცილს მოჰგვრიდა. ეჭვი არ მეპარება ასევე, რომ ჩემი მონათხრობი თავის თავში იტევს თავისი ჭეშმარიტების მტკიცებულებას“.

შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ გამახარა მისმა წინადადებამ, მაგრამ ვერ დავუშვებდი, რომ საკუთარ უბედობაზე თხრობით ჯერაც მოუშუშებელი იარები გახსნოდა. მოუთმენლად ველოდი დაპირებული ნაამბობის მოსმენას ნაწილობრივ ცნობისმოყვარეობის გამო, ნაწილობრივ კი დიდი სურვილისა, დავხმარებოდი მას, თუ ეს ჩემს ძალებში აღმოჩნდებოდა, მთელი ეს გრძნობები ჩემი პასუხით გამოვხატე.

– გმადლობთ თანაგრძნობისთვის, – მომიგო, – მაგრამ ეს ამაოა. ჩემი ბედი აღსრულდა. ერთადერთ მოვლენას ველოდები – და მხოლოდ მაშინ ვპოვებ სიმშვიდეს. მესმის თქვენი განცდები, – განაგრძო, როცა შენიშნა, რომ მის შეჩერებას ვცდილობდი, – თუმცა ცდებით, ჩემო მეგობარო, თუ მაქვს ნება ასე გიწოდოთ, არაფერს ძალუძს ჩემი ბედის შეცვლა. მოისმინეთ ჩემი ნაამბობი და დარწმუნდებით, რომ ის უკვე გადაწყვეტილია.

თავისი თხრობის დაწყება მომდევნო დღეს ისურვა, ჩემი დასვენების საათებში. მხურვალე მადლობა გადავუხადე. ამიერიდან ყოველ დილას, თუ მოვალეობები არ შემიშლის ხელს, ჩავიწერ მოსმენილს, ვეცდები, რაც შეიძლება ზუსტად მივდიო მის სიტყვებს. თუ ამის დრო არ მეყოფა, მოკლე ჩანაწერებს მაინც გავაკეთებ. ამ ხელნაწერს, შენ, უეჭველად, ინტერესით წაიკითხავ, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ინტერესით გადავიკითხავ მე თვითონ, რომელსაც ის პირადად მინახავს და ეს მონათხრობიც მისი პირიდან მომისმენია! აი ახლაც, როცა ჩანაწერებს ვიწყებ, მისი მჟღერი ხმა ჩამესმის ყურებში, თითქოს ნაღვლიანად და ალერსიანად მიყურებს მისი მოელვარე თვალები, მისი გამხდარი ხელების უზადო მოძრაობებს ვადევნებ თვალს და სახეს, თითქოსდა შინაგანი შუქით გაცისკროვნებულს. უჩვეულო და საშიში იყო მისი ცხოვრების ამბავი, საზარელი იყო ქარიშხალი, რომელიც ამ დიდებულ ხომალდს ეძგერა და დაამსხვრია.

I თავი

მე ჟენევის მკვიდრი ვარ; ჩემი ახლობლები რესპუბლიკის ყველაზე სახელოვან მოქალაქეებს მიეკუთვნებიან. ჩემი წინაპრები მრავალი წლის განმავლობაში იყვნენ მრჩევლები და სინდიკები[2]. მამაჩემიც ღირსეულად უძღვებოდა ერთ-ერთ საჯარო

თანამდებობას. ვინც მას იცნობდა, ყველა პატივს სცემდა პატიოსნებისა და საზოგადოებრივ სფეროში გამოჩენილი გულმოდგინებისთვის. ახალგაზრდობა მთლიანად ქვეყნის სამსახურში განვლო. გარკვეულმა გარემოებებმა ხელი შეუშალა, ადრე დაქორწინებულიყო და მხოლოდ მხცოვან ასაკში იქცა ქმრად და მამად. მისი ქორწინების ვითარებანი იმდენად ნათლად ასახავს მის ხასიათს, რომ აუცილებლად უნდა მოგითხროთ.

მის უახლოეს მეგობრებს შორის იყო ერთი კომერსანტი, რომელიც მრავალრიცხოვანი წარუმატებლობების შემდეგ მდიდარი კაციდან ღარიბად გადაიქცა. ეს კაცი, გვარად ბოფორი, ამაყი და ქედმაღალი ბრძანდებოდა და არ შეეძლო ღარიბულად ეცხოვრა იმ გარემოში, სადაც ადრე სიმდიდრე და პატივისცემა ჰქონდა. ამიტომაც კრედიტორებს პატიოსნად გაუსწორდა და თავის ქალიშვილთან ერთად ლიუცერნში გადავიდა, სადაც ღატაკი განდეგილივით ცხოვრობდა. მამაჩემს ბოფორთან მეგობრობა აკავშირებდა და ძალიან ეწყინა მისი გამგზავრება, თანაც ესოდენ მწუხარე გარემოებებში. მწარედ ნანობდა იმ ცრუ სიამაყეს, რომელმაც მის მეგობარს მათი მეგობრობისთვის ასეთი უღირსი საქციელი უკარნახა. მაშინვე შეუდგა ბოფორის მოძებნას, რათა დაერწმუნებინა, ხელახლა დაეწყო ცხოვრება და მისი თანადგომით ესარგებლა.

ბოფორმა ყველანაირად სცადა თავისი ადგილსამყოფლის გასაიდუმლოება და მამაჩემს მთელი ცხრა თვე დასჭირდა მის მოსაძებნად. გახარებული მიადგა სახლს, რომელიც რეიმსის ახლოს ერთ უბადრუკ ქუჩაზე იდგა. თუმცა იქ მისულს სასოწარკვეთა და მწუხარება დახვდა. გაკოტრებულ ბოფორს სულ მცირე თანხის შენარჩუნება მოეხერხებინა, რომელიც საკმარისი იყო, რომ რამენაირად გაეტანა თავი რამდენიმე თვით. ამ დროისთვის იმედი ჰქონდა, რომ რომელიმე სავაჭრო სახლში იპოვიდა სამუშაოს. ამგვარად პირველმა თვეებმა უმოქმედობაში გაიარა. მისი მწუხარება იმანაც გააღრმავა, რომ ბევრი დრო ჰქონდა საფიქრალად და ბოლოს და ბოლოს ისე დაეუფლა ნაღველი, რომ მესამე თვის ბოლოს ჩაწვა და უკვე აღარაფრის თავი არ ჰქონდა.

ქალიშვილი მას ნაზად უვლიდა, თუმცა იმასაც ხედავდა, რომ მათი მწირი მარაგი სწრაფად დნებოდა, არსებობის სხვა წყარო კი არსაიდან ჩანდა. თუმცა კაროლინა ბოფორი განსაკუთრებული ადამიანი გახლდათ და სიმამაცე უბედობის დროსაც არ ტოვებდა. კერვა დაიწყო, ჩალისგანაც ქსოვდა რაღაცებს და უბადრუკ კაპიკებს შოულობდა, რაც მამა-შვილს ცხოვრების შენარჩუნებაში ეხმარებოდა.

ასე გავიდა რამდენიმე თვე. მამის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. გოგონას მისი მოვლა თითქმის მთელ დროს ართმევდა, საარსებო ფულის შოვნა კი უფრო მეტად უჭირდა. მეათე თვეზე მამა ხელებში ჩააკვდა, დატოვა ობოლი და ღატაკი. უკანასკნელმა დარტყმამ ძალა გამოაცალა, აქვითინებული დაეცა მუხლებზე ბოფორის კუბოსთან. სწორედ იმ წუთს ოთახში მამაჩემი შევიდა. საბრალო გოგონას კეთილი ჯადოქარივით გამოეცხადა და თავის მფარველობაში აიყვანა. მეგობრის

დაკრძალვის შემდეგ კაროლინა ჟენევაში წაიყვანა და ნათესავებს დაავალა მასზე ზრუნვა. ორი წლის შემდეგ კაროლინა მისი ცოლი გახდა.

ჩემს მშობლებს შორის მნიშვნელოვანი ასაკობრივი სხვაობა იყო, თუმცა ამ გარემოებამ თითქოს უფრო განამტკიცა მათი ნაზი კავშირი. მამაჩემს სამართლიანობის გრძნობა გამოარჩევდა, მას ვერ წარმოედგინა პატივისცემის გარეშე სიყვარული. ჩანდა, ახალგაზრდობის წლებში ბევრი რამ გადაეტანა და საკმაოდ გვიან გაიგო, რომ მისი სიყვარულის ობიექტი არ იყო მისი ღირსი, ამიტომაც განსაკუთრებით აფასებდა იმ სულიერ თვისებებს, რომელიც მძიმე გამოცდებით ჰქონდა შემოწმებული. დედაჩემისადმი მის გრძნობებში იყო მოწიწება და მადლიერება, რაც სრულიად არ ჰგავდა ბრმა ბებრულ ტრფობას. აღტაცებით შთააგონებდა მისი ღირსებები და გულით სწადდა, ცოტათი მაინც დაეჯილდოებინა გადატანილი უბედობის გამო, რაც საოცარ კეთილშობილებას სძენდა ქალის მიმართ მის ურთიერთობას. სახლში ყველაფერი კაროლინას სურვილებს ემორჩილებოდა. მამა მას ისე უფრთხილდებოდა, როგორც მებაღე უვლის იშვიათ ყვავილს და ნიავის დაბერვისგანაც კი იცავს, ყველაფერს აძლევდა, რასაც კი შეეძლო მისი ნაზი სულისთვის სიხარული მიენიჭებინა. გადატანილმა ტრაგედიებმა კაროლინას ჯანმრთელობა შეურყია და მისი სულიერი წონასწორობაც დააზარალა. ორი წლის განმავლობაში, რაც მათ ქორწინებას უძღოდა წინ, მამამ თანდათანობით მოიცილა ყველა საზოგადოებრივი ვალდებულება. დაქორწინებისთანავე იტალიაში გაემგზავრნენ, სადაც მსუბუქი კლიმატი, გარემოს შეცვლა და ახალი შთაბეჭდილებები, რითაც დაჯილდოებულია ეს საოცრებათა ქვეყანა, დედას ჯანმრთელობაზე კარგად აისახა.

იტალიიდან გერმანიასა და საფრანგეთს ესტუმრნენ. მე, მათი პირმშო, ნეაპოლში დავიბადე და სიცოცხლის პირველ წლებში თან ვახლდი მოგზაურობებში. რამდენიმე წლის განმავლობაში მათი ერთადერთი შვილი გახლდით. რამდენადაც უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი, მაინც რჩებოდა სიყვარულის ამოუწურავი მარაგი, რომელსაც მე მინაწილებდნენ. დედის ნაზი ალერსი, მამის კეთილი მზერა და ღიმილი – ასეთია ჩემი პირველი მოგონებები. მათი სათამაშო და ანგელოზი ვიყავი, და კიდევ უფრო უკეთესი – მათი ბავშვი, უბიწო და უსუსური ქმნილება, ზეცისგან მოვლენილი, რათა ჩემთვის სიკეთე ესწავლებინათ. ჩემი ბედი მათ ხელთ იყო და შეეძლოთ ბედნიერი გავეხადე ან უბედური, იმის მიხედვით, თუ როგორ შეასრულებდნენ თავიანთ ვალს ჩემთან. საკუთარი მოვალეობების ასეთი ღრმა გაცნობიერების პირობებში იმ არსების მიმართ, რომელსაც სიცოცხლე აჩუქეს, იმ სიკეთის გათვალისწინებით, რომელიც ორივეს გამოარჩევდა, ადვილი წარმოსადგენია, რომ ჩვილობაში საათობრივად ვიღებდი მოთმინების, გულმოწყალებისა და თავშეკავების გაკვეთილებს, იმავდროულად ისე სათნოდ მხელმძღვანელობდნენ, რომ ეს სიამოვნებად მეჩვენებოდა.

დიდხანს ვიყავი მათი ზრუნვის მთავარი ობიექტი. დედაჩემს ძალიან უნდოდა გოგონა, მაგრამ მე ერთადერთ ბავშვად ვრჩებოდი. როცა ათი წელი შემისრულდა, ჩემმა მშობლებმა იტალიის ფარგლებს გარეთ მოგზაურობისას ერთი კვირა გაატარეს

კომოს ტბის ნაპირას. სიკეთეს ხშირად მიჰყავდა ღარიბთა ქოხებში. დედაჩემისთვის ეს მეტი იყო, ვიდრე უბრალო მოვალეობა. საკუთარი ტანჯვისა და მისგან თავის დაღწევის მოგონებები მოთხოვნილებად ექცა და იმავდროულად ვნებად, თვითონაც მფარველ ანგელოზად მოვლენოდა გაჭირვებულთ. ერთ-ერთი სეირნობის დროს მდელოზე განსაკუთრებით მივარდნილმა ქოხმა მიიპყრო მათი ყურადღება, სადაც ბევრი ჩამოძონძილი ბავშვი დარბოდა და ყველაფერი უკიდურეს სიღატაკეზე მეტყველებდა. ერთხელ, როცა მამა მილანში გაემგზავრა, დედა ამ ქოხისკენ გაეშურა და მეც თან წამიყვანა. იქ აღმოჩნდა გლეხი კაცი შრომითა და გაჭირვებით წელში მოხრილი, ცოლითურთ, საცოდავ ლუკმებს უნაწილებდნენ ხუთ მშიერ ბავშვს. ერთმა გოგონამ დედაჩემი გამორჩეულად მონუსხა, რაღაც სხვა ჯიშის არსებას ჰგავდა. ოთხი ბავშვი შავთვალება იყო, ძლიერი პატარა ნაშიერები, ეს გოგონა კი თხელი და ქერა იყო. თმა თითქოს ოქროსი ჰქონდა და კონკების მიუხედავად, გვირგვინოსან პრინცესას ჰგავდა. მაღალი შუბლი ამშვენებდა, ნათელი ცისფერი თვალები, ტუჩები და სახის სხვა ნაკვთები კი ისეთი მშვენიერი და ნაზი ჰქონდა, რომ ნებისმიერ მნახველს განსაკუთრებულ არსებად, ზეციურ ქმნილებად წარმოუდგებოდა.

როცა შენიშნა, როგორი გაოცებული და აღფრთოვანებული შეჰყურებდა დედაჩემი მშვენიერ გოგონას, გლეხმა ქალმა სწრაფად გვიამბო მისი ამბავი. ის არ ყოფილა მისი შვილი, არამედ ერთი მილანელი წარჩინებულის ქალიშვილი. დედა გერმანელი ჰყოლოდა, მისი დაბადებისთანავე გარდაცვლილა. ბავშვი გლეხებს მისცეს, რომ ძუძუ ეწოვებინა. მაშინ ეს ოჯახი ასე ღარიბულად არ ცხოვრობდა, ახალი დაქორწინებულნი იყვნენ და ის-ის იყო შვილი გასჩენოდათ. გოგონას დიდგვაროვან იტალიელ მამას იტალიის ძველი დიდება ახსოვდა. სულით მებრძოლი ადამიანი გახლდათ, რომელიც თავისი სამშობლოს გათავისუფლებისკენ მიისწრაფოდა. სწორედ ამან დაღუპა. სიკვდილით დასაჯეს, თუ ჯერ კიდევ იტანჯებოდა ავსტრიის ციხეში – ეს არავინ იცოდა. ქონება ჩამოართვეს, ქალიშვილი კი ღარიბი და ობოლი დარჩა. თავის ძუძუმტესთან ერთად იზრდებოდა და მათ ღარიბულ სახლში იფურჩქნებოდა უფრო წარმტაცად, ვიდრე ბაღის ყვავილი მუქფოთლიან კვრინჩხებს შორის.

მილანიდან დაბრუნებულ მამას ჩვენი ვილის სასტუმრო ოთახში ჩემთან მოთამაშე პატარა ბავშვი დახვდა, ქერუბიმზე უფრო ნაზი არსება, რომელიც თითქოს შუქს ასხივებდა, მოძრაობები კი მთის არჩვისებური ჰქონდა. მამას აუხსნეს, რაც ხდებოდა. მისი ნებართვის მიღების შემდეგ, დედამ გლეხები დაარწმუნა, გოგონა მისთვის მიეცათ. გლეხებს უყვარდათ ლამაზი ობოლი. ის მათთვის ზეციური საჩუქარივით იყო, მაგრამ ისიც სისასტიკედ მიაჩნდათ, რომ ასეთ გაჭირვებაში დაეტოვებინათ, როცა ბედი ამგვარ მდიდარ მფარველებს უგზავნიდა. სოფლის მღვდელთან მოითათბირეს და ასე გახდა ელიზაბეტ ლავენცა ჩვენი ოჯახის წევრი, ჩემი და და უფრო მეტიც – ყველა ჩემი საქმიანობისა თუ თამაშის სათაყვანებელი მეგობარი.

ელიზაბეტი ყველას უყვარდა. მე ვამაყობდი მისი თბილი და მოკრძალებული ერთგულებით, რომელსაც ყველას უზიარებდა, და მასაც იმავეს ვუნაწილებდი. იმ დღეს, როცა ჩვენს სახლში უნდა გადმოსულიყო საცხოვრებლად, დედამ ხუმრობით

მითხრა: „ჩემი ვიქტორისთვის შესანიშნავი საჩუქარი მაქვს, რომელსაც ხვალ მიიღებს“. როცა დილას ელიზაბეტი წარმომიდგინა შეპირებული საჩუქრის სახით, ბავშვური სერიოზულობით პირდაპირ ავხსენი მისი სიტყვები და ელიზაბეტი ჩემად მივიჩნიე – ჩემთვის მონდობილად, რათა დამეცვა, მყვარებოდა და მეზრუნა მასზე. მის ყველა შექებას ისე ვიღებდი, როგორც ჩემი კუთვნილის ქებას. ერთმანეთს მეგობრულად ვეძახდით ბიძაშვილებს. თუმცა ვერავითარი სიტყვა ვერ გამოხატავდა მისადმი ჩემს ურთიერთობას – ის დაზე უფრო ახლობელი იყო ჩემთვის და ჩემი უნდა გამხდარიყო სამარადისოდ.

II თავი

ერთად ვიზრდებოდით, ჩვენ შორის ასაკში სხვაობა წელიწადზე ნაკლები იყო, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ უცხო იყო ჩვენთვის ჩხუბი და კამათი. ჩვენს ურთიერთობებში ჰარმონია სუფევდა და ჩვენი ხასიათების სხვაობა მხოლოდ გვაახლოებდა. ელიზაბეტი ჩემზე მშვიდი და თავშეკავებული გახლდათ, თუმცა, მიუხედავად ჩემი აულაგმავი ხასიათისა, მეცადინეობების დროს საოცარ სიბეჯითეს ვავლენდი და სწავლა მწყუროდა. მას პოეტების ჰაეროვანი ჩანაფიქრები შთააგონებდა, დიდებულ და მშვენიერ პეიზაჟებში, რომელიც ჩვენს შვეიცარიულ სახლს ერტყა გარს – მთების ჯადოსნურ მოხაზულობაში, წელიწადის დროების ცვალებადობაში, ქარის ზუზუნსა და სიმშვიდეში, ზამთრის უტყვობასა და ჩვენი ალპური ზაფხულის დაუდგრომელ ცხოვრებაში აღტაცებისა და სიხარულის ამოუწურავ წყაროს პოულობდა. იმ დროს, როცა ჩემი მეგობარი ცნობისმოყვარედ და კმაყოფილებით ჭვრეტდა სამყაროს გარეგნულ სილამაზეს, მე საგნების მიზეზების გამოკვლევა მიყვარდა. სამყარო დიდ საიდუმლოებად მესახებოდა, რომლის ამოხსნასაც ვლამობდი. ადრეულ ბავშვობაში გამომჟღავნდა ჩემში ცოდნისწადილი, ბუნების იდუმალი კანონების ამოხსნისკენ შეუპოვარი სწრაფვა და შეცნობის აღტაცებული სიხარული.

მეორე ვაჟის დაბადების შემდეგ – ჩემი დაბადებიდან შვიდ წელიწადში – მშობლებმა უარი თქვეს მოგზაურობაზე და სამშობლოში დასახლდნენ. ჟენევაში გვქონდა სახლი და აგარაკი ბელრივში, ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე, ქალაქიდან დაახლოებით ერთი ლიეს[3] მანძილზე. ჩვეულებრივ, მეტ დროს აგარაკზე ვატარებდით; მშობლები საკმაოდ განმარტოებულ ცხოვრებას მისდევდნენ. მე მოზრდილსაც მახასიათებდა ბრბოსგან გარიდება და გამონაკლისებთან მეტისმეტი მიჩვევა. ამიტომაც გულგრილი ვიყავი სკოლის ამხანაგებისადმი, თუმცა ერთ მათგანთან საკმაოდ მჭიდრო მეგობრობა მაკავშირებდა. ანრი კლერვალი ჟენეველი ვაჭრის შვილი გახლდათ. ეს ბიჭუნა მრავალი ნიჭითა და ცოცხალი წარმოსახვით იყო დაჯილდოებული. სირთულეები, თავგადასავლები და ხიფათიც კი იზიდავდა. უწყვეტად კითხულობდა

რაინდულ რომანებს. ჰეროიკულ პოემებს თხზავდა და არაერთხელ დაუწყია მოთხრობების წერა, რომლებიც ფანტასტიკური და რაინდული თავგადასავლებებით იყო სავსე. გვაიძულებდა პიესები გვეთამაშა და საგანგებოდ გამოვწყობილიყავით, თანაც ყველაზე ხშირად რონსევალის პერსონაჟებს განვასახიერებდით, ართურის მრგვალი მაგიდის რაინდებს და მეომრებს, რომლებმაც ღვთიური სამარხის გათავისუფლებისთვის დაღვარეს სისხლი.

ამქვეყნად არავის ჰქონია ისეთი ბედნიერი ბავშვობა, როგორიც მე. ჩემი მშობლები სიკეთისა და შემწყნარებლობის განსახიერებანი იყვნენ. მათში ტირანებს კი არ ვხედავდით, რომლებიც ახირებული მართავდნენ ჩვენს ბედს, არამედ ურიცხვი სიამეების მომძღვნელებს. სხვათა ოჯახებს რომ ვსტუმრობდი, ვხედავდი, რა იშვიათი ბედნიერება მერგო და კიდევ უფრო მეტი სიყვარულით მევსებოდა გული ჩემი მშობლებისადმი.

დაუმორჩილებელი ბუნება მქონდა და ხანდახან მგზნებარება მთლიანად მეუფლებოდა, მაგრამ ისეთი აღნაგობის ვიყავი, რომ ეს გზნება ბავშვური გასართობებისკენ კი არ მიემართებოდა, არამედ შეცნობისკენ, თანაც ყველაფრისა, განურჩევლად. ვაღიარებ, არ მიზიდავდა არც სხვადასხვა ენის აგებულება, არც სახელმწიფო და პოლიტიკური წყობის პრობლემები. მე მიწისა და ცის საიდუმლოებების შეცნობისკენ მივისწრაფოდი, იქნებოდა ეს საგნების გარეგნული გარსი თუ ბუნების შინაგანი არსი და ადამიანის სულის საიდუმლოებები, ჩემი ინტერესი სამყაროს მეტაფიზიკური ან – ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით – ფიზიკური საიდუმლოებებისკენ იყო მიმართული.

კლერვალი, ჩემგან განსხვავებით, ზნეობრივი პრობლემებით გახლდათ დაინტერესებული. საზოგადოების აქტიური ცხოვრება, ადამიანების ქმედებები, საგმირო საქმეები – აი, რა აღელვებდა. მისი ოცნება და იმედი იყო, ადამიანთა მოდგმის ერთ-ერთ იმ ქველმოქმედთაგანი გამხდარიყო, რომელთა სახელებს ისტორიის ფურცლები ინახავენ. ელიზაბეტის წმინდა სული ჩვენს მშვიდობიან სახლს საკურთხევლის ღამპარივით ანათებდა. მთელი მისი სიყვარული ჩვენკენ იყო მომართული, მისი ღიმილი, ნაზი ხმა და ზეციური მზერა გამუდმებით გვახარებდა და გვაცოცხლებდა. მასში სიყვარულის მშვიდობისმყოფელი სული ცოცხლობდა. ჩემს მეცადინეობებს შეეძლოთ პირქუში გავეხადე, ჩემს ბუნებრივ ცხელსისხლიანობას კი – უხეში, ელიზაბეტი რომ არ მყოლოდა გვერდზე, რომელიც არბილებდა ჩემს საქციელს და თავისი სათნოების ნაწილაკებს გადმომცემდა.

კლერვალი? ჩანდა, არაფერ ცუდს არ შეეძლო ეპოვა ადგილი კლერვალის კეთილშობილურ სულში, მაგრამ ისიც კი ვერ იქნებოდა ასეთი ადამიანური და დიდსულოვანი, ასეთი სიკეთით და ზრუნვით სავსე მთელი თავისი სახიფათო თავგადასავლებისადმი სწრაფვის გათვალისწინებით, ელიზაბეტს რომ არ გადაეშალა მისთვის გულმოწყალების სილამაზე და მისი პატივმოყვარეობის უმაღლეს მიზნად სიკეთე რომ არ ექცია.

სიამოვნებით ვჩერდები ბავშვობის მოგონებებზე, იმ წლებზე, როცა უბედურებებს ჯერ კიდევ არ მოექუფრათ ჩემი სული და ადამიანებისთვის გამოდგომის ნათელი მიზანი არ შეეცვალა პირქუშ ფიქრებს, მხოლოდ საკუთარი თავისკენ მიმართულს. თანაც, ბავშვობის სურათებს რომ ვხატავ, იმ მოვლენებზე ვყვები, რომლებმაც შეუმჩნევლად მიგვიყვანა შემდგომი უბედურებებისკენ, რამეთუ იმ ვნების დაბადებას რომ ვიკვლევ, რომელმაც მოგვიანებით მთელი ჩემი ცხოვრება დაიმორჩილა, ვხედავ, რომ იგი, მთის მდინარის მსგავსად, არარსებული და თითქმის უხილავი წყაროებიდან იშვა, გზად მოზღვავებული დიდ ნაკადად იქცა, რომელმაც თან წაიღო ჩემი იმედები და სიამეები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ჩემს ბედისწერად იქცა, ამიტომ ჩემს მონათხრობში მსურს აღვნიშნო ის გარემოებები, რომლებმაც მაიძულეს ისინი ყველა სხვა მეცნიერებაზე წინ დამეყენებინა. ერთხელ, მაშინ ცამეტი წლის ვიყავი, მთელი ოჯახით გავემგზავრეთ სადღაც ტონონის სიახლოვეს, საბანაოდ. ავდარმა მთელი დღით გამოგვკეტა სასტუმროში. იქ შემთხვევით აღმოვაჩინე კორნელიუს აგრიპას[4] თხზულებათა ტომეული. გულგრილად გადავშალე, მაგრამ თეორიამ, რომლის დამტკიცებასაც ის ცდილობს და საოცარმა ფაქტებმა, რომლებზეც ის მოგვითხრობს, გულგრილობა მალე ენთუზიაზმად მიქცია. თითქოს ახალი შუქით გამინათდა გონება. სასწრაფოდ ვამცნე ჩემი აღმოჩენის შესახებ მამას. მან ზერელედ შეხედა წიგნის თავფურცელს და თქვა: „ა, კორნელიუს აგრიპა! საყვარელო ვიქტორ, დროს ფუჭად ნუ კარგავ, ეგ ყველაფერი სისულელეა“.

ამის ნაცვლად მამას რომ არ დაზარებოდა და აეხსნა ჩემთვის, რომ თავის დროზე აგრიპას თეორიები უარყოფილ იქნა და ახალი სამეცნიერო სისტემით შეიცვალა, უფრო საფუძვლიანით, – რამეთუ ძველის სიმძლავრე მოჩვენებითი იყო, რადგან ახალს რეალურობის მყარი საფუძველი აქვს, – ალბათ უეჭველად მოვისროდი აგრიპას და გაცხოველებულ წარმოსახვას დავიკმაყოფილებდი, ახალი გულმოდგინებით შევუდგებოდი სასკოლო მეცადინეობებს. შეიძლება ჩემს ფიქრებს საბედისწერო ბიძგიც არ მისცემოდათ, რამაც დაღუპვისკენ გამაქანა. მაგრამ ნაჩქარევმა მზერამ, რომელიც მამამ წიგნს ესროლა, ვერ დამარწმუნა, რომ მან იცოდა მისი შინაარსი და მეტი მონდომებით განვაგრძე კითხვა.

შინ დაბრუნებულმა პირველ რიგში ვცადე ამ ავტორის თხზულებათა სრული კრებული მომეპოვებინა, მერე კი – პარაცელსიუსისა და ალბერტ დიდებულის[5]. სიამოვნებით ჩავეფალი მათ გიჟურ გამოგონებებში, მათი წიგნები საუნჯედ მეჩვენებოდა, რომელიც ჩემ გარდა ბევრისთვის როდი იყო მისაწვდომი. უკვე ვთქვი, რომ ბუნების საიდუმლოებების ამოცნობით ვიყავი შეპყრობილი. მიუხედავად იმისა, რომ ბეჯითად ვსწავლობდი თანამედროვე მეცნიერების საოცარ აღმოჩენებს, მათი წიგნების შესწავლა ყოველთვის მიტოვებდა დაუკმაყოფილებლობის განცდას. ამბობენ, სერ ისააკ ნიუტონმა აღიარა, რომ თავს ბავშვად გრძნობდა, რომელიც ნიჟარებს აგროვებს ჭეშმარიტების დიდებული და უხილავი ოკეანის ნაპირზე. მისი

ყველა მიმდევარი ბუნებისმეტყველების ყველა სფეროში, რომლებსაც მე ვიცნობდი, მე, ბიჭუნასაც კი, ახალბედებად მეჩვენებოდა.

უმეცარი სოფლელი მის გარშემო არსებულ სტიქიებს ჭვრეტდა და გამოცდილებით იგებდა მათ გამოვლინებებს. მაგრამ თვით ფილოსოფოსთა შორის ყველაზე მეცნიერმაც კი არ იცოდა ბევრად მეტი. მან მხოლოდ ოდნავ გადახსნა ფარდა ბუნების სახეზე, მისი უკვდავი ნაკვთები კი უცხო და საიდუმლო რჩებოდა. მას შეეძლო გვამების ანატომირება და საგნებისთვის სახელების მინიჭება, მაგრამ მან არაფერი იცოდა მოვლენათა მეორადი და უახლოესი მიზეზების შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ პირვანდელზე. მე დავინახე სიმკვრივე, რომელიც ადამიანს ბუნების ციტადელში შესასვლელს უღობავდა და ჩემი უმეცრებითა და მოუთმენლობით მათ წინააღმდეგ გამოვდიოდი.

გვერდზე კი იყო წიგნები, რომლებიც უფრო ღრმად აღწევდნენ, და ადამიანები, რომლებმაც მეტი იცოდნენ. ყველაფერში მათ ვუჯერებდი და მათ მოწაფედ ვიქეცი. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო მეთვრამეტე საუკუნეში, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჟენევის სკოლის მოწაფე, ჩემი საყვარელი საგნების დარგში თითქმის თვითნასწავლი გახლდით. მამაჩემს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არ იზიდავდა და საკუთარ თავს ვიყავი მინდობილი. მკვლევრის ვნება ჩემში ბავშვის უმეცრებას უთავსდებოდა. ჩემი ახალი მოძღვრების ხელმძღვანელობით საოცარი გულმოდგინებით შევუდექი ფილოსოფიური ქვისა და სიცოცხლის ელექსირის ძიებას. ამ უკანასკნელმა სულ მალე მთლიანად მოიცვა ჩემი წარმოსახვა. სიმდიდრე მეორეხარისხოვან რამედ მეჩვენებოდა, მაგრამ რა დიდება მელოდა, თუ ვიპოვიდი საშუალებას, ადამიანისთვის ავადმყოფობები ამეცილებინა თავიდან და ნებისმიერი სიკვდილის მიმართ შეუვალი გამეხადა, ძალადობრივი სიკვდილის გარდა?

მხოლოდ ამაზე როდი ვოცნებობდი. ჩემი საყვარელი ავტორები სიამოვნებით მპირდებოდნენ სულებისა და ბოროტი ძალების შელოცვების შესწავლას, და ეს მეც ძალიან მინდოდა. თუ ჩემი შელოცვები ამაო აღმოჩნდებოდა, ამას ჩემს გამოუცდელობას ან შეცდომას მივაწერდი, მაგრამ ვერ ვბედავდი ეჭვქვეშ დამეყენებინა ჩემი მოძღვრების სწავლულობა ან სიზუსტე. მაშ ასე, გარკვეული დრო მივუძღვენი ამ უარყოფილ სწავლებებს და ნებისმიერი უმეცარივით ვურევდი ერთმანეთის გამომრიცხავ თეორიებს, უსუსურად დავბორიალებდი სხვადასხვაგვარ მტკიცებულებას შორის, მხოლოდ მგზნებარე წარმოსახვითა და ბავშვური ლოგიკით ნასაზრდოები, როცა მოულოდნელმა შემთხვევამ კიდევ ერთხელ, ახლებური მიმართულება მისცა ჩემს ფიქრებს.

მეთხუთმეტე წელში ვიყავი, როცა ბელრივის ახლოს ჩვენს აგარაკში გადავედით და იქ იშვიათი სიძლიერის ქუხილის მომსწრენი გავხდით. მეხთატეხა იურის მთაგრეხილიდან მოდიოდა. ყველა მხრიდან ერთდროულად საშინლად დაიგუგუნა. სანამ ქუხდა და ჭექდა, დიდი ყურადღებითა და აღტაცებით შევყურებდი. კარში

მდგარმა უცებ დავინახე, ძველი მძლავრი მუხიდან, რომელიც სახლიდან ოციოდე იარდში იზრდებოდა, როგორ ამოვარდა ცეცხლი, ხოლო როცა ეს დამაბრმავებელი შუქი გაქრა, მუხაც გაქრა და მის ადგილას მხოლოდ საცოდავი კუნძი დარჩა.

მეორე დილით იქ რომ მივედით, დავინახეთ, რომ მეხს ხე უცნაურად გადაეხლიჩა. უბრალოდ კი არ გადასკდა დარტყმისგან, არამედ სულ წვრილ ნაფოტებად გაიფანტა. არასდროს მიდევნებია თვალი ასეთი სრული განადგურებისთვის.

ადრეც ვიცნობდი ელექტრობის ძირითად კანონებს. იმ დღეს ჩვენსას ერთი ცნობილი ნატურალისტი სტუმრობდა. მუხის შემთხვევამ უბიძგა, საკუთარი ვარაუდები გადმოელაგებინა ჩვენთვის ელექტრობისა და გალვანიზმის ბუნებაზე, რომლებიც ჩემთვის ახალი და საოცარი იყო. მის მიერ მონათხრობმა უკან გადასწია ჩემი ფიქრების მეუფეები – კორნელიუს აგრიპა, ალბერტ დიდებული და პარაცელსიუსი, თუმცა ამ კერპების მსხვრევამ იმავდროულად გამიქრო ჩვეულებრივი მეცადინეობებისადმი ლტოლვაც. გადავწყვიტე, რომ ვერავინ და ვერასდროს შეძლებს ყველაფრის ბოლომდე შეცნობას. ყველაფერი, რაც ასე დიდხანს იპყრობდა ჩემს გონებას, უცებ სრულიად უმნიშვნელოდ მომეჩვენა. ერთ-ერთ იმ ახირებას დამორჩილებულმა, რომელიც უფრო ადრეული სიჭაბუკისთვის არის დამახასიათებელი, დაუყოვნებლივ მივატოვე მეცადინეობები, ბუნებისმეტყველების ყველა სფერო უნაყოფოდ მივიჩნიე და ამ ფსევდომეცნიერებისადმი სიძულვილმა შემიპყრო, რომელსაც უკვე აღარ ეწერა ჭეშმარიტი შეცნობის ზღურბლის გადაბიჯებაც კი. ასეთი განწყობით შევუდექი მათემატიკისა და მისი მომიჯნავე მეცნიერებების შესწავლას, რომლებიც უფრო მყარ ფუნდამენტს ეფუძნებოდა და ამიტომაც დაიმსახურა ჩემი ყურადღება.

აი, როგორ უცნაურად არის აგებული ადამიანი და როგორი ვიწრო საზღვრები გვყოფს კეთილდღეობისა თუ დაღუპვისგან. უკან მოხედვისას ვხვდები, რომ ეს თითქმის სასწაულებრივი მიდრეკილებების ცვლილება ჩემი მფარველი ანგელოზის მიერ იყო ნაკარნახევი. ეს იყო უკანასკნელი მცდელობა კეთილი ძალებისა, გაეფანტათ ის მეხი, რომელიც ჩემს თავზე ეკიდა და ჩემს შთანთქმას ცდილობდა. კეთილი საწყისის გამარჯვება იმ საოცარ სიმშვიდეში აისახა, რომელიც მოვიპოვე მას მერე, რაც უწინდელ საქმიანობაზე ვთქვი უარი, ბოლო დროს ჩემთვის მეცნიერებად რომ იქცა. მაშინვე უნდა მეგრძნო, რომ ეს მეცნიერებები ჩემთვის დამღუპველი იქნებოდა და რომ ჩემი ხსნა მათზე უარის თქმაში იყო.

კეთილმა სულმა ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ამაოდ. ბედისწერა მეტისმეტად ძლევამოსილია და მისი გარდაუვალი კანონები საზარელი დაღუპვისკენ მიმაქანებდნენ.

III თავი

17 წლისა რომ გავხდი, ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტის უნივერსიტეტში გავემწესებინე. სკოლაში ჟენევაში ვსწავლობდი, მაგრამ ჩემი განათლების სრულყოფისთვის მამამ აუცილებლად მიიჩნია, რომ მშობლიურის გარდა სხვა წეს-ჩვეულებებსაც გავცნობოდი. უკვე დანიშნული იყო ჩემი გამგზავრების დღეც, მაგრამ სანამ ეს დღე დადგებოდა, ჩემს ცხოვრებაში პირველი უბედურება მოხდა, თითქოსდა ყოველივე შემდეგის მაუწყებელი.

ელიზაბეტს მწვავე ინფექციური დაავადება შეეყარა, საშინლად ახველებდა და მისი ცხოვრება საფრთხეში იყო. ყველა ცდილობდა დედაჩემის დარწმუნებას, რომ მორიდებოდა გადადებას, რადგან შეიძლებოდა ახალგაზრდობაში, სიღატაკეში ცხოვრებისას გადატანილ მძიმე სნეულებებს შეეხსენებინა თავი. თავდაპირველად ჩვენს რჩევას უსმენდა, მაგრამ როცა მიხვდა. რა საფრთხე ელოდა მის ნებიერას, თავი ველარ შეიკავა და ავადმყოფს გვერდიდან არ მოსცილებია. მისმა ზრუნვამ სნეულება დაამარცხა – ელიზაბეტი გადარჩა, მაგრამ მისმა მხსნელმა ზღო გაუფრთხილებლობისთვის. მესამე დღეს დედამ თავი ცუდად იგრძნო, ყველაზე სახიფათო სიმპტომები გაუჩნდა და ექიმების სახეების მიხედვით ადვილად მივხვდებოდი, რომ საბედისწერო აღსასრული სულ ახლოს იყო. თუმცა სასიკვდილო სარეცელზე მყოფისთვისაც კი არ უღალატია ამ საოცარი ქალისთვის შეუპოვრობასა და სათნოებას. ელიზაბეტის ხელი ხელისგულში ჩამიდო. „ბავშვებო, – ამოიჩურჩულა, – ყოველთვის ვოცნებობდი თქვენს კავშირზე. ახლა ეს მამათქვენის ნუგეშად იქცევა. ელიზაბეტ, ჩემო სიყვარულო, შენ მოგიწევს ჩემი უმცროსი შვილებისთვის ჩემი მაგივრობის გაწევა. ო, როგორ მიძნელდება თქვენთან განშორება. ბედნიერი და საყვარელი ვიყავი – რა ძნელია თქვენი მიტოვება... მაგრამ ეს უღირსი ფიქრებია, ვეცდები სიკვდილს შევეგუო და იმ იმედით ვინუგეშო თავი, რომ სხვა სამყაროში შევხვდებით ერთმანეთს“.

მშვიდად გარდაიცვალა და სახეზე მკვდარსაც კი სათნოება აღბეჭდოდა. ვერ აღვწერ იმ ადამიანთა განცდებს, ვისაც დაუნდობელი სიკვდილი საყვარელ არსებას ხელიდან გლეჯს, სიცარიელეს, რომელიც სულში რჩება და სახეზე აღბეჭდილ სასოწარკვეთას. მცირე დრო როდია საჭირო, სანამ გონება დაგვარწმუნებს, რომ ის, ვისაც ყოველდღე ვხედავდით და ვისი ცხოვრებაც ჩვენი საკუთარის ნაწილად გვესახებოდა, შეიძლებოდა სამუდამოდ წასულიყო, – რომ შეიძლებოდა სამარადისოდ ჩამქრალიყო საყვარელი თვალების ნათება, დადუმებულიყო ნაცნობი, სათუთი ხმა. ასეთი იყო პირველი დღეების ფიქრები. როცა დროის დინება ჩვენს დანაკარგს ადასტურებს, მაშინ იწყება სწორედ ჭეშმარიტი მწუხარება. მაგრამ რომელი ჩვენგანისთვის არ წაურთმევია მსახვრალ ხელს ახლობელი ადამიანი? ამაოა იმ მწუხარების აღწერა, რომელიც ყველასთვის ნაცნობი და გარდაუვალია. ბოლოს და ბოლოს დგება დრო, როცა დარდი აღარ გეჩვენება გადაულახავი, უკვე შესაძლებელია მისი მოთოკვა, და მართალია, ღიმილი მკრეხელობა გვგონია, მაინც აღარ ვაძევებთ ტუჩებიდან. დედა

გარდაიცვალა, მაგრამ დაგვიტოვა მოვალეობები, რომლებიც უნდა შეგვესრულებინა. უნდა გვეცხოვრა და ბედნიერებად მიგვეჩნია თავი, სანამ ერთი ადამიანი მაინც რჩებოდა, სიკვდილის მსხვერპლად რომ არ ქცეულა.

კვლავ დღის წესრიგში დადგა ინგოლშტადტში ჩემი გამგზავრება, რომელიც ზემოაღნიშნული მოვლენების გამო გადაიდო. მაგრამ მამას რამდენიმე კვირა გამოვთხოვე, მკრეხელობად მეჩვენებოდა, რომ ასე მალე დამეტოვებინა გლოვის სახლი, სადაც ლამის სამარისებური სიჩუმე სუფევდა, და ცხოვრებისეულ ფუსფუსს მივცემოდი. ცხოვრებაში პირველად განვიცდიდი ასეთ მწუხარებას, მაგრამ მას არ შევუშინებივარ. მათი მიტოვება არ მინდოდა, ვინც დამრჩენოდა და, უპირველეს ყოვლისა, მსურდა ოდნავ მაინც მენუგეშებინა ჩემი ძვირფასი ელიზაბეტი.

თუმცაღა ის თავის დარდს მალავდა და აქეთ ცდილობდა ჩვენს დაწყნარებას. თამამად შეეგება ცხოვრებას და მამაცურად შეუდგა თავისი მოვალეობების შესრულებას. თავი მათ მიუძღვნა, რომელთაც დიდი ხანია ბიძიასა და ძმებს უწოდებდა. არასდროს ყოფილა ასეთი მშვენიერი, როგორც მაშინ, როცა ხელახლა ისწავლა გაღიმება, რათა ჩვენ გავეხარებინეთ. ჩვენი დარდის გაქარვების მცდელობისას დანარჩენი ყველაფერი ავიწყდებოდა ამქვეყნად.

ბოლოს და ბოლოს დადგა ჩემი გამგზავრების დღეც. კლერვალმა ჩვენთან ერთად გაატარა უკანასკნელი საღამო. ცდილობდა მამისგან მიეღო ნებართვა, ჩემთან ერთად წამოსულიყო და და იმავე უნივერსიტეტში ჩაებარებინა, მაგრამ ამაოდ. მამამისი ჩვეულებრივი ვაჭრუკანა იყო და შვილის მისწრაფებებში მხოლოდ გამაკოტრებელ ახირებას ხედავდა. ანრი ძალიან განიცდიდა, რომ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას არ აძლევდნენ. კუშტად დუმდა, ხოლო როცა ლაპარაკს იწყებდა, მის ანთებულ თვალებში შეკავებულ, თუმცაღა მტკიცე გადაწყვეტილებას ვხედავდი, რომ აუცილებლად მალე გაითავისუფლებდა თავს კომერციის ტყვეობისგან.

გვიანობამდე ვისხედით. გვემძიმებოდა განშორება და ერთმანეთთან დამშვიდობება. ბოლოს სიტყვა „მშვიდობითაც“ ითქვა და დავიშალეთ, თითქოსდა უშფოთველად. თითოეული მათგანი ირწმუნებდა თავს, რომ მოახერხა მეორის მოტყუება. როცა დილაადრიან ეტლთან გავედი, რომლითაც უნდა დამეტოვებინა მშობლიური კერა, ისევ ყველანი შევიკრიბეთ. მამა – კიდევ ერთხელ რომ დაველოცე, კლერვალი – კიდევ ერთხელ რომ ჩამოერთმია ხელი, ჩემი ელიზაბეტი – თავისი თხოვნა რომ გაემეორებინა, ხშირად მომწერეო და კიდევ ერთხელ რომ შეევლო თავისი მეგობრისთვის მზრუნველი ქალური თვალი.

ეკიპაჟში ჩავჯექი, რომელიც მათგან შორს მიმაქანებდა და საშინელ ფიქრებს მივეცი თავი. ერთიმეორისადმი მუდამ ყურადღებიანი, გულისმიერი და საყვარელი ადამიანების საზოგადოებას მოცილებული, თავს მარტო ვგრძნობდი. უნივერსიტეტში, საითკენაც მივეშურებოდი, თავად მომიწევდა მეგობრების პოვნაც და თავის დაცვაც. მანამდე ჩემი ცხოვრება მთლიანად ოჯახურ წრეში მიედინებოდა,

მშვიდ გარემოში. ამან კიდევ უფრო აუტანელი გახადა ჩემთვის ახალი სახეების ხილვის მოლოდინი. ჩემი ძმები მიყვარდა, ელიზაბეტი და კლერვალი, ისინი „საყვარელი, ნაცნობი სახეები“ იყვნენ და მეჩვენებოდა, რომ არ შემეძლო უცხოებს შორის ყოფნა. ასეთი იყო ჩემი ფიქრები გზის დასაწყისში, მაგრამ მალე გავმხნევდი. მწყუროდა ახალი ცოდნის მიღება. შინ ხშირად მეჩვენებოდა, რომ ადამიანისთვის სასჯელი იყო ახალგაზრდობის გატარება ოთხ კედელს შორის. მინდოდა სამყაროს ნახვა და ადამიანებს შორის საკუთარი ადგილის დაკავება. ახლა ჩემი სურვილები ახდებოდა და უაზრობა იყო სინანული.

ინგოლშტადტისკენ მიმავალი გზა ხანგრძლივი და დამღლელი იყო, ამიტომ საკმაო დრო აღმომაჩნდა ამ და სხვა ფიქრებისთვის. ბოლოს და ბოლოს ჩემ თვალწინ ქალაქის თეთრი სახლებიც წამოიმართა. ეკიპაჟიდან გადმოვედი და განმარტოებული ბინისკენ გამიძღვნენ, რათა დარჩენილი საღამო ჩემს ნებაზე გამეტარებინა.

დილისკენ ჩემი სარეკომენდაციო წერილებით რამდენიმე მთავარ პროფესორს ვეახლე, შემთხვევამ – უფრო სწორად კი მუხთალმა ბედმა, დამღუპველმა სულმა, რომელსაც ჩემზე ძალაუფლება აეღო, როგორც კი მშობლიური ბინა დავტოვე – თავდაპირველად ბატონ კრემპესთან მიმიყვანა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორთან. ცოტა ტლანქი კაცი იყო, მაგრამ თავისი საქმის დიდი მცოდნე. რამდენიმე შეკითხვა დამისვა, იმ მიზნით, რომ ბუნებისმეტყველების სხვადასხვა სფეროში ჩემი განსწავლულობა შეემოწმებინა. ზერელედ ვპასუხობდი და გამომწვევი ტონით დავუსახელე ჩემი ალქიმიკოსები, იმ მთავარი ავტორების სახით, რომლებსაც შევისწავლიდი.

პროფესორს თვალები გაუფართოვდა: „ნუთუ მართლა დაკარგეთ ამდენი დრო მაგ სისულელეებზე?“

დამაკმაყოფილებელი პასუხი გავეცი.

„თითოეული წუთი, – მგზნებარედ თქვა ბატონმა კრემპემ, – თითოეული წუთი, ამ წიგნებზე დახარჯული, თქვენ სრულად და დაუნდობლად დაგიკარგავთ, გონება დაგიმძიმებიათ უარყოფილი თეორიებითა და უსარგებლო სახელებით. ღმერთო! მაინც რა უდაბნოში გიცხოვრიათ, თუ არავინ გამცნოთ, რომ მაგ არაკებს, რომელთაც ასე ხარბად ეწაფებოდით, ათასი წელი შეუსრულდა და მათ უკვე დიდი ხანია ობი მოეკიდა? ნამდვილად არ ველოდი ჩვენს განათლებულ საუკუნეში ალბერტ დიდისა და პარაცელსიუსის მოწაფის ხილვას. მოგიწევთ, ბატონო ჩემო, თავიდან დაიწყოთ მთელი თქვენი მეცადინეობები“.

მერე იმ საბუნებისმეტყველო წიგნების სია შეადგინა, რომლების შოვნაც მირჩია და გამომიშვა, თან მამცნო, რომ შემდეგი კვირიდან იწყებდა ზოგად ბუნებისმეტყველებაში ლექციების კურსის წაკითხვას, მისი კოლეგა ვალდმანი კი კვირის სხვა დღეებში ქიმიის ლექციებს წაიკითხავდა.

ჩემს სამყოფელში დავბრუნდი, თუმცაღა არა იმედგაცრუებული. როგორც უკვე ვთქვი, მეც დიდი ხანია უსარგებლოდ მიმაჩნდა პროფესორის მიერ გაკიცხული წიგნები, მაგრამ საერთოდ აღარ მსურდა ამ საგნებში ჩაღრმავება არც ერთი კუთხით. ბატონი კრემპე ტანდაბალი კაცუნა იყო, წრიპინა ხმით და საკმაოდ მახინჯი გარეგნობით. ამრიგად, პროფესორის პიროვნებამაც ვერ განმაწყო მისი მეცნიერებისკენ. ერთი სიტყვით, ფილოსოფიური გაგებით უკვე ვთქვი, რა დასკვნებამდე მივედი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ამ მეცნიერებასთან მიმართებით. ჩემი ბავშვური ცნობისმოყვარეობა არ იყო დაკმაყოფილებული შედეგებით, რასაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება მთავაზობდა. თავში სრული ქაოსი მიტრიალებდა, რომელიც მხოლოდ ჩემი ახალგაზრდობითა და ხელმძღვანელის არარსებობით აიხსნებოდა. მეცნიერების გზაზე უკუსვლით წავედი და ჩემს თანამედროვეთა აღმოჩენებს დიდი ხნის წინ მივიწყებული ალქიმიკოსების ოცნებები ვამჯობინე. თანაც გარკვეულ ზიზღსაც ვგრძნობდი თანამედროვე მეცნიერების უტილიტარულობისადმი. სხვა საქმეა, როცა მეცნიერები უკვდავებისა და ძალაუფლების საიდუმლოს ეძებდნენ, ეს შედარებით შთამბეჭდავი, თუმცაღა ამაო მცდელობები გახლდათ. ახლა კი სულ სხვა ვითარება იყო. როგორც ჩანდა, ახლანდელი მეცნიერი იმ ამოცანით შემოიფარგლებოდა, რომ სწორედ ის ხილვები უარეყო, რომლებიც ასე მიზიდავდა მეცნიერებაში. ჩემგან მოითხოვდნენ, დიდებული ქიმერები საკმაოდ მიზერული რეალობით ჩამენაცვლებინა.

ასე ვფიქრობდი ინგოლშტადტში ჩასვლიდან პირველი ორი-სამი დღე, რომლებიც უმთავრესად ქალაქისა და ახალი მეზობლების გაცნობას მოვანდომე. მაგრამ შემდეგ კვირას ბატონი კრემპეს მიერ ხსენებული ლექციებიც გამახსენდა. მართალია, არ მსურდა იმის მოსასმენად წასვლა, თუ როგორ ისაუბრებდა კათედრიდან ეს თავდაჯერებული კაცი, მაგრამ გამახსენდა, რომ ბატონი ვალდმანი ახსენა, რომელიც ჯერ არ მენახა, რადგან მაშინ ქალაქში არ იმყოფებოდა.

ნაწილობრივ ცნობისმოყვარეობისა და ნაწილობრივ უსაქმურობის გამო აუდიტორიაში მივედი, რომელშიც სულ მალე გამოჩნდა ბატონი ვალდმანი. ეს პროფესორი სრულიად არ ჰგავდა თავის კოლეგას. ერთი შეხედვით დაახლოებით ორმოცდაათი წლის იქნებოდა, სახეზე კი საოცარი სიკეთე აღბეჭდვოდა. საფეთქლებთან თმა გასჭაღარავებოდა, კეფაზე კი მთლად შავი თმა ეფინა. არც ისე მაღალი იყო, თუმცა არაჩვეულებრივად გამართული დადიოდა, ხოლო ასეთი საამურად მჟღერი ხმა ჯერ არასდროს მომესმინა.

ლექცია ქიმიის ისტორიის მიმოხილვითა და მასში გაკეთებული აღმოჩენებით დაიწყო, მოწიწებით დაასახელა ყველაზე გამოჩენილი მეცნიერის სახელები. მერე მოკლედ გააშუქა თავის სფეროში მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა და მისი ძირითადი ტერმინები ახსნა. რამდენიმე საწყისი ცდის ჩვენების შემდეგ, დასკვნით ნაწილში თანამედროვე ქიმიას შეასხა ხოტბა ისეთი გამოთქმებით, რომლებსაც ვერასდროს დავივიწყებ.

– ამ მეცნიერების უწინდელი მასწავლებლები, – თქვა მან, – შეუძლებელს გვპირდებოდნენ, მაგრამ ვერაფერი შეასრულეს. ახლანდელები ძალიან ცოტას გვპირდებიან. მათ იციან, რომ მეტალების გარდაქმნა გაუგონარია, სიცოცხლის ელექსირი კი – აუხდენელი ოცნება. მაგრამ სწორედ ამ მეცნიერებმა, რომლებიც ერთი შეხედვით ჭუჭყში იქექებიან და მიკროსკოპებსა და კოლბებს ჩასჩერებიან, სწორედ მათ მოახდინეს ჭეშმარიტი სასწაულები. ისინი ბუნებას იკვლევენ, მისი სანუკვარი საიდუმლოებებით. ისინი ზეცაში ადიან, მათ გაიგეს, როგორ ჩქეფს ჩვენს სხეულში სისხლი და რისგან შედგება ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ. მათ ახალი და თითქმის უსაზღვრო ძალაუფლება შეიძინეს, ისინი ციურ ქუხილზე ბატონობენ, შეუძლიათ მიწისძვრის წარმოქმნა და უხილავ სამყაროსაც კი ესვრიან გამოწვევას.

ასეთი იყო პროფესორის სიტყვები, უფრო სწორად, ბედისწერის სიტყვები, ჩემს დასაღუპად წარმოთქმული. მის საუბარს აყოლილი ვგრძნობდი, რომ ბოლოს და ბოლოს ღირსეულ მეტოქეს შევები. ერთმანეთის მიყოლებით ძრავდა ჩემი სულის კუნჭულებს, არხევდა სიმებს და მალე მთლიანად სავსე ვიყავი ერთადერთი ფიქრით, ერთადერთი მიზნით. თუ უკვე ამდენი რამ არის გაკეთებული – აღტაცებით გაჰყვიროდა ვიქტორ ფრანკენშტაინის სული – მე მეტს გავაკეთებ, გაცილებით მეტს, გაკვალულ გზაზე გავივლი და მერე ახალ გზაზე გადავაბიჯებ, ჯერ კიდევ ამოუცნობ ძალებს აღმოვაჩენ და კაცობრიობას ბუნების ყველაზე ღრმა საიდუმლოებებს ვაზიარებ.

იმ ღამით თვალი ვერ მოვხუჭე. ჩემს სულში ყველაფერი დუღდა, ვგრძნობდი, აქედან ახალი წესრიგი წარმოიქმნებოდა, მაგრამ მისი დამყარების ძალა არ შემწევდა. მხოლოდ გამთენიისას ჩავთვლიმე. როცა გამეღვიძა, ღამეული ფიქრები სიზმრისეულად წარმომიდგა. მხოლოდ გადაწყვეტილება შემომრჩა, უწინდელ მეცადინეობებს დავბრუნებოდი და იმ მეცნიერებისთვის მიმეძღვნა თავი, რომლის თანდაყოლილი ნიჭიც მქონდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მიმაჩნდა. იმავე დღეს ვეწვიე ბატონ ვალდმანს. კერძო საუბარში კიდევ უფრო მომხიბვლელი აღმოჩნდა, ვიდრე კათედრაზე. ერთგვარი მედიდურობა, რომელიც ლექციის დროს ემჩნეოდა, შინაურ გარემოში ძალდაუტანებელი თავაზიანობითა და სიკეთით შეიცვალა.

ჩემი ადრინდელი საქმიანობის შესახებ თითქმის იგივე ვუამბე, რაც მანამდე მის კოლეგას. ყურადღებით მოისმინა ჩემი მოკლე მონათხრობი და კორნელიუს აგრიპასა და პარაცელსიუსის ხსენებაზე ოდნავ ჩაეღიმა, თუმცა არა დაცინვით ან ამრეზით, როგორც ეს ბატონ კრემპეს შევამჩნიე. მითხრა, რომ „ამ ადამიანების დაუცხრომელ ძალისხმევას უნდა უმადლოდნენ თანამედროვე მეცნიერები თავიანთი ცოდნის საფუძვლებს. მათ შედარებით იოლი ამოცანა დაგვიტოვეს: მათი მეშვეობით აღმოჩენილი ფაქტებისთვის ახალი სახელწოდებების მინიჭება და მათი მკაცრი თანმიმდევრულობით დალაგება. გენიოსების შრომა, მცდარი მიმართულებაც კი, თითქმის ყოველთვის საბოლოო ჯამში კაცობრიობის სასიკეთოდ მიემართება“.

მოვისმინე ეს შენიშვნები, უმცირესი აფექტაციის თუ თვითკმაყოფილების გარეშე თქმული და აღვნიშნე, რომ მისმა ლექციამ გაანადგურა ჩემი მცდარი მოსაზრება თანამედროვე ქიმიკოსების საწინააღმდეგოდ. თავშეკავებული ვსაუბრობდი, მოკრძალებითა და მოწიწებით, მოძღვრის წინაშე ჭაბუკი შეგირდის საუბრის შესაფერისად, და არაფრით გამიცია თავი, – რადგან მრცხვენოდა საკუთარი გამოუცდელობის გამომჟღავნების, – თუ რა ენთუზიაზმით ვიყავი ავსებული და როგორ ვაპირებდი საქმეს შევდგომოდი. რჩევა ვკითხე საჭირო წიგნებთან დაკავშირებით.

– ბედნიერი ვარ, – მომიგო ბატონმა ვალდმანმა, – რომ შევიძინე მოწაფე, და თუ თქვენი მონდომება თქვენი შესაძლებლობის თანაფარდია, თქვენს წარმატებაში ეჭვი აღარ მეპარება. ქიმიაში, ისე როგორც არც ერთ სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, გაკეთებულა და კიდევ გაკეთდება უდიდესი აღმოჩენები. აი, რატომ ავირჩიე ის, თუმცა არც სხვა მეცნიერებები უარმიყვია. არ ვარგა ის ქიმიკოსი, რომელიც არაფრით ინტერესდება, თავისი საგნის გარდა. თუ გსურთ ნამდვილი მეცნიერი გახდეთ და არა რიგითი ექსპერიმენტატორი, გირჩევთ ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ჩაუჯდეთ და მათემატიკაც არ მიივიწყოთ.

მერე თავის ლაბორატორიაში შემიძღვა და სხვადასხვა ხელსაწყოს დანიშნულება ამიხსნა. მითხრა, რომელი მათგანის შოვნა მჭირდებოდა და დამპირდა თავისი საკუთარიც ეთხოვებინა, როცა იმდენად წინ წავიწევდი მეცნიერებაში, რომ ისინი არ გამეფუჭებინა. ასევე გადმომცა სია, რომელიც ვთხოვე და დავემშვიდობე.

ასე დასრულდა ჩემთვის სახსოვარი ეს დღე, რომელმაც ჩემი ბედი გადაწყვიტა.

IV თავი

იმ დღიდან ბუნებისმეტყველება და განსაკუთრებით ქიმია, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ჩემს თითქმის ერთადერთ საქმიანობად იქცა. გულმოდგინედ ვკითხულობდი თანამედროვე მეცნიერების ნიჭიერ და დაწვრილებით თხზულებებს. ვუსმენდი ლექციებს და უნივერსიტეტის პროფესორებს ვეცნობოდი, ბატონ კრემპეშიც კი არც ისე ცოტა აზრი და ცოდნა აღმოვაჩინე, რომელიც, მართალია, უშნო ფიზიონომიასა და მანერებს უთავსდებოდა, თუმცა ამის გამო არანაკლებ ფასეული იყო. ბატონი ვალდმანის სახით კი ჭეშმარიტი მეგობარი შევიძინე. მისი მზრუნველობა არასდროს ნიშნავდა ჭკუის სწავლებას, თავის დარიგებებს გულწრფელი გულკეთილობით წარმოთქვამდა, რომლისთვისაც უცხო იყო ნებისმიერი პედანტიზმი. ურიცხვი საშუალებით მიიოლებდა გზას შემეცნებისკენ და ყველაზე რთული ცნებები შეეძლო სავსებით იოლი და მისაწვდომი გაეხადა ჩემთვის.

ჩემი სიბეჯითე, თავდაპირველად საკმაოდ არამყარი, თანდათანობით განმტკიცდა და მალე ისეთი თავგამოდებით დავიწყე მუშაობა, რომ ალიონი, ვარსკვლავების ჩამაქრობელი, ხშირად მომისწრებდა ხოლმე ლაბორატორიაში.

ასეთი შეუპოვრობით, რასაკვირველია, დიდ წარმატებებს ვაღწევდი. სტუდენტებს ვაოცებდი ჩემი სიბეჯითით, მასწავლებლებს კი – ცოდნით. პროფესორ კრემპეს არაერთხელ უკითხავს ალმაცერი ღიმილით, როგორ ცხოვრობს კორნელიუს აგრიპა, ბატონი ვალდმანი კი ჩემი წარმატებებით გულწრფელად ხარობდა.

ასე გავიდა ორი წელი. ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ ვყოფილვარ ჟენევაში, მთლიანად ჩავეფალი მეცადინეობებში, რომლებიც, ვიმედოვნებდი, რომ სამეცნიერო აღმოჩენებამდე მიმიყვანდა. მხოლოდ მათ, ვისაც ეს გამოუცდია, იციან სამეცნიერო კვლევის გადაულახავი მიზიდულობის შესახებ. ყველა სხვა საქმიანობაში მხოლოდ იმ გზით მიდიხართ, რომელიც თქვენამდე სხვებმა გაიარეს და აღარაფერი დაგიტოვეს გასაკვალი, აქ კი უწყვეტად აღმოაჩენთ რაღაც ახალს და განცვიფრდებით. საშუალო შესაძლებლობების ადამიანიც კი, რომელიც ერთ საგანს გულმოდგინედ ჩასჩერებია, აუცილებლად მიაღწევს მასში ღრმა ცოდნას. დავისახე რა ერთადერთი მიზანი და მთლიანად მივენდე მას, ისეთ წარმატებებს მივაღწიე, რომ მეორე წლის ბოლოს ქიმიურ აპარატურაში საკმაოდ სრულყოფილი ცოდნა მივიღე, რამაც უნივერსიტეტში აღიარება და პატივისცემა მომიტანა. სწორედ მაშინ, მას მერე, რაც ბუნებისმეტყველების თეორიიდან და პრაქტიკიდან ყველაფერი ავითვისე, რაც შეეძლოთ მოეცათ ჩემთვის ინგოლშტადტელ პროფესორებს, გადავწყვიტე, მშობლიურ ადგილებს დავბრუნებოდი, მაგრამ მოხდა მოვლენა, რომელმაც ინგოლშტადტში ჩემი ყოფნა გაახანგრძლივა.

ერთ-ერთი საგანი, რომელმაც განსაკუთრებით გამიტაცა, იყო ადამიანის და საერთოდ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის აგებულება. ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის, სად იმალება ცხოვრებისეული საწყისი? თამამი და მარადიულ გამოცანად მიჩნეული შეკითხვა. მაგრამ ჩვენ უამრავი აღმოჩენის ზღურბლზე ვდგავართ და ერთადერთი დაბრკოლება ჩვენი გაუბედაობა და სიზარმაცეა. ამაზე ჩაფიქრებულმა გადავწყვიტე, განსაკუთრებით საგულდაგულოდ შემესწავლა ფიზიოლოგია. რომ არა ჩემი შეპყრობილობა, ეს მეცადინეობები ალბათ დამღლელი და თითქმის აუტანელი გახდებოდა. სიცოცხლის მიზეზის შესასწავლად ხომ იძულებულნი ვართ უპირველესად სიკვდილს მივმართოთ. შევისწავლე ანატომია, მაგრამ ესეც არ კმაროდა, აუცილებელი იყო ბუნებრივი ხრწნის, სხეულის ლპობის პროცესისთვის თვალის დევნება.

ჩემი აღზრდის დროს მამამ ყველა ზომა მიიღო, რომ ჩემს სულში ზებუნებრივის წინაშე შიში არ შემოპარულიყო. არ მახსოვს, რომ ოდესმე ავცახცახებულიყავი, როცა ცრურწმენით სავსე მონათხრობებს ვისმენდი, ან მოჩვენებების შემშინებოდა. სიბნელის შიში არ ვიცოდი რა იყო, სასაფლაო კი მიცვალებულთა სხეულების საუკეთესო სამყოფლად მიმაჩნდა, რომელნიც სილამაზისა და ძალის საუფლოდან

მატლების ნადავლად იქცნენ. ახლა მელოდა ამ გახრწნის მიზეზებისა და მსვლელობის შესწავლა და დღეებისა და ღამეების სამარხებში გატარება. ყურადღება მივმართე იმ მოვლენებისკენ, რომლებიც ყველაზე მეტად შეურაცხმყოფელია ჩვენი გრძნობებისთვის. მე ვნახე, რად იქცევა მშვენიერი ადამიანური სხეული, ვაკვირდებოდი, როგორ გარდაიქმნება გვამად მისი გაფურჩქნილი სილამაზე. დავინახე, თუ როგორ იქცა ყველაფერი, რაც გულსა და თვალს ახარებდა, ჭიაღუების საკვებად. სიცოცხლიდან სიკვდილისკენ და სიკვდილიდან სიცოცხლისკენ გადასვლის მიზეზობრივ კავშირებს გულმოდგინედ ჩავკირკიტებდი, როცა მოულოდნელად სრულ წყვდიადში უცაბედი შუქი გამოკრთა – ისეთი დამაბრმავებელი და იმავდროულად კაშკაშა, რომ ჩემ წინაშე გადაშლილი შესაძლებლობებით დაზაფრულს გაოცებაღა შემეძლო, ამ საგნის შემსწავლელი ამდენი გენიალური ადამიანის შემდეგ რატომ მაინცდამაინც მე მხვდა წილად უდიდესი საიდუმლოს აღმოჩენა?!

შეგახსენებთ, რომ ეს მონათხრობი შეშლილის ნაბოდვარი არ არის. ყველაფერი, რასაც ვყვები, ისევე ჭეშმარიტია, როგორც მზე ცის კაბადონზე. შესაძლოა, მართლაც სასწაული მოხდა, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა სრულიად ჩვეულებრივი იყო. არაადამიანური შრომისა და ძალისხმევის მრავალი დღისა და ღამის ფასად სიცოცხლის დაბადების საიდუმლოში ჩაწვდომა მოვახერხე. უფრო მეტიც, გავიგე, თვითონ როგორ გამეცოცხლებინა უსიცოცხლო მატერია.

განცვიფრება, რომელიც პირველ წუთებში დამეუფლა, მალე გიჟური აღტაცებით შეიცვალა. ამდენი შრომის შემდეგ საკუთარი სურვილების ზღვრის მიღწევა – სწორედ ეს გახლდათ ჩემთვის უდიდესი ჯილდო. ჩემი აღმოჩენა იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ იმ ფიქრების მსვლელობა, რომლებმაც თანდათანობით მიმიყვანეს მიზანთან, ჩემს მეხსიერებაში წაიშალა კიდეც და მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო შედეგს ვხედავდი. ხელთ მქონდა ის, რისკენაც მიისწრაფოდნენ ყველა დროის დიდებული ბრძენკაცები. ძნელი სათქმელია, რომ ჩემ წინაშე ყველაფერს მაშინვე აეხადა ფარდა, როგორც ჯადოსნურ ზღაპარში. რაც მე შევიტყვე, შეიძლებოდა სახელმძღვანელოდ ქცეულიყო სანუკვარი მიზნისკენ სავალ გზაზე, თუმცა თვით მიზანი ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული. იმ არაბ კაცად მივიჩნევდი თავს, რომელიც მიცვალებულებთან ერთად დამარხეს და სამარხიდან გამოსასვლელი ერთადერთი, სუსტად მოციალე სანთლის შუქი დაინახა.

თქვენს თვალებში, რომლებიც გაოცებითა და იმედით არის ანთებული, ვხედავ, რომ თქვენ, ჩემო მეგობარო, გწყურიათ ჩემ მიერ გამხელილი საიდუმლოს მოსმენა, ეს არ მოხდება – მოთმინებით მომისმინეთ ბოლომდე და მიხვდებით, ამ საკითხზე რატომ ვამჯობინებ დუმილს. არ მსურს, რომ თქვენ, ასეთი ფიცხი და მგზნებარე, როგორიც მე ვიყავი მაშინ, ტანჯვისა და გარდაუვალი სიკვდილის გზაზე წახვიდეთ. დაე დარიგებებმა კი არა, ჩემმა საკუთარმა მაგალითმა გიჩვენოთ, რა ხიფათს შეიცავს საკუთარ თავში ყოვლის შეცნობა და რამდენად ბედნიერია ის ადამიანი,

რომლისთვისაც სამყარო ერთადერთი, მშობლიური ქალაქით არის შემოფარგლული, ვიდრე ის, ვისაც სურს ბუნების მიერ დადგენილ საზღვრებზე მაღლა აღიმართოს.

რაკი უზომო ძალაუფლება ვიგდე ხელთ, დიდხანს ვფიქრობდი, როგორ გამომეყენებინა იგი საუკეთესო საშუალებით. ვიცოდი, როგორ გამეცოცხლებინა უსიცოცხლო სხეული, მაგრამ ასეთი სხეულის შედგენა ნერვების, კუნთებისა და სისხლძარღვების მთელი სირთულით, ჯერ კიდევ ამოსახსნელ ამოცანად რჩებოდა. ვმერყეობდი, შემექმნა საკუთარი თავის მსგავსი, თუ უფრო მარტივი ორგანიზმი, მაგრამ წარმატებამ თავბრუ დამახვია და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ შევძლებდი სულის შთაბერვას ისეთ საოცარ და რთულ ქმნილებაშიც კი, როგორიც ადამიანია. მასალები, რომლებიც ჩემს განკარგულებაში იყო, არასაკმარისი მეჩვენებოდა ასეთი რთული ამოცანისთვის, მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ საბოლოოდ წარმატებას მივაღწევდი. წინასწარ შევემზადე მრავალი სირთულისთვის, იმისთვის, რომ დაბრკოლებები განუწყვეტლივ შემხვდებოდა, შედეგი კი არასრულყოფილი იქნებოდა. მაგრამ ტექნიკისა და მეცნიერების ყოველდღიური მიღწევების კვალდაკვალ იმედი მქონდა, რომ ჩემი მცდელობები საფუძვლად მაინც იქცეოდა მომავალი წარმატებებისთვის.

ჩემი ჩანაფიქრის სირთულე და მკრეხელურობაც კი არ იქცა ჩემთვის მის საწინააღმდეგო არგუმენტად.

ამ ფიქრებით დახუნძლული შევუდექი ადამიანური არსების შექმნას. რაკი უმცირესი ნაწილაკების შეკრება მეტისმეტად შეანელებდა ჩემს სამუშაოს, თავდაპირველ ჩანაფიქრზე უარი ვთქვი და გადავწყვიტე, გიგანტი შემექმნა – დაახლოებით რვა ფუტის სიმაღლის და შესაბამისად მძლავრი აღნაგობის. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რამდენიმე თვე დავკარგე საჭირო მასალების შეგროვებაზე და საქმეს შევუდექი.

ვერავინ გაიგებს იმ რთულ განცდებს, რომლებიც გრიგალივით მიტევდა წარმატებით დამთრობელ ამ გიჟურ დღეებში. მე პირველს მიწევდა სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნის გადალახვა და ჩვენი ბნელი სამყაროს გაცისკროვნება დამაბრმავებელი შუქით. ადამიანთა ახალი ჯიში დამლოცავს, როგორც თავის შემქმნელს. უამრავი ბედნიერი და სრულყოფილი არსება ჩემი მადლიერი იქნება თავისი დაბადების გამო. არც ერთ მამას არ აქვს იმდენი უფლება, შვილის მადლიერების იმედი იქონიოს, როგორც მე მექნება. რაკი ვისწავლე მკვდარი მატერიის გაცოცხლება, ვმსჯელობდი ჩემთვის, დროთა განმავლობაში (თუმცა ახლა ეს ჩემთვის შეუძლებელი იყო) ასევე შევძლებ, მეორე სიცოცხლე მივანიჭო სხეულს, რომელიც სიკვდილმა უკვე გაწირა გაქრობისთვის.

ეს ფიქრები კვებავდა ჩემს სულს, სანამ გიჟური ვნებით მივეცემოდი სამუშაოს. ლოყები გამიფითრდა, განმარტოებული ცხოვრებისგან საშინლად გავხდი. ისეც ხდებოდა, რომ ზედ წარმატების ზღურბლთან მარცხს განვიცდიდი, მაგრამ კვლავ

მჯეროდა, რომ ნებისმიერ დღესა და საათს მეწვეოდა გამარჯვება. საიდუმლო, რომელსაც მე ერთადერთი ვფლობდი, ჩემი ცხოვრების აზრად იქცა და მთლიანად მას მივუძღვენი თავი.

ღამღამობით, მთვარის შუქზე დაუღალავად და დაუცხრომლად ვიკვლევდი ბუნებას მის ყველაზე სანუკვარ კუნჭულებში. როგორ მოვყვე იმ ღამეული სიფხიზლის საშინელებებზე, როცა საფლავებში ვიქექებოდი ან ცოცხალ მხეცებს ვფატრავდი მკვდარი მატერიის გასაცოცხლებლად? ახლა ამას რომ ვიხსენებ, მთელი სხეული მიცახცახებს, თვალებზე კი ბინდი მეკვრის, მაგრამ მაშინ რაღაც დაუოკებელი ექსტაზი მხოლოდ წინ მიმაქანებდა. თითქოს ყველა გრძნობა გამომეცალა და მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მიზანს ვხედავდი. ეს დროებითი შეშლილობა იყო – ყველა განცდა ჩემში ახალი ძალით აღდგა, როგორც კი შეშლილობამ გადამიარა და ცხოვრების უწინდელ წესს დავუბრუნდი.

ძვლებს ვაგროვებდი სამარხებში, ბიწიერი ხელებით ვეხებოდი ადამიანის სხეულის იდუმალ ნაწილებს. ჩემი სახელოსნო განმარტოებულ ოთახში მოვაწყვე, უფრო სწორად, სხვენში, რომელიც ყველა სხვა ოთახისგან კიბით იყო განცალკევებული. ამ სამუშაოს სხვა წვრილმანები ისეთ შიშს მინერგავდა, რომ თვალები ლამის ორბიტებიდან გადმომცვენოდა. სასაკლაო და ანატომიური თეატრი მაწვდიდნენ მასალის ძირითად ნაწილს. ხშირად ზიზღისგან მაჟრჟოლებდა, მაგრამ უფრო მეტი მოთმინებით აღვიჭურვებოდი და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიმყავდა საქმე ბოლომდე.

სანამ ამ სამუშაოს ჩავკირკიტებდი, რომელმაც მთლიანად შემიპყრო, მთელმა ზაფხულმა გაიარა. იმ წელს შესანიშნავი ზაფხული იდგა: მინდვრებში არასდროს ყოფილა ასეთი უხვი მოსავალი, ვენახებში კი უკეთესი რთველი, მაგრამ ბუნების სილამაზე არ მაღელვებდა. იმავე შეპყრობილობამ, რომელიც გარე სამყაროსადმი გულგრილს მხდიდა, მაიძულა მეგობრებიც დამევიწყებინა. რომლებიც შორს დარჩნენ და ამდენი ხანი არ მენახა. ვაცნობიერებდი, რომ ჩემი მდუმარება მათ აშფოთებდა და მამის სიტყვებიც მახსოვდა: „ვიცი, რომ სანამ საკუთარი თავით კმაყოფილი იქნები, გაგვიხსენებ სიყვარულით და ხშირად მოგვწერ. მაპატიე, თუ შენს მდუმარებას იმის ნიშნად მივიჩნევ, რომ შენ სხვა ვალდებულებებზეც უარი თქვი“.

ამგვარად, ვიცოდი, რა შეიძლებოდა ეფიქრა ჩემზე მამას და მაინც ვერ ვახერხებდი საქმეებს მოვცილებოდი, რაოდენ ამაზრზენი ხასიათისაც უნდა ყოფილიყო ეს საქმეები, სანამ უდიდეს შრომას არ დავასრულებდი, რომელმაც მთელი ჩემი არსება დაიმორჩილა.

მაშინ მიმაჩნდა, რომ მამა სამართლიანი იყო, როცა ჩემს მდუმარებას აღვირახსნილი ცხოვრებითა და სიზარმაცით ხსნიდა, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მას სრული საფუძველი ჰქონდა, რაღაც უფრო ცუდშიც დაეჭვებულიყო.

სრულყოფილმა ადამიანმა ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს სულის სიმშვიდე და ვნებებს თუ წამიერ სურვილებს არ უნდა დაარღვევინოს იგი. ვფიქრობ, რომ მეცნიერის შრომაც არ არის გამონაკლისი. თუ თქვენი საქმიანობა თქვენს ჩვეულ მისწრაფებებს და მიდრეკილებებს ასუსტებს ან უბრალო და სუფთა სიამეებისგან გაცილებთ, გამოდის, ამ საქმიანობაში უეჭველად არის რაღაც ადამიანისთვის შეუფერებელი. ეს წესი რომ ყოველთვის დაცული ყოფილიყო და ადამიანს არასდროს შეეწირა მსხვერპლად ახლობელი ადამიანების სიყვარული რაიმე სხვისთვის, საბერძნეთი მონობის ქვეშ არ მოექცეოდა. ცეზარი შეიბრალებდა თავის ქვეყანას, ამერიკის ათვისება უფრო თანდათანობით მოხდებოდა, მექსიკისა და პერუს სახელმწიფოები კი არ დაინგრეოდა. თუმცა ფუჭი მსჯელობა რატომღაც ჩემი თხრობის ყველაზე საინტერესო ადგილას დავიწყე და თქვენი მზერა მაფხიზლებს, მაიძულებს მოყოლა განვაგრძო.

მამა თავის წერილებში არ მსაყვედურობდა, თუმცა უფრო დაწვრილებით, ვიდრე მანამდე, მოითხოვდა ჩემი საქმეების შესახებ მომეთხრო. ზამთარი გავიდა, გაზაფხულიც და ზაფხულიც, სანამ ჩემს შრომაში ვიყავი ჩაფლული, მაგრამ არც ყვავილებით და ნორჩი ფოთლებით ვტკბებოდი, რომლებიც ადრე ყოველთვის აღმაფრთოვანებდა – იმდენად ვიყავი აღტკინებული. ფოთლებმა დაჭკნობაც მოასწრეს, სანამ მე დავასრულებდი და ახლა ყოველდღე მეტად და მეტად ვრწმუნდებოდი სრულ წარმატებაში. თუმცაღა აღტაცებას შფოთვაც ერთვოდა თან და უფრო იმ მონას ვგავდი, რომელიც მაღაროში თუ სხვა მიხრწნილ ადგილას ღვრის ოფლს, ვიდრე შემოქმედს, რომელიც საყვარელი საქმით არის დაკავებული. ღამღამობით ციებ-ცხელება მემართებოდა, ნერვები კი საშინლად მქონდა დაჭიმული; დაცემული ფოთლის შრიალი მაკრთობდა და ისე გავურბოდი ადამიანებს, თითქოს რაღაც დანაშაული მიღრღნიდა გულს. ხანდახან საკუთარი თავის დანახვაც მაშინებდა – ჩონჩხს დავემსგავსე, მხოლოდ მიზნისკენ სწრაფვა მაცოცხლებდა. ჩემი შრომა დასასრულისკენ მიემართებოდა და იმედი მქონდა, რომ სეირნობა და გართობა უკვე დაწყებულ სნეულებას ამაცილებდა თავიდან. ამ ყველაფერს შევპირდი საკუთარ თავს, როგორც კი სამუშაოს დავასრულებდი.

V თავი

ერთ ავდრიან ნოემბრის ღამეს ჩემი გარჯა დასასრულს მიუახლოვდა. მტანჯველი მღელვარებით შევკრიბე ყველაფერი აუცილებელი, რათა სიცოცხლე შთამებერა უგრძნობ ქმნილებაში, რომელიც ჩემ ფერხთით იწვა. შუაღამის პირველი საათი იყო, წვიმა უღიმღამოდ აკაკუნებდა ფანჯრის მინაზე. სანთელი თითქმის ჩამწვარიყო. და აი, მის არათანაბარ შუქზე დავინახე, როგორ გაიღო მქრქალი ყვითელი თვალები, არსებამ სუნთქვა დაიწყო და კრუნჩხვით ამოძრავდა.

როგორ შეიძლება აღვწერო ჩემი განცდები ამ საზარელი სანახაობისას, როგორ გამოვხატო ის უბედური, რომელიც ასეთი დაუღალავი შრომით შევქმენი? არადა, მისი ნაკვთები პროპორციული იყო და მისთვის საკმაოდ ლამაზი ნაკვთებიც კი შევარჩიე. ლამაზიო? ღმერთო დიდებულო! ყვითელი კანი მეტისმეტად მჭიდროდ გადაჰკვროდა მის კუნთებსა და ძარღვებს, შავი თმა ჰქონდა, გრძელი და პრიალა, კბილები კი მარგალიტებივით თეთრი, მაგრამ მით უფრო საზარელი იყო მათი კონტრასტი წყლიან თვალებთან შედარებით, რომლებიც ფერით თითქმის განურჩეველი იყო თვალის ბუდეების ფერისგან. მშრალი კანი ჰქონდა და პირის შავი ვიწრო ღრმული.

ცხოვრებაში არაფერია ჩვენს გრძნობებზე უფრო ცვალებადი. თითქმის ორი წელი მივაკალი თავი ერთადერთ მიზანს – რათა სიცოცხლე შთამებერა უსიცოცხლო სხეულისთვის. ამას შევალიე სიმშვიდე და ჯანმრთელობა. ეს მწყუროდა გააფთრებული ვნებით. ახლა კი, როცა ჩემი შრომა დავასრულე, ოცნების მთელი ეშხი დაიკარგა და ჩემი გული ენით აღუწერელმა შიშმა და ზიზღმა მოიცვა. საკუთარი ქმნილების ცქერის ატანა აღარ შემეძლო, ოთახიდან გიჟივით გამოვვარდი და დიდხანს ბოლთას ვცემდი საძინებელში, ისე, რომ ძილი არ მომკარებია. ბოლოს და ბოლოს მღელვარება დაღლილობამ შეცვალა და ისევე, ჩაცმული მივეგდე საწოლზე, იმ იმედით, რომ ყველაფერს დავივიწყებდი. მაგრამ ამაოდ, დაძინებით კი დავიძინე, მაგრამ კოშმარი დამესიზმრა: მშვენიერი და გაფურჩქნილი ელიზაბეტი ინგოლშტადტის ქუჩაზე მონარნარებდა. აღტაცებული მოვეხვიე, მაგრამ ძლივს მოვასწარი მის ტუჩებზე ამბორის აღბეჭდვა, რომ მაშინვე მკვდრისფერი დაედო, ნაკვთები შეეცვალა და აი, მის ნაცვლად უკვე დედის ცხედარი შემრჩა ხელში, სხეული სუდარაში ჰქონდა გახვეული, მის ნაკეცებში კი საფლავის მატლები ფუთფუთებდნენ.

დაზაფრულმა გავიღვიძე, შუბლზე ცივი ოფლი მასხამდა, კბილები მიკაწკაწებდა და მთელი სხეული მიცახცახებდა. უცებ მთვარის მქრქალ ყვითელ შუქში, რომელიც დარაბებში აღწევდა, ჩემ მიერ შექმნილი სიმახინჯე დავინახე. მისი თვალები, თუ შეიძლება მათ თვალები ეწოდოს, მე მომჩერებოდნენ. ყბები უმოძრავებდა და გაუგონარ ხმებს გამოსცემდა, პირი ღიმილის მაგვარად დაეღმიჭა.

ალბათ ლაპარაკობდა, მაგრამ მე არ მესმოდა, ხელი გამოიწოდა, თითქოს მაჩერებდა, მაგრამ დავეხსენი და კიბეზე თავქვე დავეშვი. ჩვენი სახლის ეზოში შევეფარე, ღამის დარჩენილი ნაწილი იქ გავატარე, წინ და უკან ნერვიული სიარულით, საშინლად აღელვებულმა. დაყურადებული ვიყავი და თითოეული ბგერის ისევე მეშინოდა, როგორც იმ ამაზრზენი არსების საბედისწერო მოახლოების, რომელსაც სული შთავბერე.

ძრწოლის გარეშე მას ვერ შეხედავდი. არც ერთი მუმია, ცხოვრებისკენ მობრუნებული, არ იქნებოდა ამ ურჩხულზე უფრო თავზარდამცემი. ჩემი ქმნილება ჯერ დაუსრულებელი ვნახე. ის მაშინაც მახინჯი იყო, მაგრამ როცა სახსრები და კუნთები

ამოძრავდა, რაღაც გაცილებით უფრო ამაზრზენი გამოვიდა, ვიდრე დანტეს ნებისმიერი გამონაგონი.

საზარელი ღამე გავატარე. დროდადრო პულსი ისე სწრაფად და ძალუმად მიცემდა, რომ მას თითოეულ არტერიაში ვგრძნობდი, ხანდახან კი დაუძლურებული ლამის დავცემულიყავი. ჩემს შიშს იმედგაცრუების სიმწარეც ემატებოდა. ის, რაზეც ამდენ ხანს ვოცნებობდი, ახლა ტანჯვად იქცა, და რაოდენ მოულოდნელი და გამოუსწორებელი იყო ეს ცვლილება!

ბოლოს და ბოლოს დილაც დადგა, პირქუში და ავდრიანი, და ჩემ თვალწინ, უძილობისგან რომ ამომღამებოდა და დამწითლებოდა, ინგოლშტადტის ეკლესია ამოიწვერა, თეთრი გუმბათით და საათით, რომელიც ექვსს უჩვენებდა. კარისკაცმა იმ ეზოს ჭიშკარი გააღო, რომელიც იმ ღამეს თავშესაფრად მემსახურა. ქუჩაზე გავედი და სწრაფი ნაბიჯებით ავიღე გეზი გაურკვეველი მიმართულებით, მინდოდა, რაც შეიძლება მალე ამეცილებინა თავიდან ის შეხვედრა, რომელსაც ყოველ მოსახვევში გულის კანკალით ველოდი. ვერ ვბედავდი ჩემს ბინაში დაბრუნებას, რაღაც მერეკებოდა წინ, თუმცა შავი ციდან გადმოღვრილი კოკისპირული წვიმისგან მთლად გავლუმპულიყავი. ასე მივდიოდი მცირე ხანს, ვცდილობდი, გაძლიერებული ფიზიკური მოძრაობით შემემსუბუქებინა სულიერი ტანჯვა. ქუჩებს ისე ვკვეთდი, ვერც კი ვაცნობიერებდი, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი. გული მტანჯველი შიშით მითრთოდა და არათანაბარი ნაბიჯით მივაბოტებდი, უკან მოხედვას ვერ ვბედავდი.

მიაბიჯებს ეული, შიშით გულგალეული, უკან არ იყურება, ჩქარობს, გადარეული...

იცის, იცის, რომ კვალში

მტერი უდგას წყეული.

შეუმჩნევლად მივადექი სადგომს, სადაც ჩვეულებრივ დილიჟანსები და კარეტები დგებოდნენ. გაუცნობიერებლად გავჩერდი, თვითონაც არ ვიცოდი, რატომ, და რამდენიმე წუთს შევყურებდი საფოსტო ეტლს, რომელიც ქუჩის მეორე ბოლოში გამოჩნდა. როცა მოახლოვდა, დავინახე, რომ შვეიცარიული დილიჟანსი იყო. ზედ ჩემ წინ გაჩერდა, კარი გაიღო და ანრი კლერვალის სახე დავლანდე. ჩემი დანახვისთანავე ეკიპაჟიდან გადმოხტა.

– საყვარელო ფრანკენშტაინ, – წამოიძახა, – როგორ მიხარია შენი დანახვა! რა იღბალია, რომ აქ აღმოჩნდი ჩემი ჩამოსვლის ჟამს.

ვერაფერი შეედრებოდა იმ სიხარულს, რაც კლერვალის დანახვისას ჩამეღვარა გულში. მისმა გამოჩენამ გამახსენა მამა, ელიზაბეტი და მშობლიური კერის სიამეები. ხელი მოვუჭირე და მაშინვე დამავიწყდა მთელი ჩემი უბედურება და შიში, – პირველად მრავალი თვის განმავლობაში ნათელი და უშფოთველი სიხარული დამეუფლა. გულმხურვალედ შევეგებე ჩემს მეგობარს და ერთად გავეშურეთ ჩემი

კოლეჯისკენ. გზად კლერვალი მიამბობდა ჩვენს საერთო მეგობრებზე და ხარობდა, რომ ნება დართეს, ინგოლშტადტში ჩამოსულიყო.

– შეგიძლია წარმოიდგინო, – მითხრა კლერვალმა, – როგორ გამიჭირდებოდა მამაჩემის დარწმუნება, რომ ადამიანისთვის საჭირო ყველა ცოდნა როდია მოქცეული ბუღალტერიის კეთილშობილურ ხელოვნებაში. ვფიქრობ, რომ ბოლომდე მაინც არ დამიჯერა, რადგან ჩემს დაუღალავ თხოვნას ყოველ ჯერზე ისევე პასუხობდა, როგორც ჰოლანდიელი მასწავლებელი „ვეკფილდელ მოძღვარში“: „მე წელიწადში ათას ფლორინს მიხდიან – ბერძნული ენის გარეშე, ყოველგვარი ბერძნული ენის გარეშე ვჭამ და ვსვამ“. თუმცა ჩემდამი მისმა სიყვარულმა მაინც გადალახა მეცნიერებისადმი აუტანლობა და ნება დამრთო, ცოდნის ქვეყნისკენ ეს მოგზაურობა განმეხორციელებინა.

– უზომოდ მიხარია, რომ გნახე. მითხარი, როგორ არის მამაჩემი, ჩემი ძმები, ჩემი ელიზაბეტი?

– ყველანი ჯანმრთელად არიან და მათ ყველაფერი კარგად აქვთ. მხოლოდ იმაზე ღელავენ, რომ ასე იშვიათად სწერ. სხვათა შორის, მე თვითონაც მინდოდა ამის გამო შენი გაკიცხვა. მაგრამ, ჩემო ძვირფასო ფრანკენშტაინ, – დასძინა, მოულოდნელად გაჩერდა და სახეზე მომაშტერდა, – ახლაღა შევნიშნე, რომ ძალიან ავადმყოფური გამომეტყველება გაქვს, გამხდარი და ფერმკრთალი ხარ, ისე გამოიყურები, თითქოს ზედიზედ რამდენიმე ღამეა არ გიძინია.

– გამოიცანი. თავგამოდებული შევეჭიდე ერთ საქმეს და როგორც ხედავ, ცოტას ვისვენებდი, მაგრამ იმედი მაქვს, ამას ბოლო მოეღო და თავისუფალი ვარ.

მთლად ვკანკალებდი, გასული ღამის მოვლენების შესახებ გაფიქრებაც კი არ შემეძლო, არათუ მოყოლა. ნაბიჯს ავუჩქარე და მალე მივუახლოვდით ჩემს კოლეჯს. აქ გავაცნობიერე – და ამ ფიქრზე ჟრჟოლამ ამიტანა, – არსება, ჩემს ბინაში დატოვებული, შეიძლებოდა ისევ იქ ყოფილიყო. მეშინოდა ურჩხულის დანახვის, მაგრამ კიდევ უფრო მეშინოდა იმის, რომ მას ანრი ნახავდა. ვთხოვე რამდენიმე წუთით ქვემოთ დამლოდებოდა, სწრაფად ავირბინე კიბეები. უკვე კარის სახელურისკენ გავიწოდე ხელი და მაშინღა მოვეგე გონს. შესვლას ვაყოვნებდი, თავით ფეხამდე ცივი ოფლი მასხამდა. მერე მკვეთრად შევაღე კარი, როგორც ბავშვები იქცევიან ხოლმე, მოჩვენების ნახვის მოლოდინში. კარს უკან არავინ დამხვდა. შიშით შევედი ოთახში, მაგრამ ისიც ცარიელი იყო. საძაგელი სტუმარი არც საძინებელში ყოფილა. მიჭირდა კიდეც ასეთი ბედნიერების დაჯერება, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი მტერი მართლაც გაქრა, მხიარულად მოვიფშვნიტე ხელები და კლერვალისკენ გავწიე, ჩემს ოთახში ავიყვანე და სულ მალე მსახურმა იქ ამომიტანა საუზმე. სიხარულს ვეღარ ვიოკებდი. ეს უბრალოდ სიხარულიც არ იყო – მთელი სხეული მითრთოდა აღგზნებისგან და პულსი ცოფიანივით მიცემდა. წუთით ვერ ვჩერდებოდი ერთ ადგილას, სკამიდან სკამზე ვხტოდი, ტაშს ვცემდი და ხმამაღლა

ვიცინოდი. კლერვალმა თავდაპირველად ჩემი გამოცოცხლება ჩვენი შეხვედრის სიხარულს მიაწერა, მაგრამ ყურადღებით რომ დამაკვირდა, ჩემს თვალებში სიგიჟის ნაპერწკლები შენიშნა, ჩემმა შეუკავებელმა, ისტერიკულმა ხარხარმა კი გააოცა და დააშინა.

– ძვირფასო ვიქტორ, – წამოიძახა, – მითხარი, ღვთის გულისათვის, რა მოხდა? ნუ იცინი ასე. შენ ხომ ავად ხარ. რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

– ნუ მკითხავ, – ლამის ვიყვირე, თვალებზე ხელები ავიფარე, რადგან მომეჩვენა, რომ საშინელი არსება ოთახში შემოიძურწა, – მას შეუძლია ამის მოყოლა... ო, მიშველე, მიშველე! – მომეჩვენა, რომ ურჩხულმა შემიპყრო, ცოფიანივით დავიწყე თავის გათავისუფლება და კრუნჩხვებში ჩავარდნილი დავეცი იატაკზე.

საბრალო კლერვალი! რა უნდა ეგრძნო? შეხვედრა, რომელსაც ასეთი აღტაცებული ელოდა, უბედურებად ექცა. მაგრამ ამას ვეღარ ვაცნობიერებდი. უგონოდ ვიყავი და ბევრი დრო გავიდა, სანამ ცნობიერება დამიბრუნდებოდა.

ეს ნერვული ცხელების დასაწყისი აღმოჩნდა, რომელმაც რამდენიმე თვით მიმაჯაჭვა ლოგინს. მთელი ეს პერიოდი კლერვალი ჩემი ერთადერთი მომვლელი იყო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ საერთოდ დაუმალავს ჩემი მდგომარეობის სერიოზულობა ჩემი ახლობლებისთვის – მამაჩემი ხანდაზმულობის გამო შეეცოდა, ხანგრძლივ გზას ვერ გაუძლებდა, და ისიც იცოდა, როგორ დაანაღვლიანებდა ჩემი ავადმყოფობა ელიზაბეტს. იცოდა, რომ ვერც ვერავინ შეძლებდა ჩემს მოვლას ისე ყურადღებით, როგორც თვითონ და ჩემს გამოჯანმრთელებაში მტკიცედ დარწმუნებულს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი საქციელი სავსებით გამართლებული იყო.

სინამდვილეში კი მე ძალიან ავად ვიყავი და ვერაფერი, ჩემი მეგობრის დაუღალავი და თავგანწირული ზრუნვის გარდა, ვერ დამიბრუნებდა სიცოცხლეს. გამუდმებით მელანდებოდა ჩემ მიერ შექმნილი ურჩხული და შეუჩერებლად ვბოდავდი მასზე. ჩემი სიტყვები, უეჭველად, აოცებდა ანრის. თავდაპირველად ეს უმნიშვნელო ბოდვად ჩათვალა, მაგრამ იმ სიჯიუტემ, რითაც ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი ამ თემას, დაარწმუნა, რომ ჩემი დაავადების მიზეზი რაღაც საზარელი და უჩვეულო მოვლენა გახდა.

ძალიან ნელა მივიწევდი გამოკეთებისკენ – სნეულების არაერთხელ განმეორებით შემოტევები ჩემს მეგობარს აშინებდა და ამწუხრებდა. მახსოვს, როცა პირველად შევძელი სიამოვნებით მომევლო თვალი გარემოსთვის, შევნიშნე, რომ ფანჯრის მიღმა ხეებს შემოდგომის ფოთლების ნაცვლად ნორჩი ყლორტები გამოსხმოდა.

ჯადოსნური გაზაფხული იდგა იმ წელს და ამან მცირედ როდი შეუწყო ხელი ჩემს გამოჯანმრთელებას. ვგრძნობდი, რომ მკერდში ხელახლა იშვებოდა სიყვარული და

სიხალისე. ჩემი მოღუშულობა გაქრა და მალე ისეთივე მხიარული გავხდი, როგორიც უწინდელ დროს, როცა ჯერ კიდევ არ ვიცნობდი საბედისწერო ვნებას.

– ჩემო ძვირფასო კლერვალ, – აღმომხდა ერთხელ, – შენ ისეთი უკიდეგანოდ კეთილი ხარ ჩემ მიმართ! მთელი ზამთარი მეცადინეობას აპირებდი, ამის ნაცვლად კი ავადმყოფის სარეცელთან გაატარე. რით შემიძლია მადლობა გადაგიხადო? თავს ვიწყევლი იმის გამო, რა ზიანიც მოგაყენე, მაგრამ ვიცი, მაპატიებ.

– მთლიანად გამოისყიდი ვალს და მადლობას გადამიხდი, თუ აღარაფერზე იშფოთებ და ეცდები, რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდე. და რაკი ასე კარგ ხასიათზე ხარ, შეიძლება, რაღაცაზე დაგელაპარაკო?

შევკრთი. დავილაპარაკოთ? ნუთუ იმას გულისხმობდა, რის შესახებ გაფიქრებასაც კი ვერ ვბედავდი?

– დამშვიდდი, – მითხრა კლერვალმა, როცა შენიშნა, როგორ შემეცვალა სახე, – არ ვაპირებ იმას შევეხო, რაც შენ გაღელვებს. მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ მამაშენი და შენი ბიძაშვილი ელიზაბეტი ძალიან მოხარულები იქნებიან, თუ შენგან წერილს მიიღებენ, შენი ხელით დაწერილს. არ იციან, როგორ მძიმედ ავადმყოფობდი და შენი ხანგრძლივი დუმილით არიან შეშფოთებულნი.

– სულ ეს არის, საყვარელო ანრი? როგორ იფიქრე, რომ ჩემი პირველი გაფიქრება არ იქნებოდა ჩემი ძვირფასი და ახლობელი ადამიანების გახსენება, ასეთი საყვარლებისა და სიყვარულის ღირსების.

– რაკი ასეა, ჩემო მეგობარო, ალბათ გაგიხარდება ის წერილიც, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა გელოდება. მე მგონი, ის შენი საყვარელი ბიძაშვილისგან არის.

VI თავი

კლერვალმა წერილი გამომიწოდა.

ჩემი ელიზაბეტის მოწერილი იყო.

„ძვირფასო ვიქტორ! შენ ავად იყავი, ძალიან ავად, და კეთილი ანრის ხშირი წერილებიც კი ვერ მამშვიდებდა. შენ აკრძალული გაქვს წერა – კალმის დაჭერაც კი, მაგრამ შენგან მოწერილი ერთი სიტყვაც კი, საყვარელო ვიქტორ, საკმარისი იქნება, რომ ჩვენი შიში გაფანტო. უკვე რა ხანია ველი შენს წერილს ყოველ ფოსტასთან ერთად და ბიძიას ვარწმუნებ, ინგოლშტადტში არ გამოემგზავროს. არ მინდა, რაიმე უხერხულობაში, ან შესაძლოა, საფრთხეშიც კი ჩაიგდოს თავი, რამეთუ მისი ასაკის

გათვალისწინებით, ეს საკმაოდ ხანგრძლივი გზაა. მაგრამ ისე ხშირად მინანია, რომ თავად არ შემიძლია ამის გაკეთება! ვშიშობ, რომ შენი მოხედვა რომელიმე მოხუც დაქირავებულ მომვლელს აქვს დაკისრებული, რომელსაც არ შეუძლია შენი სურვილების გამოცნობა და მათი ისეთივე სიყვარულითა და ყურადღებით შესრულება, როგორც შენს საბრალო ელიზაბეტს, მაგრამ მაინც ყველაფერი უკან დარჩა, კლერვალი მწერს, რომ უკეთ ხარ. ღრმად მწამს, რომ მალე თვითონ გვამცნობ ამის შესახებ.

გამოჯანმრთელდი და ჩვენთან დაბრუნდი. ბედნიერი ოჯახური კერა და მოსიყვარულე ოჯახი გელის. მამაშენი მხნედ და ჯანმრთელად არის, ერთადერთი რამ სურს – შენი დანახვა, სურს დარწმუნდეს, რომ გამომჯობინდი და მაშინ ვერავითარი დარდი ვერ მოუქუფრავს კეთილ სახეს.

შენ კი თვითონ როგორ გაიხარებ, ჩვენს ერნესტს რომ დაინახავ! უკვე თექვსმეტი წლისაა, ენერგიას ასხივებს. უნდა, ნამდვილი შვეიცარიელი გახდეს და უცხო არმიაში ჩაეწეროს, მაგრამ ჯერ ძალა არ შეგვწევს, გამოვემშვიდობოთ, ყოველ შემთხვევაში, მისი უფროსი ძმის დაბრუნებამდე. ბიძია არ სწყალობს სამხედრო სამსახურს უცხო ქვეყნებში, მაგრამ ერნესტს ხომ არასდროს ჰქონია შენნაირი სიბეჯითე. მისთვის სწავლა მძიმე ტვირთია, დროს ჰაერზე ატარებს, ხან მთებშია, ხან ტბაზე. ვშიშობ, რომ უსაქმურობას მიჰყოფს ხელს, თუ არ დავთანხმდებით და არ დავრთავთ ნებას, არჩეულ გზას გაჰყვეს.

მას მერე, რაც აქედან გაემგზავრე, აქ არც ისე ბევრი რამ შეიცვალა, თუ არ ჩავთვლით ჩვენი საყვარელი ბავშვების გაზრდას. ლურჯი ტყე და თოვლით შემოსილი მთები არ იცვლება. ასე მგონია, ჩვენი მყუდრო სახლი და უდრტვინველი გულები იმავე შეურყვნელი კანონებით ცხოვრობენ. ჩემი დრო წვრილმან ფუსფუსში გადის, მაგრამ ამით ვერთობი კიდეც, ხოლო გაწეული შრომისთვის ჯილდოდ გარშემო მყოფთა კმაყოფილ და კეთილ სახეებს მივიჩნევ.

შენი გამგზავრების დროიდან ჩვენს პატარა ოჯახში ერთი ცვლილება მოხდა. შენ ალბათ გახსოვს, როგორ მოხვდა ჩვენს სახლში ჟუსტინა მორიცი. ან იქნებ არც გახსოვს, ამიტომ მოკლედ გიამბობ მის ამბავს.

მისი დედა, ქალბატონი მორიცი, ოთხი შვილით დაქვრივდა, რომელთაგან ჟუსტინა მესამე იყო. ეს გოგონა მამის ნებიერა ყოფილა, მაგრამ დედამ, რაღაც უცნაური ახირებით, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ის შეიძულა და მას მერე, რაც ჟუსტინამ ბატონი მორიცის მფარველობა დაკარგა, ძალიან ცუდად ექცეოდა. ჩემმა დეიდამ ეს შენიშნა და როცა ჟუსტინა თორმეტი წლის იყო, გოგონას დედა დაარწმუნა, ჩვენთვის მოეცა. ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკურმა წყობამ გაცილებით უფრო მარტივი და ჯანსაღი წეს-ჩვეულებები ჩამოაყალიბა, ვიდრე ჩვენ გარშემო არსებულ დიდ მონარქიებშია. აქ გაცილებით ნაკლებად არის გამოკვეთილი სხვაობა საზოგადოებრივი ჯგუფების მდგომარეობაში. დაბალი ფენა არ არის ისეთი ღატაკი

და არც ისეთი მოძულებული, ამიტომაც შედარებითი ცივილიზებულობითაც გამოირჩევა. ჟენევაში მსახური რაღაც სხვაა, ვიდრე საფრანგეთში ან ინგლისში. ჩვენს ოჯახში მიღებულმა ჟუსტინამ საკუთარ თავზე აიღო მსახურის მოვალეობები, მაგრამ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში ეს მდგომარეობა სულაც არ ნიშნავს ტეტიობას ან ადამიანური ღირსების დაკარგვას. ჟუსტინა ყოველთვის სარგებლობდა შენი სიყვარულით. მახსოვს, ერთხელ როგორ თქვი, რომ მისი ერთი მზერაც საკმარისია, შენი ცუდი განწყობა გაფანტოს. და ეს ფაქტი ისევე ახსენი, როგორც არიოსტომ, როდესაც ანჟელიკას სილამაზეს აღწერდა, ნამეტნავად საყვარელია მისი გულწრფელი და ნათელი სახეო.

დეიდაჩემი მას ძალიან მიეჩვია და უკეთესი განათლება მისცა, ვიდრე ამას თავდაპირველად ვარაუდობდა. ამის გამო ასმაგად დაჯილდოვდა. ჟუსტინა ამქვეყნად ყველაზე მადლიერი არსება აღმოჩნდა, არასდროს გამოუხატავს თავისი მადლიერება სიტყვებით – ასეთი რამ არ მომისმენია, მაგრამ მის თვალებში გულწრფელი სიყვარული გამოსჭვიოდა მფარველის მიმართ. მართალია, ბუნებით მხიარული და ცოტა თავქარიანი გოგონაც იყო, დეიდას ყველაფერს უჯერებდა. მასში სრულყოფილების ნიმუშს ხედავდა და ცდილობდა მისი მეტყველებისა და მანერებისთვის მიებაძა, ისე, რომ დღემდე ხშირად მაგონებს მას.

როცა ჩემი ძვირფასი დეიდა გარდაიცვალა, ყველანი მეტისმეტად ჩავიძირეთ საკუთარ მწუხარებაში, რომ საბრალო ჟუსტინა შეგვენიშნა, რომელიც ავადმყოფობის დროს საოცარი მზრუნველობით უვლიდა მას. ჟუსტინა მერე თვითონაც მძიმედ დაავადდა, მაგრამ როგორც მერე აღმოჩნდა, სხვა განსაცდელიც ელოდა წინ.

მისი დები და ძმები ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ, დედა კი უშვილოდ დარჩა, თუ არ ჩავთვლით იმ ქალიშვილს, რომელიც თავის დროზე უარყო. დედამ სინდისის ქენჯნა იგრძნო და გადაწყვიტა, რომ საყვარელი შვილების სიკვდილი მისი სასჯელი იყო უსამართლობის გამო. კათოლიკე ბრძანდებოდა და ჩანს, მისმა მოძღვარმაც განამტკიცა მისი ეს აზრი. სწორედ ამიტომაც, შენი ინგოლშტადტში გამგზავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მონანიე დედამ ჟუსტინას თავისთან უხმო.

საბრალო!.. ქვითინებდა ჩვენთან გამომშვიდობებისას, დეიდას გარდაცვალების შემდეგ ძალიან შეიცვალა, დარდმა მოასუსტა და უწინდელი სიხალისის ნაცვლად მასში საოცარი სათნოება გაჩნდა. დედის ფრთის ქვეშ დაბრუნებამაც ვერ დაუბრუნა მხიარულება. დედამისის სინანული საკმაოდ არამდგრადი აღმოჩნდა. იყო დღეები, როცა ჟუსტინას ეხვეწებოდა, უსამართლობის გამო ეპატიებინა, მაგრამ უფრო ხშირად თავისი დებისა და ძმების სიკვდილში ადანაშაულებდა. გამუდმებულმა გაღიზიანებამ დააავადმყოფა, მაგრამ ამის გამო ქალბატონი მორიცის ხასიათი კიდევ უფრო აუტანელი გახდა. თუმცაღა ახლა სამუდამოდ დამშვიდდა. გასული ზამთრის დასაწყისში, სანამ სიცივეებს დაიჭერდა, სული განუტევა. ჟუსტინა ჩვენთან დაბრუნდა და ძალიან მიყვარს. საოცრად ჭკვიანია, კეთილი და მშვენიერი

გარეგნობის. როგორც უკვე ვთქვი, ქცევისა და საუბრის მანერით გამუდმებით მახსენებს ჩემს საყვარელ დეიდას.

უნდა გიამბო ასევე, ძვირფასო ბიძაშვილო, ჩვენს საყვარელ პატარა უილიამზე. ნეტავ ერთი შეგახედა! თავისი ასაკის კვალობაზე ძალიან ტანადია, მოცინარი ცისფერი თვალები აქვს, მუქი წამწამები და ხუჭუჭა თმა. როცა იღიმის, ალისფერ ლოყებზე ღრმულები უჩნდება. უკვე ჰყავდა რამდენიმე პატარა „საცოლე“, მაგრამ მათ შორის ყველაზე საყვარელი – ლუიზა ბირონი, ხუთი წლის კოპწია გოგონაა.

ახლა კი, ძვირფასო ვიქტორ, ალბათ გსურს გაიგო ახალი ამბები ჩვენი ჟენეველი მეზობლების შესახებ. ლამაზმა მის მენსფილდმა უკვე მიიღო მილოცვები ახალგაზრდა ინგლისელ ჯონ მელბურნთან მისი მოსალოდნელი ქორწინების თაობაზე. მისი ულამაზო და მანონი შემოდგომაზე გაჰყვა ცოლად მდიდარ ბანკირს, ბატონ დიუვილარს. შენმა სკოლის ამხანაგმა ლუი მანუარმა კლერვალის გამგზავრების შემდეგ რამდენიმე იმედგაცრუება გადაიტანა. თუმცაღა ახლა დამშვიდდა და ამბობენ, სასიამოვნო გარეგნობისა და საკმაოდ ცქვიტი ფრანგის, ქალბატონი ტავერნიეს ცოლად მოყვანას აპირებს. ის ქვრივია და მანუარზე მნიშვნელოვნად უფროსი ასაკის, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყოლია.

ამ ყოველივეს აღწერისას, ძვირფასო ვიქტორ, მე თვითონაც კარგად გავერთე, მაგრამ ახლა, წერილის დასასრულს, კვლავ დამეუფლა მღელვარება. მომწერე, ვიქტორ. ერთი სტრიქონი, ერთი სიტყვა ჩვენთვის სიხარულის მომტანი იქნება. ათასჯერ ათასი მადლობა ანრის სიკეთისა და ზრუნვის, ასევე ხშირი წერილების გამო. მთელი გულით ვუძღვნით მას მადლობას.

მშვიდობით, საყვარელო ბიძაშვილო, თავს გაუფრთხილდი და მომწერე, გევედრები!

ჟენევა, 17.. წლის 18 მარტი

ელიზაბეტ ლავენცა“

– ო, საყვარელო ელიზაბეტ! – აღმომხდა, როგორც კი წერილის კითხვა დავასრულე, – ახლავე უნდა მივწერო მათ და გავუფანტო მღელვარება.

ჩემებისთვის წერილი დავწერე. ამის შემდეგ საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, მაგრამ გამოჯანმრთელების პროცესი დაიწყო და სწრაფადაც წავიდა წინ. კიდევ ორი კვირის შემდეგ უკვე სიარულიც შემეძლო.

მოკეთების შემდეგ ჩემს ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად რჩებოდა კლერვალის წარდგენა უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორთან. ამ დროს არცთუ ცოტა უხერხული მომენტის გადალახვა მომიხდა, რაც ჩემს სულიერ იარებს ატოკებდა. იმ საბედისწერო ღამიდან მოყოლებული, როცა ჩემი შრომა დასრულდა და ჩემი უბედურება დაიწყო, თვით სიტყვა „საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც“ კი

აუტანელ ზიზღს მგვრიდა. მაშინაც კი, როცა მთლად მოვმჯობინდი, ქიმიური ხელსაწყოების ხილვა ნერვული აღგზნების მტანჯველ სიმპტომებს იწვევდა ჩემში. ანრიმაც შენიშნა ეს და რაც შეიძლება შორს გადაიტანა ყველა ჩემი ინსტრუმენტი. სხვა ოთახში მომათავსა, რადგან ხედავდა, რომ ყოფილი ლაბორატორია ჩემზე უსიამოვნოდ მოქმედებდა. თუმცა კლერვალს ყველა ზრუნვა წყალში ჩავუყარე, როცა ჩემი პროფესორები მოვინახულე.

ბატონმა ვალდმანმა ნამდვილი წამება მომიწყო, როცა მგზნებარედ მომილოცა მეცნიერებაში მიღწეული საოცარი წარმატებები. მალე შენიშნა, რომ ეს თემა მაღიზიანებდა, თუმცა ჭეშმარიტ მიზეზს ვერ ჩასწვდა, ჩემს თავმდაბლობას მიაწერა ეს ფაქტი და საუბრის თემა შეცვალა: ჩემი წარმატებების ნაცვლად თვით მეცნიერებაზე წამოიწყო ლაპარაკი, აშკარად იმის სურვილით, რომ ჩემთვის თავის გამოჩენის საშუალება მოეცა.

რა უნდა მექნა? იმის ფიქრში, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა, მაწამებდა. მეჩვენებოდა, რომ გულმოდგინედ მიჩვენებდა ერთმანეთის მიყოლებით წამების იარაღებს, რათა შემდეგ ჩემი ნელი და მტანჯველი სიკვდილი გამოეწვია. მისი სიტყვების მოსმენისას ვიკლაკნებოდი, მაგრამ ვერ ვბედავდი მეჩვენებინა, როგორ მტკიოდა. კლერვალმა, უაღრესად მგრძნობიარემ და ყურადღებიანმა სხვათა მიმართ, საუბრის თემის შეცვლა შემოგვთავაზა, იმ საბაბით, რომ თვითონ ნაკლებად იყო ამაში გარკვეული და უფრო ზოგად საგნებზე დავიწყეთ ლაპარაკი. ფიქრში ჩემს მეგობარს მადლობა მივუძღვენი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ვხედავდი, როგორ განიცდიდა და სწყუროდა გაერკვია, რა იყო ჩემი ტანჯვის მიზეზი, მაგრამ არც ერთხელ არ უცდია ჩემი საიდუმლოს გამოძალვა, მე კი, რომელიც მას უზომო პატივს ვცემდი და გულწრფელად მიყვარდა, ვერ ვბედავდი მისთვის იმ მოვლენების მოყოლას, რომლებიც ჩემს წარმოსახვას ხშირად აშფოთებდნენ და ჩემი მეგობრისთვის მათი მოყოლით მეხსიერებაში მათი გაცოცხლების მეშინოდა კიდეც.

ბატონ კრემპესთან უფრო გამიჭირდა: ჩემი მაშინდელი მგრძნობიარობის გათვალისწინებით, რომელიც უკიდურესად იყო გამძაფრებული, მისი მოუხეშავი საქებარი სიტყვები ჩემთვის კიდევ უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე ბატონი ვალდმანის კეთილმოსურნეობა.

– ეშმაკმა დალახვროს ეს ბიჭი! – წამოიძახა ჩვენს დანახვაზე, – იცით თუ არა, ბატონო კლერვალ, რომ მან ჩვენ ყველას ქამრები გადაგვიჭირა. ჰო, ჰო, რატომ მომაჩერდით ასე? ეს სრული სიმართლეა. უმწიფარმა ჭაბუკმა, რომელსაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ კორნელიუს აგრიპასი ისე სწამდა, როგორც წმინდა სახარების, ახლა პირველი ადგილი დაიკავა. ფრთებს თუ არ მოვკვეცთ, ყველას შეგვარცხვენს. ჰო, ჰო, – განაგრძობდა ის, თითქოს ვერ ამჩნევდა ჩემს აუტანლად დამანჭულ სახეს, – ბატონი ფრანკენშტაინი მორიდებული გვყავს, შესანიშნავი თვისებაა ამ ახალგაზრდა ადამიანში. ყმაწვილი მოკრძალებული უნდა იყოს, ბატონო კლერვალ.

ახალგაზრდობაში თავადაც ასეთი გახლდით, ოღონდ ეგაა, რომ ეს თავმდაბლობა დიდხანს არ გაგვყვება ხოლმე.

აქ ბატონმა კრემპემ საკუთარი თავის ხოტბის შესხმა განაგრძო და საბედნიეროდ, ჩემთვის ესოდენ უსიამოვნო თემას თავი მიანება.

კლერვალი არასდროს იზიარებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ჩემს მიდრეკილებებს, თვითონ სულ სხვაგვარი, ფილოლოგიური ინტერესები ჰქონდა. უნივერსიტეტშიც იმისთვის ჩამოვიდა, რომ აღმოსავლურ ენებს დაუფლებოდა და ამგვარად შეემზადებინა თავი იმ მოღვაწეობისთვის, რომელზეც ოცნებობდა. ბევრის მიღწევის მოსურნემ თავისი ჩანაფიქრები აღმოსავლეთისკენ მიმართა, სადაც გაცილებით ფართო თვალსაწიერი იყო გადაშლილი მისი ნიჭიერებისთვის. მას აინტერესებდა სპარსული, არაბული და სანსკრიტი, და საკმაოდ იოლად დამარწმუნა, მეც ამ საქმეს შევდგომოდი. უსაქმურობა არასდროს მიზიდავდა, ახლა კი, მას მერე, რაც უწინდელი საქმიანობა შევიძულე და მწადდა აკვიატებულ ფიქრებს დავხსნოდი, დიდი შვება აღმოჩნდა ეს საერთო გაკვეთილები ჩემი მეგობრის გვერდით.

აღმოსავლეთის ავტორების თხზულებებში ბევრი რამ ვიპოვე, საგულისხმო და სასიამოვნო. კლერვალისგან განსხვავებით, აღმოსავლური ენების სამეცნიერო შესწავლას არ ვუღრმავდებოდი, რადგან სხვა არავითარი მიზანი არ მქონია, დროებითი გართობის გარდა. მხოლოდ სიამოვნებისთვის ვკითხულობდი, შინაარსს ვაკვირდებოდი და დავჯილდოვდი კიდეც შრომისმოყვარეობისთვის. მათი ნაღველი დამამშვიდებელი იყო, სიხარული კი – ამაღლებული, მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის მწერლებთან. როდესაც მათ შემოქმედებას ეცნობი, ცხოვრება მზის ნათებად გეჩვენება, აყვავებული ვარდების ბაღად, მშვენიერი ქალის ღიმილად და კაპრიზებად და გულის დამწველ სიყვარულის ცეცხლად. როგორ არ ჰგავს ეს საბერძნეთისა და რომის გმირულ და მამაცურ პოეზიას!

ამ მეცადინეობებში ზაფხულიც გავიდა, გვიან შემოდგომაზე ვვარაუდობდი ჟენევაში დაბრუნებას, მაგრამ რაღაც დაბრკოლებები გამოჩნდა, მერე კი ზამთარიც დადგა, თოვლი ჩამოიყარა, გზები გაუვალი გახდა და ჩემი გამგზავრებაც გაზაფხულამდე გადაიდო. უკიდურესად განვიცდიდი ამ შეყოვნებას, რადგან ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი მშობლიურ არემარეს და ჩემს ახლობლებს. თუ თავდაპირველად ვყოვნდებოდი, მხოლოდ იმის გამო, რომ არ მინდოდა კლერვალი უცხო ქალაქში დამეტოვებინა, სანამ იქ მეგობრებს შეიძენდა. თუმცა ზამთარი სასიამოვნოდ გავატარეთ, ძალიან გვიან გამოზაფხულდა, მაგრამ რომ შემობრძანდა მწვანე გაზაფხული, მისმა სილამაზემ მთლიანად გამოისყიდა ეს დაგვიანება.

მაისიც დადგა და ყოველდღე გულის ფანცქალით ველოდი წერილს, რომელსაც ჩემი გამგზავრების დღე უნდა დაენიშნა. ანრიმ შემომთავაზა, ფეხით გაგვესეირნა ინგოლშტადტის შემოგარენში, რათა იმ ადგილებს გამოვმშვიდობებოდი, სადაც ამდენი ხანი ვიცხოვრე. სიამოვნებით დავთანხმდი, მიყვარდა ფეხით სიარული და

მშობლიურ მხარეშიც კლერვალი ჩემი მუდმივი თანამგზავრი იყო ხოლმე მსგავს ექსკურსიებში.

ხეტიალში ორი კვირა გაილია. იმ დროისთვის სრულად აღმიდგა მხნეობა და სიჯანსაღე, სუფთა ჰაერი, საგზაო შთაბეჭდილებები და მეგობართან ურთიერთობა კიდევ უფრო მაძლიერებდა. ჩემმა საქმიანობამ ადამიანებს ჩამომაცილა და განდეგილად მაქცია. კლერვალმა კი ჩემი საუკეთესო თვისებები გამოაღვიძა, ხელახლა მასწავლა ბუნების სიყვარული და ბავშვების ლაღი სახეების ცქერით ტკბობა.

დაუვიწყარო მეგობარო! როგორ გულწრფელად გიყვარდი, როგორ ამამაღლებდი საკუთარი მაღალი სულის დონეზე! პატივმოყვარულმა მისწრაფებებმა დამამდაბლეს, შენმა ზრუნვამ და ერთგულებამ კი ჩემი გული გაათბო. ისევ ის ბედნიერი ბიჭი გავხდი, რომელსაც სულ რამდენიმე წლის წინ ყველა უყვარდა, ყველა ანებივრებდა სიყვარულით და დარდი არ განეცადა. როცა კარგ განწყობაზე ვიყავი, ბუნება განსაცვიფრებელი შეგრძნებების წყაროდ მესახებოდა. მოწმენდილი ცა და აბიბინებული მინდვრები აღტაცებას მგვრიდა. გაზაფხული იმ წელს მართლაც საუცხოო იყო, ნორჩი ყვავილები კიაფობდნენ ველებზე, მე კი ბოლოს და ბოლოს ვისვენებდი იმ ფიქრებისგან, რომლებმაც მთელი წელი გამტანჯეს, მიუხედავად ჩემი დაუღალავი მცდელობებისა, რაც შეიძლება შორს გამეძევებინა ისინი.

ანრიც ხარობდა ჩემი გამოცოცხლებით და გულწრფელად იზიარებდა ჩემს განწყობას. ცდილობდა გავერთე და იმავდროულად გამოხატავდა იმ გრძნობებს, თვით მას რომ ავსებდა. იმ დღეებში მართლაც დაუცხრომელი იყო. ხანდახან, სპარსი და არაბი მწერლების მიბაძვით, მოთხრობებს წერდა, წარმოსახვითა და ვნებით მდიდარს. ხან კი ჩემს საყვარელ ლექსებს კითხულობდა ან კიდევ რაიმე თემაზე კამათს წამოიწყებდა და ძალიან ოსტატურად ჩამითრევდა.

კვირა დღეს კოლეჯიდან საღამოს დავბრუნდით. გლეხები ერთობოდნენ, ყველგან გვხვდებოდნენ აცეკვებულნი, მხიარული და ბედნიერი სახეებით. მე თვითონაც შესანიშნავად განვეწყვე, ფეხები თითქოს შემომსუბუქდა, ჰაეროვნად დავდიოდი, გული კი ხარობდა და იცინოდა.

VII თავი

ცოტა რომ გონს მოვედი, მამის შემდეგი წერილი აღმოვაჩინე: „ძვირფასო ვიქტორ, შენ ალბათ მოუთმენლად ელი წერილს, რომელიც შენი გამომგზავრების დღეს გადაწყვეტს. თავდაპირველად მსურდა სულ რამდენიმე სტრიქონი მომეწერა, რათა მხოლოდ ის თარიღი მიმენიშნებინა, როცა გელოდებით. მაგრამ ეს სიმხდალე

სისასტიკე იქნებოდა შენი მისამართით. როგორ იგრძნობ თავს, როცა მხიარული დახვედრის ნაცვლად, რომელსაც ასე ელი, აქ დარდი და ცრემლები დაგხვდება! მაგრამ როგორ უნდა გამცნო ჩვენი უბედურება? ხანგრძლივი სიშორე ვერ გაგხდიდა გულგრილს ჩვენი ლხინისა და ჭირისადმი, ამიტომ იძულებული ვარ, ჩემს ნანატრ ვაჟს ტკივილი მივაყენო. მინდა შეგამზადო საშინელი ამბისთვის, მაგრამ ეს შეუძლებელია, ალბათ უკვე თვალებით ეძებ ფურცელზე საშინელ ცნობას.

ჩვენი უილიამი აღარ არის, ჩვენი მხიარული და საყვარელი ბავშვი, რომელიც ჩემს გულს ღიმილით ათბობდა. ვიქტორ! ის მოკლეს!

ამაოდ არ ვეცდები შენს დამშვიდებას, შვილო, უბრალოდ გიამბობ, როგორ მოხდა ეს ყოველივე.

გასულ ხუთშაბათს, 7 მაისს, მე, ჩემი ელიზაბეტი და შენი ორივე ძმა პლენპალში სასეირნოდ გავეშურეთ. თბილი და წყნარი საღამო იყო და ჩვეულებრივზე უფრო შორს შევედით. უკვე ბინდდებოდა, როცა უკან დაბრუნება მოვიფიქრეთ და აღმოჩნდა, რომ უილიამი და ერნესტი, ჩვენზე უფრო წინ მიმავალნი, თვალს მიეფარნენ. მათ მოლოდინში ხის სკამზე ჩამოვსხედით. მალე ერნესტი გამოჩნდა და იკითხა, მისი ძმა ხომ არ დაგვინახავს. თურმე, დამალობანას თამაშობდნენ, უილიამი დასამალად გაიქცა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა მის პოვნას, მერე კი დიდხანს ელოდა, მაგრამ უილიამი არა და არ გამოჩნდა.

ამან ძალიან შეგვაშფოთა. ღამემდე ვეძებეთ. ელიზაბეტმა ივარაუდა, იქნებ შინ დაბრუნდაო, მაგრამ იქაც არ დაგვხვდა. ისევ მის საძებნელად გავეშურეთ ღამით, ანთებული ჩირაღდნებით, ვერაფრით ვიძინებდი, როცა ვიცოდი, რომ ჩემი ბიჭუნა სადღაც დაიკარგა და ახლა ღამის ცვარი ყინავდა. ელიზაბეტიც ღელავდა. ხუთი საათისთვის ვიპოვე ჩემი ძვირფასი შვილი, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ბალახზე იყო გაშხლართული, გაფითრებული და უძრავი, ყელზე კი მკვლელის თითების ნაკვალევი ჰქონდა აღბეჭდილი.

შინ მივასვენეთ. ჩემს სახეზე აღბეჭდილმა ტანჯვამ ყველაფერი აუხსნა ელიზაბეტს. მოისურვა, რომ გვამი ენახა. თავიდან ვცადე ხელი შემეშალა, მაგრამ დაიჟინა. როგორც კი შეხედა ბიჭუნას ყელს, ხელები შემოიკრა თავში და წამოიყვირა: „ღმერთო! მე დავღუპე ჩემი საყვარელი ბავშვი!“

გონება დაკარგა და ძლივს მოვასულიერეთ. გამოფხიზლებული ისევ აქვითინდა. მიამბო, რომ იმ საღამოს უილიამს აუკვიატებია ყელზე ძვირფასი მედალიონის ჩამოკიდება, დედის პორტრეტით. ნივთი დაკარგული იყო. ჩანს, სწორედ მან მიიზიდა მკვლელი. მისი პოვნა ჯერ ვერ მოგვიხერხებია, თუმცა კი ძალისხმევას არ ვიშურებთ, მაგრამ ეს ხომ ვეღარ გააცოცხლებს ჩემს უილიამს!

ჩამოდი, ძვირფასო ვიქტორ, მხოლოდ შენ შეძლებ ელიზაბეტის ნუგეშისცემას. ის გამუდმებით ტირის, უსამართლოდ იდანაშაულებს თავს ბავშვის სიკვდილში, მისი

სიტყვები გულს მისერავს. ჩვენ ყველანი უბედურები ვართ, მაგრამ სწორედ ამიტომ მოგესურვება ჩვენთან დაბრუნება და ჩვენი ნუგეშისცემა. საბრალო დედაშენი! ეჰ, ვიქტორ! ახლა ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ამ საშინელ დღეს და თავისი საყვარელი პატარას საზარელ აღსასრულს ვერ მოესწრო.

ჩამოდი, ვიქტორ, ოღონდ არა შურისძიების წყურვილით აღვსილი, არამედ სიყვარულით სავსე გულით, რომელიც იარებს მოგვიშუშებს და მეტად არ გაგვიმძაფრებს ამ ტკივილს. შემოდი გლოვის სახლში, ჩემო მეგობარო, ოღონდ არა მტრებისადმი სიძულვილით, არამედ შენი მოსიყვარულე ადამიანების სიყვარულით.

ჟენევა, 17.. წლის 12 მაისი.

დარდით გულმოკლული მამაშენი

ალფონს ფრანკენშტაინი“

კლერვალმა, რომელიც ჩემს გამომეტყველებას ადევნებდა თვალს, სანამ მე წერილს ვკითხულობდი, გაოგნებულმა დაინახა, შინიდან მოსული ამბებით გამოწვეული სიხარული როგორ უცებ შეცვალა სასოწარკვეთამ. წერილი მაგიდაზე დავაგდე და სახე ხელებში ჩავმალე.

– ძვირფასო ფრანკენშტაინ! – აღმოხდა ანრის ჩემი მწარე ცრემლების დანახვაზე, – ნუთუ გამუდმებული უბედურებებისთვის ხარ განწირული? ძვირფასო მეგობარო, მითხარი, რა მოხდა?

წერილისკენ მივუთითე, თვითონ კი აღელვებულმა დავიწყე ოთახში ბოლთის ცემა. ჩვენი განსაცდელის შესახებ რომ წაიკითხა, კლერვალსაც ცრემლები წამოსცვივდა.

– არაფრით არ შემიძლია შენი ნუგეშისცემა, ჩემო მეგობარო, – მომმართა კლერვალმა, – შენი მწუხარება უნუგეშოა, მაგრამ რის გაკეთებას აპირებ?

– დაუყოვნებლივ გავემგზავრები ჟენევაში. წამოდი, ანრი, ცხენები შევუკვეთოთ.

გზად კლერვალი მაინც ცდილობდა ჩემს დამშვიდებას. მთელი გულით თანამიგრძნობდა: – საბრალო უილიამი, საბრალო, საყვარელი ბავშვი! ახლა თავის წმინდან დედასთან ერთად განისვენებს. ნებისმიერი, ვინც მას იცნობდა მთელი მისი ბავშვური სილაღით, მის უდროო დაღუპვას გამოიტირებს. ასეთი წარმოუდგენელი სიკვდილი... მკვლელის ხელების შეგრძნება საკუთარ სხეულზე! რა ბოროტმოქმედი უნდა იყო, რომ ასეთი უმწიკვლო არსება დაღუპო! საწყალი ბავშვი! მხოლოდ ერთი რამით თუ შეიძლება დაიმშვიდოს გული კაცმა, მისი ახლობლები გლოვობენ მასზე, მაგრამ თვითონ უკვე აღარ იტანჯება. ყველაზე სასტიკი წამი უკან დარჩა და ის სამუდამოდ დამშვიდდა. მისი ნაზი სხეული სამარეში ჩაფლეს, და ის ტკივილს არ განიცდის. მას აღარ სჭირდება სიბრალული, ეს იმ უბედურთათვის შემოვინახოთ, რომლებმაც დარდი გადაიტანეს.

ასე მანუგეშებდა კლერვალი, ჩემთან ერთად ქუჩაში მომავალი. მისი სიტყვები გონებაში ჩამებეჭდა და მოგვიანებით, მარტო დარჩენილი ვიხსენებდი ხოლმე. მაგრამ ახლა, როგორც კი ცხენები მოიყვანეს, სწრაფად ჩავხტი ეკიპაჟში და მეგობარს დავემშვიდობე.

ნამდვილად არ იყო სახალისო მოგზაურობა. თავდაპირველად ვჩქარობდი, მწადდა, რაც შეიძლება მალე დამემშვიდებინა ჩემი დამწუხრებული ახლობლები, მაგრამ მშობლიურ მხარეს რომ მივუახლოვდი, მინდოდა გზა კიდევ დაგრძელებულიყო. მიჭირდა მოზღვავებულ განცდებთან გამკლავება. იმ ადგილებს ვიტოვებდი უკან, რომლებიც ბავშვობიდან ნაცნობი იყო ჩემთვის, მაგრამ თითქმის ექვსი წელია არ მენახა. როგორ უნდა შეცვლილიყო ყველაფერი ამ დროის განმავლობაში! ერთი მოულოდნელი და საშინელი მოვლენა მოხდა, უამრავ წვრილმან გარემოებას კი შეეძლო სხვა ცვლილებების გამოწვევაც, არა ასეთი უცაბედის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანის. შიში დამეუფლა. მეშინოდა გზის გაგრძელების, ბუნდოვნად ვგრძნობდი წინასწარ რაღაც უხილავ უბედურებებს და ტანში მზარავდა, თუმცა კი ზუსტად არ შემეძლო თუნდაც რომელიმე მათგანის დასახელება.

ამ მძიმე სულიერ მდგომარეობაში მყოფმა ორი დღე ლოზანაში დავყავი. ტბას გავყურებდი: წყალი მდორე იყო, გარშემო ყველაფერი მდუმარებას მოეცვა და დათოვლილი მწვერვალები, „ბუნების სასახლეები“, ისეთივე ჩანდა, როგორიც ადრე. მათი შეურყვნელი სილამაზე ცოტათი გულზე მომეფონა, მერე კი ჟენევისკენ განვაგრძე სვლა.

გზა ტბის ნაპირზე გადიოდა, რომელიც ჩემი მშობლიური ქალაქის მიდამოებში მჭიდროვდებოდა. უკვე ვარჩევდი იურის შავ ფერდობებს და მონბლანის თეთრ წვერს. ბავშვივით ავბღავლდი. „საყვარელო მთებო! და შენც, ჩემო მშვენიერო ტბავ! აი, როგორ ხვდებით მეგზურს! მთების მწვერვალები უღრუბლონი არიან, ცა და ტბა სიმშვიდით ციალებს ლურჯად. რა არის ეს – სიმშვიდის აღთქმა თუ ჩემი ტანჯვა-ვაების დაცინვა?“

ჩემო მეგობარო, ვშიშობ, რომ მთელი ამ წვრილმანების აღწერით თავს მოგაწყენთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შედარებით ბედნიერი დღეები იყო და მაამებს მათი გახსენება. ო, საყვარელო სამშობლოვ! ვინ, თუ არა შენი შვილები გაიგებენ, რა აღტაცებით შევავლე თვალი კვლავ შენს ნაკადულებსა და გორაკებს, და განსაკუთრებით შენს საუცხოო ტბას!

თუმცაღა სახლთან მიახლოებული ისევ შიშისა და დარდის ძალაუფლებაში მოვექეცი. ღამე ეშვებოდა მიწაზე. როცა მუქი მთების მოხაზულობები გაფერმკრთალდა, კიდევ უფრო დამიმძიმდა გული. ყველაფერი, რაც გარს მერტყა, ბოროტების უზარმაზარ და ბნელ ველად წარმომიდგა და ბუნდოვნად ვიგრძენი, რომ მოკვდავთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უბედური ვხდებოდი. ვაი, რომ წინათგრძნობამ არ მიღალატა და

ერთადერთში შევცდი მხოლოდ: ყველა წარმოსახული საშინელება იმის მეასედ ნაწილსაც კი არ შეადგენდა, რისი გადატანაც სინამდვილეში მომიხდა.

როცა ჟენევის შემოგარენს მივუახლოვდი, უკვე მთლად ბნელოდა. ქალაქის კარიბჭე ჩაკეტილი იყო და სეშერონში მომიწია ღამის გათევამ, პატარა სოფელში, რომელიც ქალაქთან ახლოს მდებარეობდა. მოწმენდილი ცა იყო, დაძინებას ვერ ვახერხებდი და გადავწყვიტე, ის ადგილი მომენახულებინა, სადაც ჩემი საბრალო უილიამი მოკლეს. რაკი საშუალება არ მქონდა, ქალაქის გზით გამევლო, პლენპალემდე ნავით მივაღწიე, ტბაზე ამ ხანმოკლე გადაადგილებისას დავინახე, ჭექა-ქუხილი როგორ ხაზავდა საუცხოო ნახატებს მონბლანის მწვერვალის გარშემო. ქუხილი სწრაფად ახლოვდებოდა. ნაპირთან მიახლოებული პატარა ფერდობზე ავედი, რათა იქიდან მედევნებინა თვალი მისთვის. მეახლა კიდეც, ცა ღრუბლებით გაივსო, პირველი მსხვილი წვეთები აქა-იქ დაეცა, მერე კი ღვარად წამოვიდა წვიმა.

გზა გავაგრძელე, თუმცაღა სიბნელე და ქუხილის ღრუბლები მჭიდროვდებოდა, ჭექა კი ზედ ჩემს თავზე გრუხუნებდა. მას სალევის, იურისა და სავოის ალპები აძლევდნენ ექოს, ელვის მკვეთრი გამონათებები მაბრმავებდა, ტბას აკაშკაშებდა და უშველებელ კოცონს ამსგავსებდა, მერე ყველაფერი წამიერად ჩაიძირა წყვდიადში. როგორც ეს ხშირად ხდება შვეიცარიაში, ქუხილმა ერთბაშად ყველა მხრიდან შემოუტია. ყველაზე ძლიერად ქალაქის ჩრდილოეთით ქუხდა, ტბის იმ ნაწილის თავზე, რომელიც ბელრივის კონცხსა და სოფელ კოპეს შორის არის გაწოლილი. ელვის სუსტი ნათება იურის წვერს ანათებდა, ტბის აღმოსავლეთით კი მოლის წაწვეტებულთავიანი მთა ხან სიბნელეში იკარგებოდა, ხან ნათდებოდა. დიდებულმა ორთაბრძოლამ, რომელიც ცაში განვითარდა, მცირე ხნით ყველაფერი გადამავიწყა და მომნუსხა. ხელები მოვმუშტე და ხმამაღლა შევყვირე: „უილიამ, ჩემო ანგელოზო! აი შენი დაკრძალვა, აი, შენი გლოვის ზარი!“ იმ წამს სიბნელეში უახლოესი ხეებიდან გამომძვრალი ფიგურა შევნიშნე. გავქვავდი, ყურადღებით მივაშტერდი, შეუძლებელია, შეცდომა ყოფილიყო. გაელვებულმა ცამ გაანათა ფიგურა და მკაფიოდ დავინახე: გიგანტური ზომა და ჩვეულებრივი ადამიანისთვის გაუგონარი სიმახინჯე იმაზე მეტყველებდა, რომ ჩემ წინაშე საძაგელი ურჩხული იდგა, რომელსაც მე შთავუნერგე სიცოცხლე. რას აკეთებდა აქ? ნუთუ ის იყო ჩემი ძმის მკვლელი? ამის გაფიქრებაზეც კი გამაკანკალა. როგორც კი ამ აზრმა გამიელვა თავში, მაშინვე განმიმტკიცდა, მუხლები მომეკვეთა და იძულებული გავხდი ხეს მივყრდნობოდი. არსებამ სწრაფად გამიარა გვერდზე და სიბნელეში ჩაიკარგა. ადამიანთა შორის ვერავინ შეძლებდა მშვენიერი ბავშვის დაღუპვას. მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო მკვლელი! ამაში ეჭვი აღარ მეპარებოდა. თვით ეს ფიქრიც კი ურყევ მტკიცებულებად ჩანდა.

მინდოდა ურჩხულს დავდევნებოდი, მაგრამ ფუჭი იქნებოდა ყველა მცდელობა. უკვე შემდგომი გაელვებისას დავინახე, როგორ მიცოცავდა იგი მონ სალევის ლამის ციცაბო კლდეზე, რომელიც სამხრეთიდან ემიჯნება პლენპალეს. სულ მალე მიაღწია მწვერვალს და გაუჩინარდა კიდეც.

უძრავად ვიდექი. ქუხილი შენელდა, მაგრამ ისევ წვიმდა და ყველაფერი წყვდიადს მოეცვა. ფიქრებში ხელახლა ვალაგებდი თანმიმდევრულად იმ მოვლენებს, რომელთა დავიწყებასაც ასე ვცდილობდი ამ ბოლო თვეებში, ჩემი აღმოჩენის ყველა ეტაპი, ჩემ მიერ გაცოცხლებული არსების გამოჩენა ჩემს საწოლთან და მისი გაქრობა. იმ ღამის შემდეგ, რაც მე ის გავაცოცხლე, თითქმის ორი წელი გავიდა. იქნებ ეს სულაც არ არის მისი პირველი დანაშაული? ღმერთო ჩემო! მე ვშვი ამქვეყნად ურჩხული, რომელიც მკვლელობებითა და სისხლით ტკბება... ნუთუ მან მოკლა ჩემი ძმა?

ვერავინ მიხვდება, როგორ ვეწამე იმ ღამით, ღია ცის ქვეშ ვეგდე, გალუმპული და გაყინული, მაგრამ ვერც კი ვამჩნევდი ავდარს. შიში და სასოწარკვეთილება ავსებდა ჩემს სულს. არსება, რომელიც ადამიანთა შორის საცხოვრებლად გავუშვი, ძალაშთაბერილი და ბოროტებისკენ მისწრაფული, სულ ახლახან ჩადენილი დანაშაულის მსგავსად, ჩემივე ბოროტ საწყისად მესახებოდა, ვამპირად, რომელიც კუბოდან ამოიმართა, რათა ყველაფერი გაანადგუროს, რაც კი ჩემთვის ძვირფასია.

გათენდა და ქალაქისკენ გავემართე. კარიბჭე გაეღოთ და მამის სახლისკენ ავიღე გეზი. პირველი ის გავიფიქრე, რომ ყველაფერი მეთქვა, რაც კი ვიცოდი მკვლელის შესახებ და დაუყოვნებლივ წამომეწყო მისი დევნა, მაგრამ როცა გამახსენდა, თუ რის მოყოლა მომიწევდა, შევყოყმანდი. არსება, რომელიც თვითონვე შევქმენი და გავაცოცხლე, შუაღამისას შემომეფეთა შეურყვნელ მთებში. ის ნერვული ცხელებაც გამახსენდა, რომელიც სწორედ მაშინ განვიცადე, ის რომ შევქმენი და რომელიც ყველას აიძულებს, ჩემ მიერ ნაამბობი, ისედაც არადამაჯერებელი, ცხელებიანის ბოდვად მიიჩნიონ. ვინმე სხვას რომ მოეყოლა მსგავსი ამბავი, თვითონაც გიჟად ჩავთვლიდი ალბათ. თანაც ურჩხული ნებისმიერ დევნას დააღწევდა თავს, თუნდაც ჩემს ახლობლებს იმ დონეზე დაეჯერებინათ ჩემთვის, რომ მას გამოჰკიდებოდნენ. ან კი რა აზრი ჰქონდა გამოდევნებას? ვის შეეძლო იმ არსების შეპყრობა, რომელიც მონ სალევის ფრიალო კლდეებზე დაბობღავდა? ამ მოსაზრებებმა კიდევ უფრო დამარწმუნეს და გადავწყვიტე, გავჩუმებულიყავი.

დაახლოებით დილის ხუთი საათი იქნებოდა, მამისეულ სახლში რომ შევედი. მსახურებს ვუბრძანე, არავინ გაეღვიძებინათ და ბიბლიოთეკაში შევაბიჯე, რომ იქ დავლოდებოდი ოჯახის გაღვიძების ჩვეულ დროს.

ექვსი წელი გავიდა – ამ წლებმა სიზმარივით შეუმჩნევლად ჩაიარა, რომ არ ჩავთვალოთ გამოუსწორებელი დანაკარგი, – და აი, ისევ ვიდექი სწორედ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად გადავეხვიე მამას, ინგოლშტადტისკენ მიმავალი. საყვარელი და პატივცემული მშობელი! ის ჯერ კიდევ შემომრჩენოდა. დედის პორტრეტს შევხედე, ბუხარზე რომ იდგა ჩარჩოში. ეს სურათი, რომელიც მამის შეკვეთით იყო დახატული, მამის კუბოსთან მუხლებზე დამხობილ, აქვითინებულ კაროლინა ბოფორს გამოსახავდა. უბადრუკი ტანსაცმელი ეცვა, ლოყები გაფითრებოდა, მაგრამ ისეთი ღამაზი და ღირსების განცდით დაჯილდოებული იყო, რომ სიბრალული აქ სრულიად უადგილო ჩანდა. იქვე იდგა უილიამის მინიატიურული პორტრეტი. მას

რომ შევხედე, ცრემლად დავიღვარე. სწორედ ამ დროს შემოვიდა ერნესტი, გაეგო, რომ ჩამოვედი და ჩემს შესახვედრად გამოქცეულიყო. ნაღვლიანი სიხარულით მომესალმა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, საყვარელო ვიქტორ, – მითხრა ერნესტმა, – ეჰ, ჯერ კიდევ სამი თვის წინ ყველას ბედნიერს გვნახავდი. ახლა კი ჩვენთან ერთად უნუგეშო მწუხარების გასაზიარებლად ჩამოხვედი. მაინც მჯერა, რომ შენი ჩამოსვლა მამას ცოტათი გაამხნევებს. თვალსა და ხელს შუა დნება. ალბათ შეძლებ საბრალო ელიზაბეტიც დაარწმუნო, რომ საკუთარი თავის ტყუილად გაკიცხვას შეეშვას. საწყალი უილიამი! ჩვენი ნებიერა და ჩვენი სიამაყე.

ჩემს ძმას ცრემლებით აევსო თვალები, მე კი გული შემეკუმშა აუტანელი დარდისგან. აქამდე მხოლოდ წარმოსახვაში ვხედავდი ჩემი შინაურების მწუხარებას, სინამდვილეში ეს არანაკლებ საზარელი აღმოჩნდა. ვცადე ერნესტი დამემშვიდებინა და მამისა და იმის შესახებ დავუწყე გამოკითხვა, ვისაც ჩემს ბიძაშვილს ვუწოდებდი.

– მას ჩვენზე გაცილებით მეტად სჭირდება ნუგეშისცემა, – თქვა ერნესტმა, – საკუთარ თავს მიიჩნევს ძმის დაღუპვის მიზეზად და ეს ბოლოს უღებს. მაგრამ ახლა, როცა დამნაშავე აღმოჩენილია...

– აღმოჩენილი? ღმერთო! ნუთუ ეს შესაძლებელია? ვინ შეიპყრო იგი? ეს ხომ იგივეა, რომ ქარს დაეწიო ან მთიდან გადმოქცეული მდინარე ჩალით შეაჩერო. გარდა ამისა, მე ის დავინახე. ჯერ კიდევ წუხელ ღამით ის თავისუფლად იყო.

– ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობ, – მხრები აიჩეჩა ჩემმა ძმამ, – ჩვენ ამ აღმოჩენამ მთლად გაგვანადგურა. თავდაპირველად არავის სურდა დაჯერება. ელიზაბეტს დღესაც არ სჯერა, მიუხედავად ყველა სამხილისა. ან კი ვინ იფიქრებდა, რომ ჟუსტინა მორიცი, ასეთი კეთილი, ჩვენი ოჯახის ერთგული, შეძლებდა ეგზომ ამაზრზენი დანაშაულის, ასეთი სისასტიკის ჩადენას?

– ჟუსტინა მორიცი? უბედური! აი, თურმე ვის სდებენ ბრალს? ეს ხომ წყლის ნაყვაა და რასაკვირველია, ამის არავის სჯერა, ასე არ არის, ერნესტ?

– თავიდან არ სჯეროდათ, მაგრამ მერე რაღაც გარემოებები გაირკვა, რომლებიც უნებურად გაიძულებენ, დაიჯერო. სამხილებსაც რომ თავი დავანებოთ, ის ისე უცნაურად იქცევა, რომ, სამწუხაროდ, ეჭვი აღარ რჩება... მას დღეს ასამართლებენ და შენ თვითონ მოისმენ ყველაფერს.

მამცნო, რომ იმ დილას, როცა მოკლული საბრალო უილიამი აღმოაჩინეს, ჟუსტინა მოულოდნელად დაავადდა და რამდენიმე დღე ლოგინში გაატარა. სანამ ის ავადმყოფობდა, ერთ-ერთმა მსახურმა მისი კაბა აიღო გასასუფთავებლად, რომელიც მკვლელობის ღამეს სცმოდა, და ჯიბეში დედაჩემის მინიატიურული პორტრეტი უპოვა, სწორედ ის, რომელმაც, როგორც ჩანს, მოხიბლა მკვლელი. მსახურმა მაშინვე მეორე მსახურს გადასცა, მან კი ისე, რომ ბატონებისთვის არაფერი უთქვამს,

პირდაპირ მოსამართლეს წაულო. ამ სამხილის საფუძველზე ჟუსტინა დააპატიმრეს. როცა უთხრეს, რაშიც სდებდნენ ბრალს, უბედურმა თავისი უკიდურესი შეშლილობით კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვები.

ეს ყველაფერი ძალიან უცნაური იყო, თუმცა ჩემი უწინდელი რწმენა არ შეურყევია და მტკიცედ ვთქვი: – თქვენ ყველანი ცდებით, მე ვიცი, ვინ არის მკვლელი. საწყალი კეთილი ჟუსტინა უდანაშაულოა.

ამ წუთას ოთახში მამა შემოვიდა. მწუხარებას მასზე უკვე დაეჩნია ღრმა კვალი, მაგრამ ჩემთან შეხვედრის გამო თავს იმხნევებდა. სევდიანად მომესალმა და სურდა სხვა თემაზე დამლაპარაკებოდა, რომ ჩვენს უბედურებას არ შეხებოდა, მაგრამ უცებ ერნესტმა წამოიყვირა: – ღმერთო ჩემო, მამა! ვიქტორი ამბობს, რომ იცის, ვინ მოკლა საბრალო უილიამი.

– საუბედუროდ, ჩვენც ვიცით ეს, – უპასუხა მამამ, – თუმცა ალბათ ჯობდა საუკუნოდ უმეცრებაში დავრჩენილიყავით, ვიდრე ასეთი სისაძაგლე და უმადურობა აღმოგვეჩინა იმ ადამიანში, რომელსაც ასე ვაფასებდით.

– საყვარელო მამა, თქვენ ცდებით, ჟუსტინა უდანაშაულოა.

– თუ ასეა, ღმერთმა არ ქნას, ის გაასამართლონ. სასამართლო დღეს შედგება და გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ გაამართლებენ.

ამ სიტყვებმა დამამშვიდა. მტკიცედ მწამდა, რომ არც ჟუსტინა და არც ნებისმიერი სხვა ადამიანთა შორის არ იყო გარეული ამ დანაშაულში. ამიტომაც არ მეშინოდა, რომ იპოვიდნენ რაიმე ირიბ სამხილს, რომელიც საკმარისი იქნებოდა მის გასამართლებლად. ჩემი ჩვენების გაცხადება არ შეიძლებოდა, საზარელ ნაამბობს ბრბო ჭკუაშეცდენილის ბოდვად ჩათვლიდა. ჩემ გარდა, თვით შემქმნელის გარდა, ვინ დაიჯერებდა, თუ საკუთარი თვალით არ დაინახავდა, რომ არსებობდა ეს მხეცი, რომელიც თვით მე გამოვუშვი ქვეყანაზე ჩემი პატივმოყვარეობისა და წინდაუხედაობის ცოცხალ მტკიცებულებად?

მალე ელიზაბეტიც გამოვიდა ჩვენთან. დროს შეეცვალა, მას მერე, რაც ბოლოს ვნახე. კიდევ უფრო დაემშვენებინა, მის უწინდელ ბავშვურ მშვენებას ვერც კი შეედრებოდა. იგივე სისუფთავე და იგივე სიხალასე, თუმცა ყველაფერ ამას ემატებოდა გამომეტყველება, რომელიც მის ჭკუასა და მგრძნობელობაზე მიანიშნებდა. ნაზი ამბორით შემეგება.

– საყვარელო ბიძაშვილო, – მომმართა, – შენი ჩამოსვლა იმედით მავსებს. იქნებ შეძლო საცოდავი, სრულიად უდანაშაულო ჟუსტინას ხსნა. თუ მას დამნაშავედ მივიჩნევთ, მაშინ ასეთივე ბრალდებისგან არც ერთი ჩვენგანი არ არის დაზღვეული. მე დარწმუნებული ვარ მის უდანაშაულობაში, ისევე, როგორც საკუთარში. ჩვენი უბედურება ორმაგად მძიმე აღმოჩნდა ჩვენთვის, არა მხოლოდ ჩვენი საყვარელი

ბიჭუნა დავკარგეთ, ამ საბრალო გოგონასაც ვკარგავთ, რომელიც გულით მიყვარს და რომელსაც ალბათ კიდევ უფრო უარესი ხვედრი ელის. თუ მას გაასამართლებენ, მე ველარასდროს გავიხარებ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასე არ მოხდება. და ისევ ვიქნები ბედნიერი, თუნდაც ჩემი პატარა უილიამის გარდაცვალების შემდეგ.

– ის უდანაშაულოა, ელიზაბეტ, – ვუთხარი მე, – და ეს დამტკიცდება. ნურაფრის შეგეშინდება, გამხნევდი და გჯეროდეს. რომ მას გაამართლებენ.

– როგორი დიდსულოვანი და კეთილი ხარ! ყველამ დაიჯერა მისი ბრალეულობა და ეს კიდევ უფრო მზარავს. მე ხომ ნამდვილად ვიცი, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ როცა ხედავ, როგორ არის გარშემო ყველა მის წინააღმდეგ ამხედრებული, შეიძლება მთლად სასო წარგეკვეთოს.

ელიზაბეტი ატირდა.

– საყვარელო, – უთხრა მამამ, – შეიშრე ცრემლები. თუ ის არ არის დაკავშირებული მკვლელობასთან, მაშინ ჩვენი კანონების სამართლიანობას მიენდე, მე კი აუცილებლად ვეცდები, რომ უმცირესი გადაცდენის გარეშე გაასამართლონ.

VIII თავი

რამდენიმე მწუხარე საათი გავატარეთ. თერთმეტზე იყო დანიშნული სასამართლო. რაკი მამა და ოჯახის დანარჩენი წევრები მოწმეების სახით უნდა დასწრებოდნენ სხდომას, გადავწყვიტე მათ ვხლებოდი. სანამ მართლმსაჯულების ეს ფარსი გრძელდებოდა, აუტანელ ტანჯვას განვიცდიდი. ჩემი ცნობისმოყვარეობისა და დაუშვებელი ცდების შედეგად ორი ადამიანი აღმოჩნდა სიკვდილმისჯილი. ერთი მათგანი უმწიკვლო, კისკისა ბავშვი იყო, მეორეს კიდევ უფრო საზარელი სიკვდილი ელოდა, სამარცხვინო და ბოროტმოქმედის მარადიული იარლიყით დადაღული. ჟუსტინა ღირსეული გოგონა გახლდათ, ყველაფერი ჰქონდა ბედნიერი ცხოვრებისთვის, ახლა კი საძრახის სიკვდილს გაუმზადებდნენ – და ამის მიზეზი მე ვიყავი! ათასჯერ მაინც ვამჯობინებდი, საკუთარ თავზე ამეღო ჟუსტინასთვის აკიდებული დანაშაული, მაგრამ მე იქ არ ვიყავი, როცა ეს ყველაფერი მოხდა. ჩემს განცხადებას შეშლილის ნაბოდვრად მიიჩნევდნენ და ვერც იმას ვუშველიდი, რომელიც ჩემ გამო ასეთ განსაცდელში აღმოჩნდა.

ჟუსტინას თავი ღირსეულად ეჭირა. მგლოვიარე იყო. მის ისედაც მომხიბვლელ სახეს მწუხარების გავლენით განსაკუთრებული სილამაზე შეეძინა. უბიწოების სიმშვიდეს ინარჩუნებდა და არც კი კრთოდა, მიუხედავად იმისა, რომ ათასი თვალი სიძულვილით უცქერდა. თანაგრძნობა, რომელიც მის სილამაზეს შეიძლებოდა

გამოეწვია დამსწრეთა შორის, მისთვის აკიდებული კომმარული დანაშაულის შესახებ გაფიქრებისთანავე იკარგებოდა. მშვიდი იყო, თუმცა ჩანდა, ეს სიმშვიდე დიდ ძალისხმევად უღირდა. რაკი მისი დაბნეულობა და შიში თავიდანვე ბრალის დასტურად მიიჩნიეს, ცდილობდა სიმამაცის რაღაც მსგავსი მაინც შეენარჩუნებინა. სასამართლოს დარბაზში შესულმა შეკრებილ ხალხს თვალი მოავლო და მაშინვე დაგვინახა. თვალები ცრემლებმა დაუბინდა, მაგრამ სწრაფად მოერია თავს და სიყვარულითა და სევდით შემოგვხედა, რაც მის უდანაშაულობაზე კიდევ ერთხელ მიანიშნებდა.

სასამართლო სხდომა დაიწყო. ბრალმდებლის სიტყვის შემდეგ, რომელმაც ბრალდება ჩამოაყალიბა, რამდენიმე მოწმე გამოვიდა. გარემოებათა უცნაური დამთხვევა, რაც ჟუსატინას წინააღმდეგ მეტყველებდა, ნებისმიერს გააოცებდა. ვისაც ჩემს მსგავსად არ ჰქონდა უდავო მტკიცებულება, რომ ის არაფერ შუაში იყო. მკვლელობის ღამეს შინ არ აღმოჩნდა, დილით კი რომელიღაც ბაზრის ვაჭარ ქალს იმ ადგილის სიახლოვეს უნახავს, სადაც მოგვიანებით მოკლული ბავშვის გვამი იპოვეს. ქალმა ჰკითხა, რას აკეთებდა იქ, თუმცა მას უცნაურად შეუხედავს მისთვის და რაღაც გაუგებრად ჩაუბუტბუტებია. შინ დაახლოებით რვა საათზე დაბრუნდა და შეკითხვაზე, თუ სად გაატარა ღამე, უპასუხა, რომ ბავშვის საძებნელად იყო წასული, მერე კი შეშფოთებულმა იკითხა, იპოვეს თუ არა. როცა გვამი უჩვენეს, ისტერიკის შეტევა დაემართა და რამდენიმე დღით ლოგინში ჩაწვა. ახლა მას მინიატიურა უჩვენეს, მსახურის მიერ მისი კაბის ჯიბეში ნაპოვნი, და როდესაც ელიზაბეტმა მთრთოლვარე ხმით ამოიცნო მასში სწორედ ის, რომელიც ბავშვს მის გაუჩინარებამდე ერთი საათით ადრე კისერზე ჩამოჰკიდა, მთელ დარბაზს გაოგნებისა და შეშფოთების გმინვა აღმოხდა.

ჟუსტინას ჰკითხეს, რა შეეძლო ეთქვა თავის გასამართლებლად. სანამ საქმის გარჩევა მიმდინარეობდა, ის მკვეთრად შეიცვალა. ახლა სახეზე განცვიფრება და შიში ეწერა. დროდადრო ძლივს იკავებდა ცრემლებს, მაგრამ როცა სიტყვა მისცეს, მთელი ძალები მოიკრიბა და მკაფიოდ, თუმცა კი აკანკალებული ხმით ალაპარაკდა: – ღმერთმა იცის, რომ არაფერი დამიშავებია, მაგრამ ისიც მესმის, რომ მხოლოდ ჩემი რწმუნება არაფერს ნიშნავს. მინდა ის ფაქტები, რომლებიც ჩემ წინააღმდეგ მოწმობენ, მარტივად ავხსნა. იქნებ, მოსამართლეებმა, რომელთაც იციან ჩემი უწინდელი ცხოვრება, კეთილგანწყობილად შეაფასონ ყველაფერი, რაც ახლა მათ შესაძლოა საეჭვოდ ან უცნაურად ეჩვენებათ.

იგი მოჰყვა, რომ ელიზაბეტის ნებართვით მკვლელობის წინა ღამე თავისი დეიდის სახლში გაატარა, სოფელ შენში, ჟენევასთან ახლოს. იქიდან მომავალს, დაახლოებით ცხრა საათისკენ, კაცი შეხვდა, რომელმაც ჰკითხა, ხომ არ უნახავს დაკარგული ბავშვი. ამან ძალიან შეაშფოთა და რამდენიმე საათი ეძებდა მას, მერე კი აღმოაჩინა, რომ ღამით ქალაქის კარიბჭე უკვე დაეკეტათ და ღამის დარჩენილი ნაწილის გატარება ფარდულში მოუხდა, ერთ-ერთ სახლთან, სადაც მას კარგად იცნობდნენ, თუმცა პატრონების გაღვიძების მოერიდა. თითქმის არ სძინებია და დილისკენ, როგორც

ჩანს, მცირე ხნით ჩათვლიმა. ვიღაცის ნაბიჯებმა გააღვიძა. უკვე გათენებულიყო და თავისი თავშესაფრიდან გამოსულმა ისევ ძიება დაიწყო. თუ ამ დროს იმ ადგილის სიახლოვეს აღმოჩნდა, სადაც შემდეგ გვამი იპოვეს, ეს შემთხვევით მოხდა. როცა გვერდით ჩავლილმა ვაჭარმა ქალმა შეკითხვები დააყარა, ალბათ მართლაც დაბნეული ეჩვენა ჟუსტინა, მაგრამ ამის მიზეზი უძილო ღამე და საბრალო უილიამის გამო ღელვა იყო. მინიატიურაზე კი არაფრის თქმა არ შეეძლო.

– მე ვიცი, – განაგრძობდა საბრალო, – რომ ეს სამხილი ჩემთვის საბედისწეროა, მაგრამ ვერაფერს განვმარტავ, მხოლოდ შემიძლია ვიმკითხაო, როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ჩემს ჯიბეში. მაგრამ აქაც დავიბნევი. როგორც ვიცი, მტრები არ მყავს. ხომ არ შეიძლება, რომ ვიღაცას სურდა დაველუპე არაფრის გამო, უბრალო ახირებით. იქნებ, მკვლელმა ჩამიგდო ის? მაგრამ როდის მოასწრებდა ამის გაკეთებას? ხოლო თუ ეს მკვლელი იყო, რატომ უნდა მოეპარა ძვირფასეულობა, თუ მაშინვე მოიცილებდა მას?

მოსამართლეებს მივანდობ ჩემს თავს, თუმცაღა არაფრის იმედი არ მაქვს. თუ შესაძლებელია, დაე ის მოწმეები დაკითხონ, ვისაც შეუძლია ჩემ შესახებ რაიმეს თქმა. თუ მათი ჩვენებების შემდეგაც გადაწყვეტთ, რომ მსგავსი ბოროტების ჩადენა შემიძლია, მაშინ გამასამართლონ, მაგრამ ჩემი სულის ხსნას ვფიცავ, უდანაშაულო ვარ.

რამდენიმე მოწმე დაკითხეს, რომლებიც მას მრავალი წელია იცნობდნენ. მათ ჟუსტინაზე კარგად ილაპარაკეს, თუმცა უსუსურად და უხალისოდ გამოდიოდნენ – ალბათ, მისი სავარაუდო დანაშაულისადმი ზიზღის გამო. როცა დაინახა, რომ ბრალდებულის უკანასკნელი იმედი – მისი შეურყვნელი რეპუტაცია – სადაცაა დაინგრეოდა, უკიდურესი მღელვარების მიუხედავად, ელიზაბეტმა სიტყვა ითხოვა.

– მე უბედურ ბავშვს ნათესავად ვერგები, – დაიწყო ელიზაბეტმა, – თითქმის დად, რადგან მისი მშობლების სახლში გავიზარდე და იქ მის დაბადებამდე ვცხოვრობდი, უფრო ადრეც კი. ამიტომ შეიძლება შემომედავონ, რომ არ უნდა გამოვსულიყავი აქ. მაგრამ ვხედავ, რომ ადამიანი შეიძლება დაიღუპოს თავისი მოჩვენებითი მეგობრების სიმხდალის გამო. ნება მომეცით მეც გამოვიდე და ვთქვა, რაც არის ჩემთვის ცნობილი განსასჯელის შესახებ.

მე მას კარგად ვიცნობ. მასთან ერთად ხუთი წელიწადი ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრე, მერე კიდევ დაახლოებით ორი წელი. მთელი ეს დრო ის უიშვიათესად კეთილ და უმანკო არსებად მესახებოდა. ის ჩემს დეიდას, ქალბატონ ფრანკენშტაინს, სიკვდილამდე გვერდში ედგა, უდიდესი მზრუნველობითა და სიყვარულით, მერე კი თავის დედას უვლიდა, რომელიც დიდხანს და მძიმედ ავადმყოფობდა. ამასაც ისე აკეთებდა, რომ ვინც მას იცნობდა, ყველას აღფრთოვანებას იწვევდა. ამის შემდეგ ისევ ცხოვრობდა ბიძაჩემის სახლში, სადაც ყველას უყვარდა. ძალიან იყო მიჯაჭვული გარდაცვლილ ბავშვთან და ისე ეპყრობოდა, როგორც ყველაზე სათნო დედა. უყოყმანოდ შემიძლია

განვაცხადო, რომ მიუხედავად ყველა სამხილისა, რომელიც მის წინააღმდეგ მეტყველებს, მე მტკიცედ მჯერა მისი უდანაშაულობის. მას დანაშაულის ჩასადენად არავითარი მოტივი არ ჰქონია, ხოლო რაც შეეხება ნივთს, რომელიც მთავარ სამხილად იქცა, მე მას ნებისმიერ დროს მივცემდი, თუკი მოისურვებდა – იმდენად ვაფასებ და პატივს ვცემ ჟუსტინას. ასე რომ, ამ ნივთის მოსაპოვებლად მკვლელობის ჩადენა არ იყო საჭირო.

ელიზაბეტის მარტივმა და დამაჯერებელმა სიტყვამ მოწონების ჩურჩული გამოიწვია, თუმცა მოწონება მისმა დიდსულოვანმა გამოქომაგებამ დაიმსახურა და სულაც არა საბრალო ჟუსტინამ, რომელიც ყველამ კიდევ უფრო მეტად შეიძულა ასეთი „საზიზღარი უმადურობის“ გამო. ელიზაბეტის საუბრისას ჟუსტინა ტიროდა, თუმცა არაფერი უპასუხია.

მე თვითონ გამუდმებით განვიცდიდი ენით აუწერელ ტანჯვას. მჯეროდა ბრალდებულის უდანაშაულობის. მე ვიცოდი ამის შესახებ. ნუთუ ურჩხულმა, რომელმაც ჩემი ძმა მოკლა (მან რომ მოკლა, ამაში წუთითაც აღარ მეპარებოდა ეჭვი), თავისი ჯოჯოხეთური გართობა განაგრძო და საბრალოს ასეთი სამარცხვინო სიკვდილი აჰკიდა? ძალა აღარ მყოფნიდა, კიდევ უფრო მეტხანს ამეტანა ჩემი მდგომარეობის სისასტიკე. ვხედავდი, რომ საერთო აზრმა უკვე გაასამართლა უბედური მსხვერპლი და რომ მოსამართლეებიც აქეთკენ იხრებოდნენ. სასოწარკვეთილი გამოვვარდი სასამართლოს დარბაზიდან. თვით ბრალდებულზე მეტად განვიცდიდი – მას უდანაშაულობის განცდა ასულდგმულებდა, მე კი დაუნდობლად მღრღნიდა სინდისის ქენჯნა.

მთელი ღამე ვიწვალე. დილას სასამართლოსკენ გავემართე. ყელიც და პირიც გამშრალი მქონდა. ვერ ვბედავდი საბედისწერო შეკითხვის დასმას, მაგრამ იქ მიცნობდნენ და სასამართლოს მუშაკები მიხვდნენ ჩემი მისვლის მიზეზს. ჰო, კენჭისყრა უკვე შედგა და ჟუსტინას ერთხმად მიუსაჯეს სიკვდილი.

ვერ აღვწერ იმ განცდას, რაც მაშინ დამეუფლა. შიში ადრეც ნაცნობი განცდა იყო ჩემთვის და ვცდილობდი მეპოვა სიტყვა მის აღსაწერად. მაგრამ ვერავითარი სიტყვით ვერ გადმოვცემ ჩემს მაშინდელ გამოუვალ მდგომარეობას. სასამართლოს ჩინოსანმა, რომელსაც მივმართე, დასძინა, რომ ჟუსტინამ აღიარა დანაშაული. „ეს დასტური აღარც კი იყო საჭირო, – შენიშნა მან, – საქმე ხომ ისედაც ნათელი გახლდათ, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, ჩვენი მოსამართლეებიდან არც ერთს არ უყვარს განაჩენის გამოტანა მხოლოდ ირიბი სამხილების საფუძველზე, რაც უნდა მყარი იყოს ისინი“.

ეს განცხადება მოულოდნელი და უცნაური იყო: მაინც რას ნიშნავს ეს ყოველივე? ნუთუ თვალებმა მომატყუეს? ნუთუ მართლა ის შეპყრობილი ვიყავი, რომლადაც მომწათლავდნენ, თუ ხმამაღლა ვიტყოდი, ვისზე მქონდა ეჭვი? სახლისკენ ავიღე გეზი. ელიზაბეტი მოუთმენლად ელოდა ცნობებს.

– ელიზაბეტ, – მივმართე, – ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც შენ ელოდი, მოსამართლეები ყოველთვის ამჯობინებენ ათი უდანაშაულოს გასამართლებას, ოღონდ კი ერთი დამნაშავე არ შეიწყალონ, მაგრამ მას თვითონ უღიარებია.

ეს სასტიკი დარტყმა იყო საწყალი ელიზაბეტისთვის, რომელსაც მტკიცედ სჯეროდა ჟუსტინას უდანაშაულობის.

– აფსუს, – ჩაილაპარაკა, – ახლა როგორღა უნდა გჯეროდეს ადამიანებში სიკეთის? ჟუსტინა, რომელიც დასავით მიყვარდა, როგორ ახერხებდა ამდენ ხანს უმწიკვლობის გვირგვინის ტარებას? მისი მოწიწებითა და თავმდაბლობით სავსე მზერა მხოლოდ სიკეთეს გამოხატავდა, არადა, მკვლელი გამოდგა...

მალე შევიტყვეთ, რომ საცოდავი ჟუსტინა ჩემს ბიძაშვილთან ითხოვდა შეხვედრას. მამას არ სურდა ელიზაბეტის გაშვება, თუმცა გადაწყვეტილების მიღება მასვე მიანდო.

– კარგი, – ჩაილაპარაკა ელიზაბეტმა, – შევალ მასთან, თუმცა კი დამნაშავეა, მაგრამ შენც გამომყვები, ვიქტორ, მარტო ვერ შევძლებ.

ამ შეხვედრაზე ფიქრიც კი მზარავდა, მაგრამ უარის თქმა არ შეიძლებოდა.

ციხის პირქუშ საკანში შესულებმა ჟუსტინა დავინახეთ, შორეულ კუთხეში ჩალაზე მიმჯდარი. ხელები შეკრული ჰქონდა, თავი ძირს დაეხარა. ჩვენს დანახვაზე წამოდგა, ხოლო როცა მასთან პირისპირ დავრჩით, ელიზაბეტს ფეხებში ჩაუვარდა, მწარედ აქვითინებული. ჩემს ბიძაშვილსაც ტირილი აღმოხდა.

– ო, ჟუსტინა, – უთხრა გოგონას, – რატომ მომტაცე უკანასკნელი ნუგეში? მე მჯეროდა შენი უდანაშაულობის და, მართალია, ძალიან ვდარდობდი, მაინც შედარებით მეტ შვებას ვგრძნობდი, ვიდრე ახლა.

– ნუთუ თქვენც ავსულად მიმიჩნევთ? ნუთუ თქვენც ჩემი მტრების დარად მკვლელად მაღიარებთ? – ხმა ტირილმა ჩაუწყვიტა.

– წამოდექი, ჩემო საბრალო, – უთხრა ელიზაბეტმა, – თუ უდანაშაულო ხარ, რატომ დაემხე მუხლებზე. მე შენი მტერი არ ვარ. მე მჯეროდა შენი უდანაშაულობის, მიუხედავად ყველა სამხილისა, სანამ არ შევიტყვე, რომ თვითონ აღიარე ყველაფერი. გამოდის, ეს ჭორები ყოფილა. დამიჯერე, საყვარელო ჟუსტინა, ვერაფერი შეარყევს ჩემს რწმენას შენდამი, შენი საკუთარი აღიარების გარდა.

– მე მართლაც ვაღიარე, მაგრამ ეს არ იყო სიმართლე. ვაღიარე, რათა ცოდვების მონანიების საშუალება მომეცეს, ახლა კი ეს სიცრუე უფრო მეტად მამძიმებს, ვიდრე ყველა ჩემი ცოდვა. ღმერთმა მაპატიოს! მას მერე, რაც გამასამართლეს, მღვდელს არ მივუტოვებივარ. ისე საშინლად მემუქრებოდა, რომ საკუთარი თავი მეც ურჩხულად ჩავთვალე, როგორც ის მიწოდებდა. მემუქრებოდა, რომ სიკვდილის წინ ეკლესიიდან

გამკვეთდა და ჯოჯოხეთის ცეცხლში მომისროდა, თუ ჩავიკეტებოდი. საყვარელო ქალბატონო, მე ხომ აქ სულ მარტო ვარ, ყველა არამზადად მიმიჩნევს, რომელმაც საკუთარი სული დაღუპა. და რაღა დამრჩენოდა? დავთანხმდი, რომ სიცრუეს დავადასტურებდი, აქედან დაიწყო ჩემი წამებაც.

ჟუსტინა გაჩუმდა და ისევ ატირდა, მერე კი დასძინა: – საშინელება იყო იმაზე ფიქრი, ჩემო კეთილო ქალბატონო, რომ თქვენც დაიჯერებდით ამას, რომ თქვენს ჟუსტინას, რომელიც გიყვარდათ, რომელსაც ასე ეფერებოდა თქვენი დეიდა, ისეთი დანაშაულის ჩადენა შეეძლო, რომლის ჩადენაც თვით ეშმაკს თუ ხელეწიფებოდა მხოლოდ. საყვარელი უილიამი! ჩემი საყვარელი პაწაწა! მალე გნახავ ზეცაში, იქ კი ყველანი ბედნიერები ვიქნებით. ამითღა ვპოულობ შვებას, თუმცა კი ასეთი სამარცხვინო სასჯელისთვის ვარ განწირული.

– ო, ჟუსტინა! მაპატიე, რომ წამით მაინც დავეჭვდი შენში. ტყუილად აღიარე, მაგრამ ნუ დარდობ, ჩემო კარგო. ნუ გეშინია. მე ყველას ვეტყვი შენი უდანაშაულობის შესახებ, მე ამას დავამტკიცებ. ცრემლითა და ვედრებით მოვულბობ ქვის გულებს შენს მტრებს. შენ არ მოკვდები! შენ ჩემი ბავშვობის მეგობარი ხარ, ჩემი და, ეშაფოტზე რატომ უნდა მოკვდე? არა, არა, მე ვერ გადავიტან ასეთ მწუხარებას.

ჟუსტინამ ნაღვლიანად გააქნია თავი.

– სიკვდილის არ მეშინია, – თქვა ჩუმად, – ეს შიში უკვე უკან დარჩა. ღმერთი მოწყალეა, ჩემს სისუსტეს მაპატიებს და მიბოძებს ძალას, ყველაფერს გავუძლო. მალე დავტოვებ ამ მწარე ცხოვრებას. თუ გეხსომებით და გეცოდინებათ, რომ უდანაშაულოდ დავიტანჯე, ჩემს ბედს შევეგუები. საყვარელო ქალბატონო, ჩვენ ღვთის ნებას უნდა დაემორჩილოთ.

მათი საუბრის დროს საკნის კუთხეში მივიკუნტე, რომ ჩემი ტანჯვა დამემალა. სასოწარკვეთა! რა იცით თქვენ მასზე? ის უბედური მსხვერპლიც კი, რომელსაც დილით სიცოცხლისა და სიკვდილის საშინელი მიჯნა უნდა გადაელახა, არ გრძნობდა იმას, რასაც მე – ასეთ ღრმა და გაუსაძლის ძრწოლას. კბილები ამიკაწკაწდა, ერთმანეთზე მაგრად დავაბჯინე და კვნესა აღმომხდა, შიგ გულიდან ამოსული. ჟუსტინა შეკრთა. გაოცებულმა შემომხედა, მომიახლოვდა და მითხრა: – ძალიან კეთილი ხართ, რომ მინახულეთ, სერ. თქვენც ხომ არ მიმიჩნევთ მკვლელად?

პასუხის გაცემის ძალაც არ მქონდა.

– არა, ჟუსტინა, – მიუგო ელიზაბეტმა ჩემ ნაცვლად, – მას კიდევ უფრო მეტად სჯეროდა შენი, ვიდრე მე. მას მერეც კი, რაც გაიგო, რომ გამოტყდი, მაინც შენს უმანკოებას ამტკიცებდა.

– უღრმესი მადლობა მას ამისთვის. ჩემს სასიკვდილო ჟამს ყველას შევწირავ მადლობას, ვინც ჩემზე კარგს ფიქრობს. ჩემნაირი ბედკრულებისთვის ხომ ამაზე

ძვირფასი არაფერია. ეს ასმაგად მგვრის შვებას. თქვენ და თქვენმა ბიძაშვილმა, საყვარელო ქალბატონო, აღიარეთ ჩემი უდანაშაულობა – ახლა უკვე შეიძლება მშვიდად სიკვდილი.

ასე ცდილობდა საბრალო ტანჯული სხვათა და საკუთარი თავის დამშვიდებას. სასურველი სულიერი წონასწორობისა და სიმშვიდისთვის უკვე მიეღწია. მე კი, ჭეშმარიტი მკვლელი, მკერდით ვატარებდი მღრღნელ ჭიას, და არც იმედი არსებობდა ჩემთვის, არც ნუგეში. ელიზაბეტიც დარდობდა და ტიროდა, მაგრამ ესეც ხომ უმანკო ცრემლები იყო, მწუხარება, ღრუბლის მსგავსი მთვარის ნათელ პირისახეზე, რომელიც მას აბუნდოვნებს, მაგრამ ლაქას ვერ დაამჩნევს. მე კი სასოწარკვეთა სულის სიღრმეში გამჯდომოდა, ჯოჯოხეთის ცეცხლი იწვოდა ჩემში, რომელსაც ვეღარაფერი ჩააქრობდა.

ჟუსტინასთან რამდენიმე საათი გავატარეთ, ელიზაბეტს არ ძალუძდა მასთან განშორება.

– შენთან ერთად ვისურვებდი სიკვდილს! – წამოიძახა ელიზაბეტმა, – როგორ ვიცხოვრო ტანჯვა-წამების ამ სამყაროში?

ჟუსტინა ცდილობდა გამხნევებულიყო, მაგრამ ძლივს იკავებდა ცრემლებს. ელიზაბეტს მოეხვია და მალული მღელვარებით სავსე ხმით უთხრა: – მშვიდობით, საყვარელო ქალბატონო, ძვირფასო ელიზაბეტ, ჩემო ერთადერთო და საყვარელო მეგობარო. მოწყალე და მაღალმა ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ. დაე, ეს თქვენი უკანასკნელი დარდი იყოს! დიდხანს იცოცხლეთ, ბედნიერი იყავით და სხვებიც გააბედნიერეთ.

მეორე დღეს ჟუსტინა სიცოცხლეს გამოემშვიდობა. ელიზაბეტის მგზნებარე მჭევრმეტყველებამ ვერ შეარყია მოსამართლეების მტკიცე რწმენა საცოდავის დამნაშავეობაში. არც ჩემმა მღელვარე და აღშფოთებულმა რწმუნებებმა იქონია მათზე გავლენა. როცა მათი ცივი პასუხი, მათი უგრძნობი მსჯელობები მოვისმინე, აღიარება, რომელიც უკვე მზად მქონდა გადმოსახეთქად, ტუჩებზე შემეყინა. ისინი ერთ ჩვეულებრივ გიჟად ჩამთვლიდნენ და ვერც განაჩენის გაუქმებას მივაღწევდი, ჩემი უბედური მსხვერპლისთვის რომ გამოეტანათ. ის ეშაფოტზე მოკვდა, როგორც მკვლელი!

თვითონ გულმოკლული, ჩემი ელიზაბეტის უხმო სევდას ვუყურებდი. და ესეც ჩემ გამო! მამის მწუხარება... გლოვა სულ ცოტა ხნის წინ ბედნიერ ოჯახში – ეს ყველაფერი ჩემი სამგზის წყეული ხელების მიერ ჩადენილი საქმე იყო! თქვენ ტირით, საწყლებო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის თქვენი უკანასკნელი ცრემლები! ისევ და ისევ გაისმება აქ გლოვის ზარი! ფრანკენშტაინი, თქვენი ძმა და ერთ დროს თქვენი მოსიყვარულე მეგობარი, ვინც მზად არის თქვენთვის წვეთ-წვეთობით დაღვაროს მთელი თავისი სისხლი, ვისაც სიხარული არ წარმოუდგენია, თუ ის თქვენს საყვარელ თვალებზე არ აირეკლება, ვისაც სწყურია, ყველა სიკეთით დაგაჯილდოოთ და მთელი ცხოვრება

გემსახუროთ, – სწორედ ის გაიძულებთ მოთქმას, უსასრულო ცრემლების ღვრას, და მცირე იმედიც კი არ აქვს, რომ დაუცხრომელი ბედისწერა ამით გაძღება და ნგრევა მანამდე გაჩერდება, სანამ სამარეში არ პოვებთ შვებასა და ტანჯვისგან გათავისუფლებას!

ასე მოთქვამდა ჩემში წინასწარმეტყველური ხმა, როცა სინდისის ქენჯნით, შიშითა და სასოწარკვეთით დაზაფრული ვხედავდი, როგორ დარდობდნენ ჩემი ახლობლები ჩემი წყეული ცდების პირველი მსხვერპლების, უილიამისა და ჟუსტინას საფლავებზე.

IX თავი

არაფერი არ არის ისეთი გაუსაძლისი, როგორც საზარელი მოვლენების ქარიშხლის კვალდაკვალ ჩამომდგარი უმოქმედობის მკვდარი სიმშვიდე – ის დარი, სადაც აღარ არის ადგილი არც შიშისა და არც იმედისთვის. ჟუსტინა მოკვდა, მან სიმშვიდე პოვა. მე კი ვცოცხლობდი. სისხლი თავისუფლად მიედინებოდა ჩემს ძარღვებში, მაგრამ გული დარდითა და სინანულით მქონდა დამძიმებული, რასაც ვერაფერი შველოდა. ძილი არ მეკარებოდა, ავსულივით დავხეტიალებდი, რამეთუ მართლაც გაუგონარი ბოროტება ჩავიდინე და კიდევ მეტი, გაცილებით მეტი (ამაში დარწმუნებული ვიყავი) მელოდა წინ. იმავდროულად სიყვარულითა და სიკეთის კეთების სურვილით ვიწვოდი. ცხოვრებას საუკეთესო ჩანაფიქრებით შევუდექი, მათ განხორციელებას ვეშურებოდი და მსურდა ახლობლებისთვის სარგებელი მომეტანა. ახლა ყველაფერი დაინგრა, სულის სიმშვიდე, სინდისის სიწმინდე დავკარგე, რაც საშუალებას მომცემდა კმაყოფილს გადამეხედა წარსულისთვის და იმედიანად მეცქირა მომავლისთვის, სინანული და დანაშაულის განცდა მტანჯავდა, წამებათა ჯოჯოხეთში ვიყავი ჩათრეული, ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია.

ეს სულიერი მდგომარეობა ჯანმრთელობას მირყევდა, რომელიც ჯერ კიდევ მთლად არ აღმდგენოდა იმ პირველი დარტყმის შემდეგ. ადამიანებს გავურბოდი. ყველაფერი, რაც სიხარულსა და კმაყოფილებაზე მეტყველებდა, ჩემთვის ტანჯვა იყო; ჩემი ერთადერთი თავშესაფარი მარტოობა გახდა – ღრმა, პირქუში და სიკვდილის მსგავსი.

მამაჩემი ტკივილით ადევნებდა თვალს ჩემს შინაგან ცვლილებებს და სხვადასხვა საბაბით, რომლებიც სუფთა სინდისითა და მართებული ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, ცდილობდა გამძლეობა და სიმამაცე შთაენერგა ჩემთვის და ჩემს თავზე დაკიდებული ბნელი ღრუბელი გაეფანტა.

– ვიქტორ, ნუთუ შენ ფიქრობ, – მითხრა ერთხელ, – რომ მე შენზე ნაკლებად მიჭირს? არავის ჰყვარებია თავისი შვილი უფრო მეტად, ვიდრე მე შენი ძმა მიყვარდა (აქ თვალები ცრემლებით აევსო), მაგრამ ნუთუ ჩვენ ცოცხლების წინაშე არ ვართ

ვალდებულნი? ნუთუ მოვალენი არ ვართ, თავი შევიკავოთ, რომ მათი დარდი არ გავაღრმაოთ? ეს ამავე დროს შენი ვალიც არის საკუთარი თავის წინაშე, რადგან გადამეტებული გლოვა თვითსრულყოფას უშლის ხელს და ყოველდღიური მოვალეობების შესრულებასაც კი, ხოლო ამის გარეშე ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრებისთვის უსარგებლო ხდება.

ეს რჩევები, თუმცაღა საკმაოდ გონივრული, სრულიად უსარგებლო იყო ჩემთვის. მე პირველი ვიჩქარებდი საკუთარი დარდის დამალვას და ახლობლებს ვანუგეშებდი, ჩემს განცდებს რომ არ დამატებოდა სინდისის მწარე გაკვეთილები და მომავლის შიში. მამისთვის მხოლოდ სასოწარკვეთილებით სავსე მზერით შემეძლო მეპასუხა და გულმოდგინედ ვცდილობდი, თვალში ხშირად არ მოვხვედროდი.

იმ დროისთვის ბელრივის აგარაკზე გადავედით. ჩემთვის ზედგამოჭრილი იყო ეს ცვლილება. ჟენევაში ყოფნა მამძიმებდა, რადგან ზუსტად ათ საათზე ქალაქის კარიბჭე იკეტებოდა და ტბაზე ამის შემდეგ დარჩენა აღარ შეიძლებოდა. ახლა თავისუფალი ვიყავი. ხშირად, როცა მთელი ოჯახი იძინებდა, ნავში ვჯდებოდი და წყალში ვატარებდი საათებს. ხანდახან იალქანსაც აღვმართავდი და ქარის მიმართულებით მივცურავდი. ისეც ხდებოდა, ტბის შუაგულამდე მივცურდებოდი და ნავს ტალღების ნებაზე მივუშვებდი, თავად კი ნაღვლიან ფიქრებს მივანდობდი თავს. ბევრჯერ, როცა გარშემო ყველაფერი არამიწიერი სილამაზითა და სიმშვიდით სუნთქავდა და მას მხოლოდ მე ვარღვევდი, თუ არ ჩავთვლით ღამურებსა და ბაყაყებს, ნაპირთან რომ გაბმით ყიყინებდნენ, ბევრჯერ მომნდომებია წყნარ ტბაში ჩაყვინთვა და მის წყალში სამუდამოდ დამალვა ჩემი დარდიანად. მაგრამ სათნო და იმავდროულად ტანჯული ელიზაბეტის შესახებ ფიქრი მაჩერებდა, რომელიც ისე ნაზად მიყვარდა და რომლისთვისაც მე ბევრ რამეს ვნიშნავდი. ვფიქრობდი ასევე მამაზე და მეორე ძმაზე. განა შემეძლო ასე მუხანათურად მიმეტოვებინა ისინი, დაუცველნი, დამეტოვებინა საძულველი ურჩხულის კლანჭებში, რომელიც თვითონვე დავგეშე?

ასეთ წუთებში გულმოკლული ვქვითინებდი და ღმერთს ვევედრებოდი, თუნდაც იმის გამო დაებრუნებინა ჩემთვის სულიერი სიმშვიდე, რომ ჩემი ოჯახის წევრებს საყრდენად და ნუგეშად ვქცეოდი. მაგრამ ესეც მიუღწეველი იყო. სინდისის ქენჯნა ჩემში ყოველგვარ იმედს კლავდა. უკვე ჩავიდინე გამოუსწორებელი ბოროტება და გამუდმებულ შიშში ვცხოვრობდი, რომ ჩემ მიერ შექმნილ მახინჯს მორიგი შავბნელი საქმე არ ჩაედინა. ბუნდოვანი წინათგრძნობა მქონდა, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო დასასრული, რომ ის რაღაც საზარელ დანაშაულს ჩაიდენდა, რომელიც ყველა სხვას გადაფარავდა და გააუფერულებდა. სანამ ცოცხალი რჩებოდა ჩემთვის საყვარელი თუნდაც ერთი არსება, დასაკარგი ჯერ კიდევ ბევრი რამ მქონდა და შიშის საფუძველიც ბლომად იყო.

ენით აუწერელია, თუ როგორ სიძულვილს განვიცდიდი ამ საშინელი გოლიათის მიმართ. მასზე გაფიქრებისასაც კი კბილები მიკაწკაწებდა, თვალები მენთებოდა და მწყუროდა, რაც შეიძლება მალე წამერთმია მისთვის ის სიცოცხლე, რომელიც ასე

დაუფიქრებლად მივანიჭე. როცა მის სიავეს და მის მიერ ჩადენილ ბოროტებებს ვიხსენებდი, შურისძიების წყურვილს მძვინვარებამდე მივყავდი. ანდების უმაღლეს მწვერვალსაც კი მივაღწევდი, იქიდან რომ შემძლებოდა მისი გადმონარცხება. მინდოდა სადმე გადამყროდა, რომ მთელი ჩემი სიძულვილის ძალა მასზე გადმომენთხია და უილიამისა და ჟუსტინას სიკვდილისთვის შური მეძია.

ჩვენს სახლში ნაღველმა დაისადგურა. გადატანილმა ამბებმა მამაჩემს ძალა მთლიანად გამოაცალა და დაასუსტა. ელიზაბეტი დარდს მიეცა, უკვე ვეღარ ანიჭებდა სიხარულს საშინაო საქმეები, ეჩვენებოდა, რომ ნებისმიერი გასართობი გარდაცვლილთა ხსოვნას შეურაცხყოფდა, რომ უდანაშაულოდ დაღუპულებს ცრემლებითა და მარადიული შრომით უნდა მიაგო პატივი. ის აღარ იყო უწინდელი ბედნიერი გოგონა, რომელიც ერთ დროს ტბის ნაპირებზე დანავარდობდა ჩემთან ერთად და ჩვენს საერთო მომავალზე ოცნებობდა. პირველმა დიდმა უბედურებამ – იმათ შორის, რომლებიც ჩვენ გვეგზავნება, რათა ყოველივე მიწიერს დაგვაშოროს, – უკვე მოინახულა იგი და მისმა პირქუშმა ჩრდილმა ელიზაბეტის ღიმილი ჩააქრო.

– როცა ჟუსტინა მორიცის საშინელ სიკვდილზე ვფიქრობ, – ამბობდა ხშირად ელიზაბეტი, – უკვე აღარ შემიძლია სამყაროს ისევე ვუყურო, როგორც აქამდე ვუყურებდი. ყველაფერი, რასაც ვკითხულობდი, ან მესმოდა მანკიერებებისა თუ დანაშაულების შესახებ, ადრე გამონაგონად ან არაკებად მეჩვენებოდა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც შორეულად და განრიდებულად, ახლა კი უბედურებამ ჩვენს სახლში შემოაბიჯა და ადამიანები ურჩხულებად მესახებიან, რომელთაც ერთმანეთის სისხლი სწყურიათ. რა თქმა უნდა, ეს უსამართლობაა. ყველას გულწრფელად სჯეროდა საბრალო გოგონას უმანკოების, ხოლო თუ ის მართლაც ჩაიდენდა იმ დანაშაულს, რომლისთვისაც დასაჯეს, ბოროტმოქმედებს შორის ყველაზე ამაზრზენი იქნებოდა. რამდენიმე ძვირფასი ქვის გამო შენი კეთილისმყოფელებისა და მეგობრების ვაჟი მოკლა, ბავშვი, რომელსაც დაბადებიდან უნანავებდი და ისე ჩანდა, თითქოს საკუთარივით გიყვარდა! არავის ვუსურვებ სიკვდილს, მაგრამ მსგავსი არსების ადამიანთა შორის საცხოვრებლად დატოვებას არ მივიჩნევდი შესაძლებლად. მაგრამ ის ხომ უდანაშაულო იყო? მე ეს ვიცი, მე ამას ვგრძნობ, ასევე შენც, და ეს კიდევ უფრო ამყარებს ჩემს რწმენას. ეჰ, ვიქტორ, თუ სიცრუე ასე შეიძლება ჰგავდეს სიმართლეს, მაშ ვინ შეიძლება ირწმუნოს ბედნიერების? თითქოს უფსკრულის კიდეზე მივაბიჯებ, უშველებელი ბრბო კი უკნიდან მაწვება, სურს ფსკერისკენ გადამჩეხოს. უილიამი და ჟუსტინა დაიღუპნენ, მკვლელი კი დაუსჯელი დარჩა. ის თავისუფალია და შესაძლოა, საყოველთაო პატივისცემითაც კი სარგებლობს. მაგრამ მსგავსი დანაშაულისთვის რომ სიკვდილი მქონდეს მოსჯილი, იმ ბოროტმოქმედს ნამდვილად არ გავუცვლიდი ადგილს.

მესმოდა ეს სიტყვები და თითქოს გულში ხანჯალივით მესობოდა. ჭეშმარიტი მკვლელი ხომ – თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც, მე ვიყავი. ელიზაბეტმა შენიშნა ჩემს სახეზე აღბეჭდილი უსასოობა, ნაზად მომკიდა ხელი: – დამშვიდდი, საყვარელო. ღმერთი ხედავს, როგორ ღრმად ვდარდობ, მაგრამ მაინც არ ვარ ისეთი უბედური,

როგორიც შენ. შენს სახეზე სასოწარკვეთას ვკითხულობ, ხანდახან კი – შურისძიების წყურვილით აღვსილ მრისხანებას, რომელიც ძალიან მაშინებს. საყვარელო ვიქტორ, ამოიგდე თავიდან ეს ბოროტი ვნებები. ახლობლები გახსოვდეს, მათი იმედები ხომ შენკენ არის მომართული. ნუთუ ვერ შევძლებთ შენი ნაღველის გაფანტვას? სანამ ჩვენ გვიყვარს, სანამ ერთმანეთის ერთგულნი ვართ, აქ, სილამაზისა და სიმშვიდის ქვეყანაში, შენს მშობლიურ მხარეში, ჩვენთვის ცხოვრების ყველა სიამე მისაწვდომია და რას შეუძლია ჩვენი სიმშვიდის დარღვევა?

მაგრამ ეს სიტყვებიც კი, იმ ადამიანის მიერ თქმული, რომელიც ჩემთვის ბედის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო, ვერ გამიფანტავდა იმ უიმედობას, რომელიც ჩემს გულს დაეუფლა. ვუსმენდი და სულ უფრო მეტად ვუახლოვდებოდი, თითქოს მეშინოდა, რომ სწორედ ამ ნეტარ წუთს ცოფიანი მხეცი მას ხელიდან მომტაცებდა.

ამრიგად, არც მეგობრობის სიამეს, არც მიწისა და ცის სილამაზეს არ შეეძლო ჩემი სულის წყვდიადიდან გამოტაცება და სიყვარულის გამომხატველი სიტყვებიც კი უძლური იყო. ღრუბელში ვიყავი გახვეული, რომელიც კეთილი ზემოქმედებისთვის შეუვალი იყო. დაჭრილ ირემს ვგავდი, რომელიც ჯაგნარში იკარგება და იქ აღმოხდება სული, მისი დამჭრელი ისრის ჭვრეტაში.

ხანდახან ვახერხებდი მრუმე ფიქრების დამარცხებას, მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ ჩემ შიგნით მქროლავი ქარიშხალი მაიძულებდა, წამებისგან შვება ფიზიკურ მოძრაობასა და ადგილის გამოცვლაში მეპოვა. ერთ-ერთი ასეთი შემოტევის დროს მოულოდნელად დავტოვე სახლი და მეზობელი ალპური ველებისკენ გავემართე, რათა მათი მარადიული მშვენების ცქერით მეიძულებინა თავი, ადამიანური უბედურებები დამევიწყებინა. გადავწყვიტე, შამონიმდე მიმეღწია. პატარობისას არაერთხელ ვყოფილვარ იქ. მას მერე ექვსი წელი გავიდა, არაფერი შეცვლილა ამ პირქუშ პეიზაჟში – მე კი რა დამემართა?

გზის პირველი ნახევარი ცხენზე ამხედრებულმა გავიარე, მერე კი ჯორი ვიქირავე, გაცილებით უფრო ამტანი და საიმედო მთის დაკლაკნილ ბილიკებზე. შესანიშნავი ამინდი იდგა. აგვისტოს შუა პერიოდი იყო, ორი თვე გასულიყო ჟუსტინას თავის მოკვეთის შემდეგ – იმ შავი დღეების შემდეგ, რომელთაც სათავე დაუდეს ჩემს ტანჯვას. აუტანელი და უღელივით დაწოლილი ტვირთი თითქოს ცოტა შემსუბუქდა, როცა არვეს ხეობაში შევედი. გიგანტური მთები, გარშემო შემოჯარულები, მდინარის ხმაური, რომელიც გამძვინვარებული ეხეთქება ლოდებს, შადრევნების გუგუნი – ყველაფერი მეტყველებდა მამაზეციერის ძლევამოსილებაზე და ვივიწყებდი შიშს, არ მინდოდა ვინმეს წინაშე შიშით მეძრწოლა, გარდა ყოვლისშემძლე შემოქმედისა და სტიქიების მბრძანებლისა, იმ სტიქიების, რომლებიც აქ სრულად წარმოდგებოდა მთელი თავისი მრისხანე სიდიადით. რაც უფრო მაღლა მივიწევდი, მით უფრო მშვენიერდებოდა ხეობა. დამრეც ფერდობებზე, რომლებიც ფიჭვებით იყო მოფენილი, ციხესიმაგრეების ნანგრევები მოჩანდა. ქარიშხლიანი არვე, ხეებს შორის აქა-იქ სოკოებივით ჩაწყობილი სამონადირეო ქოხები – ეს ყველაფერი იშვიათი სილამაზის

სანახაობას ქმნიდა. მაგრამ ჭეშმარიტ დიდებულებას მას მძლავრი ალპები ანიჭებდნენ, რომელთა მოელვარე თეთრი პირამიდები და გუმბათები ყველაფერზე მაღლა აზიდულიყვნენ, სხვა სამყაროს მოჩვენებასავით, ჩვენთვის უხილავი არსებების სამყოფელივით.

პელისიეს ხიდზე გადავედი, სადაც მდინარით გადაშიშვლებული ხეობა გადამეშალა თვალწინ და მთაზე დავიწყე აცოცება, რომელიც მის თავზე აღმართულიყო. მალევე შევაბიჯე შამონის დაბლობზე. ეს მდელო კიდევ უფრო დიდებული იყო, თუმცაღა ნაკლებად ფერადი, ვიდრე სერვოს ხეობა, რომელიც ეს-ესაა გადავლახე. მას მჭიდროდ ეკვროდნენ მაღალი თოვლიანი მთები, მაგრამ აქ ველარ შენიშნავდით ძველებურ ციხესიმაგრეებსა და ნაყოფიერ მინდვრებს. გიგანტური მყინვარები ზედ გზაზე გამოშვერილიყო, თოვლიანი ზვავების ყრუ გუგუნი მესმოდა და თეთრი მტვრის ღრუბლებს ვხედავდი, რომელიც მის კვალდაკვალ მიცურავდა. გარემომცველ მწვერვალებს შორის დიდებული და მეფური მონბლანი გადმოკიდულიყო, მისი უშველებელი თაღი მთელ ხეობას მბრძანებლობდა.

ამ მგზავრობის დროს არაერთხელ მომიცვა დიდი ხნის განუცდელმა სიხარულმა. გზის რომელიმე შესახვევი, რომელიღაც ახალი საგანი, ჩემთვის მოულოდნელად ნაცნობი, წარსულ დღეებს, ბავშვობის უდარდელ სიამეებს მახსენებდა. თვით ქარი რაღაც დასამშვიდებელს ჩამჩურჩულებდა და ბუნება დედობრივი ალერსით მარწმუნებდა, აღარ მეტირა. მაგრამ მოჯადოება ისევ უცაბედად იფანტებოდა და ისევ ჩემი დარდის ტყვეობაში ვებმებოდი, მტანჯველ ფიქრებს მივეცემოდი. ასეთ შემთხვევებში ჯორს დეზებს ვკრავდი, თითქოსდა ვცდილობდი მთელ სამყაროს გავქცეოდი, ჩემს დარაჯსა და საკუთარ თავს – ან ავჩქარდებოდი და სასოწარკვეთილი თავით ბალახში ვემხობოდი, ძრწოლითა და დარდით დათრგუნული.

ბოლოს და ბოლოს შამონის სოფლამდე მივაღწიე. გზაში განცდილმა სხეულისა და სულის გადაღლილობამ აქ მიწია.

ქოხს შევაფარე თავი. მცირე ხანს ფანჯარასთან ვიჯექი, მონბლანის თავზე ანთებულ ელჭექის ციალს ვაკვირდებოდი და არვეს გრგვინვა მესმოდა, რომელიც შორს, ქვემოთ აგრძელებდა თავის ხმაურიან გზას. ამ ხმებმა იავნანასავით დააწყნარა ჩემი შფოთვა. როგორც კი ბალიშზე მივდე თავი, ძილი მომეპარა. მისი მობრძანება ვიგრძენი და ამ ნეტარი თრობის მომმღვნელი დავლოცე.

X თავი

მთელი შემდგომი დღე ხეობაში დავბოდიალებდი. არვეირონის სათავეებთან ვიდექი, რომელიც ხეობის გადამკვეთი მწვერვალებიდან მდორედ გადმოცოცებულ

მყინვართან იღებს სათავეს. ჩემ წინ გოლიათი მთების ციცაბო კალთები ეფინა, თავს ზემოთ მყინვარის ყინულის კედელი აღმართულიყო, გარშემო მათ მიერ დამტვრეული ფიჭვები მიმოფანტულიყო. ბუნების ამ მეფური დარბაზების საზეიმო მდუმარებას მხოლოდ მდინარის ხმაური არღვევდა, დროდადრო კი – ღოდების დაცემა, ზვავის გრგვინვა ან ერთად თავმოყრილი ყინულების ყრუ გაბზარვა, ისინი ხომ რაღაც განსაკუთრებულ კანონს დამორჩილებულნი ზოგჯერ ტყდებიან, როგორც სათუთი სათამაშოები. ეს დიდებული სანახაობა დიდებულ ნუგეშსვე მანიჭებდა, რომლის აღქმაც შემეძლო. ის ამამაღლებდა წვრილმან გრძნობებზე და თუ დარდს ვერ მიქარვებდა, ცოტათი მაინც ანელებდა და ამსუბუქებდა. ნაწილობრივ ფანტავდა ჩემს ფიქრებს, რომლებიც უკანასკნელი თვის განმავლობაში მიღრღნიდა გულს. როცა იმ ღამით დასაძინებლად დავწექი, სიზმრებისკენ ყველა ის დიდებული სახე მიმაცილებდა, რომლებსაც დღისით ვჭვრეტდი. ყველანი ჩემს სასთუმალთან შეიკრიბნენ: უმანკო თოვლიანი მთებიც, ყინულით მოელვარე მწვერვალებიც, ფიჭვებიც და კლდოვანი კანიონიც – ყველა გარს შემომევლო და სიმშვიდეს შემპირდა.

მაგრამ სად მიიმალნენ ისინი ჩემი გამოღვიძებისას? გამოფხიზლებასთან ერთად თვალს მიეფარა ყველა აღმაფრთოვანებელი ხილვა და სული კვლავ შავმა ნაღველმა ჩაითრია. წვიმა ნაკადულებად იღვრებოდა, მთების მწვერვალები ხშირ ნისლში ჩაიძირა და უკვე აღარ შემეძლო ჩემი ძლევამოსილი მეგობრების ნახვა. მაგრამ მზად ვიყავი ნისლის ფარდა გამერღვია და მათ მიღმიერ განმარტოებაში შევჭრილიყავი. წვიმა და ავდარი როგორ შემაჩერებდა? ჩემი ჯორი მომგვარეს და გადავწყვიტე, მონტანვერის მწვერვალზე ავსულიყავი. მახსოვდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ბუმბერაზ, მარად მოძრავ მყინვართან შეხვედრამ. მან აღტაცების ფრთები შემასხა. ჩემი სული სიბნელიდან სინათლისა და სიხარულისკენ აიტაცა. ბუნების ძლევამოსილებისა და დიდებულების ჭვრეტა ყოველთვის საზეიმოდ განმაწყობდა, მაიძულებდა ნებისმიერი ცხოვრებისეული საზრუნავი დამევიწყებინა. გადავწყვიტე მეგზურის გარეშე ავსულიყავი მთაზე, რადგან შესანიშნავად ვიცოდი გზა, უცხო ადამიანის თან ხლება კი მხოლოდ დაარღვევდა ამ უდაბური ადგილების პირქუშ დიდებულებას.

მთის ფერდობი ძალიან ციცაბოა, ბილიკი კი ზამბარისებურად იკლაკნება, დაქანების გადალახვაში ეხმარება მთამსვლელს. გარშემო უკაცრიელი და ველური მიდამოებია. ყოველ ნაბიჯზე ზვავების ნაკვალევია: მიწაზე დაცემული ხეები, ან მთლად გადახლეჩილი, ან მოკაკვული, კლდეების შვერილებზე დაწოლილი ან ერთმანეთზე დალაგებული. რაც უფრო მაღლა მიიწევ, ბილიკს სულ უფრო ხშირად კვეთს დათოვლილი ნაკადულები, რომლებშიც წამდაუწუმ ცვივა ქვები. განსაკუთრებით საშიში აქ ერთი რამაა: საკმარისია ჰაერის უმცირესი ძვრა, ერთი ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვა, რომ მოლაპარაკეს თავზე ჩამოექცეს ყველაფერი. ფიჭვები აქ არც მოხდენილობით და არც სილამაზით გამოირჩევა. მათი უღიმღამო სილუეტები კიდევ უფრო უსვამენ ხაზს ლანდშაფტის სიმკაცრეს. ქვემოთ გადავიხედე, ხეობაში, ნაკადულის თავზე ნისლი მოცურავდა, მისი ქულები მჭიდროდ ეფარებოდა მეზობელ

მთებს, რომელთაც თავიანთი წვერები ღრუბლებში ჩაემალათ, მუქი ციდან წვიმა მოდიოდა, რომელიც საერთო პირქუშ შთაბეჭდილებას სრულყოფილს ხდიდა. ნეტავ რატომ ამაყობს ასე ადამიანი იმ გრძნობებით, რომლებიც მას ცხოველებზე აღამაღლებს? ეს გრძნობები მხოლოდ ამრავლებს ჩვენი საჭიროებების რაოდენობას. ჩვენი გრძნობები რომ შიმშილით, წყურვილითა და ჟინით შემოიფარგლებოდეს, თითქმის თავისუფლები ვიქნებოდით. ახლა კი ქარის თითოეულ დაბერვას, ნებისმიერ შემთხვევით სიტყვას თუ ამ სიტყვის მიერ გამოწვეულ მოგონებას ვემორჩილებით.

იქნება, გეძინოს და ეწამო ძილში, ან ბოღმა გტანჯავდეს შავი, იქნება, ფხიზელსაც გიპყრობდეს შიში, ან გართობას მისცე თავი.

ყოველი გაივლის სულ მოკლე ხანში, – ბედისწერა ხომ ასე ღაღადებს.

დღეს არ ჰგავს ხვალეს სულ არც ერთ წამში, მხოლოდ ცვალებადობაა მარადი...

დრო შუადღეს უახლოვდებოდა, როცა მწვერვალს მივაღწიე. მცირე ხანს კლდეზე ჩამოვჯექი, რომელიც გაყინულ ზღვას დაჰყურებდა. როგორც გარშემო მთები, ისიც ნისლში ცურავდა. მაგრამ მალე ქარმა გაფანტა ბურუსი და ქვემოთ დავეშვი. ტბის ყინულიანი ზედაპირი არათანაბარი იყო, აღელვებული ზღვის ტალღებს ჰგავდა და ღრმა ნაპრალებს დაესერა. ყინულოვანი ველის სიგანე დაახლოებით ერთ ლიეს შეადგენდა, მაგრამ მის გადასალახავად თითქმის ორი საათი დამჭირდა. მეორე ნაპირზე მთას ფრიალო კლდე ედგა. მონტანვერი ახლა ჩემ პირისპირ იყო, ერთი ლიეს მანძილზე, მის უკან კი დიდებულად აღმართულიყო მონბლანი. კლდის გამოქვაბულთან შევჩერდი, შეუდარებელი ხედით ვტკბებოდი. ყინულის ზღვა, უფრო ზუსტად კი ფართო მდინარე გაწოლილიყო მთებს შორის, მათი ნათელი მწვერვალები ყინულის ყურეებს ეკიდა. ჩემმა გულმა, ამდენი ხნის ნატანჯმა, რაღაც აღტკინების მსგავსი განიცადა. წამოვიძახე: „ო, გარდაცვლილთა სულებო! თუ აქ დანავარდობთ და ვიწრო კუბოებში არ განისვენებთ, მომეცით უფლება, ეს ბედნიერების მსგავსი რაღაც შევიგრძნო ან თან წამიყვანეთ, ყველა ცხოვრებისეულ სიამეს მომაცილეთ!“

სწორედ ამ წამს დავინახე ადამიანი, რომელიც ჩემკენ საოცარი სისწრაფით მოემართებოდა. ყინულში გაჩენილ ნაპრალებს ახტებოდა, რომელთა შორის მე ასე ფრთხილად გამოვიკვლიე გზა. შორიდან ჩვეულებრივ ადამიანზე უფრო მაღალი ჩანდა. მოულოდნელი სისუსტე ვიგრძენი და თვალთ დამიბნელდა, მაგრამ ცივმა მთის ქარმა მალე მომიყვანა გონს. როცა კაცი მომიახლოვდა, მასში საძულველი სანახაობა, ჩემ მიერ შექმნილი ნაძირალა შევიცანი. მრისხანებისგან ამაკანკალა, გადავწყვიტე დავლოდებოდი და სასიკვდილო ორთაბრძოლაში ჩავბმოდი.

ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი, სახეზე საშინელი ტანჯვა და იმავდროულად ზიზღი ეწერა. მისი არაბუნებრივი სიმახინჯის ყურება თითქმის აუტანელი იყო ადამიანის თვალისთვის, მაგრამ ეს თითქმის არ შემინიშნავს. სიძულვილმა და ბრაზმა

თავდაპირველად მეტყველების უნარიც კი წამართვა. გონს მოსულმა გამძვინვარებული და ზიზღით სავსე სიტყვების ჯერი მივუშვი.

– ურჩხულო! – წამოვიყვირე, – როგორ ბედავ ჩემთან მოახლოებას? როგორ არ გეშინია ჩემი შურისძიების? წაეთრიე აქედან, საძაგელო მხეცო! ან არა, მოიცადე, ახლავე ფერფლად გაქცევ! ო, ნეტავ შემეძლოს, წაგართვა ეს საძულველი სიცოცხლე, აღვადგინო ამით ის უბედურები, რომლებიც ასეთი ჯოჯოხეთური სისასტიკით გამოასალმე წუთისოფელს!

– ველოდი ასეთ შეხვედრას, – მშვიდად თქვა დემონმა, – ადამიანებს ახასიათებთ უბედურთა შეჩვენება. როგორ შეიძლება ვიყო საძულველი მე, რომელიც ყველა ცოცხალზე უფრო ბედკრული ვარ! შენც კი, ჩემი შემქმნელი, ვერ მიტან და უარმყოფ შენს ქმნილებას, არადა ჩემთან ისეთი ძაფებით ხარ დაკავშირებული, რომლის გაწყვეტა მხოლოდ ერთ-ერთი ჩვენგანის სიკვდილს შეუძლია. შენ ჩემს მოკვლას აპირებ. მაგრამ როგორ შეგიძლია სიცოცხლესთან ასე თამაში? შეასრულე შენი ვალი ჩემთან და მაშინ მეც შევასრულებ ჩემსას – შენ წინაშე და კაცობრიობის წინაშე. თუ ჩემს პირობებს მიიღებ, ყველას თავს დაგანებებთ, ხოლო თუ უარს მეტყვი, სიკვდილს ყველა შენი დარჩენილი ახლობლის სისხლით გავაძღებ.

– საძულველო მხეცო! ხორცშესხმულო ეშმაკო! ჯოჯოხეთის ტანჯვა არ არის საკმარისი, რომ შენი ბოროტმოქმედებანი გამოისყიდო. წყეულო! და შენ მსაყვედურობ მე იმის გამო, რომ შეგქმენი? მაშ მომიახლოვდი და შენში სიცოცხლის იმ ნაპერწკალს ჩავაქრობ, რომელიც ასე წინდაუხედავად ავანთე.

ჩემს მძვინვარებას საზღვარი არ უჩანდა. მისკენ გავექანე, ყველა იმ გრძნობით შეპყრობილი, რასაც კი შეუძლია ერთ ცოცხალ არსებას აიძულოს, სხვისი სიცოცხლე სწყუროდეს.

ჩემი დარტყმა იოლად აიცილა თავიდან და მითხრა: – დამშვიდდი! გაფიცებ, მომისმინე, სანამ ჩემს უბადრუკ თავზე შენს მრისხანებას გადმოანთხევ. ნუთუ ცოტა ვიტანჯე, რომ გსურს ჩემს წამებას ახალი დაუმატო? სიცოცხლე, თუნდაც ვარამით სავსე, მაინც ძვირფასია ჩემთვის და მას ბოლომდე დავიცავ. არ დაგავიწყდეს, შენ მე ისეთი ძალა მომანიჭე, რომელიც შენსაზე უპირატესია. მე შენზე უფრო ტანმაღალი და მოქნილი ვარ. არ ვაპირებ შენთან ბრძოლას, მე, შენი ქმნილება. მზად ვარ, ჩემს მბრძანებელს მორჩილად ვემსახურო, თუ ჩემ წინაშე საკუთარ მოვალეობას შეასრულებ. ო, ფრანკენშტაინ, ნუთუ ყველას წინაშე იქნები სამართლიანი, ჩემ გარდა, რომელსაც ყველაზე მეტი უფლება აქვს, შენი სამართლიანობისა და ალერსის იმედიც კი ჰქონდეს? გაიხსენე, შენ არ შემქმენი? მე შენი ადამი უნდა ვყოფილიყავი, არადა, დაცემულ ანგელოზად ვიქეცი, რომელიც უდანაშაულოდ განარიდე ნებისმიერ სიხარულს. ყველგან ბედნიერებას ვხედავ და მხოლოდ მე არ მერგო იგი. მოკრძალებული და კეთილი ვიყავი, მაგრამ უბედურებამ ბოროტ დემონად გადამაქცია. მაქციე ბედნიერად და ისევ კეთილი გავხდები.

– მომშორდი! არ მინდა შენი მოსმენა. ჩვენი ურთიერთობა შეუძლებელია, ჩვენ მტრები ვართ. გამეცალე! ან ძალები მოვსინჯოთ ორთაბრძოლაში, რომელშიც ერთი ჩვენგანი უნდა დაიღუპოს.

– როგორ გავალღო შენი გული? ნუთუ ვერავითარი ვედრება ვერ გაიძულებს, გულმოწყალედ შემოხედო შენს ქმნილებას, რომელიც სიბრალულს გთხოვს? დამიჯერე, ფრანკენშტაინ, მე კეთილი ვიყავი, ჩემი სული ადამიანებისადმი სიყვარულით იწვოდა, მაგრამ მე ხომ მარტო ვარ, უზომოდ მარტო! შენც კი, ჩემს შემქმნელს, მხოლოდ ზიზღს გგვრი. სხვა ადამიანებისგან რაღას უნდა ველოდო, რომლებიც ჩემ წინაშე არანაირად არ არიან ვალდებულნი? ისინი ვერ მიტანენ და ხელს მკრავენ. თავშესაფარს უდაბურ მთებში ვპოულობ, პირქუშ მყინვარებში. უკვე რამდენი დღეა აქ დავეხეტები. ყინულოვანი გამოქვაბულები, რომლებიც მხოლოდ მე ვერ მაშინებენ, სახლის მაგივრობას მიწევენ. ეს ერთადერთი ადგილია, საიდანაც ადამიანებს არ შეუძლიათ ჩემი გაძევება. შევხარი ამ მოქუფრულ ცას, რამეთუ ის გაცილებით უფრო კეთილია ჩემ მიმართ, ვიდრე შენი მოძმე ადამიანები. მათ უმრავლესობას ჩემი არსებობა რომ სცოდნოდა, ისევე მოიქცეოდნენ, როგორც შენ და ჩემს განადგურებას შეეცდებოდნენ შეიარაღებული ხელებით. განა არ არის გონივრული, რომ მძულს ისინი, ვისაც მე ვძულვარ? მტრებთან გარიგებაზე არ წავალ. რაკი მე ვარ უბედური, დაე ისინიც იტანჯონ. თუმცა შენ შეგიძლია მე გამაბედნიერო და ამით ისინიც იხსნა უბედურებებისგან – მერედა როგორი უბედურებებისგან! მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, რომ არა მხოლოდ შენი ახლობლები, არამედ ათასობით სხვა არ დაიღუპოს ჩემი მძვინვარების მორევში. შემიბრალე და ნუ მკრავ ხელს. მოისმინე ჩემი მონათხრობი. მერე კი ან შემიცოდე ან განმირიდე, თუ ჩათვლი, რომ ეს დავიმსახურე. ადამიანური კანონებითაც კი, რაოდენ სასტიკიც უნდა იყოს ისინი, დამნაშავეს თავისი დაცვისთვის სიტყვის თქმის უფლებას აძლევენ, სანამ გაასამართლებენ. მომისმინე, ფრანკენშტაინ. შენ მე მკვლელობაში მდებ ბრალს, თვითონ კი მშვიდი სინდისით მზად ხარ შენ მიერვე შექმნილი არსება მოკლა. აი ისიც, ადამიანების ნაქები სამართლიანობა! მე ხომ არ გთხოვ ჩემს შეცოდებას, მხოლოდ მომისმინე. მერე კი, თუ შეძლებ, საკუთარი ხელით შექმნილი საკუთარი ხელითვე გაანადგურე.

– რისთვის უნდა შემახსენო ის მოვლენები, – მივუგე მე, – რომელთა უბადრუკ დამნაშავედაც ვცნობ თავს ძრწოლით? წყეულიმც იყოს ის დღე, როცა პირველად იხილე დღის შუქი, საძაგელო მხეცო! და წყეულიმც იყოს ის ხელები, რომლებმაც შენ შეგქმნეს, თუნდაც ეს ჩემი საკუთარი ხელები იყოს! შენ მე უსაზღვრო ტანჯვა მომაყენე. უკვე ძალა არ მაქვს გადავწყვიტო, სამართლიანად ვიქცევი თუ არა. გამშორდი! მომაცილე თავიდან შენი საძულველი სახე.

– აი, როგორ მოგაცილებ მას, ჩემო შემქმნელო, – მითხრა და თავისი საზარელი ხელები ამაფარა, რომლებიც მაშინვე გაბრაზებულმა მოვიცილე, – და მაინც შენ შეგიძლია მომისმინო და შემიცოდო. ამას გთხოვ იმ ღირსებების სახელით, რომლებსაც ერთ დროს ვფლობდი. მოისმინე ჩემი ნაამბობი; ის ხანგრძლივი და

უჩვეულო იქნება, აქაური სიცივე კი შენი სათუთი ორგანიზმისთვის სახიფათოა. მთის ქოხს შევაფაროთ თავი. მზე ჯერ კიდევ მაღლაა ცაზე. სანამ ის დაეშვება და თოვლიან მწვერვალებს მიეფარება, სხვა ქვეყნებს გაანათებს, შენ ყველაფერს შეიტყობ და მაშინ განმსჯი კიდეც. შენზეა დამოკიდებული გადაწყვიტო: სამუდამოდ განვერიდო ადამიანებს და არავის მოვუტანო ამით ზიანი თუ კაცობრიობის მათრახად ვიქცე და პირველ რიგში შენ დაგღუპო.

ამ სიტყვებით ყინულებისკენ გასწია. მეც უკან მივყევი. მეტისმეტად აღელვებული ვიყავი და არაფერი მიპასუხია მისთვის. მაგრამ მის უკან მიმავალმა გავიაზრე ყველაფერი მის მიერ თქმული და გადავწყვიტე, მომესმინა მისი მონათხრობი. ამისკენ გარკვეულწილად ცნობისმოყვარეობა მიბიძგებდა, ნაწილობრივ კი თანაგრძნობა. იგი ჩემი ძმის მკვლელად მიმაჩნდა და მსურდა საბოლოოდ დამედგინა ჭეშმარიტება. გარდა ამისა, პირველად გავაცნობიერე შემქმნელის მოვალეობა ჩემი ქმნილების წინაშე და მივხვდი, რომ ვალდებული ვიყავი მისი ბედნიერება უზრუნველმეყო, სანამ ბოროტმოქმედებებში დავდებდი ბრალს. ამან მაიძულა, მის თხოვნას დავთანხმებოდი.

ყინულოვანი ველი გადავკვეთეთ და საპირისპირო მხარეს აღმართული კლდოვანი მთისკენ დავიძარით. ციოდა, წვიმა განახლდა, ქოხში შევედით. დემონი – გახარებული სახით, მე კი – საშინლად დათრგუნული. მაგრამ მოსასმენად მოვემზადე. ცეცხლთან მივჯექი, რომელიც ჩემმა საძულველმა თანამგზავრმა გააჩაღა და ასე დაიწყო მან თავისი ამბავი.

XI თავი

ჩემი ცხოვრების პირველ წამებს ძნელად ვიხსენებ: ჩემთვის ისინი თითქოს ნისლშია გახვეული. ერთბაშად მომაწყდა უამრავი შეგრძნება: დავიწყე დანახვა, განცდა, მოსმენა და სუნის აღქმა, და ეს ყველაფერი ერთდროულად. არც ისე ცოტა დრო დამჭირდა, სანამ ვისწავლიდი შეგრძნებების გარჩევას. მახსოვს, რომ ძლიერმა შუქმა მაიძულა თვალები დამეხუჭა. წყვდიადმა მომიცვა და შემეშინდა. ალბათ, ისევ გავახილე თვალები და ისევ განათდა. სადღაც წავედი, მგონი, სადღაც ქვემოთ, და აქ ჩემს გრძნობებში თანდათან რაღაც გაირკვა. თავდაპირველად ბნელი, სქელი საგნებით ვიყავი მოცული, რომლებიც მიუწვდომელი იყო აღსაქმელად. მერე კი აღმოვაჩინე, რომ თავისუფლად გადაადგილების უნარი მქონდა, თითოეული დაბრკოლებისთვის კი შემეძლო გადამებიჯებინა ან გვერდი ამევლო. მკვეთრი შუქისა და სიცხისგან გათანგული ჩრდილიანი ადგილის ძებნას შევუდექი. ინგოლშტადტის ახლოს ტყეში აღმოვჩნდი, იქ ნაკადულთან ვისვენებდი, სანამ შიმშილი და წყურვილი არ განვიცადე. მათ გამომაფხიზლეს. კენკრა გავკირკნე, რომელიც ბუჩქებზე ეკიდა და

მიწაზე ეყარა, წყურვილი კი ნაკადულის წყლით მოვიკალი. ამის მერე დავწექი და დავიძინე. რომ გამეღვიძა, უკვე შებინდებულიყო. გავიყინე და ინსტინქტურად შემეშინდა მარტოობის. ჯერ კიდევ შენს სახლში, სიცივე რომ ვიგრძენი, რაღაც ტანსაცმელი მოვისხი, მაგრამ არასაკმარისად მიცავდა ღამის ცვრისგან. საწყალი ვიყავი, უძლური და უბედური, არაფერი ვიცოდი და არაფერი მესმოდა, მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ ვიტანჯებოდი, – და ავტირდი.

მალე ცა სუსტმა შუქმა გაანათა და ამან გამახარა. ხეებიდან რაღაც ნათება ამოიმართებოდა. გავოცდი. წყნარად ამოდიოდა, მაგრამ უკვე ასხივებდა ბილიკს ჩემ წინ და ისევ შევუდექი კენკრის ძებნას. მციოდა, მაგრამ ხის ქვეშ ვიღაცის ლაბადა ვიპოვე, მასში გავეხვიე და მიწაზე დავჯექი. თავში არავითარი მკაფიო აზრი არ მქონია. ყველაფერი ბუნდოვანი იყო. ვგრძნობდი სინათლეს, სიცივეს, წყურვილს, სიბნელეს. ჩემს სმენას ურიცხვი ბგერა ავსებდა, ყნოსვა უამრავ სურნელს აღიქვამდა. ერთადერთი, რასაც ნათლად ვარჩევდი, იყო მთვარის დისკო – და მისკენ მივმართე გახარებული მზერა.

ღამე არაერთხელ შეუცვლია დღეს, ნათელი დისკო კი მკვეთრად შემცირდა, სანამ ვისწავლიდი საკუთარ შეგრძნებებში გარკვევას. დავიწყე ჩემი მასაზრდოებელი გამჭვირვალე ნაკადულისა და იმ ხეების ცნობა, რომლებიც თავიანთ ჩრდილქვეშ მიფარავდნენ. სიამოვნებით აღმოვაჩინე, რომ იმ სასიამოვნო ხმებს, რომლებიც ხშირად მესმოდა, პატარა ფრთოსანი არსებები გამოსცემდნენ, ჩემსა და დღის სინათლეს შორის რომ დაქროდნენ. უფრო მკაფიოდ დავიწყე გარემომცველი საგნების და ჩემს თავზე დაკიდებული ნათელი გუმბათის მოხაზულობების გარჩევა. ხანდახან წარუმატებლად ვცდილობდი ჩიტების საამო გალობის მიბაძვას. მინდოდა ჩემებურად გამომეხატა ამაღელვებელი განცდები, მაგრამ ჩემ მიერ გამოცემული მკვეთრი და ველური ხმები მაშინებდა და ვჩუმდებოდი.

მთვარე აღარ ამოდიოდა, მერე ისევ შემცირებული სახით გამოჩნდა, მე კი კვლავ ტყეში ვცხოვრობდი. ახლა ჩემი შეგრძნებები უფრო ცხადი გახდა, გონება კი ყოველდღიურად მდიდრდებოდა ახალ-ახალი ცნებებით. თვალები შუქს მიეჩვია და საგნების სწორად აღქმაც ისწავლა. უკვე ვარჩევდი მწერს მცენარისგან, მალე კი ერთ მცენარესაც – მეორისგან. აღმოვაჩინე, რომ ბელურა მხოლოდ მკვეთრ ბგერებს გამოსცემს, შაშვი კი – ნაზსა და სასიამოვნოს.

ერთხელ, სიცივით გატანჯული ცეცხლს გადავეყარე, რომელიც ვიღაც მაწანწალებს დაეტოვებინათ და აღტაცებულმა შევიგრძენი მისი სითბო. სიხარულით გავიწვდინე ხელი აელვარებული ნახშირისკენ, მაგრამ მაშინვე ყვირილით მოვცილდი. რა უცნაურია, გავიფიქრე მე, რომ ერთი და იგივე მიზეზი საპირისპირო შედეგებს შობს! კოცონს მივაჩერდი და ჩემდა სასიხარულოდ აღმოვაჩინე, რომ იქ ფიჩხი იწვოდა. მაშინვე შევაგროვე ტოტები, მაგრამ ნედლი იყო და არ მოეკიდა ცეცხლი. ამან დამაღონა და დიდხანს ვიჯექი მდუმარედ, ცეცხლის ალს მიჩერებული. ამასობაში კოცონთან დაგდებული ტოტებიც გამოშრა და ალი მოედო. საგონებელში ჩავვარდი,

ხან ერთ, ხან მეორე ტოტს ვკიდებდი ხელს და მივხვდი, რა ხდებოდა. უფრო მეტი შეშა შევაგროვე, რომ გამეშრო და სითბოთი უზრუნველმეყო საკუთარი თავი. როცა ღამე დადგა და ძილის დრო მოვიდა, ძალიან მეშინოდა, რომ ცეცხლი არ ჩამქრალიყო. ფრთხილად დავაფარე მშრალი ფიჩხი და ფოთლები, ზემოდან კი სველი ტოტები დავალაგე. მერე ჩემი ლაბადა გავშალე, ზედ დავწექი და დავიძინე.

დილით ჩემი პირველი საზრუნავი კოცონი იყო. გადავქექე და მსუბუქმა ნიავმა მაშინვე გააჩაღა ცეცხლი. ესეც დავიმახსოვრე და ტოტებისგან ერთგვარი სანიავებელი ავაწყვე, რათა მიმქრალი ნახშირი გამეღვივებინა. როცა ისევ დაღამდა, სიამოვნებით აღმოვაჩინე, რომ ცეცხლი არა მხოლოდ სითბოს იძლეოდა, არამედ სინათლესაც, და რომ კოცონი საკვების მოსამზადებლადაც გამოდგებოდა. მგზავრების მიერ დატოვებული ნარჩენები შემწვარი იყო და გემოთი ბუჩქებიდან ჩემ მიერ შეგროვილ კენკრაზე უფრო გემრიელიც. გადავწყვიტე, იმავე მეთოდით მომემზადებინა საკვები და კენკრა ცხელ ნაკვერცხალზე დავალაგე. დავადგინე, რომ კენკრა ამისგან ფუჭდება, სამაგიეროდ, თხილი და ფესურები გაცილებით გემრიელდება.

თუმცა საკვების მოპოვება სულ უფრო რთულდებოდა. ხანდახან მთელ დღეს ვკარგავდი ერთი მუჭა რკოს შესაგროვებლად, რომ ცოტათი მაინც მომეკლა შიმშილი. ამას რომ მივხვდი, გადავწყვიტე სხვა ადგილას გადამენაცვლა, სადაც უფრო იოლად შევძლებდი ჩემი მოკრძალებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ გადაადგილებაზე ჩაფიქრებული კოცონზე ვდარდობდი, რომელიც შემთხვევით ვიპოვე და აზრზე არ ვიყავი, თვითონ როგორ უნდა დამენთო. ამაზე რამდენიმე საათს ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. ლაბადაში გახვეულმა ტყეში შევაბიჯე, ამომავალი მზის კვალდაკვალ. ასე დავეხეტებოდი სამი დღე, სანამ გაშლილ ადგილას არ გავედი. მანამდე ცოტა მოთოვა და ველები თანაბარი თეთრი საბნის ქვეშ მოაქცია. ამ სანახაობამ ნაღველი მომგვარა, ფეხები კი ცივი, სველი ნივთიერებით გამეყინა, რომელიც მიწას ფარავდა.

ალბათ დაახლოებით დილის შვიდი საათი იქნებოდა და საკვები და სარეცელი მენატრებოდა. ბოლოს და ბოლოს გორაკზე ქოხი შევნიშნე, სავარაუდოდ, მწყემსებისთვის მოწყობილი. ასეთი ნაგებობა ჯერ არ მენახა და ყურადღებით დავათვალიერე. კარი არ აღმოჩნდა დაკეტილი და შიგნით თავისუფლად შევედი. ცეცხლის პირას მოხუცი იჯდა და საჭმელს იმზადებდა. ხმაურზე შემობრუნდა, ჩემს დანახვაზე ხმამაღლა იყვირა და ქოხიდან გავარდა, მინდორი ისეთი სისწრაფით გადაირბინა, მისი მიხრწნილი სხეულისთვის სრულიად შეუფერებელი რომ ჩანდა. მისმა სახემ, რომელიც სრულიად არ ჰგავდა მანამდე ჩემ მიერ ნანახ არც ერთ სახეს, და მისმა გაქცევამ გამაოგნა. სამაგიეროდ, ქოხმა მომგვარა აღტაცება, აქ არც წვიმა აღწევდა და არც ქარი, იატაკი მშრალი იყო. ერთი სიტყვით, ქოხი იმ მდიდრულ სასახლედ მომეჩვენა, როგორიც იყო პანდემონიუმი ჯოჯოხეთური სულებისთვის ცეცხლოვან ტბაში მათი წამების შემდეგ. ხარბად ვშთანთქე მწყემსის ტრაპეზის ნარჩენები, რომელიც პურისგან, ყველისგან, რძისა და ღვინისგან შედგებოდა, თუმცა

ეს უკანასკნელი დიდად არ მეგემრიელა. დანაყრებულმა დაღლილობა ვიგრძენი, თივის გროვაზე მივწექი და ჩამეძინა.

უკვე შუადღისკენ გამეღვიძა. გამახარა მზემ დათოვლილ ველზე, მის სხივებში რომ ელვარებდა, და გადავწყვიტე, გზა გამეგრძელებინა. მწყემსური საუზმის ნარჩენები ჩანთაში ჩავალაგე, რომელიც იქვე ვიპოვე. რამდენიმე საათი მივაბიჯებდი და დაისისთვის მივაღწიე სოფელს. ის ნამდვილ სასწაულად მომეჩვენა! რიგრიგობით შევყურებდი ქოხებსა და უფრო მდიდრულ სახლებს და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. ბოსტნეული ბაღებში, რძე და ყველი, ზოგიერთი სახლის ფანჯრებში გამოფენილი – ამ ყველაფერმა მადა გამიღვიძა. ერთ-ერთი საუკეთესო სახლი ავირჩიე და შევედი, მაგრამ ზღურბლის გადაბიჯებაც ვერ მოვასწარი, რომ ბავშვები აყვირდნენ, ერთ ქალს კი გული წაუვიდა. ამან მთელი სოფელი ააწრიალა, ზოგი სადღაც გარბოდა, სხვები კი მე მეცნენ. ქვებითა და სხვა საგნებით დაჭრილი, რომელსაც მესროდნენ, მინდორში გავიქეცი და შეშინებული პატარა ფარდულში შევიმალე, რომელიც მთლად ცარიელი იყო და ძალიან უბადრუკი იმ სასახლეების შემდეგ, სოფელში რომ ვნახე. მართალია, ფარდული სუფთა პატარა სახლთან იდგა, მაგრამ ეს-ესაა მიღებული მწარე გამოცდილების შემდეგ ვერ გავბედე იქ შესვლა. ჩემი თავშესაფარი ხისა იყო და ისეთი დაბალი, რომ მჯდომარე ძლივს ვეტეოდი. მიწის იატაკი ჰქონდა, მაგრამ მშრალი. მართალია, ქარი უბერავდა ურიცხვ ნაპრალებში, თოვლისა და წვიმის შემდეგ იქ მაინც უკეთ ვიგრძენი თავი.

იქვე შევეფარე, უკვე იმით ბედნიერი, რომ უბადრუკი, თუმცაღა მაინც თავშესაფარი ვიპოვე, რომელიც მკაცრი ზამთრისგან, პირველ რიგში კი ადამიანთა სისასტიკისგან დამიცავდა.

როგორც კი ინათა, სამალავიდან გამოვძვერი, რათა მის მეზობლად მდებარე სახლი დამეთვალიერებინა და გამერკვია, საშიში ხომ არ იქნებოდა აქ დარჩენა. მინაშენი სახლის უკანა კედელთან იყო; მას ზედ ჰქონდა მიშენებული საღორე, საღორესთან კი უშველებელი წყლის კასრი იდგა. მეოთხე კედელში ნახვრეტი იყო, რომლიდანაც შევძვერი; მაგრამ ახლა, რომ არ დავენახე ვინმეს, ყველა ნახვრეტი და ნაპრალი ქვებითა და ფიცრებით ამოვავსე, ოღონდ ისე, რომ იოლად შემძლებოდა მათი გადაწევა და გამოსვლა; სინათლე მხოლოდ საღორიდან გამოდიოდა, მაგრამ ეს საკმარისი იყო.

ჩემი საცხოვრისი მოვაწყვე და სუფთა ჩალაც გავფინე, მერე კი შიგნით შევძვერი, რადგან შორს ვიღაც კაცი გამოჩნდა, მე კი მეტისმეტად კარგად მახსოვდა წინა დღით მოწყობილი „გულთბილი“ მიღება, რომ მასთან შეხვედრა მომესურვებინა. მაგრამ მანამდე დღის საკვებით უზრუნველვყავი საკუთარი თავი: პურის ნაჭერი და ჩამჩა მოვიპარე, რომლითაც მუჭებზე უფრო ადვილად შევძლებდი ჩემი თავშესაფრის გასწვრივ მოწკრიალე წყლის აღებას. მიწის იატაკი ცოტა ამაღლებული იყო, ამიტომ მშრალიც, სახლში დანთებული ღუმლის სიახლოვე ცოტა სითბოს ჩემთვისაც იმეტებდა.

მას მერე, რაც ყველაფერი მოვიმარაგე, გადავწყვიტე, მცირე ხანს ამ ფარდულში გავჩერებულიყავი, სანამ რაიმე ახალი ვითარება არ მაიძულებდა გადაწყვეტილების შეცვლას. პირქუშ ტყეში ჩემს უწინდელ სამყოფელთან შედარებით, სველ მიწაზე, ხეების ქვეშ, რომლებიდანაც წვიმა წვეთავდა, აქ ნამდვილი სამოთხე იყო. სიამოვნებით მივირთვი და გადავწყვიტე ერთ-ერთი ფიცარი გადამეწია, რომ წყალი ამომეხაპა. უცებ ნაბიჯების ხმა შემომესმა და ნაპრალში დავინახე, რომ ჩემს სამალავთან ახალგაზრდა გოგონა მიაბიჯებდა, თავზე სათლშემოდგმული. მთლად ნორჩი და ერთი შეხედვით მშვიდი არსება, რომელიც ჩემ მიერ აქამდე ნანახ გლეხებსა და ფერმერებს არ ჰგავდა. თუმცა ღარიბულად ეცვა – უხეში ლურჯი ქვედატანი და ტილოს კოფთა, ქერა თმა მაღლა აეწია, მაგრამ არაფრით იყო მორთული, სახეზე მოთმინება და იმავდროულად ნაღველი ეწერა. თვალს მიეფარა, თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა, ახლა სათლი ნახევრამდე რძით იყო სავსე. სანამ ვხედავდი, რომ აშკარად უჭირდა ტვირთის ზიდვა, ჭაბუკი შეეგება, კიდევ უფრო ნაღვლიანი სახით. რამდენიმე სიტყვა გაცვალეს მწუხარე ტონით, მერე სათლი ჩამოართვა და თვითონ წაიღო სახლში. მას მიჰყვა და ორივენი გაუჩინარდნენ. მოგვიანებით ისევ დავინახე ჭაბუკი; სახლის უკან ყანაში გავიდა, ხელთ რაღაც იარაღი ეჭირა, გოგონას ისევ ვხედავდი, ხან სახლში მუშაობდა, ხან ეზოში.

ჩემი საცხოვრებელი რომ დავათვალიერე, აღმოვაჩინე, რომ მასში მანამდე სახლის ერთ-ერთი ფანჯარა გამოდიოდა, ახლა კი ფიცრებით იყო დაგმანული. ერთ-ერთ ფიცარს ვიწრო, თითქმის შეუმჩნეველი ნაპრალი ჰქონდა, რომელშიც ძლივს შეიჭყეტდი. მის მიღმა პატარა ოთახი ჩანდა, სუფთა და კოპწია, მაგრამ თითქმის ცარიელი. კუთხეში, ცეცხლის პირას, მოხუცი იჯდა; ღრმა მწუხარების პოზაში, ხელებში თავჩარგული. ახალგაზრდა გოგონა ოთახს ალაგებდა; მერე ყუთიდან ამოიღო რაღაც ხელსაქმე და მოხუცის გვერდით ჩამოჯდა; ის კი ინსტრუმენტს დასწვდა და იქიდან უფრო ტკბილხმოვანი ხმების ამოშვება დაიწყო, ვიდრე შაშვისა თუ ბულბულის გალობა იყო.

საოცარი სანახაობა გადამეშალა თვალწინ და მეც კი შევძელი მისი შეფასება – საბრალო არსებამ, რომელსაც მანამდე არაფერი მენახა ამაზე მშვენიერი. მოხუცის ვერცხლისფერმა ჭაღარამ და კეთილშობილურმა სახემ ჩემში მოწიწება გამოიწვია, გოგონას მოკრძალებამ კი – ნაზი სიყვარული.

კაცი ლამაზ და ნაღვლიან მელოდიას უკრავდა, რომელმაც მშვენიერი მსმენელი ააცრემლა. თუმცა კაცი ამას ვერ ამჩნევდა, სანამ ეს ქვითინში არ გადაიზარდა. მაშინ კი რაღაც თქვა და სათნო არსებამ ხელსაქმე გვერდზე გადადო და მის წინაშე მუხლებზე დაემხო. მოხუცმა ის წამოაყენა, ისე კეთილად და მოსიყვარულედ გაუღიმა, რომ მე ძლიერი და ჩემთვის ახალი მღელვარება ვიგრძენი, ამ ახალ განცდაში სიხარული და ტკივილი ერთმანეთს ერწყმოდა, რაც მანამდე არც სიცივისგან და არც შიმშილისგან, არც სითბოსა და საკვების მიღებისგან არ განმეცადა, ფანჯარას მოვცილდი, ძალა აღარ მეყო, ეს ყველაფერი კიდევ დიდხანს ამეტანა.

მალე დაბრუნდა ჭაბუკი მხარზე ფიჩხების კონით. გოგონა მას კარში შეხვდა, ტვირთი ჩამოართვა და შეშის ნაწილი ცეცხლში შეუკეთა. მერე მასთან ერთად გვერდზე გადგა, ბიჭმა დიდი პური და ყველის ნაჭერი ამოიღო. ჩანს, ამან გოგონა გაახარა; ბოსტნიდან რაღაც ბალახეულობა და ბოსტნეულიც მოეტანა. გოგონამ ისინი წყალში ჩადო და ცეცხლზე შემოდგა. მერე ისევ თავის ხელსაქმეს მიუბრუნდა, ყმაწვილი კი ბოსტნისკენ გაეშურა და რაღაცის ფესვებიანად გლეჯას შეუდგა. დაახლოებით ერთი საათი იმუშავა ასე, მერე გოგონაც მასთან გავიდა და ორივენი შინ დაბრუნდნენ.

ამასობაში მოხუცი ფიქრებში ჩაძირული იჯდა, მაგრამ წყვილის გამოჩენისას გამოფხიზლდა და წასახემსებლად დასხდნენ. ტრაპეზი დიდხანს არ გაგრძელებულა. გოგონა ისევ შეუდგა ოთახის მილაგებას, მოხუცი კი სახლის წინ მზეს მიეფიცხა, ჭაბუკის მხარს დაყრდნობილი. არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ორ ღირსეულ ადამიანს შორის კონტრასტზე მშვენიერი. ერთი მოხუცი იყო, შევერცხლილი თმით და სახით, რომელიც კეთილგანწყობასა და სიყვარულს გამოხატავდა; მეორე კი, ახალგაზრდა, ბრგე და მოქნილი. მისი ნაკვთებიც საოცარი დახვეწილობით გამოირჩეოდა; თუმცა მის თვალებშიც ღრმა ნაღველი და სევდა იკითხებოდა. მოხუცი შინ შებრუნდა, ბიჭი კი იარაღს დასწვდა, მაგრამ უკვე სხვას, და მინდორში გავიდა.

მალე შებინდდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, აღმოვაჩინე, რომ სახლის ბინადრებმა დღის გახანგრძლივების მეთოდები იცოდნენ, სანთლების დანთება. გამიხარდა, რომ ბინდი არ მოულებდა ბოლოს იმ სიამოვნებას, რასაც ჩემი მეზობლების ჭვრეტით ვიღებდი. ახალგაზრდა გოგონამ და მისმა თანატოლმა საღამო სხვადასხვა საქმიანობით გაატარეს, რომელთა არსს ვერ ჩავხვდი; მოხუცი კი ისევ იმ მომღერალ ინსტრუმენტს დასწვდა, რომელმაც დილას აღმაფრთოვანა. როცა მან დაასრულა, ჭაბუკმა დაიწყო რაღაც მონოტონური ხმების გამოცემა, რომლებიც არც მოხუცის ინსტრუმენტის ხმებს ჰგავდა და არც ჩიტების გალობას; მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ის ხმამაღლა კითხულობდა, მაგრამ მაშინ დამწერლობის არაფერი გამეგებოდა.

მცირე დრო ამ საქმიანობაში გალიეს, მერე კი ოჯახის წევრებმა სინათლე ჩააქრეს და როგორც მივხვდი, დასაძინებლად დაწვნენ.

XII თავი

თივაზე ვიწექი, მაგრამ დიდხანს არ მეკიდებოდა რული. დღის შთაბეჭდილებებზე ვფიქრობდი. ყველაზე მეტად ამ ადამიანების მოკრძალებულმა გარეგნობამ გამაოგნა; ისინი მიზიდავდნენ და იმავდროულად მაშინებდნენ. მეტისმეტად კარგად მახსოვდა ის შეხვედრა, რომელიც მათმა დაუნდობელმა თანასოფლელებმა წინა დღეს გამიმართეს; ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა მომემოქმედებინა შემდგომ, მაგრამ

გადავწყვიტე, თანდათანობით დავკვირვებოდი მათ ჩემი სამალავიდან, რათა უკეთ გამეგო მათი ქცევის მოტივები.

დილით ქოხის ბინადრებმა მზეს დაასწრეს ადგომა. გოგონამ დალაგება და საკვების მომზადება დაიწყო, ბიჭი კი საუზმობისთანავე გავიდა შინიდან.

ეს დღე ზუსტად იმავე საქმიანობებში განვლეს, როგორც წინანდელი. ბიჭი დაუღალავად შრომობდა ყანაში, გოგონა კი – შინ. მოხუცი, რომელიც, როგორც მალე აღმოვაჩინე, უსინათლო იყო, დროს თავის ინსტრუმენტზე დაკვრაში ან ფიქრებში ატარებდა. ვერაფერი შეედრებოდა იმ სიყვარულსა და პატივისცემას, რასაც ახალგაზრდა ბინადარნი თავიანთი ხანდაზმული თანამობინადრის მიმართ ავლენდნენ. უსასრულოდ გამოხატავდნენ ყურადღებას მისადმი, ის კი მათ ალერსიანი ღიმილით აჯილდოებდა.

თუმცა ისინი მაინც არ იყვნენ მთლად ბედნიერები. ბიჭი და გოგო ხშირად განმარტოვდებოდნენ და ტიროდნენ. ვერ ვხვდებოდი მათი მწუხარების მიზეზს, მაგრამ ჩემზეც ძალიან დამთრგუნველად მოქმედებდა მათი განწყობა. თუ ასეთი მშვენიერი არსებებიც კი იტანჯებიან, რაღად უნდა მიკვირდეს, რომ მეც უბედური ვარ – საცოდავი და მარტოხელა. მაგრამ რატომ არიან უბედურები ეს სათნო ადამიანები? მათ შესანიშნავი სახლი აქვთ (ყოველ შემთხვევაში, მე ასეთად მეჩვენებოდა) და ყველანაირი ფუფუნება: ცეცხლი, სახლის გასათბობად, გემრიელი საჭმელი შიმშილის დასაცხრობად და მშვენიერი ტანსაცმელი. მაგრამ, რაც მთავარია – ერთმანეთის საზოგადოება, ყოველდღიური საუბრები, ალერსიანი და ნაზი მზერის გაცვლა. ნეტავ რას ნიშნავდა მათი ცრემლები? მართლაც გამოხატავდა ისინი ტანჯვას? თავდაპირველად არ მქონდა უნარი, ამ შეკითხვებისთვის პასუხები გამეცა, მაგრამ დრომ და გამუდმებულმა თვალთვალმა ბევრი რამ ამიხსნეს, რაც მანამდე გამოცანად მესახებოდა.

მცირე დრო არ გასულა, სანამ ამ ღირსეული ოჯახის ერთ-ერთ სევდას ამოვიცნობდი: ეს სიღარიბე იყო, ისინი უკიდურესად ღარიბები იყვნენ. მთელ მათ საკვებს ბაღში ამოსული ბოსტნეული და ძროხის რძე წარმოადგენდა, რომელიც ზამთარში თითქმის არ იწველებოდა, რადგან პატრონები ვერაფერს აჭმევდნენ. ვფიქრობ, რომ ისინი ხშირად განიცდიდნენ შიმშილს, განსაკუთრებით ახალგაზრდები; ისეც ხდებოდა, რომ მოხუცს თეფშით უდგამდნენ კერძს, თვითონ კი არაფერს იტოვებდნენ.

ამ სიკეთემ შემძრა. ღამღამობით ჩვეულებრივ მათ ვპარავდი მარაგის ნაწილს, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ამით ზიანს ვაყენებდი, ამის გაკეთება შევწყვიტე და იმ კენკრით, კაკლითა და ფესურებით ვკმაყოფილდებოდი, რომელსაც მეზობელ ტყეში ვაგროვებდი.

მოკლე დროში მათი დახმარების საშუალებაც ვიპოვე. აღმოჩნდა, რომ ბიჭი დღის უმეტეს ნაწილს სახლისთვის შეშის დამზადებაში ატარებდა; და აი, ღამღამობით მისი

იარაღის ტარება დავიწყე, რომლით სარგებლობაც მალე ვისწავლე და რამდენიმე დღის მარაგი შეშა მომქონდა.

მახსოვს, როცა პირველად გავაკეთე ეს, ახალგაზრდა გოგონა ძალიან გაოცდა, დილით კართან შეშის დიდი გროვა რომ დაინახა. ხმამაღლა წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა; ბიჭიც მოვიდა და მასაც გაუკვირდა. სიამოვნებით შევნიშნე, რომ იმ დღეს ტყეში არ წასულა, არამედ დრო საოჯახო საქმეების კეთებას და ბოსტანს დაუთმო.

მერე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩენა გავაკეთე. მივხვდი, რომ ამ ადამიანებს ჰქონდათ უნარი ერთმანეთისთვის გადაეცათ ფიქრები და გრძნობები ნაწილ-ნაწილ დაყოფილი ხმების მეშვეობით. შევნიშნე, რომ მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები მსმენელთა სახეებზე სიხარულს ან სევდას, ღიმილს ან მწუხარებას იწვევდა. ეს ღმერთების მეცნიერება იყო და გულით მომინდა მას დავუფლებოდი. მაგრამ ჩემი ყველა მცდელობა წარუმატებლობით მთავრდებოდა. ისინი სწრაფად ლაპარაკობდნენ და მათი სიტყვები არავითარ თვალსაჩინო საგანს არ უკავშირდებოდა, ასე რომ, საიდუმლოს გასაღები არ იყო ჩემ ხელთ. თუმცა ჩემს ფარდულში რამდენიმე მთვარიანი თვის გატარების შემდეგ, ბევრი ძალისხმევის გამოჩენით, ზოგიერთი, ყველაზე ხშირად ხსენებადი საგნების სახელწოდებები გავიგე: ცეცხლი, რძე, პური, შეშა. შევიტყვე სახლის ბინადართა სახელებიც. ბიჭსა და გოგონას რამდენიმე სახელი ჰქონდათ, მოხუცს ერთადერთი – მამა. გოგონას ხან დას ეძახდნენ, ხან აგატას, ბიჭს კი – ფელიქსს, ძმას ან ვაჟს. ვერ აღვწერ აღტაცებას, რითაც ვეუფლებოდი ყველა ამ ბგერათა თანწყობის მნიშვნელობას და მათ წარმოთქმას ვსწავლობდი. რამდენიმე სხვა სიტყვაც დავიხსომე, ოღონდ ჯერ კიდევ არ მესმოდა, რას ნიშნავდა ისინი: კარგი, პატარა, უბედური.

ასე გაიარა ჩემთვის ზამთარმა. ქოხის ბინადართა სათნოებამ და სილამაზემ მათთან მიმაჯაჭვა: როცა ისინი მოიწყენდნენ, მეც დათრგუნული ვიყავი; როცა ხარობდნენ, მათთან ერთად ვხარობდი. მათ გარდა თითქმის ვერ ვხედავდი ხალხს, ხოლო როცა უცხოები იშვიათად მაინც გამოჩნდებოდნენ ქოხში, მათი უხეში ხმები და მანერები ჩემს თვალში კიდევ მეტად უსვამდა ხაზს ჩემი მეგობრების უპირატესობას.

შევნიშნე, რომ მოხუცი ხშირად არწმუნებდა თავის შვილებს, როგორც მათ უწოდებდა ხოლმე, დარდს არ მისცემოდნენ. მათ მხნედ და ისე გულკეთილად ელაპარაკებოდა, რომელიც მეც კი მაღელვებდა. აგატა მოწიწებით უსმენდა, ხანდახან თვალები აუწყლიანდებოდა ხოლმე, მაგრამ ცდილობდა თავი შეეკავებინა. მამის დარიგებების შემდეგ ჩვეულებრივ უფრო გამხიარულდებოდა ხოლმე. ასე იყო ფელიქსიც. ის ყველაზე ნაღვლიანი ჩანდა და ჩემი გამოუცდელი თვალიც კი ამჩნევდა, რომ მას სხვებზე მეტი გადაეტანა. მაგრამ თუ სახეზე მეტი ნაღველი ეწერა, ხმა უფრო ხალისიანი ჰქონდა, ვიდრე მის დას, განსაკუთრებით, როცა მოხუცს მიმართავდა.

შემეძლო უამრავი ასეთი მაგალითი მომეყვანა, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ ძალიან დამახასიათებელი ამ ღირსეული ადამიანებისთვის.

მიუხედავად გაჭირვებული ყოფისა, ფელიქსი მაინც ახერხებდა თავისი და პირველი თეთრი ყვავილით გაეხარებინა, რომელიც თოვლიდან ამოიწვერებოდა. ყოველ დილას, სანამ გოგონას ჯერ კიდევ ეძინა, ბიჭი ბოსლისკენ მიმავალ ბილიკს უსუფთავებდა, ჭიდან წყალი მოჰქონდა და საჩეხიდან შეშა, სადაც, მისდა გასაოცრად, შეშის მარაგი უწყვეტად ივსებოდა ვიღაცის უხილავი ხელით. დღისით, როგორც ჩანს, ხანდახან მეზობელი ფერმერისთვის მუშაობდა, რადგან ხშირად სადილობამდე არ ბრუნდებოდა, შეშა კი თან არ მოჰქონდა. ისეც ხდებოდა, რომ ბოსტანში მუშაობდა, მაგრამ ზამთარში ამგვარი სამუშაო ცოტა იყო და ამიტომ ხმამაღლა უკითხავდა აგატასა და მოხუცს.

ეს კითხვის პროცესი თავდაპირველად უაღრესად მაოცებდა და მაბნევდა, მაგრამ თანდათანობით შევნიშნე, რომ კითხვის დროს ხშირად წარმოთქვამდა ბგერათა იმავე შეთანხმებას, რასაც საუბრისას. აქედან დავასკვენი, რომ წიგნის ფურცლებზე მისთვის გასაგებ ნიშნებს ხედავდა, რომლების წარმოთქმაც შეიძლებოდა და ერთი სული მქონდა მათ ჩავწვდომოდი, მაგრამ როგორ – თუ ის ხმებიც კი არ მესმოდა, რომლებსაც ეს ნიშნები აღნიშნავდა? თუმცაღა ამ უკანასკნელ მეცნიერებაში ცოტათი მაინც წინ წავიწიე, ოღონდ ისე არა, რომ მათი ლაპარაკი მთლიანად გამეგო და დაუღალავად ვცდილობდი, მეტი წარმატებებისთვის მიმეღწია. მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, მათ ვჩვენებოდი, ვხვდებოდი, რომ ამის გაკეთება არ ღირდა, სანამ მათ ენას არ დავეუფლებოდი, მერე კი, ამის გამო იქნებ ეპატიებინათ ჩემთვის ჩემი სიმახინჯე. ამ უკანასკნელის გაცნობიერება უკვე მომესწრო იმ კონტრასტის მიხედვით, რომელიც გამუდმებით თვალწინ მქონდა.

ქოხის ბინადართა სილამაზით ვტკბებოდი – მათი დახვეწილობითა და სახის ნაზი ფერით, მაგრამ რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როცა ჩემი საკუთარი ანარეკლი დავინახე გამჭვირვალე წყალში! თავიდან უკან გავხტი, არ მეჯერა, რომ სარკისებური ზედაპირი სწორედ მე ამირეკლავდა, მაგრამ როცა მივხვდი, როგორი მახინჯი ვარ, გული საშინელი ტკივილითა და ნაღვლით ამევსო. ვაი, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი ჩემი სიმახინჯის საბედისწერო შედეგებს.

მზე უფრო ძლიერად ათბობდა, დღე დაგრძელდა, თოვლი დადნა, ხეები და შავი მიწა გაატიტვლა. ფელიქსს საქმე მოეძალა და შიმშილის საშინელმა საფრთხემაც გადაიარა. მათი საკვები, თუმცაკი უხეში, მაინც ჯანსაღი იყო და ახლა საკმარისად ჰქონდათ. ბოსტანში პირველი მცენარეები გამოჩნდა, რომლებსაც საკვებად იყენებდნენ, და ყოველდღე ბალახეულობა სულ უფრო მატულობდა.

შუა დღისას მოხუცი სასეირნოდ გადიოდა, ვაჟის მხარს დაყრდნობილი, მხოლოდ, თუ წვიმა არ მოდიოდა – თურმე ასე ეწოდებოდა წყლის იმ ნაკადს, რომელიც ციდან ეშვებოდა. ეს იშვიათად არ ხდებოდა, მაგრამ ქარი მალე აშრობდა მიწას და ამინდიც გაუმჯობესდებოდა ხოლმე.

ჩემს თავშესაფარში ერთფეროვან ცხოვრებას ვატარებდი. დილით ქოხის ბინადრებს ვუყურებდი. როცა ისინი თავთავიანთ საქმეებს მიუბრუნდებოდნენ, მეძინა. დღის დარჩენილ ნაწილს კვლავ ჩემი მეგობრების დაკვირვებას ვუთმობდი. როცა ისინი იძინებდნენ, ხოლო ღამე მთვარიანი ან ვარსკვლავებით მოჭედილი იყო, ტყეში გავეშურებოდი ჩემთვის საკვების და მათთვის შეშის მოსაპოვებლად. უკანა გზაზე, თუ საჭირო იყო, ბილიკს თოვლისგან ვწმენდდი ან ფელიქსის ნაცვლად სხვა მოვალეობებს ვასრულებდი. უხილავი ხელის მიერ შესრულებული სამუშაო მათ ძალიან აოცებდა. ასეთ შემთხვევებში მესმოდა სიტყვები „კეთილი სული“ და „სასწაული“, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ მესმოდა მათი მნიშვნელობა.

აზროვნება ვისწავლე და მინდოდა, რაც შეიძლება მეტი გამეგო ჩემთვის საყვარელი არსებების გრძნობებსა და ჩანაფიქრებზე. ერთი სული მქონდა გამეგო, რაზე დარდობდა ფელიქსი და რატომ იწყენდა აგატა. მე სულელს იმედი მქონდა, რომ ოდესმე შევძლებდი ამ ღირსეული ადამიანებისთვის ბედნიერების დაბრუნებას. ძილშიც და ტყეში გასვლის დროსაც გამუდმებით თვალწინ მედგა პატივცემული ჭაღარა მოხუცი, ნაზი აგატა და მამაკაცური ფელიქსი. მათში უმაღლეს არსებებს ვხედავდი, რომლებიც ჩემს ბედს სჯიდნენ. ათასჯერ ვხატავდი ჩემს წარმოსახვაში, როგორ წარვუდგებოდი მათ და ისინი როგორ მიმიღებდნენ. მესმოდა, რომ მათში ზიზღს გამოვიწვევდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მოწიწებითა და ალერსიანი სიტყვებით მათ კეთილგანწყობას დავიმსახურებდი, მერე კი – სიყვარულსაც.

ეს ფიქრები მახარებდა და მაგულიანებდა, მეტი სიბეჯითით მესწავლა ადამიანების მეტყველება. მკვეთრი ხმა მქონდა, მაგრამ საკმაოდ მოქნილი, და მართალია ძალიან განსხვავდებოდა მათი ნაზი და მელოდიური ხმებისგან, იოლად წარმოვთქვამდი იმ სიტყვებს, რომლებიც მესმოდა. ეს ისე იყო, როგორც არაკში ვირისა და ოთახის ძაღლის შესახებ. მაგრამ ნუთუ კდემამოსილი ვირი, ერთგული, თუნდაც ერთი შეხედვით მოუხეშავი, არ იმსახურებს სხვაგვარ მოპყრობას, გარდა ცემისა და ლანძღვისა?

მხიარულმა წვიმებმა და გაზაფხულის სითბომ მიწა გარდასახა. ადამიანები, რომლებიც მანამდე სადღაც სოროებში იყვნენ შემალულები, მინდვრებს მოედვნენ და მიწის სამუშაოებს მიჰყვეს ხელი. ჩიტები უფრო მხიარულად აჭიკჭიკდნენ; ხეებს ყლორტები გამოება. ო, ბედნიერი მიწა! ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შიშველი, ნედლი და ხელუხლებელი, ახლა ღმერთების ღირსად იქცა. ჩემი გული ბუნების დიდებულებას ეტრფოდა. წარსული ჩემი გონებიდან გაიფანტა, აწმყოში სიმშვიდე სუფევდა, მომავალი კი იმედისა და ბედნიერების მოლოდინის სხივებით იყო გაცისკროვნებული.

XIII თავი

ვჩქარობ ჩემი ამბის ყველაზე ამაღელვებელ ფურცლებთან მისვლას. ახლავე გიამბობ იმ მოვლენებზე, რომლებმაც იმად მაქცია, რაც ახლა ვარ.

გაზაფხული მალე იკრებდა ძალებს: გარეთ დათბა, ცა უღრუბლო გახდა. მაოცებდა, რომ სულ ცოტა ხნის წინანდელი პირქუში უდაბნო შეიძლებოდა ასე ამწვანებულიყო და აყვავებულიყო. ჩემი გრძნობები აღტაცებით აღიქვამდნენ ათასობით აღმაფრთოვანებელ სურნელსა და უმშვენიერეს სანახაობას.

ერთ-ერთ იმ რეგულარულად განმეორებად დღეს, როცა ქოხის ბინადრები შრომისგან ისვენებდნენ ხოლმე, – მოხუცი გიტარაზე უკრავდა, შვილები კი უსმენდნენ, – შევნიშნე, რომ ფელიქსს სახე კვლავ ნაღვლიანი ჰქონდა და ხშირად ოხრავდა. ერთხელ მამამისმა დაკვრაც კი შეწყვიტა და, როგორც ჩანს, ჰკითხა, რატომ დარდობდა. ფელიქსი მხიარული ტონით გაეპასუხა და მოხუცმაც ისევ განაგრძო დაკვრა, მაგრამ ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა.

გოგონა გამოჩნდა, რომელიც ცხენით მოსულიყო, მას კი ადგილობრივი გლეხი მოჰყვა – თანმხლები. მუქი სამოსი ეცვა, სახეს სქელი ვუალი უფარავდა. აგატამ რაღაც ჰკითხა მას. პასუხად უცნობმა ნაზი ხმით წარმოთქვა ფელიქსის სახელი. ხმა მელოდიური ჰქონდა, მაგრამ რაღაცით განსხვავდებოდა ჩემი მეგობრების ხმებისგან. თავისი სახელის გაგონებისას ფელიქსი მაშინვე მიუახლოვდა, გოგონამ კი მის წინაშე ვუალი მოიცილა და ანგელოზური სილამაზის სახე დავინახე. თმა ყორნის ფრთასავით შავი ჰქონდა, თმა უზადოდ ჩაეწნა; მუქ და ცოცხალ თვალებს აბრიალებდა, რომლებიც იმავდროულად მორიდებასაც ავლენდნენ; სწორი ნაკვთები ამშვენებდა, კანი კი, იშვიათი სითეთრის, ლოყებზე ოდნავ შეფაკვლოდა.

მის დანახვაზე ფელიქსი სიხარულით გაიბადრა; მთელი მისი მწუხარება წამიერად გაქრა, სახეზე აღტაცება გამოეხატა, არც კი მეგონა, ასეთი განცდის უნარი თუ ჰქონდა: თვალები გაუბრწყინდა, ლოყები წამოენთო. ამ დროს ისეთივე ლამაზი მომეჩვენა, როგორც უცნობი ქალი.

თუმცაღა მას სულ სხვა განცდები ეწერა. მშვენიერ თვალებზე ცრემლები შეიმშრალა, ფელიქსს ხელი გაუწოდა, რომელსაც ბიჭი აღტაცებული დაეწაფა, და მას, თუ კარგად გავიგონე, თავისი მშვენიერი არაბი ქალი უწოდა. მან, მგონი, ვერ გაუგო, მაგრამ გაუღიმა. ფელიქსი დაეხმარა ცხენიდან გადმოსვლაში, მეგზური გაათავისუფლა და ქალს შინ შეუძღვა. მერე მამამისს რაღაც უთხრა, ახალგაზრდა უცნობმა კი მოხუცის წინ მუხლი მოირთხა და სურდა ხელზე ეკოცნა, მაგრამ მან ხელი ჩამოართვა და გულთან ნაზად მიიკრა.

მართალია, უცნობიც დანაწევრებულ სიტყვებს ამბობდა და რაღაცას თავის ენაზე ამბობდა, მაგრამ მალე შევამჩნიე, რომ მას ქოხის ბინადართა ლაპარაკი არ ესმოდა, მათ კი მისი ენა არ იცოდნენ. ჟესტებით ურთიერთობდნენ, რომლებიც ჩემთვის თითქმის

გაუგებარი იყო; მაგრამ ვხედავდი, რომ მისმა მოსვლამ ქოხში სიხარული შემოიტანა და ნაღველი გაფანტა, როგორც მზე დაშლის ხოლმე დილის ღრუბლებს. განსაკუთრებით ბედნიერი ჩანდა ფელიქსი, რომელიც მხურვალედ უღიმოდა თავის არაბს. სათნო აგატა მშვენიერ უცნობ გოგონას ხელებს უკოცნიდა და თავისი ძმისკენ მიანიშნებდა, თითქოს უხსნიდა ჟესტებით, როგორ ძალიან დარდობდა ბიჭი მის ჩამოსვლამდე.

ასე გადიოდა საათები და მათი სახეები ისეთ სიხარულს გამოხატავდა, რომელიც ჩემთვის გაუგებარი რჩებოდა. როცა გავიგონე, როგორ იმეორებდა უცნობი გოგონა მათთან ერთად ამა თუ იმ სიტყვას, მივხვდი, რომ ცდილობდა მათი ენა ესწავლა; მეც მაშინვე მომივიდა აზრად, ამ გაკვეთილებით თავადაც მეხეირა. პირველ მეცადინეობაზე უცნობმა დაახლოებით ოცი სიტყვა ისწავლა, რომელთა უმეტესი ნაწილი, უკვე ცნობილი იყო ჩემთვის, დანარჩენებით კი ჩემი მარაგი შევივსე.

საღამოს აგატა და არაბი გოგონა ადრე გავიდნენ დასაწოლად. დამშვიდობებისას ფელიქსი უცნობს ხელზე ეამბორა და უთხრა: „ღამე მშვიდობისა, საყვარელო საფია“. ამის შემდეგ ის კიდევ დიდხანს მასლაათობდა მამასთან. და მისი სახელის ხშირი გამეორების მიხედვით თუ ვიმსჯელებდი, მათი საუბრის საგანი მშვენიერი სტუმარი იყო. ხარბად ვცდილობდი მათ გაგებას, მთელი გონება მოკრებილი მქონდა, მაგრამ ჩემთვის შეუძლებელი იყო მათ აზრებში ბოლომდე ჩაწვდომა.

დილით ფელიქსი სამუშაოდ გავიდა, ხოლო როცა აგატამ საოჯახო საქმიანობა დაასრულა, არაბი გოგონა მოხუცის ფერხთით დაჯდა, მის გიტარას დასწვდა და რაღაც მელოდია დაუკრა, ისეთი მომაჯადოებელი, რომ ჩემში ტკბილი ცრემლები გამოიწვია. ის ამღერდა. მისი ხმა ისე იღვრებოდა და ნარნარებდა, როგორც ტყეში ბულბულის გალობა.

სიმღერა რომ დაასრულა, გიტარა აგატას გადასცა, რომელმაც თავდაპირველად იუცხოვა. მერე კი მარტივი და ნაზი ხმით აღიღინდა, თუმცა ეს ძალიან შორს იყო უცნობის საუცხოო რაკრაკისგან. მოხუცი აღტაცებული იყო და რამდენიმე სიტყვაც თქვა, რომლებიც აგატამ სცადა საფიასთვის აეხსნა: მოხუცს სურდა გამოეხატა, რომ თავისი სიმღერით საფიამ მას უდიდესი სიხარული მიანიჭა.

დღეები ისევე მშვიდად მიედინებოდა, როგორც მანამდე, მხოლოდ ერთადერთი სხვაობით: ჩემი მეგობრების სახეებზე ახლა სიხარული აღბეჭდილიყო ნაღვლის ნაცვლად. საფია უცვლელად მხიარულობდა. მე მასთან ერთად დიდი წარმატებით ვსწავლობდი ენას და დაახლოებით ორი თვის შემდეგ თითქმის მთლიანად შემეძლო გამეგო ჩემი მფარველების მეტყველება.

ამასობაში შავი მიწა ბალახმა დაფარა; ამ მწვანე ხალიჩაზე უთვალავი ყვავილი ბრწყინავდა, რომლებიც თვალსა და ყნოსვას ეამებოდა, ღამით კი, მთვარის ქვეშ, მიმქრალი ვარსკვლავებივით კიაფობდნენ. მზე სულ უფრო ძლიერად ათბობდა, ნათელი და თბილი ღამეები იდგა; ღამის გასვლები ჩემთვის დიდ სიამოვნებად იქცა,

თუმცა მკვეთრად შემოკლდა ისინი, გვიანი დაბნელებისა და ადრიანი ალიონების გამო, რადგან დღის შუქზე ვერ ვბედავდი გამოსვლას, არ მსურდა ისევ მეგემა ის მოპყრობა, რომელიც სოფელში პირველად აღმოჩენილმა ვიწვნიე.

მთელი დღეები გულმოდგინედ ვუსმენდი, რომ მალე დავუფლებოდი ენას და შემიძლია დავიკვეხო, რომ ეს გაცილებით უფრო სწრაფად მოვახერხე, ვიდრე არაბმა, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ესმოდა და დამტვრეული ენით საუბრობდა, არადა, მე თითქმის უკვე ყველაფრის გაგება შემეძლო, რასაც კი ამბობდნენ.

ლაპარაკის სწავლის პარალელურად დამწერლობის საიდუმლოებებსაც ვეწაფებოდი, რომელსაც უცნობ გოგონას ასწავლიდნენ და არ ვწყვეტდი გაოცებასა და აღტაცებას ამის გამო.

წიგნი, რომლითაც ფელიქსი საფიას ამეცადინებდა, იყო ვოლნეის[6] „იმპერიის ნანგრევები“. მის აზრს ვერ ჩავწვდებოდი, რომ არა ფელიქსი, რომელიც კითხვისას დაწვრილებით ახსნა-განმარტებებს არ იშურებდა. მისი თქმით, ეს ნაწარმოები იმის გამო აირჩია, რომ მასში აღმოსავლელი ავტორებისთვის დამახასიათებელი მარცვლები იყო. ამ წიგნმა გამიკვლია გზა ისტორიაში და გამაცნო მთავარი, ამჟამად არსებული სახელმწიფოები. შევიტყვე სხვადასხვა ხალხის წეს-ჩვეულებების, სარწმუნოებისა და მართვის სტილის შესახებ. გავიგე აზიის ზარმაც მცხოვრებლებზე, ბერძნების ამოუწურავ შემოქმედებით გენიაზე, ადრეული რომაელების მებრძოლებსა და დიდგვაროვნებზე, მათ შემდგომ განვითარებასა და მათი ძლევამოსილი იმპერიის დაცემაზე, რაინდობაზე, ქრისტიანობასა და მეფეებზე. შევიტყვე ამერიკის აღმოჩენის შესახებ და საფიასთან ერთად დავტიროდი მისი ძირეული მკვიდრების მწარე ხვედრს.

ეს თავშესაქცევი მონათხრობი ხშირად მაოცებდა. ნუთუ ადამიანი მართლაც ასეთი ძლიერი, სათნო და დიდებულია, და იმავდროულად ასეთი ბიწიერი და სულმდაბალი? ის ხან ბოროტების განსხეულებად მესახებოდა, ხან უმაღლეს, ჭეშმარიტად ღმერთის მსგავს არსებად. დიდებულ და კეთილშობილ ადამიანად ყოფნა უდიდეს პატივად წარმომედგინა, რომელიც მოაზროვნე ქმნილებისთვის იყო მისაწვდომი. ბიწიერება და სულმდაბლობა, რაც წიგნში ასახულ ბევრ ადამიანს ახასიათებდა, ჩემს თვალში უდიდესი დაცემა იყო, გაცილებით უბადრუკი ხვედრი, ვიდრე ბრმა თხუნელის ან უწყინარი ჭიაყელას ბედია. დიდხანს ვერ ვხვდებოდი, როგორ შეეძლო ადამიანს თავისნაირების მოკვლა; და რისთვის არსებობდა კანონები და მთავრობა, მაგრამ როცა მეტი გავიგე მანკიერებებსა და სისასტიკეებზე, უკვე აღარ მიკვირდა, მხოლოდ ზიზღით ვკრთებოდი ხოლმე.

მას მერე ქოხის ბინადართა ყოველი საუბარი ახალ-ახალ სასწაულებს მიხსნიდა. იმ განმარტებების მოსმენისას, რომლებითაც ფელიქსი არაბ გოგონას მიმართავდა ხოლმე, ადამიანთა საზოგადოების უცნაურ აგებულებას ვწვდებოდი. შევიტყვე

ქონებათა უთანასწორობაზე, საარაკო სიმდიდრეებსა და საშინელ სიღატაკეზე, ჩინებზე, წოდებებსა და კეთილშობილურ სისხლზე.

ამ ყველაფერმა მაიძულა, საკუთარი თავისთვის გვერდიდან შემეხედა. გავიგე, რომ ადამიანები ყველაზე მაღლა აყენებენ წარჩინებულ და განთქმულ სახელს, სიმდიდრესთან თანხვედრილს. მათი პატივისცემა შეიძლება დაიმსახურო, თუ ბედის ეს რომელიმე საჩუქარი გერგო. მაგრამ ადამიანი, რომელსაც არც ერთი არ აქვს, უკიდურესი გამონაკლისის გარდა, მაწანწალად და მონად მიიჩნევა, რომელიც განწირულია, მთელი თავისი ძალები რამდენიმე რჩეულის მორჩილებისკენ მიმართოს.

მაგრამ მე ვინ ვარ? არ ვიცოდი, ვინ და როგორ შემქმნა. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ არ მქონდა ფული, არც საკუთრება, არ მყავდა მეგობრები. თანაც საზიზღარი, მახინჯი გარეგნობა მქონდა და ადამიანებისგან ჩემი ბუნებითაც გამოვირჩეოდი. მე მათზე ძლიერი ვიყავი, შემეძლო უფრო უხეში საკვებით მეარსება, უფრო იოლად გადამეტანა სიცხე და სიცივე და მათზე გაცილებით ტანმაღალი ვიყავი. გარშემო რომ ვიყურებოდი, ვერსად ვხედავდი ჩემნაირს. ნუთუ მე ურჩხული ვარ, ლაქა დედამიწის სახეზე, ქმნილება, რომელსაც ყველა გაურბის და ერიდება?

ვერ აღვწერ, რა ტანჯვა მომაყენა ამ ფიქრებმა. ვცდილობდი, ისინი თავიდან მომეშორებინა, მაგრამ რაც მეტს ვიგებდი, მით მეტად ვგლოვობდი. ეჰ, ალბათ ჯობდა, სამუდამოდ დავრჩენილიყავი ჩემს ტყეში, უმეცარი და უგრძნობი, რომელიც შიმშილის, წყურვილისა და სიცხის გარდა ვერაფერს განიცდიდა!

უცნაური რამაა შეცნობა! ერთხელ შეცნობილი რამ გონებაში მყარად იკიდებს ფეხს, როგორც სირსველი კლდეზე. ხანდახან მსურდა ყველა ფიქრი და გრძნობა დამეფანტა, მაგრამ გავიგე, რომ ტანჯვათაგან ერთადერთი გათავისუფლება სიკვდილია, მისი კი მეშინოდა, თუმცა კი ეს ჯერ არ მესმოდა.

აღფრთოვანებას მგვრიდა სიკეთე და უმაღლესი გრძნობები. მომწონდა ქოხის ბინადართა სათნოება და სირბილე, მაგრამ მათთან არ მქონდა ურთიერთობა და მხოლოდ შეპარვით ვაკვირდებოდი, უხილავი და უცნობი ვრჩებოდი, ეს კი უფრო მეტად ამძაფრებდა და სულაც არ აკმაყოფილებდა ჩემს სურვილს, ადამიანთა საზოგადოებას ვზიარებოდი. ჩემთვის სულაც არ იყო განკუთვნილი აგატას ნაზი სიტყვები და არაბი გოგონას მოელვარე ღიმილი. მე სულაც არ მომმართავდა მოხუცი თავისი შეგონებებით ან საყვარელი ფელიქსი თავისი გონებამხვილური რეპლიკებით. ო, უბედურო განკვეთილო!

ზოგიერთმა გაკვეთილმა კიდევ უფრო ღრმად დამჭრა. შევიტყვე სქესთა სხვაობაზე, ბავშვების დაბადებასა და აღზრდაზე. იმაზე, თუ როგორ ტკბება მამა ჩვილის კისკისით და უფროსი შვილების ცელქობებზე იცინის. დედის მთელი ზრუნვა და ცხოვრება როგორ არის მიძღვნილი ძვირფასი ტვირთისთვის. როგორ ვითარდება

ყმაწვილური გონება, როგორ შეიცნობს ის ცხოვრებას, როგორი კავშირებით – ნათესაური თუ სხვა – არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ადამიანები.

მაშ სად იყვნენ ჩემი ახლობლები და ნათესავები? ჩემს აკვანთან მამა არ მდგარა, დედა არ დახრილა ალერსიანი ღიმილით, ხოლო თუ ეს ყველაფერი იყო კიდეც, ახლა ჩემი წარსული ცხოვრება ბნელ უფსკრულად მესახებოდა, სადაც ვერაფერს ვარჩევდი. რაც თავი მახსოვდა, ყოველთვის ამ ზომების ვიყავი, როგორც ახლა. ჯერ არ მინახავს არავინ, ჩემი მსგავსი, არავინ, ვინც მოისურვებდა ჩემთან საქმის დაჭერას. მაშ ვინ ვარ მე? კვლავ და კვლავ ვუსვამდი საკუთარ თავს ამ შეკითხვას, თუმცა მხოლოდ სევდიანი ამოოხვრითა და კვნესით თუ შემეძლო მასზე პასუხის გაცემა.

მალე ავხსნი, საით გამიტაცეს ამ განცდებმა. ახლა კი ნება მომეცი, ქოხის ბინადრებს დავუბრუნდე, რომელთა ამბავმა ჩემში დაბნეულობაც გამოიწვია, გაოცებაც, აღტაცებაც, მაგრამ საბოლოო ჯამში მაიძულა კიდევ მეტად შემყვარებოდა და პატივი მეცა ჩემი მფარველებისთვის, როგორც მათ სიამოვნებით ვუწოდებდი ჩემს გულში, ამაოდ ვიტყუებდი თავს.

XIV თავი

ჩემი მეგობრების ამბავი მალე როდი გავიგე. მას უცილობლად დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩემზე, რადგან მისი ბევრი გარემოება ჩემნაირი გამოუცდელი არსებისთვის ახალი და გამაოგნებელი იყო.

მოხუცი გვარად დე ლესი იყო. იგი კარგი ფრანგული ოჯახიდან მომდინარეობდა და დიდხანს ცხოვრობდა საკმაოდ შეძლებულად, თანასწორთა სიყვარულითა და ზემდგომთა პატივისცემით გარემოცული. მისი ვაჟი სამხედრო სამსახურში აპირებდა ჩადგომას, აგატას კი მისთვის შესაფერისი ადგილი ეკავა მაღალი წრის ქალბატონებს შორის. ჩემ გამოჩენამდე რამდენიმე თვით ადრე ისინი ჯერ კიდევ დიდ და მდიდარ ქალაქში ცხოვრობდნენ, სახელად პარიზში, ყველა სიკეთით სარგებლობდნენ, რაც კი შეიძლება მიანიჭოს ადამიანს შეძლებულმა ცხოვრებამ, განათლებამ და დახვეწილმა გემოვნებამ.

მათი უბედურებების მიზეზად საფიას მამა იქცა. ის თურქი მაღალჩინოსანი იყო, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა პარიზში, მაგრამ უცებ, ჩემთვის გაუგებარი რაღაც მიზეზის გამო, ხელისუფლებისთვის უსარგებლო გახდა. იგი შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს სწორედ იმ დღეს, როცა მასთან კონსტანტინოპოლიდან საფია ჩავიდა. გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მისი განაჩენის უსამართლობა აშკარა იყო. მთელი პარიზი აღშფოთდა, ყველას მიაჩნდა, რომ მისი გასამართლების

მიზეზი სიმდიდრე და სარწმუნოება გახდა და სულაც არა ის დანაშაული, რომელსაც მიაწერდნენ.

ფელიქსი შემთხვევით დაესწრო სასამართლო სხდომას; განაჩენის მოსმენისთანავე აღშფოთდა და საზეიმო ფიცი დადო, რომ უდანაშაულო როგორმე გადაერჩინა და ამისთვის სხვადასხვა საშუალების ძიება დაიწყო. ციხეში შეღწევის მრავალი მცდელობის შემდეგ შენობის დაუცველ ნაწილში ფანჯარა შენიშნა, გისოსების გარეშე. შენობის ეს ნაწილი უბედური მუსლიმანის კამერას ემიჯნებოდა; ჯაჭვებით შებოჭილი სასოწარკვეთილი ელოდა სასტიკი განაჩენის აღსრულებას. ღამით ფელიქსმა ფანჯრის ქვეშ გაიარა და პატიმარს თავისი განზრახვა გაანდო. გაოცებულმა და გახარებულმა თურქმა სცადა თავისი მხარდამჭერის გულმოდგინება გაეასმაგებინა და მას გარკვეულ ჯილდოს შეჰპირდა. ფელიქსმა ზიზღით უარყო იგი, მაგრამ მას მერე, რაც ერთხელ მშვენიერი საფია ნახა, რომელსაც მამის მონახულების უფლება ჰქონდა და რომელმაც ჟესტებით მიანიშნა ჭაბუკს მგზნებარე მადლიერება, ფელიქსმა აღიარა, რომ პატიმარს მართლაც ჰქონდა საუნჯე, რომელსაც შეეძლო სრულად დაეჯილდოებინა მისი შრომა და რისკი.

თურქმა მაშინვე შენიშნა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ქალიშვილმა ფელიქსზე და გადაწყვიტა, უფრო მეტად დაეინტერესებინა – ქალიშვილის ხელს შეჰპირდა, როგორც კი თვითონ მას უსაფრთხო ადგილას მიუჩენდნენ ადგილს. დელიკატურობა ფელიქსს არ აძლევდა უფლებას, მსგავსი წინადადება მიეღო, მაგრამ ამ მოვლენის შესაძლებლობაზე ისე დაიწყო ოცნება, როგორც მისთვის ყველაზე დიდ ბედნიერებაზე.

შემდგომ დღეებში, სანამ გაქცევისთვის ემზადებოდნენ, ფელიქსი კიდევ მეტად აენთო, როცა რამდენიმე წერილი მიიღო მზეთუნახავისგან – მას ეპოვა საშუალება, გამიჯნურებულ ჭაბუკთან მის ენაზე ელაპარაკა, მამის მოხუცი მსახურის მეშვეობით, რომელმაც ფრანგული იცოდა. პათეტიკური გამონათქვამებით უძღვნიდა მადლობას ყმაწვილს მამისთვის შეპირებული დახმარებისთვის და იმავდროულად მწუხარედ ჩიოდა თავის ბედს.

გადავწერე ეს წერილები, რადგან ფარდულში ცხოვრების განმავლობაში შევძელი წერილების რამდენჯერმე მოპოვება, ისინი უფრო ხშირად ფელიქსის ან აგატას ხელში იყო. მათ შენ მოგცემ, სანამ წახვალ; ისინი ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას დაადასტურებენ, ახლა კი მზე უკვე დაისისკენ მიიწევს და ვეჭვობ, მათი არსი მთლიანად გადმოგცე.

საფია წერდა, რომ დედამისი, ქრისტიანულად მონათლული არაბი, თურქებმა მოიტაცეს და მონად გაყიდეს; თავისი სილამაზით საფიას მამა დაატყვევა, რომელმაც ის ცოლად მოიყვანა. გოგონა აღტაცებული საუბრობდა დედაზე. თავისუფლად დაბადებული თავის ახლანდელ მონობას წყევლიდა. ქალიშვილი ქრისტიანული დოგმებით აღზარდა და ასწავლა სულიერი განვითარებისა და თავისუფლებისკენ

სწრაფვა, რომელიც მუსლიმანური ქვეყნების ქალებისთვის აკრძალულია. ის აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ მისი დარიგებები სამუდამოდ ჩაებეჭდა გულში საფიას, რომელსაც ტანჯავდა აზიაში დაბრუნებაზე ფიქრი – იქ ჰარამხანის კედლებში გამოკეტვა ელოდა, სადაც ქალს მხოლოდ ბავშვური გართობის უფლება თუ ჰქონდა. ეს კი აღაშფოთებდა მის სულს, ამაღლებულ ფიქრებს და კეთილშობილურ სწრაფვებს მიჩვეულს. საფიას ახარებდა ის ფიქრი, რომ შეიძლებოდა ქრისტიანს გაჰყოლოდა ცოლად და დარჩენილიყო იმ ქვეყანაში, სადაც ქალებს საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის დაკავება შეუძლიათ.

თურქის განაჩენის აღსრულების დღე უკვე დანიშნული იყო, მაგრამ წინა ღამით ის ციხიდან გაიქცა და დილისკენ უკვე პარიზიდან მრავალი ლიე აცილებდა. ფელიქსმა თავის სახელზე აიღო პასპორტი, ასევე თავისი მამისა და დის სახელზე. მამას წინასწარ ამცნო საიდუმლო გეგმის შესახებ და ისიც დაეხმარა ჩანაფიქრის განხორციელებაში, თავი მოაჩვენა, თითქოს მართლაც გასამგზავრებლად ემზადებოდა, როცა სინამდვილეში ქალიშვილთან ერთად პარიზის მიყრუებულ გარეუბანში დასახლდა.

ფელიქსმა დევნილები ლიონამდე მიიყვანა, მერე კი მონ-სენის გავლით ლივორნომდე, სადაც ვაჭარი აპირებდა მოსახერხებელ შემთხვევას დალოდებოდა და თურქეთის მხარეს გადასულიყო.

საფიამ გადაწყვიტა, მის გამგზავრებამდე მამასთან დარჩენილიყო, თურქმა კი პირობა გაიმეორა, რომ მას თავის მხსნელთან დააქორწინებდა. ქორწილის მოლოდინში ფელიქსიც მათთან დარჩა, არაბი გოგონას საზოგადოებით ტკბებოდა, რომელიც ნაზი და გულწრფელი სიყვარულით პასუხობდა. თარჯიმნის მეშვეობით საუბრობდნენ, ხანდახან კი მხოლოდ მზერით, და საფია მას თავისი სამშობლოს საუცხოო სიმღერებს უმღეროდა.

თურქი ხელს უწყობდა მათ დაახლოებას და ახალგაზრდა წყვილის იმედებს იზიარებდა, თუმცა იმავდროულად სულ სხვა გეგმებს აწყობდა. მისთვის წარმოუდგენელი იყო ქალიშვილის ქრისტიანისთვის მითხოვება, მაგრამ ეშინოდა ფელიქსისთვის ამის ჩვენება, რადგან ჯერ მთლიანად თავის მხსნელზე იყო დამოკიდებული, რომელსაც თავისუფლად შეეძლო, თუ მოისურვებდა, იტალიური სამეფოს ხელისუფლებისთვის გადაეცა, სადაც ახლა იმყოფებოდნენ. სულ ახალ-ახალ ხერხებს იგონებდა სიცრუის გასახანგრძლივებლად, სანამ ფელიქსი აღარ იქნებოდა საჭირო და გადაწყვიტა, სამშობლოში გამგზავრებისას გოგონაც საიდუმლოდ თან წაეყვანა.

პარიზიდან მოსულმა ცნობებმა მის განზრახვას ხელი შეუწყო. საფრანგეთის ხელისუფლება აღაშფოთა თავისი მსხვერპლის გაქცევამ და ძალისხმევას არ იშურებდა, რომ მისი მხსნელი აღმოეჩინა და სათანადოდ დაესაჯა. ფელიქსის შეთქმულება მალე გაიხსნა და დე ლესი აგატასთან ერთად ციხეში ჩასვეს. ეს ცნობა

ფელიქსის ყურამდეც მივიდა და ნეტარი თრობიდან გამოაფხიზლა. მისი მოხუცი უსინათლო მამა და სათნო და ბნელ საკანში იტანჯებოდნენ, სანამ თვითონ თავისუფლებითა და საყვარელ გოგონასთან სიახლოვით ტკბებოდა. ეს ფიქრები აუტანელი გახდა მისთვის. თურქს შეუთანხმდა, რომ საფია ლივორნოს მონასტერში დაიმალებოდა, თუ მამამისს იმაზე ადრე მოუწევდა გამგზავრება, სანამ ფელიქსი იტალიაში დაბრუნებას შეძლებდა; თვითონ კი პარიზში გაეშურა და მართლმსაჯულებას ჩაჰბარდა – იმედი ჰქონდა, ამგვარად მიაღწევდა დე ლესისა და აგატას გათავისუფლებას.

ეს ვერ მოახერხა. ციხეში ხუთი თვე ჰყავდათ დამწყვდეული, სასამართლომდე, მერე კი სამუდამო განკვეთა მიუსაჯეს მთელი ქონების კონფისკაციით.

სწორედ მაშინ დასახლდნენ გერმანიაში, იმ ღარიბულ ქოხში, სადაც მე ისინი ვიპოვე. მალე ფელიქსმა გაიგო, რომ მოღალატე თურქმა, რომლის გამოც მან და მისმა ოჯახმა ამდენი უბედურება გადაიტანეს, მორალისა და ღირსების ყველა კანონი დაარღვია და იტალიიდან ქალიშვილთან ერთად გაემგზავრა; შეურაცხყოფის დამაგვირგვინებლად ფელიქსს მცირე თანხა გამოუგზავნა, რათა, როგორც იგი იწერებოდა, ფეხზე დადგომაში დახმარებოდა.

აი, რა უღრღნიდა გულს ფელიქსს, როცა მე ის პირველად დავინახე, რა აქცევდა ყველაზე უბედურად თავის ოჯახში. შეიძლებოდა შეჰგუებოდა სიღარიბეს და ეამაყა კიდეც მისით, როგორც თავისი კეთილშობილური საქციელის საზღაურით, მაგრამ თურქის უმადურობა და საყვარელი გოგონას დაკარგვა საშინელი და გამოუსწორებელი უბედურებები იყო. ახლა არაბი გოგონას ჩამოსვლამ თითქოს ახალი სიცოცხლე შთაბერა მას და მთელ მის ოჯახს.

როცა ლივორნომდე მივიდა ცნობა, რომ ფელიქსმა ქონება და წოდება დაკარგა, თურქმა ქალიშვილს უბრძანა, სატრფო დაევიწყებინა და სამშობლოში გასამგზავრებლად გამზადებულიყო. საფიას კეთილშობილი გული აღაშფოთა ამ ბრძანებამ. გოგონა ცდილობდა მამასთან შეკამათებას, მაგრამ ის არც კი უსმენდა და მრისხანედ იმეორებდა თავის დესპოტურ მოთხოვნებს.

რამდენიმე დღის შემდეგ მამა მის ოთახში შევიდა და ნაჩქარევად ამცნო, რომ ლივორნოში მისი ყოფნა, სავარაუდოდ, ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა. მთავრობა აპირებდა საფრანგეთის ხელისუფლებისთვის მის გადაცემას; ამიტომაც უკვე დაექირავებინა ხომალდი და რამდენიმე საათის შემდეგ კონსტანტინოპოლში უნდა გაეცურა. გადაწყვიტა, ქალიშვილი ერთგული მსახურის მეურვეობის ქვეშ დაეტოვებინა, რათა მოგვიანებით გაჰყოლოდა თან მამას, თურქის ქონების დიდ ნაწილთან ერთად, რომლის ლივორნოში ჩამოტანა ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ.

მარტო დარჩენილმა საფიამ მოქმედების ის გეგმა აირჩია, რომელსაც მართებულად მიიჩნევდა. თურქეთში ცხოვრება მისთვის საძულველი იყო, ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა მისი გრძნობებიც და სარწმუნოებაც. მამის ქაღალდებიდან, რომლებიც

მის ხელში აღმოჩნდა, მან გაიგო თავისი შეყვარებულის განდევნისა და მისი ადგილსამყოფლის შესახებ. მცირე ხანს კიდევ მერყეობდა, მაგრამ მერე გადაწყვიტა, თან წაეღო ძვირფასეულობა და ფულის გარკვეული ნაწილიც. ლივორნოელი მსახურის თანხლებით, რომელმაც თურქული იცოდა, იტალია დატოვა და გერმანიაში გაემგზავრა.

მშვიდობით მიაღწია ქალაქს, რომელიც დე ლესის ქოხთან სულ რაღაც ოც ლიეში იყო, მაგრამ იქ მისი მსახური დაავადდა. საფია ნაზად უვლიდა, მაგრამ საბრალო გარდაიცვალა, არაბი გოგონა კი მარტო დარჩა, ქვეყნის ენის უცოდინარი და სრულიად გამოუცდელი ცხოვრებისეულ საქმეებში. თუმცა კეთილ ადამიანებში უმართლებდა. იტალიელმა მსახურმა ქალმა მოასწრო მისთვის ადგილმდებარეობის დასახელება, საითაც მათ გეზი ჰქონდათ აღებული; მისი გარდაცვალების შემდეგ კი სახლის მეპატრონემ იზრუნა იმაზე, რომ საფიას უვნებლად მიეღწია თავის სატრფომდე.

XV თავი

ასეთი იყო ჩემი ქოხის საყვარელი ბინადრების ამბავი. მან ჩემზე ძალიან იმოქმედა. მისი მეშვეობით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს აეხადა ჩემთვის ფარდა. მან მასწავლა, ღირსებითა და სათნოებით აღვტაცებულიყავი და ბიწიერება შემძულებოდა.

ბოროტება ჯერ კიდევ უცხო იყო ჩემთვის. სიკეთისა და დიდსულოვნების მაგალითები გამუდმებით თვალწინ მქონდა, ისინი მიჩენდა სურვილს, თვითონაც მიმეღო მონაწილეობა იმ ცხოვრებაში, სადაც შეიძლებოდა და საჭირო იყო ასეთი უმაღლესი თვისებების გამოვლენა. მაგრამ ჩემს სულიერ განვითარებაზე საუბრისას არ შეიძლება არ ვახსენო ერთი გარემოება, რომელიც იმავე წლის აგვისტოს დასაწყისს ეხებოდა.

ერთხელ ღამით, ჩვეულებისამებრ, ტყეში შესულმა, სადაც საკვებს ვაგროვებდი ჩემთვის და შეშას – ჩემი მეგობრებისთვის, ტყავის საგზაო ჩანთა ვიპოვე, რომელშიც რაღაც ტანსაცმელი და რამდენიმე წიგნი იდო. სიხარულით ვეცი ამ ნადავლს და მათთან ერთად ფარდულში დავბრუნდი. საბედნიეროდ, წიგნები იმ ენაზე იყო დაწერილი, რომლებიც ნაწილობრივ უკვე ვიცოდი. ეს იყო „დაკარგული სამოთხე“, პლუტარქეს „ცხოვრების აღწერის“ ერთ-ერთი ტომი და „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. ამ საუნჯის ფლობამ მხოლოდ სიხარული მომიტანა. ამიერიდან უწყვეტად ვასაზრდოებდი მათით ჩემს გონებას, სანამ ჩემი მეგობრები ყოველდღიური საქმეებით იყვნენ დაკავებული.

ძნელი აღსაწერია, რა გავლენა მოახდინა ჩემზე ამ თხზულებებმა. ისინი უამრავ ახალ განცდასა და სახეს იწვევდნენ ჩემში, ხანდახან ექსტაზშიც კი მოვყავდი, მაგრამ უფრო ხშირად ღრმა დეპრესიაშიც მაგდებდნენ. „ვერთერის ვნებებში“, რომელიც მხოლოდ მარტივი და ამაღელვებელი სიუჟეტით იზიდავდა ჩემს ინტერესს, იმდენი აზრი იყო გამოთქმული, იმდენი საკითხი განხილული, ადრე ჩემთვის გაუგებარი, რომ მასში გაოცებისა და აზროვნების ამოუწურავი წყარო ვიპოვე. მშვიდობიანი ოჯახური სცენები, ასევე ამაღლებული გრძნობები და განზრახვები, რომელშიც ადგილი არ რჩებოდა თავმოყვარეობისთვის, იმას ეთანხმებოდა, რასაც ჩემს მეგობრებში ვადევნებდი თვალს და იმ მისწრაფებებს, რომლებიც ჩემს საკუთარ მკერდში ცოცხლობდნენ. თვით ვერთერი ჩემ მიერ ნანახ და წარმოდგენილ ყველა არსებაზე უფრო მაღალი წარმომედგინა. მასში ყველაფერი უბრალო იყო, მაგრამ სულის სიღრმემდე გძრავდა. სიკვდილისა და თვითმკვლელობის შესახებ მსჯელობები განცვიფრებით მავსებდა. არ შემეძლო ყოველივე ამაში გარკვევა, მაგრამ გმირს თანავუგრძნობდი და მის სიკვდილს დავტიროდი, თუმცაღა ბოლომდე ვერც ვხვდებოდი მის გასაჭირს.

კითხვისას ვცდილობდი, ბევრი რამ კარგად გამეაზრებინა. საკუთარი თავი მათი მსგავსი ან სრულიად არამსგავსი მეჩვენებოდა, ვიზეც ვკითხულობდი და ვისაც ვაკვირდებოდი. თანავუგრძნობდი და ნაწილობრივ მესმოდა კიდეც მათი, მაგრამ ჩემი ჭკუა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. არავისზე არ ვიყავი დამოკიდებული და არავისთან დაკავშირებული, და არც არავინ დამიტირებდა, როცა იმ ქვეყანას გავემგზავრებოდი. გარეგნობაც საზარელი მქონდა, გიგანტური ზომები. რას ნიშნავდა ეს? ვინ ვიყავი მე? საიდან? რა იყო ჩემი დანიშნულება? ამ შეკითხვებს დაუსრულებლად ვუსვამდი საკუთარ თავს, მაგრამ პასუხებს ვერ ვპოულობდი.

პლუტარქეს ტომი, რომელიც ჩემ ხელთ აღმოჩნდა, ძველი რესპუბლიკის დამაარსებელთა ბიოგრაფიებს შეიცავდა. ამ წიგნმა ჩემზე სულ სხვა გავლენა მოახდინა, ვიდრე „ახალგაზრდა ვერთერის ვნებებმა“. ვერთერმა მასწავლა მოწყენილობა და დარდი, როცა პლუტარქემ მაღალი ფიქრები ჩამინერგა; მან ამამაღლა უბადრუკ ეგოისტურ საზრუნავებზე, მაიძულა ძველი დროის გმირებით აღვფრთოვანებულიყავი. წაკითხულიდან ბევრი რამ ჩემი გაგების მიღმა რჩებოდა. გარკვეული წარმოდგენა მქონდა სამეფოებზე, უკიდეგანო სივრცეებზე, მძლავრ მდინარეებსა და ზღვებზე. მაგრამ სრულიად არ ვიცნობდი ქალაქებსა და ადამიანების დიდ თავყრილობებს. ჩემი მფარველების ქოხი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ადამიანის ბუნებას ვსწავლობდი, ამ წიგნმა კი მოქმედების უფრო ახალი და გაცილებით ფართო ასპარეზები დამანახვა. წავიკითხე ადამიანებზე, რომლებიც საზოგადოებრივი საქმეებით იყვნენ დაკავებულნი; მათზე, ვინც თავისნაირებს მართავდა ან მათ ხოცავდა. საკუთარ თავში სიკეთის ქმნადობის მიმართ სწრაფვა და ბიწიერების ზიზღი ვიგრძენი, რამდენადაც მესმოდა ჩემთვის მხოლოდ სიხარულთან ან ტკივილთან დაკავშირებული ამ სიტყვების მნიშვნელობა. ამან მაიძულა მშვიდობისმოყვარული კანონმდებლებისთვის მეტი ხოტბა შემესხა – ლიკურგესთვის,

ნუმა პომპილიუსისთვის, ვიდრე რომულუსისა და თეზევსისთვის. ჩემი მფარველების პატრიარქალურმა ცხოვრებამ პირველ რიგში სწორედ ეს ცნებები ჩამინერგა. ადამიანებთან ჩემი ნაცნობობა რომ დაწყებულიყო ახალგაზრდა მეომრით, რომელიც დიდებისა და ბრძოლებისკენ ისწრაფვოდა, ალბათ სხვა გრძნობებით აღვივსებოდი.

„დაკარგულმა სამოთხემ“ ჩემში სულ სხვა და გაცილებით უფრო დიდი მღელვარება გამოიწვია. ის, როგორც ჩემს ხელთ აღმოჩენილი სხვა წიგნები, ისე მივიღე, როგორც მონათხრობი ჭეშმარიტ შემთხვევაზე. მისი წაკითხვისას იმ გაოცებასა და შიშს განვიცდიდი, რისი გამოწვევაც შეუძლია ძლევამოსილი ღმერთის სახეს, რომელიც თავის ქმნილებებთან აწარმოებს ომს. ამ დროს ხშირად ვავლებდი პარალელებს საკუთარ საზარელ ბედთან.

როგორც ადამს, მეც არ მყავდა ახლობლები; მაგრამ ყველაფერ სხვაში ჩვენ განსხვავებულნი ვიყავით. ის ღმერთის ხელით დაიბადა სრულყოფილი, ბედნიერი და თავისი შემოქმედის ზრუნვით დაცული. მას შეეძლო ესაუბრა უმაღლეს არსებებთან და მათგან ესწავლა, მე კი უბედური ვიყავი, მარტოხელა და უსუსური. მეჩვენებოდა, რომ უფრო სატანას ვგავდი. ჩემი მფარველების ბედნიერების დანახვისას მეც ხშირად განვიცდიდი შურის მაგვარ განცდას.

კიდევ ერთმა გარემოებამ გაამყარა და გააძლიერა ეს გრძნობები. ფარდულში დაბინავებიდან სულ ცოტა ხანში, შენი ლაბორატორიიდან წამოღებული ტანსაცმლის ჯიბეებში რაღაც ბარათები ვიპოვე. თავიდან მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია; მაგრამ ახლა, როცა უკვე შემეძლო მათი წაკითხვა, ყურადღებით გავეცანი. ეს შენი დღიური იყო იმ ოთხი თვის განმავლობაში დაწერილი, რომელიც ჩემს ამქვეყნად მოვლინებას უძღოდა წინ. მასში შენ დაწვრილებით, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერდი შენს სამუშაოს, ამ ჩანაწერებს შენი ყოველდღიური ცხოვრების დღიურს უთავსებდი. რა თქმა უნდა, გახსოვს ისინი. აი, აქ მაქვს. აქ ყველაფერი აღგინიშნავს, რაც ჩემს ავადსახსენებელ დაბადებას უკავშირდება; დაწვრილებით არის აღწერილი ჩემი ამაზრზენი გარეგნობა; თანაც ისეთი სიტყვებით, რომლებშიც მთელი შენი ზიზღია გამოხატული და რომელსაც ვერასდროს დავივიწყებ: „წყეულიმც იყოს ჩემი გაჩენის დღე! – გავყვიროდი, – წყეული შემქმნელი! რატომ შექმენი ურჩხული, რომლისგანაც თვითონვე ზიზღით იბრუნე პირი? მოწყალე ღმერთმა შექმნა მშვენიერი ადამიანი, თავისი მსგავსი და ხატი; მე კი თვით შენი დამახინჯებული სახე ვარ, კიდევ უფრო ამაზრზენი ამ მსგავსების გამო. სატანას თანამოძმე დემონები ჰყავდა; მათ თვალში ის მშვენიერი იყო. მე კი მარტოსული ვარ და ყველასგან შეძულებული“.

ასე ვფიქრობდი მარტოობისა და სასოწარკვეთის საათებში, მაგრამ ქოხის ბინადართა სიქველეს, მათ სათნოებასა და დიდსულოვნებას რომ ვხედავდი, თავს ვირწმუნებდი, რომ ისინი შემიბრალებდნენ, როცა გაიგებდნენ, რამდენად ვიყავი მათით აღტაცებული და მაპატიებდნენ ამ სიგონჯეს. ნუთუ ისინიც გააძევებენ არსებას, რომელიც სიბრალულსა და მეგობრობას სთხოვთ, რაოდენ მახინჯიც უნდა იყოს იგი? გადავწყვიტე, იმედი არ დამეკარგა, მაგრამ რაც შეიძლება კარგად მოვმზადებულიყავი

მათთან შესახვედრად, ვინც ჩემს ბედს გადაწყვეტდა. ეს შეხვედრა კიდევ რამდენიმე თვით გადავდე. მნიშვნელობა, რასაც მას ვანიჭებდი, მაიძულებდა წარუმატებლობის მშინებოდა. თანაც, ყოველდღიური გამოცდილება ისე ავითარებდა ჩემს გონებას, რომ არაფრის ჩადენა არ მინდოდა, სანამ დრო სიბრძნეს არ შემმატებდა.

ამასობაში ქოხში გარკვეული ცვლილებები მოხდა. საფიას ჩამოსვლამ არა მხოლოდ სიხარული შემოიტანა, არამედ შეძლებაც. ფელიქსი და აგატა ახლა მეტ დროს უთმობდნენ გართობასა და საუბრებს, სამუშაოებში კი უკვე მუშები ეხმარებოდნენ. ეს არ იყო სიმდიდრე, მაგრამ უზრუნველი ცხოვრება კი ერქვა; უდრტვინველი სიმშვიდე სუფევდა მათთან; ჩემში კი ყოველდღიურად მატულობდა შფოთვა. შემეცნებამ მხოლოდ უფრო ნათლად დამანახვა, რომ მე განკვეთილი ვიყავი. იმედს მაინც არ ვკარგავდი, მაგრამ საკმარისი იყო საკუთარი ანარეკლი დამენახა წყალში ან საკუთარი ჩრდილი მთვარის შუქზე, იმედი მაშინვე ქრებოდა, როგორც გადღაბნილი ანარეკლი და არამდგრადი ჩრდილი.

ვცდილობდი შიში დამეძლია და სული გამემაგრებინა რამდენიმე თვეში მოსალოდნელი გამოცდის წინ. ხანდახან ჩემს ოცნებებს გონებით არ ვზღუდავდი და საშუალებას ვაძლევდი, სამოთხის წალკოტებში ეფრინათ. ჩემს წარმოსახვაში უმშვენიერესი და ნაზი ქმნილებების დახატვას ვბედავდი, რომლებიც თანამიგრძნობდნენ და მამხნევებდნენ, მათ ანგელოზურ სახეებზე ჩემთვის განკუთვნილი ნუგეშის ღიმილი ბრწყინავდა. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებები იყო. მე არც ევა მყავდა, რომელიც ჩემთან გაიზიარებდა ფიქრებს და ჩემს ნაღველს გაფანტავდა. მარტო ვიყავი. ვიხსენებდი ადამის ვედრებას თავისი შემქმნელისადმი. მაშ ჩემი შემქმნელი სადღა იყო? მან უპასუხისმგებლოდ მიმატოვა და მეც გულდათუთქული ვწყევლიდი მას.

ასე მიიწურა შემოდგომა. გაოცებულმა და მწუხარემ დავინახე, როგორ განიძარცვა ხეები და ყველაფერი ისევ შიშველი და პირქუში გახდა, როგორც მაშინ, როცა პირველად დავინახე ტყე და მთვარის შუქი. სიცივე არ მაშინებდა. მისთვის გაცილებით უკეთ ვიყავი შემზადებული, ვიდრე სიცხისთვის. მაგრამ ყვავილები, ჩიტები და ზაფხულის მხიარული აღკაზმულობა სიხარულს მგვრიდა. როცა ესეც მომაკლდა, კიდევ უფრო გამიწია გულმა ქოხის ბინადრებისკენ. მათი ბედნიერება ზაფხულის გასვლასთან ერთად არ იკლებდა. მათ ერთმანეთი უყვარდათ და ის სიხარული, რასაც ისინი ერთმანეთს უძღვნიდნენ, არ იყო დამოკიდებული ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებზე.

რაც მეტად ვაკვირდებოდი მათ, მით მეტად მსურდა მათთვის მფარველობა და ალერსი მეთხოვა. მწყუროდა, რომ მათ გავეცანი და შევყვარებოდი, ჩემკენ მომართული მათი ალერსიანი მზერის დანახვა ოცნების ზღვარი იყო ჩემთვის. ვერ ვბედავდი იმაზე ფიქრს, რომ ამრეზითა და მტრობით ამარიდებდნენ თვალს. ჯერ არც ერთი მათხოვარი არ გაუძევებიათ, მათ კართან სამოწყალოდ მომდგარი. მართალია, მე მეტის თხოვნას ვაპირებდი, ვიდრე თავშესაფარი ან პურის ნაჭერი იყო – მე

თანაგრძნობასა და კეთილგანწყობას ვეძებდი, მაგრამ ნუთუ სრულიად არ ვიყავი ამის ღირსი?

დაზამთრდა კიდეც. მას მერე, რაც ცხოვრებისკენ შემოვბრუნდი, ბუნებამ ერთი სრული წრე გააკეთა. ახლა მთელი ჩემი ფიქრები იქითკენ იყო მიმართული, როგორ ვჩვენებოდი ქოხის ბინადართ. უამრავი გეგმა გადავალაგე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, ქოხში მაშინ შევსულიყავი, როცა ბრმა მოხუცი შინ მარტო იქნებოდა. საკმარისად გამჭრიახი გონება მქონდა, რათა მივმხვდარიყავი, რომ მანამდე ჩემ ყველა მნახველს ჩემი გარეგნული სიმახინჯე აშინებდა. ხმა კი, მართალია, უხეში მქონდა, მაგრამ არა საშიში. ამიტომ ვვარაუდობდი, რომ თუ მოხუცი დე ლესის კეთილგანწყობას მოვიპოვებდი მისი შვილების არყოფნისას, მაშინ ახალგაზრდა მფარველებიც, ალბათ, თანახმა იქნებოდნენ, რომ ავეტანე.

ერთხელ, როცა მზე მიწაზე გაშლილ მეწამულ ფოთლებს აჩახჩახებდა და ჯერ კიდევ ახარებდა გულს, თუმც უკვე არ ათბობდა, საფია, აგატა და ფელიქსი სადღაც სასეირნოდ გავიდნენ, მოხუცმა კი შინ დარჩენა ისურვა. როცა შვილები წავიდნენ, თავისი გიტარა აიღო და რამდენიმე სევდიანი და ნაზი მელოდია დაუკრა, ყველაზე სევდიანი და ნაზი მათ შორის, რაც კი მე მომესმინა. თავდაპირველად სახე სიამოვნებით უნათებდა, მაგრამ თანდათან ჩაფიქრებული და ნაღვლიანი გაუხდა, ინსტრუმენტი გვერდზე გადადო და ფიქრებში ჩაეფლო.

გული ძალუმად მიცემდა. განსაცდელის ჟამი დადგა, რომელიც ჩემს იმედებს შეასხამდა ხორცს ან შიშს დაადასტურებდა. მსახურები სადღაც ახლოს, ბაზრობაზე წავიდნენ. ყველაფერი მიწყნარდა ქოხში და მის გარშემო. შესანიშნავი შემთხვევა იყო და მაინც, როცა ჩემი გეგმის განხორციელებას შევუდექი, ძალა გამომეცალა და მიწაზე დავეშვი. მაგრამ მაშინვე წამოვდექი და საკუთარ სიმტკიცეს ვუხმე დასახმარებლად, რისი უნარიც კი მქონდა. ფიცრები გადავწიე, რომლებითაც ფარდულში ჩემს შესასვლელს ვნიღბავდი. სუფთა ჰაერმა გამამხნევა და ხელახალი შემართებით მივუახლოვდი ქოხის კარს.

დავაკაკუნე.

– ვინ არის? – გამომეპასუხა მოხუცი, – შემოდით.

შევედი.

– გთხოვთ მომიტევოთ ამ შემოჭრისთვის, – ვუთხარი გაუბედავად, – მგზავრი ვარ და დასვენება მჭირდება. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ნებას დამრთავთ, ცოტა ხანს ცეცხლთან ჩამოვჯდე.

– შემოდით, – მომიგო დე ლესიმ, – ვეცდები რაიმეთი დაგეხმაროთ. მხოლოდ ეგ არის საწყენი, რომ ჩემი შვილები არ არიან შინ, მე კი ბრმა ვარ და ვშიშობ, ვერ შევძლებ თქვენს დაპურებას.

– ნუ იღელვებთ ამაზე, ჩემო კეთილო მასპინძელო, საჭმელი მაქვს, მხოლოდ მინდა ცოტათი გავთბე და დავისვენო.

ჩამოვჯექი და სიჩუმე ჩამოწვა. ვიცოდი, რომ თითოეული წუთი ძვირფასი იყო და მაინც ვერ ვბედავდი საუბრის დაწყებას, მაგრამ უცებ თვითონ მოხუცმა მომმართა: – თქვენი საუბრის მიხედვით, მგზავრო, ჩემი თანამემამულე ხართ – თქვენც ხომ ფრანგი უნდა იყოთ, ასე არ არის?

– არა, მაგრამ ფრანგულ ოჯახში გავიზარდე და მხოლოდ ეს ენა ვიცი. ახლა მეგობრებთან თავშესაფრის სათხოვნელად მოვედი, რომლებიც გულწრფელად მიყვარს და მათი კეთილგანწყობის იმედი მაქვს.

– ისინი გერმანელები არიან?

– არა, ფრანგები. მაგრამ ნება მომეცით სხვა რამ გითხრათ. მე მარტოსული და უბედური არსება ვარ, მთელ ქვეყანაზე არც ნათესავები მყავს, არც მეგობარი. კეთილ ადამიანებს, რომლებთანაც მივდივარ, არასდროს ვუნახავვარ და ჩემ შესახებ ცოტა რამ თუ იციან. მეშინია, აქაც თუ წარუმატებლობას განვიცდი, მაშინ ალბათ სამუდამოდ მოკვეთილად დავრჩები.

– გულს ნუ გაიტეხთ. მარტოობა მართლაც უბედურებაა. მაგრამ ადამიანთა გული, როდესაც მათ ეგოისტური ანგარიშიანობა არ ამოძრავებთ, ძმური სიყვარულითა და გულმოწყალებით არის სავსე. იმედი იქონიეთ, თუ ისინი კეთილი ადამიანები არიან, მაშინ არ ღირს სასოწარკვეთა.

– ისინი კეთილები არიან, მათზე კეთილი არავინ მეგულება, მაგრამ, საუბედუროდ, წინასწარვე ცუდად იქნებიან ჩემ მიმართ განწყობილნი. მოკრძალებული ვარ, ჯერ არავისთვის ბოროტება არ მიმიყენებია და სიკეთის ქმნასაც კი ვცდილობდი, მაგრამ ისინი საბედისწერო წინასწარგანწყობით არიან დაბრმავებულნი და მოსიყვარულე მეგობრის ნაცვლად მხოლოდ ამაზრზენ მახინჯს ხედავენ.

– ეს საწყენია, მაგრამ თუ მართლაც არაფერი გაქვთ გასაკიცხი, ნუთუ არ შეიძლება მათი ამ ცდომილების გაფანტვა?

– ვეცდები ამის გაკეთებას, ამიტომაც მტანჯავს შიში. ნაზად მიყვარს ჩემი მეგობრები. მათგან დაფარულად, უკვე რამდენი თვეა ვცდილობ მათ ვემსახურო, მაგრამ მათ შეუძლიათ იფიქრონ, რომ მე მათთვის ზიანის მოტანა მინდა; აი, ცდომილება, რომელიც მსურს გავფანტო.

– სად ცხოვრობენ ისინი?

– აქვე ახლოს.

მოხუცი გაჩუმდა, მერე კი განაგრძო: – თუ გულწრფელად გამანდობთ თქვენი ამბის ყველა წვრილმანს, იქნებ დაგეხმაროთ მათი კეთილგანწყობის მოპოვებაში. ბრმა ვარ

და ვერ გხედავთ, მაგრამ თქვენს სიტყვებში რაღაც მარწმუნებს, რომ გულწრფელი უნდა იყოთ. მე მხოლოდ და მხოლოდ ერთი ღარიბი დევნილი ვარ, მაგრამ ჩემთვის ჭეშმარიტი სიხარული იქნება, თუ ახლობელს რაიმე დახმარებას გავუწევ.

– კეთილო ადამიანო! მადლობას გიძღვნით და თქვენს დიდსულოვან წინადადებას ვიღებ. თქვენი სიკეთით ფერფლიდან აღმადგენთ. მჯერა, რომ თქვენი დახმარებით თქვენი ახლობლების საზოგადოებას არ ვიქნები გარიდებული.

– ღმერთმა დამიფაროს! დამნაშავეც რომ იყოთ, განკვეთილობა თქვენ მხოლოდ სასოწარკვეთამდე მიგიყვანთ, სიკეთისკენ კი არ მოგაქცევთ. მეც უბედური ვარ, მე და ჩემი ოჯახი უდანაშაულოდ გაგვასამართლეს. თავად განსაჯეთ, როგორ თანავუგრძნობ თქვენს უბედურებას.

– არ ვიცი, რით გადაგიხადოთ მადლობა, ჩემო ერთადერთო კეთილისმყოფელო? თქვენი პირიდან პირველად ვისმენ კეთილ სიტყვებს, ჩემდამი მომართულს. მარად თქვენი მადლიერი ვიქნები, თქვენი გულმოწყალება უფლებას მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ იმ მეგობრებთანაც კარგი მიღება მელოდება, ვისაც ახლა უნდა შევხვდე.

– ნება მომეცით დავინტერესდე მათი სახელებით და სად ცხოვრობენ ისინი?

გავჩუმდი. აი ისიც, გადამწყვეტი წუთი, რომელიც გამაბედნიერებს ან სამუდამოდ წამართმევს ბედნიერებას. ამაოდ ვცდილობდი პასუხის გაცემას, მღელვარებამ უკანასკნელი ძალები წამართვა. სკამზე დავეშვი და ავქვითინდი. ამ დროს ჩემი ახალგაზრდა მფარველების ნაბიჯების ხმაც შემომესმა. წუთის დაკარგვაც აღარ შეიძლებოდა. მოხუცის ხელს დავწვდი და წამოვიყვირე: – ჟამი დადგა! დამიფარეთ და მიხსენით! მეგობრები, რომლებისკენაც მე მივისწრაფი – თქვენ და თქვენი ოჯახი ხართ. ნუ დამტოვებთ ამ განსაცდელის ჟამს!

– ღმერთო! – წამოიყვირა მოხუცმა, – მაინც ვინ ხართ?

ამ წამს კარი გაიღო და ფელიქსი, საფია და აგატა შემოვიდნენ. ვის შეუძლია აღწეროს მათი დაზაფვრა, რაც ჩემს დანახვაზე დაემართათ? აგატა უგონოდ დაეცა. საფია, რომელსაც ძალა არ შესწევდა, თავის მეგობარს დახმარებოდა, გარეთ გავარდა. ფელიქსი კი მეძგერა და ზებუნებრივი ძალით მომარიდა მოხუცს, რომლის მუხლებსაც ვემთხვეოდი. გამძვინვარებულმა მიწაზე დამცა და ჯოხი დამარტყა. შემეძლო ნაკუწებად მექცია, როგორც ლომს ანტილოპა, მაგრამ გული საშინელმა ნაღველმა მომიკუმშა და თავი შევიკავე. ის განმეორებითი დარტყმისთვის მოემზადა და მეც, დარდისგან თავდაკარგული, ქოხიდან გამოვვარდი, საყოველთაო შეცბუნებით ვისარგებლე და ისე, რომ ვერავინ შემნიშნა, ჩემს ფარდულში შემალვა მოვასწარი.

XVI თავი

წყეული, წყეული ჩემი შემქმნელი! რატომ დავრჩი ცოცხალი? რატომ მაშინვე არ ჩავაქრე სიცოცხლის ნაპერწკალი, შენ მიერ ასე დაუფიქრებლად ანთებული. არ ვიცი, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი. მძვინვარება და შურისძიების წყურვილი დამეუფლა. სიხარულით გავანადგურებდი ქოხს მისი ბინადრებიანად და მათი კვნესითა და ვაებით დავტკბებოდი.

როგორც კი დაღამდა, ჩემი სამალავიდან გამოვძვერი და ტყისკენ წავბოდიალდი. იქ უკვე აღარ მეშინოდა, რომ ვინმე გაიგონებდა ჩემს ხმას და ჩემი ტანჯვა საზარელი ყვირილით გამოვხატე. აწყვეტილი ველური მხეცივით ყველაფერს ვლეწდი, რაც გზად მხვდებოდა დაა ირმის სისწრაფით ვუვლიდი ტყეს. ო, რა საზარელი ღამე გადავიტანე! ცივი ვარსკვლავები დაცინვით დამყურებდნენ; შიშველი ხეები ჩემს თავზე ტოტებს არწევდნენ; დროდადრო სიჩუმეს ჩიტების მელოდიური გალობა არღვევდა. ყველა, ჩემ გარდა, სიმშვიდითა და სიხარულით ტკბებოდა; მხოლოდ მე, სატანის მსგავსად, ჯოჯოხეთს დავატარებდი. ვერსად ვხედავდი თანაგრძნობას და მსურდა ხეები ფესვებიანად ამომეგლიჯა, გარშემო ნგრევა დამეთესა, მერე კი ჩემი ნამოქმედარით დავმტკბარიყავი.

მაგრამ მსგავსი შეპყრობილობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ძრწოლამ დამღალა და უძლური, სასოწარკვეთილი სველ ბალახში ჩავემხე. დედამიწის ურიცხვ მცხოვრებთა შორის ერთიც არ აღმოჩნდა, ვინც შემიცოდებდა და დამეხმარებოდა; მაშ რატომ უნდა შევიბრალო ჩემი მტრები? არა, იმ წუთიდან მარადიული ომი გამოვუცხადე მთელ ადამიანთა მოდგმას და პირველ რიგში მას, ვინც შემქმნა და ასეთი აუტანელი წამებისთვის გამწირა.

მზე ამოიწვერა; ადამიანთა ხმები შემომესმა და მივხვდი, დღის შუქზე ვერ შევძლებდი ჩემს თავშესაფარში დაბრუნებას. ამიტომაც ბუჩქნარში შევიმალე, გადავწყვიტე, უახლოესი საათები ჩემს მდგომარეობაზე ფიქრისთვის მიმეძღვნა.

მზის სითბომ და სუფთა ჰაერმა რამდენადმე დამამშვიდა. როცა გამახსენდა, რა მოხდა ქოხში, დავასკვენი, რომ მეტისმეტად ვიჩქარე საბოლოო დასკვნების გამოტანა. უეჭველად გაუფრთხილებლად მოვიქეცი. ჩემმა საუბარმა მოხუცი ჩემდამი კეთილად განაწყო, მაგრამ რა სულელი ვარ, რომ მაშინვე დავენახვე მის შვილებს! მანამდე მოხუცი დე ლესი უნდა მიმეჩვია, ოჯახის დანარჩენ წევრებთან კი მოგვიანებით გამოვჩენილიყავი, როცა ამისთვის მზად იქნებოდნენ. თუმცა ეს შეცდომები არ მეჩვენებოდა გამოუსწორებლად. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ქოხში დავბრუნებულიყავი, ისევ მიმემართა მოხუცისთვის და ჩემ მხარეს გადმომებირებინა.

ამ ფიქრებმა დამაწყნარა. შუადღისთვის მაგრად ჩამეძინა, მაგრამ ჩემს ძარღვებში სისხლი ჯერ კიდევ არ განელებულიყო და ჩემი სიზმრებიც არ შეიძლებოდა მშვიდობიანი ყოფილიყო. მომხდარი საზარელი სცენა ისევ და ისევ თამაშდებოდა ჩემ

თვალწინ: ქალები გარბოდნენ, გაცოფებული ფელიქსი კი მამამისის მუხლებს მაგლეჯდა. გათანგულმა გავიღვიძე; დავინახე, რომ უკვე დაბინდებულიყო, ბუჩქებიდან გამოვძვერი და საკვების მოსაპოვებლად გავწიე.

შიმშილი რომ დავიცხრე, ნაცნობ ბილიკს დავადექი და ქოხისკენ ავიღე გეზი. იქ სიჩუმე სუფევდა. ჩემს ფარდულში შევიპარე და შესაფერის დროს დაველოდე, როცა ოჯახი ჩვეულებრივ იღვიძებდა ხოლმე. ეს დროც დადგა, მზე შუბისტარზე იდგა, ქოხის ბინადარნი კი არ ჩნდებოდნენ. ვცახცახებდი, რაღაც შემაძრწუნებელი უბედურების მოლოდინში. ქოხის შიგნით ბნელოდა და ჩამიჩუმი არ ისმოდა; ვერ აღვწერ, რა მტანჯველი იყო ეს გაურკვევლობა.

აი, ორმა გლეხმა ჩამიარა გვერდით; ქოხთან ნაბიჯი შეანელეს და საუბარი გამართეს, რომელსაც გაცხოველებული ჟესტიკულაცია ახლდა თან; მათი არ მესმოდა, რადგან თავიანთი ქვეყნის ენაზე საუბრობდნენ, ეს კი არ იყო ჩემი მფარველების ენა. მალე ფელიქსიც გამოჩნდა, მასთან კიდევ ერთი კაცი. ამან გამაკვირვა, რადგან არ დამინახავს, რომ დილით ის სახლიდან გასულიყოს; აღელვებული ველოდი, იმედი მქონდა, მისი საუბრიდან გავიგებდი, რა ხდებოდა.

– მაშ, გინდა, – მიმართა ფელიქსს მისმა თანმხლებმა. – რომ სამი თვის ქირა გადაიხადო და ბოსტანში მოსავალიც აუღებელი დატოვო? არ მინდა სხვისი უბედურებით ვისარგებლო. მოდი, რამდენიმე დღე მოვიცადოთ, იქნებ გადაიფიქრო?

– აზრი არ აქვს, – უპასუხა ფელიქსმა, – ჩვენ აქ დარჩენა არ შეგვიძლია. გადატანილი განცდების შემდეგ მამაჩემი სახიფათოდ დაუძლურდა. ჩემი ცოლი და და ალბათ ვერასდროს დაივიწყებენ ამ შიშს. არა, ნუ მარწმუნებთ. აი თქვენი სახლი, მე კი ერთი სული მაქვს, მალე გავიქცე აქედან.

ამის თქმისას ფელიქსი მთლად კანკალებდა. თავის თანამგზავრთან ერთად რამდენიმე წუთით სახლში შევიდა, მერე კი თვალს მიეფარა. მას შემდეგ დე ლესის ოჯახიდან არავინ აღარ მინახავს.

დღის დარჩენილი ნაწილი ჩემს ფარდულში გავატარე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა. ჩემი მფარველები გაემგზავრნენ და ის ერთადერთი ძაფიც გაწყვიტეს, რომელიც სამყაროსთან მაკავშირებდა. ჩემი სული პირველად აივსო ნამდვილი სიძულვილითა და შურისძიების წყურვილით და აღარ მიცდია მათი დათრგუნვა. მათ ძალაუფლებაში ვიგულე თავი და მთელი ჩემი ჩანაფიქრები განადგურებისა და სიკვდილისკენ მივმართე. ჩემი მფარველების, დე ლესის ალერსიანი ხმის, აგატას მოკრძალებული თვალების, არაბი გოგონას საუცხოო სილამაზის გახსენებაზე ეს ფიქრები ქრებოდა და მათ ცრემლები ცვლიდა, რომლებიც ცოტათი მამსუბუქებდა. მაგრამ მაშინვე მახსენდებოდა, როგორ მკრეს ხელი და მიმატოვეს, და ჩემში ისევ დუღდებოდა არაადამიანური მძვინვარება. რაკი არ მქონდა შესაძლებლობა, რაიმე ცოცხალი გამენადგურებინა, უსულო საგნებისკენ მივმართე ჩემი რისხვა.

როგორც კი შებინდდა, ქოხში ათასგვარი აალებადი მასალა დავალაგე; გავანადგურე ყველაფერი, რაც ბოსტანში იზრდებოდა და მოუთმენლად დავუწყე ლოდინი იმ დროს, როცა მთვარე ამოვიდოდა და მოქმედების დაწყებას შევძლებდი.

ღამით ტყიდან ძლიერმა ქარმა დაუბერა და ცაზე შექუჩებული ღრუბლები მალე გაფანტა; მისი ქროლვა სულ უფრო ძლიერდებოდა და ჩემში ისეთი სიგიჟე გამოიწვია, გონიერების ყველა საზღვარი რომ გადალახა. ხმელ ტოტს წავუკიდე ცეცხლი და განწირული ქოხის გარშემო როკვა დავიწყე, თან არ ვწყვეტდი დასავლეთისკენ ყურებას, სადაც მთვარე უკვე ამოდიოდა. ბოლოს და ბოლოს მისი დისკოს ნაწილი თვალს მიეფარა და ჩემი ჩირაღდანი გავიქნიე; როცა მთვარე მთლად მიიმალა, ხმამაღალი შეძახილით წავუკიდე ცეცხლი ჩემ მიერ შეგროვილ თივასა და ბუჩქების ტოტებს. ქარმა დიდი კოცონი გააჩაღა და მალე მთელი ქოხი ცეცხლის ალში გაეხვია, რომელიც თავისი დამღუპველი ენებით ელამუნებოდა.

როცა დავრწმუნდი, რომ სახლის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა, იქაურობას გავშორდი და ტყეში შევიმალე.

***

ჩემ წინაშე მთელი სამყარო იყო გადაშლილი; საით უნდა ამეღო გეზი? გადავწყვიტე, რაც შეიძლება შორს გავქცეულიყავი იმ ადგილებიდან, სადაც ამდენი ვიტანჯე. მაგრამ ჩემთვის, ყველას მიერ საძულველისა და საძაგელისთვის, ნებისმიერი მხარე შიშს შეიცავდა. ბოლოს და ბოლოს შენ შესახებ ფიქრმა გამინათა გონება. შენი ჩანაწერებიდან შევიტყვე, რომ მამაჩემი იყავი, ჩემი შემქმნელი. ვისთვის უნდა მიმემართა, თუ არა იმისთვის, ვინც სიცოცხლე მომცა? იმ საგნებს შორის, რომლებსაც ფელიქსი საფიას ასწავლიდა, არც გეოგრაფია ყოფილა დავიწყებული. იქიდან გავიგე დედამიწაზე სხვადასხვა ქვეყნის შედარებითი განლაგების შესახებ. შენ ჟენევას ახსენებდი, როგორც მშობლიურ ქალაქს, სწორედ იქითკენ გადავწყვიტე გამგზავრება.

მაგრამ როგორ უნდა მეპოვა გზა? ვიცოდი, რომ ამისთვის აუცილებელი იყო სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოძრაობა, მაგრამ ერთადერთი ჩემი გზის მაჩვენებელი მზე იყო. არ ვიცოდი ქალაქების სახელწოდებები, რომლების გავლაც მომიწევდა, და არანაირი იმედი არ მქონდა, რომ თუნდაც რომელიმე ადამიანური არსება მომაწვდიდა რაიმე ცნობას. მაინც არ ვკარგავდი იმედს. მხოლოდ შენგან ველოდი დახმარებას, თუმცაღა შენ მიმართ არაფერს ვგრძნობდი, სიძულვილის გარდა. დაუნდობელი, უგულო შემქმნელო! შენ აღმჭურვე გრძნობებითა და ვნებებით, მერე კი მიმაგდე, საყოველთაო სიძულვილისა და მტრობის საგნად მაქციე. მაგრამ მაინც მხოლოდ შენგან შემეძლო თანაგრძნობის იმედი მქონოდა და გადავწყვიტე, შენთან მეძია სამართლიანობა, რომელსაც ამაოდ ვეძებდი სხვა არსებებს შორის, საკუთარ თავს ადამიანებს რომ უწოდებდნენ.

ჩემი მოგზაურობა ხანგრძლივი იყო და აუტანელი ვაება გადავიტანე. გვიანი შემოდგომა იდგა, როცა მივატოვე ის მიდამოები, სადაც ამდენ ხანს ვიცხოვრე. მხოლოდ ღამღამობით გადავაადგილდებოდი, რადგან ადამიანებთან შეხვედრის მეშინოდა. ჩემ გარშემო ბუნება დაჭკნა, მზეც აღარ ასხივებდა სითბოს, ხშირად წვიმდა, მერე მძლავრი მდინარეები იყინებოდა. მიწის ზედაპირი მაგარი, ცივი და შიშველი გახდა, ვერსად ვპოულობდი თავშესაფარს. ო, დედამიწავ! რა ხშირად ვწყევლიდი საკუთარ არსებობას! ყველა კეთილი გრძნობა დაიკარგა ჩემში და ბოროტებითა და წყენით ვიყავი სავსე. რაც უფრო მეტად ვუახლოვდებოდი შენს მშობლიურ ადგილებს, მით უფრო ძლიერად ენთებოდა ჩემს გულში შურისმაძიებელი ბოღმა.

თოვლი წამოვიდა. წყალსატევები გაიყინა, მაგრამ მე მაინც არ ვისვენებდი. ზოგიერთი შემთხვევითობა დროდადრო მეხმარებოდა გზის გაკვალვაში და თანაც, ქვეყნის რუკაც მქონდა, მაგრამ მაინც ხშირად ვცდებოდი არჩეულ გზას. ჩემი ტანჯვა არ მაძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას, არ ყოფილა მოვლენა, რომელიც არ კვებავდა ჩემს მრისხანებასა და იმედგაცრუებას. მაგრამ იმან, რაც მაშინ შემემთხვა, როცა შვეიცარიის ფარგლებში აღმოვჩნდი და მზემ ისევ დაიწყო სითბოს გამოცემა, მიწა კი მწვანე ბალახით დაიფარა, განსაკუთრებით გამაშმაგა.

ჩვეულებრივ დღის განმავლობაში ვისვენებდი და როგორც კი ბინდდებოდა, მაშინ ვადგებოდი გზას, როცა ღამე საიმედოდ მმალავდა ადამიანებისგან. მაგრამ ერთ დილას, როცა დავრწმუნდი, რომ უღრან ტყეში უნდა მევლო, მოგზაურობის გაგრძელება მზის ამოსვლის შემდეგაც გავბედე. გაზაფხულის პირველი დღე იყო, თბილი და ხალისიანი და მეც გამამხნევა – ისე მკვეთრად ანათებდა მზე და ისეთი სურნელოვანი იყო ჰაერი. ვიგრძენი, რომ ჩემში ნაზი და მხიარული გრძნობები ცოცხლდებოდა, რომლებიც დიდი ხნის ჩამკვდარი მეჩვენებოდა. ამ შეგრძნებების სიახლით გაოგნებული მათ ძალაუფლებაში მოვექეცი, სულ მიმავიწყდა საკუთარი მარტოობა და სიმახინჯე და ისიც კი გავბედე, თავი ბედნიერად მეგრძნო. ლოყებზე ისევ ჩამომედინა ჩუმი ცრემლები, მადლიერებითაც კი მივაპყარი სველი თვალები დალოცვილი მზისკენ, რომელმაც ასეთი სიხარული მომანიჭა.

დიდხანს დავბოდიალებდი ტყის ბილიკებზე, სანამ პატარა ნაპირს არ მივადექი, სადაც ღრმა და ჩქარი მდინარე მოედინებოდა, მის თავზე კი ხეებს გაზაფხულთან ერთად გაცოცხლებული ტოტები დაეშვათ. იქ გავჩერდი. მაგრამ უცებ ხმები შემომესმა და ამან მაიძულა, კვიპაროსის ჩრდილს შევფარებოდი. ძლივს მოვასწარი შემალვა, რომ ჩემს სამალავთან ახალგაზრდა გოგონამ მოირბინა. ხმამაღლა იცინოდა, თითქოს თამაშ-თამაშით ვიღაცას ემალებოდა. ხტუნვა გააგრძელა ფლატეებიან ნაპირზე. უცებ ფეხი დაუცდა და სწრაფ დინებაში ჩავარდა.

ჩემი სამალავიდან გამოვვარდი, მთელი ძალები მოვიკრიბე დინებასთან ბრძოლაში, ვუშველე და ნაპირზე გამოვათრიე. უგონოდ იწვა. ყველაფერი გამოვიყენე, რაც კი შემეძლო, რომ გამეცოცხლებინა. სწორედ ამ დროს მომისწრო გლეხმა, როგორც ჩანს, სწორედ იმან, ვისაც გოგონა ხუმრობით გაურბოდა. როგორც კი დამინახა, მომვარდა და გოგონა ხელიდან გამომტაცა, მასთან ერთად სასწრაფოდ გაიქცა ტყის სიღრმეში.

მალევე დავედევნე, ისე, რომ ვერ ვაცნობიერებდი, რატომ ვაკეთებდი ამას. მაგრამ როცა მან დაინახა, რომ მივდევდი, თოფი დამიმიზნა და მესროლა. დავეცი, ჩემი მჩაგვრელი კი სწრაფად მიიმალა ტყეში.

აი, რა ჯილდო მივიღე სიკეთისთვის! ადამიანი გადავარჩინე, მაგრამ ამის გამო ახლა საშინელი ტკივილებით ვიკლაკნებოდი; გასროლამ კუნთი დაფლითა და ძვალი ჩამიმსხვრია. კეთილი გრძნობები, რომლებიც სულ რამდენიმე წამის წინ მამოძრავებდა, გაქრა, და გაცოფებული კბილებს ვაღრჭიალებდი. ტკივილისგან გააფთრებულმა მთელი კაცობრიობის წინაშე მარადიული სიძულვილისა და შურისძიების ფიცი დავდე. მაგრამ ჭრილობისგან მონიჭებულმა ტანჯვამ გამთანგა; პულსი გამიჩერდა და გონება დავკარგე.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ტყეში უბადრუკ არსებობას განვაგრძობდი, ვცდილობდი მიღებული ჭრილობა მომეშუშებინა. ტყვია მხარში მომხვდა და არ ვიცოდი, გაიჭედა იქ თუ გაიარა. ყოველ შემთხვევაში, მისი ამოღების არავითარი საშუალება არ მქონდა. ჩემი წამება უსამართლობის დამამძიმებელი შეგრძნებით ღრმავდებოდა, იმათ უმადურობაზე ფიქრით, ვინც მუხანათურად მომექცა. ყოველდღიურად ვდებდი შურისძიების აღთქმას – სასიკვდილო შურისძიების, მხოლოდ მას შეეძლო ჩემი დაჯილდოება ყველა წამებისა და შეურაცხყოფისთვის.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჭრილობა მომიშუშდა და გზა გავაგრძელე. კაშკაშა მზე და გაზაფხულის ნაზი ქროლვა ვეღარ მიმსუბუქებდა იმ სირთულეებს, რომლებსაც განვიცდიდი. სიხარული მწარე დაცინვით შემომიბრუნდა, რომელმაც ჩემი უნუგეშო სული კვლავ შეურაცხყო და მაიძულა, კიდევ უფრო მტანჯველად მეგრძნო, რომ ბედნიერებისთვის არ ვიყავი შექმნილი.

თუმცაღა ჩემი რთული გზა დასასრულს უახლოვდებოდა. ორი თვის შემდეგ ჟენევის მიდამოებს მივუახლოვდი.

როცა ჩავაღწიე, უკვე საღამოვდებოდა და გადავწყვიტე, მინდორში გამეთია ღამე, რომ მომეფიქრებინა, რა სიტყვებით მომემართა შენთვის. დათრგუნული ვიყავი დაღლილობით და შიმშილით და თავს მეტისმეტად უბედურად ვგრძნობდი, რათა საღამოს მსუბუქი ნიავის ქროლვით დავმტკბარიყავი ან მზის ჭვრეტით, რომელიც იურის მთიანეთის გოლიათურ მწვერვალებს ეფარებოდა.

მსუბუქად ჩამთვლიმა, რამაც საშუალება მომცა, აკვიატებული ფიქრებისგან დამესვენა, მაგრამ ის მალე დაირღვა მშვენიერი ბავშვის გამოჩენით, რომელიც ჩემს სამალავში შემოვარდა თავისი ასაკისთვის დამახასიათებელი სიანცით. მისი შეხედვისას გონება გამინათა აზრმა, რომ ეს პატარა არსება ჯერ კიდევ არ იყო ამხედრებული ჩემ წინააღმდეგ და მეტისმეტად ხანმოკლე ცხოვრება ჰქონდა გატარებული, რომ სიმახინჯისადმი ზიზღით გამსჭვალულიყო. მე რომ შემძლებოდა მისი შეპყრობა და ჩემს ამხანაგად ან მეგობრად ქცევა, აღარ ვიქნებოდი ასეთი მარტოსული ამ დასახლებულ მიწაზე.

აი, რატომ შევიპყარი ბიჭუნა, როცა მან გვერდით ჩამირბინა და გულში ჩავიხუტე. მაგრამ ჩემი დანახვისას თვალებზე ხელები აიფარა და გამყინავად იკივლა. ძალით გავუშალე ხელები და ვუთხარი: – ბიჭუნა, რატომ ყვირი? არ გაწყენინებ, მომისმინე.

ბიჭმა სასოწარკვეთილმა დაიწყო ყვირილი.

– გამიშვი, მახინჯო! საძაგელო მახინჯო! შენ ჩემი შეჭმა და ნაკუწებად დაფლეთა გინდა. შენ კაციჭამია ხარ. გამიშვი, თორემ მამას ვეტყვი.

– ბიჭუნა, შენ ვეღარასდროს ნახავ შენს მამას. შენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე.

– საშინელო ურჩხულო! გამიშვი. მამაჩემი მოსამართლეა. მას ფრანკენშტაინი ჰქვია. ის დაგსჯის. შენ არ გაქვს ჩემი დაჭერის უფლება.

– ფრანკენშტაინი! მაშ შენ ჩემი მტრის ხროვას მიეკუთვნები, რომელსაც მარადიული შურისძიებით დავემუქრე. ჰოდა, შენ იქნები ჩემი პირველი მსხვერპლი.

ბიჭი ბრძოლას აგრძელებდა და სხვადასხვა ეპითეტით მამკობდა, რაც მიძლიერებდა მრისხანებას. ყელში წავუჭირე, რომ გაჩუმებულიყო და... აი, ის ჩემ ფერხთით იწვა სულამოხდილი.

ჩემს მსხვერპლს ვუყურებდი და ჩემი გული სიხარულის შეძახილმა და ეშმაკისეულმა ზეიმობამ აავსო; ტაში შემოვცხე და დავიღრიალე: – მეც შემიძლია მწუხარების დათესვა. თურმე, ჩემი მტერი არც ისე ძლიერია, ეს სიკვდილი მას სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს და უამრავი სხვა უბედურება მას გაანადგურებს და გათელავს!

ბავშვს მიჩერებულმა მის მკერდზე რაღაც მბრჭყვინავი დავინახე. ნივთი ხელში ავიღე, მშვენიერი ქალის პორტრეტი იყო. მიუხედავად ჩემში ამბოხებული ბოროტებისა, მან

ჩემი მზერა მიიპყრო და გული მომილბო. რამდენიმე წამს აღტაცებული შევყურებდი მუქ თვალებს, გრძელ წამწამებს და მშვენიერ ტუჩებს. მაგრამ მალე ისევ ბრაზი მომერია, გამახსენდა, რომ სამუდამოდ წართმეული მქონდა ის სიხარული, რისი მონიჭების უნარიც აქვთ ამგვარ ქალებს. ამ ქალს, რომლის პორტრეტითაც ვტკბებოდი, მე რომ დავენახე, მისი ღვთიური სიკეთის გამომეტყველება შიშითა და ზიზღით შეიცვლებოდა.

ალბათ არ იქნება გასაკვირი, რომ ამ ფიქრებმა კიდევ უფრო გამაცოფა. მხოლოდ ერთი მიკვირს: იმ მომენტში რატომ გამოვხატე ჩემი გრძნობები მხოლოდ ყვირილით და არ ვეცი ადამიანებს, არ დავიღუპე მათთან ორთაბრძოლაში.

ამ განცდებით დათრგუნულმა ის ადგილი დავტოვე, სადაც მკვლელობა ჩავიდინე და უფრო საიმედო სამალავის ძიებაში რაღაც ფარდულს მივადექი. ვიფიქრე, იქ არავინ იქნებოდა. თივაზე ქალი იწვა; ახალგაზრდა იყო. მართალია, ისე მშვენიერი არა, როგორც ის, ვისი პორტრეტიც მე მეპყრა ხელთ, მაგრამ სასიამოვნო გარეგნობის, სინორჩით გაფურჩქნული და ჯანსაღი. გავიფიქრე, აი, ერთ-ერთი მათგანი, ვინც ნაზი ღიმილით აჯილდოებს ყველას, ჩემ გარდა. მაშინ მის წინაშე დავიხარე და ჩავიჩურჩულე: „გაიღვიძე, მშვენიერო, შენი მიჯნური აქ არის, შენ გვერდით და მზად არის სიცოცხლე შესწიროს შენს ერთ ალერსიან მზერას, საყვარელო, გაიღვიძე!“

მძინარე გატოკდა და ჟრჟოლამ დამიარა შიშისგან. უცებ რომ მართლა გაიღვიძოს, დამინახოს, დამწყევლოს და როგორც მკვლელი, გამრიყოს? ასეც მოიქცეოდა, თვალები რომ გაეხილა და დავენახე. ამ ფიქრმა გამაგიჟა, მან ჩემში ეშმაკი გააღვიძა; დაე მე კი არ დავისაჯო, არამედ ის, დაე მან ზღოს მკვლელობის გამო, რომელიც მე ჩავიდინე. მე ხომ სამუდამოდ წართმეული მაქვს ყველაფერი, რაც მას შეეძლო ჩემთვის მოეცა. მან შვა დანაშაული, ჰოდა, თვითონვე იგემოს სასჯელი! ფელიქსის გაკვეთილებმა და ადამიანთა სისხლიანმა კანონებმა ბოროტების ჩადენა მასწავლეს. მის თავზე დავიხარე და პორტრეტი მისი კაბის ჯიბეში ჩავმალე. ის ისევ შეირხა და მე გავიქეცი.

კიდევ რამდენიმე დღე დავხეტიალებდი იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც ეს მოვლენები მოხდა; ხან მინდოდა შენ დამენახე, ხან გადავწყვეტდი, სამუდამოდ დამეტოვებინა ეს მტანჯველი სამყარო. ბოლოს და ბოლოს მთებში ავედი და ახლა ამ ჯურღმულში დავბოდიალებ, მწველი ვნებით ანთებული, რომელიც მხოლოდ შენი დახმარებით შემიძლია დავიკმაყოფილო. მე მარტოხელა და უბედური ვარ, არც ერთი ადამიანი არ დამიახლოვდება, მაგრამ ისეთივე საზარელი არსება, როგორიც მე ვარ, არ უარმყოფს. ჩემი მეგობარი ქალი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც მე ვარ, და ასეთივე სიმახინჯით გამორჩეული. ეს არსება შენ უნდა შექმნა.

XVII თავი

ურჩხული გაჩუმდა და პასუხის მოლოდინში მომაჩერდა. მაგრამ გაოგნებული, დაბნეული ვიყავი, ფიქრებისთვის თავი ვერ მომეყარა, რომ ბოლომდე ჩავწვდომოდი მისი მოთხოვნების არსს.

ის განაგრძობდა: – შენ უნდა შექმნა ჩემთვის ქალი, რომელთანაც ვიცხოვრებ, ერთმანეთს მივეჩვევით, დავუკავშირდებით, ეს ჰაერივით მჭირდება ახლა. ამის გაკეთება მხოლოდ შენ შეგიძლია და უფლება არ გაქვს, უარი მითხრა.

მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა ახალი ძალით გააღვიძა ჩემში მრისხანება, რომელიც თითქოს ცოტა განელდა, სანამ ის ქოხში თავის მშვიდობიან ცხოვრებაზე მიამბობდა. როცა ეს სიტყვები წარმოთქვა, ძალა აღარ მეყო, საკუთარ მძვინვარებას გავმკლავებოდი.

– მე უარს ვამბობ, – ვუპასუხე გადაჭრით, – და ვერავითარი წამებით ვერ გამომძალავ თანხმობას. შეგიძლია ყველაზე უბედურ ადამიანად მაქციო ამქვეყნად, მაგრამ ვერასდროს მაიძულებ ასე დაბლა დავეცე საკუთარ თვალში. შემიძლია თუ არა, სხვა, შენი მსგავსი არსება შევქმნა, რომ შენთან ერთად გააპარტახოს სამყარო? აქედან გამეცალე! ჩემი პასუხი ნათელია, შეგიძლია მაწამო, მაგრამ არასდროს დავთანხმდები მაგას.

– შენ უსამართლო ხარ, – მიპასუხა დემონმა, – მე არ გემუქრები, მზად ვარ დაგარწმუნო. ბოღმა იმიტომ დამიგროვდა, რომ უბედური ვარ. ნუთუ არ გამირბიან, ნუთუ არ ვეზიზღები ყველა ადამიანს? შენ თვითონ, ჩემი შემქმნელი, სიხარულით გამგმირავდი; გაიგე ეს და მითხარი, რატომ უნდა შევიბრალო ადამიანი იმაზე მეტად, ვიდრე ის მიბრალებს მე? შენს თავს მკვლელად არ მიიჩნევდი, რომ შეგძლებოდა და ამ ყინულის უფსკრულებიდან რომელიმეში გადაგესროლე, ჩემი სხეული გაგენადგურებინა – შენი საკუთარი ხელებით შექმნილი არსება. მაშ მე რატომ უნდა შევიცოდო ადამიანები, როცა ისინი ვერ მიტანენ? ჩემთან რომ ეცხოვრა ვინმეს მეგობრულად და მშვიდობიანად, მაშინ ბოროტების ნაცვლად მას ყველა სიკეთით ავავსებდი და ცრემლებმომდგარი მივუძღვნიდი მადლობას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიიღებდა ჩემგან. მაგრამ ეს შეუძლებელია. ადამიანური განცდები ჩვენი კავშირისთვის გადაულახავ დაბრკოლებას ქმნიან. მე კი არ შემიძლია ამას შევეგუო, როგორც საძაგელი მონა. ჩემი წყენის გამო შურს ვიძიებ. რაკი არ მომეცა ნება, სიყვარული დავთესო, შიშს გამოვიწვევ. და ვფიცავ, პირველ რიგში შენს თავზე – ჩემი დაუძინებელი მტრის, ჩემი შემქმნელის თავზე დავანთხევ დაუცხრობელ სიძულვილს. მიფრთხილდი: ყველაფერს გავაკეთებ, რომ გაგანადგურო, არ დავწყნარდები, სანამ შენს გულს არ გამოვფატრავ და შენი დაბადების საათს არ დაგაწყევლინებ.

ეს სიტყვები ეშმაკეული ბოროტებით წარმოთქვა. სახე საშინლად დაემანჭა. მისი გამომეტყველება ადამიანის მზერის აღქმის უნარს იყო მოკლებული. თუმცა მალევე დაწყნარდა და ისევ განაგრძო: – მინდოდა დამერწმუნებინე. ბოროტებით მხოლოდ ვავნებ საკუთარ თავს შენს თვალში. რამეთუ არ გსურს იმის გაგება, რომ სწორედ შენ ხარ ამის მიზეზი. ვინმე რომ ალერსით მომპყრობოდა, ასმაგად ავუნაზღაურებდი, ერთი ასეთი ქმნილების გამო მთელ ადამიანთა მოდგმას შევურიგდებოდი. მაგრამ ეს აუხდენელი ოცნებაა. ხოლო ის, რასაც მე გთხოვ, გონივრული და მოკრძალებულია. მინდა სხვა სქესის არსება, მაგრამ ისეთივე ამაზრზენი, როგორც მე ვარ. მცირე სიხარულია, მაგრამ ეს ის მაქსიმუმია, რაც შემიძლია მივიღო. მე ამითაც დავკმაყოფილდები. მართალია, ჩვენ მახინჯები ვიქნებით, სამყაროსგან მოკვეთილები, მაგრამ ამის წყალობით მეტადაც მივეკედლებით და მივეჩვევით ერთმანეთს. ჩვენი ცხოვრება ბედნიერი არ იქნება, მაგრამ ის სუფთა იქნება და იმ ტანჯვისგან თავისუფალი, რასაც ახლა განვიცდი. ო, ჩემო შემქმნელო! მაქციე ბედნიერად, ნება მომეცი მადლიერება განვიცადო შენ მიმართ, ამ ერთადერთი წყალობის გამო. ნება მომეცი, დავრწმუნდე, რომ მაქვს უნარი, თუნდაც ვინმეში გამოვიწვიო თანაგრძნობა; ნუ მეტყვი უარს ამ თხოვნაზე!

შეძრული ვიყავი. გამაკანკალა, როცა გავიფიქრე ჩემი თანხმობის შესაძლო შედეგებზე, მაგრამ ვაცნობიერებდი, რომ მის არგუმენტებში იყო რაღაც სიმართლის მარცვალი. მისმა ნაამბობმა და მასში გამოხატულმა ემოციებმა მიჩვენეს, რომ ეს არსება მგრძნობელობით იყო დაჯილდოებული. ნუთუ არ ვიყავი ვალდებული, როგორც მისი შემქმნელი, მისთვის ბედნიერების ნაწილაკი მიმენიჭებინა, თუ ეს ჩემს ძალებს არ აღემატებოდა? მანაც შენიშნა ცვლილება ჩემს განწყობაში და განაგრძო: – თუ თანახმა ხარ, მაშინ არც შენ და არც ნებისმიერი სხვა ადამიანი აღარასდროს გვნახავს ჩვენ: სამხრეთ ამერიკის ვრცელ უდაბნოში გავემგზავრები. ჩემი საკვები ადამიანურისგან განსხვავდება; მე არ გავანადგურებ არც ბატკანს, არც ციკანს საკუთარი კუჭის ამოსავსებად, კენკრა და ფესურები – აი, ყველაფერი, რაც მჭირდება. ჩემი მეგობარი, ჩემს მსგავსად, იმავე საკვებით დაკმაყოფილდება. სარეცლის მაგივრობას მშრალი ფოთლები გაგვიწევენ; მზე გაგვანათებს, როგორც ის ადამიანებს ანათებს, და ჩვენთვის ნაყოფს გაზრდის. სურათი, რომელსაც გიხატავ, – მშვიდი და ადამიანურია და შენ, რა თქმა უნდა, აცნობიერებ, რომ ვერ შეძლებ ჩემი თხოვნის უარყოფას, იმისთვის, რომ საკუთარი ძალაუფლება და სისასტიკე მაჩვენო. რაოდენ დაუნდობელიც უნდა იყო ჩემ მიმართ, ახლა შენს თვალებში შემწყნარებლობას ვხედავ. მომეცი უფლება, ამ სასურველი მომენტით ვისარგებლო და დამპირდი იმის შესრულებას, რასაც ასე მგზნებარედ ვნატრობ.

– შენ ვარაუდობ, – მივუგე მე, – რომ დასახლებულ ადგილებს მიატოვებ და უდაბნოში დასახლდები, სადაც შენი ერთადერთი მეზობლები ველური ცხოველები იქნებიან. როგორ შეძლებ შენ, რომელსაც ასე გწყურია სიყვარული და ადამიანებთან ურთიერთობა, განდეგილობაში დარჩენას? შენ დაბრუნდები და ისევ დაიწყებ მათი კეთილგანწყობის ძიებას, ისევ შეეჩეხები მათ სიძულვილს. შენი ბოროტება ხელახლა

აენთება, არადა, შენ უკვე მეგობარიც გეყოლება, რომელიც ნგრევაში დაგეხმარება. ეს არ უნდა მოხდეს; ნუ დაიჟინებ, რადგან მაინც ვერ შევძლებ დათანხმებას.

– როგორი მერყევი ხარ გრძნობებში! სულ ერთი წამის წინ ჩემი არგუმენტებით შეძრული იყავი, მაშ ჩემი ჩივილის მოსმენის შემდეგ კვლავ რატომ ამხედრდი ჩემ წინააღმდეგ? მიწას გეფიცები, რომელზეც ვცხოვრობ, და შენ თავს – ჩემს შემქმნელს, – რომ ჩემს მეგობარ ქალთან ერთად, რომელსაც შენ მაჩუქებ, ადამიანებს გავერიდები და ყველაზე უდაბურ ადგილებში სიცოცხლით დავკმაყოფილდები. ავი ზრახვები მიმატოვებს, რადგან ვიღაცას მაინც ვეყვარები. ჩემი ცხოვრება მშვიდად დაიწყებს დინებას და სიკვდილის ჟამს ჩემს შემოქმედს არ დავწყევლი.

მისი სიტყვები ჩემზე უცნაურად მოქმედებდა. ხან თითქოს თანაგრძნობა იღვიძებდა ჩემში და მისი დამშვიდების სურვილი მეძალებოდა. მაგრამ საკმარისი იყო მისთვის შემეხედა და ამაზრზენი მახინჯი დამენახა, რომელიც მოძრაობდა და ლაპარაკობდა, რომ კვლავ შინაგანი გადატრიალება ხდებოდა და კეთილგანწყობას შიში და სიძულვილი აძევებდა. ვცდილობდი ისინი დამეთრგუნა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ მართალია, მისი თანაგრძნობა არ შემეძლო, მაინც არ მქონდა უფლება, უარი მეთქვა ბედნიერების იმ წილზე, რომელიც შემეძლო მისთვის მიმეცა.

– პირობას დებ, იფიცებ, რომ ზიანს არ მოიტან, – ვუთხარი ისევ, – მაგრამ ნუთუ უკვე არ აღმოაჩინე საკუთარ თავში ავსულობა, რომელიც მიშლის ხელს, რომ შენს სიტყვებს დავუჯერო? საიდან უნდა ვიცოდე, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ თავის მოჩვენება და თვალთმაქცობა არ არის და არ იზეიმებ, როცა შენი შურისძიების განსახორციელებლად უფრო ფართო ასპარეზს მიიღებ.

– აი, თურმე რა? ჩემთან ხუმრობა არ შეიძლება. მე პასუხს მოვითხოვ. თუ რაღაცა არ მიმიზიდავს და არ მიმიკედლებს, სიძულვილსა და ბიწიერებას მივეცემი. სხვა არსების სიყვარული ჩემი დანაშაულის მიზეზს გააქრობდა და ჩემზე ვერავინ ველარაფერს გაიგებდა. ჩემი ბოროტმოქმედებანი იძულებითმა მარტოობამ შობა, რომელიც ჩემთვის აუტანელი და საძულველია; ჩემი ღირსებები უცილობლად გაიფურჩქნება, როცა თანატოლ არსებასთან ურთიერთობის საშუალება მომეცემა. მოაზროვნე ქმნილების სითბოს შევიგრძნობ; მე ვიქცევი ერთ პატარა რგოლად მთლიანი არსის ჯაჭვში, რომელშიც ახლა ჩემთვის ადგილი არ მოიპოვება.

გავჩუმდი. მის ნაამბობსა და მის არგუმენტებზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი იმ კეთილ საწყისებზე, რომლებიც მასში მისი ცხოვრებისეული გზის დასაწყისში აღმოჩნდა, და იმაზე, ყოველივე კარგი როგორ განადგურდა მასში ზიზღისა და სიძულვილის გამო, რომლითაც მისმა მფარველებმა უპასუხეს. ვიფიქრე ასევე მის ფიზიკურ სიძლიერესა და მის მუქარაზე; ქმნილება, რომელსაც შეეძლო ყინულოვან გამოქვაბულებში ცხოვრება და მდევრებისგან ფრიალო კლდეებსა და უფსკრულების კიდეებზე თავის შეფარება, ისეთ ძალას ფლობდა, მასთან ძნელი იქნებოდა შერკინება. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ სამართლიანობა, როგორც მის მიმართ, ისე ჩემი

ახლობლების მიმართ, მოითხოვდა, მის თხოვნას დავთანხმებულიყავი. მას ასე მივმართე: – შენს სურვილს შევასრულებ, მაგრამ საზეიმო ფიცი უნდა დადო, რომ სამუდამოდ მიატოვებ ევროპას და ყველა სხვა დასახლებულ ადგილს, როგორც კი ჩემგან მიიღებ ქალს, რომელიც შენთან ერთად გაიზიარებს დევნილობას.

– ვფიცავ მზეს და ცის ლურჯ კაბადონს, – აღმოხდა ურჩხულს, – ვფიცავ სიყვარულის ცეცხლს, რომელიც ჩემს გულში კიაფობს, რომ თუ ამ თხოვნას შემისრულებ, ველარასდროს მნახავ, სანამ ეს მზე და ცის კაბადონი არსებობენ. შინ დაბრუნდი და მუშაობას შეუდექი. მე მის მსვლელობას ენით აუწერელი გულისფნაცქალით მივადევნებ თვალს; და დარწმუნებული იყავი – როგორც კი ყველაფერი მზად იქნება, მე გამოვჩნდები.

ეს სიტყვები წარმოთქვა და ნაჩქარევად მიმატოვა. ჩანს, ეშინოდა, კიდევ არ გადამეფიქრებინა. ვხედავდი, როგორ ეშვებოდა მთიდან უფრო სწრაფად, ვიდრე არწივი დაფრინავს. მალე ჩაიკარგა ტალღოვანი ყინულის ზღვაში.

მისმა ნაამბობმა მთელი დღე დაიკავა, როცა ის წავიდა, მზე უკვე მთებს ეფარებოდა. ვიცოდი, რომ დაუყოვნებლივ უნდა დავშვებულიყავი დაბლობისკენ, რადგან სულ ცოტა ხანში ყველაფერს წყვდიადი დაეუფლებოდა, მაგრამ გული დამძიმებული მქონდა და ის ჩემს ნაბიჯსაც ანელებდა. გასული დღის მოვლენების შესახებ ფიქრებში ჩაძირული ძლივძლივობით ვიკვლევდი გზას მთის ვიწრო ბილიკებზე. ცოტა ძალისხმევა რომ არ გამომეჩინა, ფეხი ამიცდებოდა და უფსკრულში გადავეშვებოდი. უკვე კარგა დაღამებულიყო, როცა პატარა წყაროს მივუახლოვდი და ჩამოვჯექი დაღლილი. ნახევარი გზა კიდევ დამრჩენოდა.

დროდადრო ღრუბლებს შორის ნაპრალებში ვარსკვლავები ციალებდნენ. ჩემ წინაშე მაღალი ფიჭვები აღმართულიყვნენ, აქა-იქ ძირსაც ეყარა წაქცეული ფიჭვები. პირქუში სურათი იყო, რომელმაც უცნაური ფიქრები ამიშალა. მწარედ ავქვითინდი. სასოწარკვეთილმა მოვმუჭე ხელები და შევძახე: „ო, ვარსკვლავებო, ღრუბლებო და ქარებო! თქვენ მე დამცინით. თუ მართლა გებრალებით, წამართვით გრძნობები და მეხსიერება, არარაობად გადამაქციეთ, ხოლო თუ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ გაქრით და სამუდამოდ წყვდიადში დამტოვეთ“.

ეს ნამდვილი ბოდვა იყო და მრუმე ფიქრები. ვერ აღვწერ, როგორ მთრგუნავდა ვარსკვლავების კიაფობა, როგორ ვაყურადებდი ქარის ყოველ დაბერვას, თითქოს ის ავის მომასწავებელი სიროკო[7] იყო, რომელიც დაღუპვით მემუქრებოდა.

უკვე თენდებოდა, როცა სოფელ შამონიში მივედი. მაშინვე, დასვენების გარეშე, ჟენევისკენ გავეშურე. არ შემეძლო თავს დამტყდარ განცდებთან გამკლავება და აზრებში გარკვევა. მთასავით უზარმაზარი სიმძიმე დამეცა ზედ, ის ჩემს ტანჯვასაც კი აფერმკრთალებდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი დავბრუნდი შინ და ახლობლების წინაშე წარვდექი.

ჩემმა გათანგულმა სახემ ყველანი შეაშფოთა. მაგრამ არც ერთ შეკითხვას არ ვპასუხობდი და ლაპარაკის თავიც კი არ მქონდა. ვაცნობიერებდი, რომ რაღაც წყევლას ვატარებდი და თანაგრძნობის უფლება არ შეიძლებოდა მქონოდა. მეჩვენებოდა, რომ ვეღარასდროს დავტკბებოდი ახლობლებთან ურთიერთობით, თუმცა ისინი ახლაც თავდავიწყებით მიყვარდა. მათ გადასარჩენად გადავწყვიტე, საკუთარი თავი ჩემთვის საძულველი საქმისთვის მიმეძღვნა. ცხოვრების ყველა სხვა მხარემ გვერდზე გადაიწია, სიზმარივით, ამ სამუშაოს პერსპექტივის წინაშე. მხოლოდ ეს ფიქრი იყო ჩემთვის მკაფიო.

XVIII თავი

ჟენევაში დაბრუნების შემდეგ დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, მე კი ვერა და ვერ ვიკრებდი სიმამაცეს, რომ მუშაობას შევდგომოდი. მეშინოდა დემონის შურისძიების, რომელსაც იმედები გავუცრუე, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვლახავდი თავს მოხვეული საქმისადმი სიძულვილს.

ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ვერ შევძლებდი ქალის შექმნას, თუ კვლავ რამდენიმე თვეს არ დავუთმობდი კვლევა-ძიებებს. მესმოდა ზოგიერთი აღმოჩენის შესახებ, რომლებიც ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა გააკეთა. მათ შესახებ ცნობებს შეიძლებოდა დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა ჩემი სამუშაოს წარმატებაში და ხანდახან ვფიქრობდი მამისთვის მეთხოვა ნებართვა და ამ მიზნით ინგლისი მომენახულებინა. მაგრამ ნებისმიერ საბაბს ვეჭიდებოდი, რომ ეს საუბარი გადამედო და პირველ ნაბიჯს გავურბოდი, მით უმეტეს, რომ სულ უფრო საეჭვოდ მეჩვენებოდა, რამდენად საჩქარო იყო მოსალოდნელი საქმიანობა. ჩემში ცვლილება მოხდა; ჯანმრთელობა, უწინ შერყეული, ახლა მომიმაგრდა, შესაბამისად ამიმაღლდა განწყობაც, როცა ის არ უფერულდებოდა საბედისწერო პირობაზე ფიქრებით. მამაჩემი სიამოვნებით ადევნებდა თვალს ამ ცვლილებას და ერთადერთზე ფიქრობდა: რაც შეიძლება კარგი საშუალება ეპოვა, ჩემი ნაღვლის სრულად გასაფანტად, რომელიც ხანდახან ბრუნდებოდა და ამოსულ მზეს ღრუბელივით ეფარებოდა. ასეთ წუთებში სრულ სიმარტოვეს ვეძებდი. მთელ დღეებს ტბაზე პატარა ნავში განმარტოებული ვატარებდი, მდუმარე და გარინდული, ღრუბლებს გავყურებდი და ტალღების დგაფუნს ვაყურადებდი. მაგრამ სუფთა ჰაერი და კაშკაშა მზე თითქმის ყოველთვის აღმიდგენდნენ, გარკვეულწილად მაინც, სულიერ სიმშვიდეს. უკან დაბრუნებული ჩემი ახლობლების მისალმებას გაცილებით უფრო მხიარულად და უშუალოდ, ძალდატანების გარეშე ვეპასუხებოდი.

ერთხელ, ასეთი გასეირნებიდან შინ დაბრუნებული, მამამ გვერდზე გამიხმო და შემდეგი სიტყვებით მომმართა: – სიხარულით ვამჩნევ, საყვარელო შვილო, რომ შენს

უწინდელ საყვარელ გატაცებებს დაუბრუნდი და როგორც მეჩვენება, გონს მოდიხარ. თუმცაღა, შენ ჯერ კიდევ უბედური ხარ და წინანდებურად გაურბიხარ ჩვენს საზოგადოებას. გარკვეული პერიოდი ვნერვიულობდი და ვეძებდი ამის მიზეზებს, მაგრამ გუშინ ერთმა ფიქრმა გამინათა გონება და თუ ის მართალია, გევედრები, რომ გული გადამიშალო. ასეთ შემთხვევაში გაჩუმება არა მხოლოდ ამაოა, არამედ შეიძლება კიდევ მეტი უბედურება დაგვატეხოს თავს.

ასეთმა შესავალმა ჟრჟოლა გამოიწვია ჩემში, მამა კი აგრძელებდა: – ვაღიარებ, ყოველთვის ვუყურებდი შენსა და ჩვენი საყვარელი ელიზაბეტის ქორწინებას, როგორც ჩვენი ოჯახური კეთილდღეობის გვირგვინს და ჩემი სიბერის საყრდენს. თქვენ ადრეული ბავშვობიდან მიჩვეული ხართ ერთმანეთს, ერთად სწავლობდით და თქვენ-თქვენი მიდრეკილებებითა და გემოვნებებით, სავსებით შეეფერებით ერთმანეთს. მაგრამ ადამიანის გამოცდილება ბრმაა და იმან, რაც მე ბედნიერებისკენ მიმავალ საუკეთესო გზად მიმაჩნია, შეიძლება ის მთლად დაანგრიოს. იქნებ შენ მას ისე უყურებ, როგორც დას და არავითარი სურვილი არ გაქვს, ის შენი ცოლი გახდეს. უფრო მეტიც, შეიძლება შენ სულ სხვა გოგონას შეხვდი და შეგიყვარდა ის. რაკი ღირსების გრძნობა და მოვალეობა ელიზაბეტთან გაკავშირებს, შენს განცდებს ებრძვი და ჩემი აზრით, ეს განიჭებს ამდენ ტანჯვას.

– ძვირფასო მამა, დამშვიდდით. მე ჩემი ბიძაშვილი გულწრფელად და ნაზად მიყვარს. არასდროს შემხვედრია ქალი, რომელიც ელიზაბეტის მსგავსად გააღვიძებდა ჩემში ყველაზე მგზნებარე აღტაცებასა და სიყვარულს. ჩემი მომავლის იმედები და მთელი ჩემი გეგმები ჩვენს მოსალოდნელ ურთიერთობას უკავშირდება.

– საყვარელო ვიქტორ, შენი სიტყვები სიხარულს მანიჭებს, იმას, რაც დიდი ხანია არ განმიცდია. თუ ასეთი გრძნობები გაქვს, მაშინ ჩვენ უეჭველად ბედნიერები ვიქნებით, რამდენადაც უნდა გვადარდიანებდეს ცოტა ხნის წინანდელი მოვლენები. მაგრამ სწორედ იმ წყვდიადის გაფანტვა მინდოდა, რაც შენს სულს გარს ეკვრის. იქნებ ძალიან არ გადავდოთ თქვენი ქორწინება? უბედურება დაგვატყდა თავს, საშინელმა მოვლენებმა მოსვენება დაგვიკარგა, ის სიმშვიდე გამოგვაცალა, რაც ჩემი ასაკისა და უძლურებისთვის იყო შესაფერისი. შენ უფრო ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ვფიქრობ, შენი შეძლების პირობებში ნაადრევი ქორწინება ხელს არ შეგიშლიდა ნებისმიერი განზრახვის შესრულებაში, რათა თავი გამოგეჩინა და ადამიანებისთვის გემსახურა. თუმცა არ იფიქრო, რომ შენთვის ბედნიერების თავს მოხვევას ვაპირებდე და რომ ქორწილის გადადება ამაღელვებს. ნუ დაუწყებ ჩემს სიტყვებში რაიმე ქვენა აზრის ძებნას და, გევედრები, ნდობითა და გულწრფელობით მიპასუხე!

მდუმარედ მოვუსმინე მამაჩემს და გარკვეული დროის განმავლობაში პასუხის გაცემაც ვერ შევძელი. უამრავმა ფიქრმა გამიელვა თავში. ვცდილობდი, რაიმე გადაწყვეტილებამდე მივსულიყავი. ამაოდ! ელიზაბეტთან დაუყოვნებელი ქორწინება შიშსა და შფოთვას მინერგავდა. საზეიმო ფიცით ვიყავი შებოჭილი, რომელიც ჯერ კიდევ არ შემესრულებინა და რომლის დარღვევის უფლებაც არ

მქონდა. ხოლო თუ ამას არ გავაკეთებდი, რა უბედურებები დაატყდებოდა თავს ჩემს განწირულ ოჯახს! ნუთუ შემეძლო ქორწილი მეზეიმა, როცა კისერზე სასიკვდილო ტვირთი მეკიდა, რომელიც მიწამდე მდრეკდა? უნდა შემესრულებინა ჩემი მოვალეობები და ურჩხულისთვის მიმეცა საშუალება, თავის მეგობართან ერთად გაუჩინარებულიყო, სანამ შევძლებდი იმ კავშირის ბედნიერებით დატკბობას, რომელიც სასურველ სიმშვიდეს მპირდებოდა.

ასევე გამახსენდა გადაუდებელი აუცილებლობა, ან ინგლისში გავმგზავრებულიყავი, ან ხანგრძლივი მიმოწერა გამეჩაღებინა იმ მეცნიერებთან, რომელთა ცოდნა და აღმოჩენები დასახული საქმისთვის უკიდურესად გამომადგებოდა. სასურველი ცნობების მიღების მეორე საშუალება შეიძლებოდა ნელი და არასაკმარისი აღმოჩენილიყო. გარდა ამისა, ცუდად მხდიდა იმაზე ფიქრი, რომ ამ ამაზრზენი სამუშაოთი მამისეულ სახლში უნდა დავკავებულიყავი, ჩემთვის საყვარელ ადამიანებთან მუდმივი ურთიერთობის პირობებში. ვიცოდი, რომ შესაძლებელი იყო ათასობით უბედური შემთხვევითობა და მათ შორის ყველაზე უბადრუკს შეეძლო გაემჟღავნებინა საიდუმლო, რომელიც ყველას დაზაფრავდა, ვინც კი ჩემთან იყო დაკავშირებული. იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ხშირად დავკარგავდი წონასწორობას და მტანჯველი გრძნობების დამალვის უნარს, რომლებიც დამეუფლებოდა ამ საშინელი სამუშაოს შესრულებისას. ამ დროს ყველას უნდა გავრიდებოდი, ვინც კი მიყვარდა. რაკი ერთხელ დავიწყებდი, შემეძლო ის მალე დამესრულებინა და ოჯახში დავბრუნებულიყავი, მშვიდ ბედნიერებაში. თუ პირობას შევასრულებდი, ურჩხული სამუდამოდ მომშორდებოდა. ან იქნებ (ასე იხატებოდა ჩემი შეშლილი ფანტაზიები), იმ დროისთვის რაიმე კატასტროფაც მომხდარიყო, რომელიც მას გაანადგურებდა და საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს ჩემს მონობას.

ამ გრძნობებით იყო ნაკარნახევი ჩემი პასუხი. ინგლისის მონახულების სურვილი გავუმხილე, თუმცა დავუმალე ამ თხოვნის ჭეშმარიტი მიზეზები და ის გარემოებები მოვიშველიე, რომლებიც ეჭვს არ გამოიწვევდა. ისე დავიჟინე გამგზავრების აუცილებლობა, რომ მამაჩემი იოლად დამთანხმდა. სიამოვნებით შენიშნა, რომ პირქუში მოღუშულობის, ლამის სიგიჟის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, შემეძლო სიხარული გამომეხატა მოსალოდნელი გამგზავრების გამო. მამა იმედოვნებდა, რომ გარემოს შეცვლა და სხვადასხვაგვარი გასართობები საბოლოოდ გამომიყვანდა უწინდელი მდგომარეობიდან, ჯერ კიდევ შინ დაბრუნებამდე.

ჩემი ინგლისში ყოფნის ხანგრძლივობის განსაზღვრაც მე მომანდო; ივარაუდებოდა, რომ ეს რამდენიმე თვეს გასტანდა ან, ყველაზე ბევრი, წელიწადს. მამამ იმაზეც კი იზრუნა, რომ თანმხლები მყოლოდა. თანაც ისე, რომ წინასწარ ჩემთვის არ უცნობებია, ელიზაბეტთან შეთანხმებით ისე მოაწყო ყველაფერი, რომ სტრასბურგში კლერვალი შემომიერთდებოდა. ეს ხელს უშლიდა იმ განმარტოებას, რომლისკენაც მივისწრაფოდი, ჩემი მოვალეობების შესასრულებლად. თუმცა ჩემი მოგზაურობის დასაწყისში მეგობრის გვერდზე ყოფნა არაფრით არ შეიძლებოდა ტვირთად მქცეოდა და გულწრფელად გამიხარდა, რომ ასე თავიდან ავიცილებდი მარტოხელა ფიქრების

მტანჯველ საათებს, რომლებსაც შეეძლოთ საერთოდაც გავეგიჟებინე. უფრო მეტიც, ანრის შეეძლო დაბრკოლებად აღმართულიყო ჩემსა და ჩემს მტერს შორის. მე რომ მარტო ვყოფილიყავი, არ იყო გამორიცხული, ურჩხულს მოპრიანებოდა და ხანდახან, მოულოდნელად გამომცხადებოდა, რათა ჩემი ამოცანა შეეხსენებინა ან მისი შესრულებისთვის ედევნებინა თვალი, ასეთ შემთხვევაში კი მისი აუტანელი თანდასწრება უნდა ამეტანა.

მაშ ასე, ინგლისში მივემგზავრებოდი და გადაწყდა, რომ ელიზაბეტთან ჩემი ქორწინება ჩემი დაბრუნებისთანავე, დაუყოვნებლივ შედგებოდა. მამის ასაკის გათვალისწინებით, ადვილი გასაგებია, რა უხალისოდ დათანხმდა ამ გადავადებას. მე რაც შემეხება, ერთადერთი ჯილდო იყო, რომელიც მელოდა საძულველი, მძიმე შრომის ფასად, ერთი ნუგეში ამ უმაგალითო ტანჯვებში – ეს იყო იმ დღის იმედი, როცა დამთრგუნველი მონობისგან გათავისუფლებული შევძლებდი ელიზაბეტის ხელის თხოვნას და მის გვერდით წარსულის დავიწყებას.

აბარგებას შევუდექი. თუმცა ერთი ფიქრი გამუდმებით თან მდევდა და შიშითა და ღელვით მავსებდა – ჩემი არყოფნის განმავლობაში ჩემს ახლობლებს აქ ვტოვებდი, მათ, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ მტრის არსებობის შესახებ და არაფრით იყვნენ დაცულნი მისი თავდასხმისგან – არადა, ჩემი გამგზავრება მას ალბათ გააცოფებდა. მართალია, დამპირდა, რომ ყველგან გამომედევნებოდა, საითაც წავიდოდი, მაგრამ ინგლისშიც ხომ არ წამომყვებოდა? ამაზე ფიქრი თავისთავად დამშვიდებელი იყო, მაგრამ იმავდროულად შვების მომგვრელიც, რადგან ჩემი ახლობლების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. უარესი იქნებოდა, პირიქით რომ მომხდარიყო. მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ჩემივე ქმნილების მონა ვიყავი, მომენტის გავლენით ვმოქმედებდი და ახლაც ინსტინქტი დაჟინებით მკარნახობდა, რომ დემონი ჩემს კვალს გამოჰყვებოდა და ჩემს ოჯახს საფრთხეს არ შეუქმნიდა.

სექტემბრის ბოლოს ისევ დავტოვე მშობლიური ქვეყანა. მოგზაურობა ჩემი საკუთარი სურვილით წამოვიწყე, ამიტომ ელიზაბეტს არ გაუპროტესტებია; თუმცა ფრიად იყო შეშფოთებული იმაზე ფიქრით, რომ დარდს შეიძლებოდა ისევ დავეპყარი, თვითონ კი ჩემგან შორს იქნებოდა. მისი მზრუნველობის წყალობით კლერვალის სახით თანამგზავრი მყავდა. და მაინც, მამაკაცი ვერ ხედავს იმ ათასობით ცხოვრებისეულ წვრილმანს, რომელიც ქალის ყურადღებას მოითხოვს. მას მგზნებარედ სწადდა, ჩემთვის ეთხოვა, მალე დავბრუნებულიყავი. თუმცა უამრავმა ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობამ აიძულა, გაჩუმებულიყო და ცრემლებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს, თუმცა უსიტყვოდ.

საგზაო ეკიპაჟში ჩავჯექი. ბუნდოვნად ვაცნობიერებდი, საით მივეშურებოდი, ყველაფრისადმი გულგრილი, რაც გარშემო ხდებოდა. მხოლოდ ის გამახსენდა – და რა დანანებით! – რომ ჩემი ქიმიური ხელსაწყოები დამჭირდებოდა და განკარგულება გავეცი, ჩაელაგებინათ და გზაში დაეწიათ ჩემთვის. ყველაზე გაუხარელი ფიქრებით სავსემ გავიარე უამრავი ულამაზესი ადგილი. ერთ წერტილს მიშტერებული ჩემი

თვალები ვერაფერს ამჩნევდნენ. მხოლოდ ის შემეძლო, ჩემი მოგზაურობის საბედისწერო მიზანზე მეფიქრა და სამუშაოზე, რომლისთვისაც მთელი ჩემი დრო უნდა დამეთმო.

რამდენიმე დღის შემდეგ, რომელიც აპათიურ განწყობაზე მყოფმა გავატარე და ამასობაში მრავალი ლიეც გავლიე, სტრასბურგში ჩავედი, სადაც ორი დღე კლერვალს ველოდე. ბოლოს ისიც ჩამოვიდა.

საოცარი კონტრასტი იყო ჩვენ შორის! მას თითოეული ახალი მოვლენა შთააგონებდა, სიხარულით ივსებოდა, როცა ჩამავალ მზეს შესცქეროდა, მაგრამ კიდევ უფრო ხარობდა მისი ამოსვლით და ახალი დღის დადგომით. ცდილობდა, ჩემი ყურადღება მიეპყრო ლანდშაფტისა და ცის ცვალებადი ფერებისთვის. „აი, რისთვის ღირს ცხოვრება! – შემომძახოდა, – აი, როდის ვტკბები ცხოვრებით! მაგრამ შენ, ჩემო საყვარელო ფრანკენშტაინ, რად ხარ ასე დათრგუნული და ნაღვლიანი?“

მართლაც, თავი მრუმე ფიქრებით მქონდა დამძიმებული და ვერც საღამოს პირველი ვარსკვლავის ამოსვლას ვხედავდი, ვერც ოქროსფერი მზის კაშკაშს, რომელსაც რაინი აირეკლავდა. და თქვენც, ჩემო მეგობარო, გაცილებით მეტ სიამოვნებას მიიღებდით, კლერვალის დღიური რომ წაგეკითხათ, რომელსაც შეეძლო ბუნების შეგრძნება და მისით აღტაცება, ვიდრე ჩემი მსჯელობის მოსმენით იღებთ. მე ხომ უბედური არსება ვარ, საშინელი წყევლით დამძიმებული, რომელმაც ჩემთვის სიამის ყველა გზა ჩაკეტა.

გადავწყვიტეთ, სტრასბურგიდან როტერდამამდე რაინით დავშვებულიყავით, იქიდან კი ლონდონისკენ აგვეღო გეზი. ამ მოგზაურობის დროს ტირიფებამოწვერილი ურიცხვი კუნძულის გასწვრივ გავცურეთ. სტრასბურგიდან გამოცურვიდან მეხუთე დღეს კი მაინცში ჩავედით. მაინცის დაბლა რაინის სანაპირო სულ უფრო ფერადოვანი ხდება. მდინარის დინება ჩქარდება, არც ისე მაღალ, მაგრამ ციცაბო და ლამაზად მოხაზულ გორებზე იკლაკნება. ციხესიმაგრეების უამრავ ნანგრევს ვუცქეროდით, რომლებიც უღრანი ტყით გარემოცული მაღალი და შეურყვნელი ფრიალოების ნაპირას იდგნენ. რაინის ამ ნაწილში ლანდშაფტები უჩვეულოდ მრავალფეროვანია. ხან გორაკი აღიმართება შენ წინაშე, ხან დანგრეული ციხესიმაგრე, უფსკრულზე დაკიდული, რომლის ფსკერზე რაინის ამღვრეული წყალი მიედინება; ხან კი უცებ კონცხზე მდინარის კლაკნილში აყვავებული ვენახები ჩნდებიან, მწვანე დამრეცი კალთებით, და ხალხით სავსე ქალაქები.

ჩვენი მოგზაურობა რთვლობას დაემთხვა; წყალზე მცურავებს მევენახეების ტკბილი სიმღერა გვესმოდა. მეც კი, დარდით გულდათუთქული, პირქუში წინათგრძნობით გარემოცული, მათ სიამოვნებით ვუსმენდი. ნავის ფსკერზე ვიწექი და უღრუბლო ცის შემყურე თითქოს იმ სიმშვიდეს შევიწოვდი, რომელიც ასე დიდი ხანია მომნატრებოდა. მეც კი თუ მიპყრობდა ამგვარი განცდები, ვინ შეიძლება აღწეროს ანრის მღელვარება? ის თითქოს სასწაულების ქვეყანაში აღმოჩნდა და ბედნიერებით ტკბებოდა, რომელიც იშვიათად თუ ეძლევა ადამიანს.

– მე მინახავს ჩემი სამშობლოს უმშვენიერესი პეიზაჟები, – ამბობდა ანრი, – ლიუცერნისა და ურის[8] ტბებზე ვყოფილვარ, სადაც თოვლიანი მთები თითქოს წყალში ეშვებიან, მას ბნელ, გაუმჭვირვალ ჩრდილებს ესვრიან, რომლებიც ტბას ძალიან პირქუშ იერს მიანიჭებდნენ, რომ არა თვალის დამატკბობელი მხიარული მწვანე კუნძულები; ეს ტბები მინახავს ქარიშხალში, როცა ქარი წყლის მორევებს ატრიალებდა და ცაში იტაცებდა, ისე, რომ შეგეძლო წარმოგედგინა ნამდვილი გრიგალი ვრცელ ოკეანეებში. მინახავს, ტალღები როგორი მძვინვარებით ეხეთქებოდნენ მთების კალთებს, სადაც ზვავმა ერთხელ მღვდელს და მის მხევალს უწია, – ამბობენ, მათი უკანასკნელი კვნესა დღემდე ისმის ღამით ქარის ზუზუნის დროს. თვალი შემივლია ლა ვალესა და პეი დე ვოს[9] მთებისთვის. და მაინც აქაური არემარე, ვიქტორ, მეტად მომწონს, ვიდრე ჩვენი ყველა სასწაული. შვეიცარიის მთები გაცილებით უფრო მედიდური და უჩვეულოა, მაგრამ ამ ღვთიური მდინარის ნაპირები რაღაც საოცარ ჯადოსნობას მალავენ და ჩემთვის შეუდარებელია, ჯერ არნახული. შეხედე აგერ იქ, ფრიალოზე დაკიდებულ ციხესიმაგრეს, ან კიდევ იმას, კუნძულზე, თითქმის რომ ჩამალულა ხეების ფოთლებში. ან ეს მევენახეები, ვენახებიდან დაბრუნებულნი; აი სოფელიც, მთების ნაკეცებში ჩამალული. და, რა თქმა უნდა, ამ ადგილების მფარველ ანგელოზს ადამიანისთვის გაცილებით უფრო თანამჟღერი სული აქვს, ვიდრე ყინულებისა და ჩვენი სამშობლოს უმანკო მთიანი მწვერვალების მიდამოებში მქროლავი სულები არიან.

კლერვალ! საყვარელო მეგობარო! ახლაც აღტაცებული ვიმეორებ შენს სიტყვებს და ხოტბას გასხამ, რომელიც დაიმსახურე. ეს იყო ადამიანი, რომელიც თითქოს თვით ბუნების პოეზიამ შექმნა. მისი მგზნებარე, შთამაგონებელი ფანტაზია მისი გულის მგრძნობიარობით იყო ნაკვები. მას ვნებიანი სიყვარულის უნარი შესწევდა; მეგობრობაში ისეთ ერთგულებას ავლენდა. რომელიც, თუ ცხოვრებისეულ სიბრძნეს ვენდობით, მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში არსებობს. მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობა მთლიანად ვერ ავსებდა მის ცეცხლოვან სულს. ბუნება, რომლითაც სხვები მხოლოდ ტკბებოდნენ, მას გიჟურად უყვარდა.

...ჩანჩქერის გრგვინვას, მუსიკად ცნობდა; უღრანი ტყენი, კლდეების მოდგმა, მათი ხაზები, სიყვარულს შობდა.

მას არ უნდოდა ბევრი რწმუნება, რომ ჰყვარებოდა ლაღი ბუნება; უყვარდა ის, რაც თვალს ახარებდა

და სათუთ სულში ულამუნებდა.

ნეტავ სად არის ის ახლა? ნუთუ ეს შესანიშნავი, კეთილშობილი ადამიანი უკვალოდ გაქრა? ნუთუ ეს ნათელი გონება, ეს მდიდარი ფიქრები, ეს ახირებული და ამოუწურავი წარმოსახვა, რომელიც მთელ სამყაროებს ქმნიდა, თავიანთი შემოქმედის სიცოცხლეზე რომ იყვნენ დამოკიდებულნი, – ნუთუ ეს ყოველივე დაიღუპა? ნუთუ ის ახლა მხოლოდ ჩემს გონებაში ცხოვრობს? არა, ასე არ არის! შენი სხეული, ეგზომ

სრულყოფილი და სილამაზით მოკაშკაშე, ფერფლად იქცა, მაგრამ შენი სული ჯერ კიდევ ევლინება შენს უბედურ მეგობარს ნუგეშისმცემლად.

მაპატიეთ ამ მწუხარე გოდების გამო. ჩემი სიტყვები მხოლოდ სუსტი და უსუსური ძღვენია ანრის უმაგალითო ღირსებებისადმი, თუმცა ისინი ჩემს გულს ეფონებიან, იმ ტკივილს აცხრობენ, რომელსაც მასზე მოგონება მიჩენს. თქვენის ნებართვით, ახლა ჩემს მონათხრობს განვაგრძობ.

კელნის იქით ჰოლანდიის ფერდობებისკენ დავეშვით. გადავწყვიტეთ, ჩვენი გზის დარჩენილი ნაწილი ხმელეთით გაგვევლო, რადგან საშინელი ქარი ქროდა, დინება კი მეტისმეტად სუსტი იყო, რომ ჩვენ დაგვხმარებოდა.

ამ ადგილას ჩვენი მოგზაურობა ნაკლებ საინტერესო გახდა ბუნების სილამაზის თვალსაზრისით, მაგრამ უკვე რამდენიმე დღეში როტერდამში ჩავედით, საიდანაც ზღვით განვაგრძეთ გზა ინგლისისკენ.

ერთ ნათელ დილას, დეკემბრის ბოლოს, პირველად დავინახე ბრიტანეთის თეთრი კლდეები. ტემზის ნაპირები სრულიად ახლებურ პეიზაჟს შლიდა ჩვენ წინაშე: ბრტყელი იყო, მაგრამ ნაყოფიერი; თითქმის ყველა ქალაქს რაღაც თქმულება ახლდა თან. ტილბორის ფორტი ვნახეთ და ესპანური არმადა[10] გაგვახსენდა; მერე ვიხილეთ გრეივსენდი[11], ვულიჯი[12] და გრინვიჩი[13] – ადგილები, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ სამშობლოში გამეგონა ბევრი რამ.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ თვალწინ ლონდონის მკაცრი სახლების ურიცხვი წვეროებიც გადაიშალა, რომლებიც ყველას თავზე იყო აღმართული, წმინდა პავლეს გუმბათი და ინგლისის ისტორიაში სახელგანთქმული ტაუერი.

XIX თავი

ჩვენი დანიშნულების პუნქტი ლონდონი იყო: გადავწყვიტეთ, ამ საუცხოო და განთქმულ ქალაქში რამდენიმე თვე გაგვეტარებინა. კლერვალს სურდა იმ დროის ცნობილ ადამიანებს გასცნობოდა, თუმცა ჩემთვის ეს მეორეხარისხოვანი იყო. ყველაზე მეტად იმ ცნობების მიღებით ვიყავი შეპყრობილი, რომლებიც აუცილებელი იყო ჩემი პირობის შესასრულებლად, და დაუყოვნებლივ გამოვიყენე თან წამოღებული სარეკომენდაციო წერილები, რომლებიც ყველაზე სახელგანთქმული ბუნებისმეტყველი მეცნიერებისთვის უნდა წარმედგინა.

ეს მოგზაურობა ჩემი სწავლების ბედნიერ დღეებში რომ განხორციელებულიყო, ის განუზომელ სიხარულს მომანიჭებდა. მაგრამ წყევლით ვიყავი შებოჭილი და ამ

ადამიანებს მხოლოდ იმ მიზნით ვსტუმრობდი, რომ ჩემთვის საბედისწერო ინტერესის მქონე საგანზე შემეგროვებინა ცნობები. საზოგადოება მთრგუნავდა, მარტო დარჩენილს შემეძლო ყურადღება ბუნების სურათებით დამეპყრო. ანრის ხმა მამშვიდებდა და ამ სიმშვიდის ხანმოკლე ილუზიით ვიტყუებდი თავს. მაგრამ უცხო სახეები, შეფიქრიანებულნი, გულგრილნი თუ კმაყოფილნი, ისევ სასოწარკვეთილებაში მაგდებდნენ. ვგრძნობდი, რომ ჩემსა და სხვა ადამიანებს შორის გადაუხალავი ბარიერი აღიმართებოდა. ეს კედელი უილიამისა და ჟუსტინას სისხლით იყო გამყარებული; ამ სახელებთან დაკავშირებული მოვლენების მოგონებები მძიმე ტანჯვად მექცა.

კლერვალში ჩემი უწინდელი „მე“-ს ანარეკლს ვხედავდი. ცნობისმოყვარე იყო და მოუთმენლად სწყუროდა ცოდნა და გამოცდილება. სხვადასხვა წეს-ჩვეულებას, რომელსაც აკვირდებოდა, საინტერესოდ და ჭკუის სასწავლებლად მიიჩნევდა. გარდა ამისა, იმ მიზანს მიჰყვებოდა, რომელიც რა ხანია დაესახა. გადაწყვიტა ინდოეთს სწვეოდა, დარწმუნებული იმაში, რომ მისი სხვადასხვაგვარი ენისა და იქაური ცხოვრების ცოდნით შეძლებდა საკმაო წვლილი შეეტანა და ხელი შეეწყო ვაჭრობაში ევროპული კოლონიზაციის პროგრესისთვის. მხოლოდ ინგლისში შეძლებდა თავისი გეგმის შესრულების დაჩქარებას. გამუდმებით რაღაცას საქმიანობდა, ერთადერთი, რაც გულს უკლავდა, ჩემი ნაღველი და მოწყენილობა იყო. ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, მისგან დამემალა ჩემი განცდები, რათა არ მომეკლო მისთვის სიამოვნებანი, ესოდენ ბუნებრივი იმ ადამიანისთვის, რომელიც ახალ ცხოვრებისეულ ეტაპზე დგას და არ არის დატვირთული პრობლემებით თუ მწარე მოგონებებით. ხშირად უარს ვეუბნებოდი თანხლებაზე, იმ მიზეზით, თითქოს სხვა ადგილას ვიყავი დაპატიჟებული, ან კიდევ სხვა რაიმე საბაბს მოვიგონებდი, რომ მარტო დავეტოვებინე. ამ დროს ვიწყებდი მასალების შეგროვებას, აუცილებელს ჩემი ახალი ქმნილების ქვეყანაზე მოსავლინებლად; ეს პროცესი ჩემთვის ისეთივე მტანჯველი იყო, როგორც წყლით წამება, როცა თავზე წვეთ-წვეთობით გეცემა, მონოტონურად. თითოეული აზრი, ჩემი ამოცანისკენ მიმართული, აუტანელ ტკივილს მაყენებდა; თითოეული ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვა, თუნდაც ირიბად დაკავშირებული ჩემს ამოცანასთან, ჩემს ტუჩებს ათრთოლებდა, გულს კი – ძალუმად აძგერებდა.

ლონდონში ჩასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ შოტლანდიიდან მივიღეთ წერილი. ავტორი ერთი ადამიანი იყო, რომელიც ადრე ჟენევაში გვსტუმრობდა. თავის ქვეყანას აღწერდა და გვარწმუნებდა, რომ თუნდაც მისი მშვენებებით დასატკბობად, ვალდებულნიც კი ვიყავით ჩვენი მოგზაურობა ჩრდილოეთით გაგვეგრძელებინა, პერტამდე, სადაც ის ცხოვრობდა. კლერვალს ძალიან მოუნდა, რომ ეს მიწვევა მიგვეღო; მეც კი, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს ვერიდებოდი, კვლავ მომინდა მთების, ჩანჩქერებისა და ყველა იმ საოცარი ქმნილების ჭვრეტა, რომლითაც ბუნებას მოურთავს თავისი სანუკვარი ადგილები.

ინგლისში ოქტომბრის დასაწყისში ჩავედით, ახლა კი უკვე თებერვალი იყო. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ჩრდილოეთისკენ გეზი შემდეგი თვის ბოლოსკენ აგვეღო. ამ

მგზავრობისას, იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ ედინბურგამდე მთავარ გზას გავყოლოდით, გადავწყვიტეთ უინძორში, ოქსფორდში, მატლოკსა და კიმბერლენდის ტბებზეც შეგვევლო, მოგზაურობის საბოლოო მიზანთან კი სადღაც ივლისის ბოლოს ვიქნებოდით. მე ქიმიური ხელსაწყოები და შეგროვილი მასალები ჩავალაგე. გადავწყვიტე, ჩემი შრომა შოტლანდიის ჩრდილოეთ ფერდობებზე რომელიმე განმარტოებულ ადგილას დამესრულებინა.

ლონდონი 27 მარტს დავტოვეთ და რამდენიმე დღე უინძორში გავატარეთ, მის ტურფა ტყეებში ხეტიალში. ჩვენთვის, მთის შვილებისთვის, ამ ადგილების ბუნება საოცრად უჩვეულო ჩანდა: მძლავრი მუხები, ველური მხეცების სიმრავლე და მედიდური ირმების ჯოგები – ყველაფერი გვეუცხოვა.

იქიდან ოქსფორდისკენ გავემართეთ. ამ ქალაქში შესულები იმ მოვლენების შესახებ მოგონებებმა მოგვიცვა, რომლებიც იქ დაახლოებით საუკუნე-ნახევრის წინ მოხდა. აქ აღიდგინა ძალები კარლოს I-მა[14]. ეს ქალაქი მის ერთგულად დარჩა, როცა მთელი ქვეყანა განუდგა და პარლამენტისა და თავისუფლების ალამქვეშ დადგა. გავიხსენეთ უბედური მეფე და მისი ამალა, დიდსულოვანი ფოლკლენდი, ქედმაღალი გორინგი, დედოფალი და მისი ვაჟი. ეს ყველაფერი განსაკუთრებულ ინტერესს სძენდა ქალაქის თითოეულ ნაწილს, სადაც ალბათ ისინი ცხოვრობდნენ. აქ სიძველის სული ტრიალებდა და სიამით ვეძიებდით მის ნაკვალევს. მაგრამ ამ განცდებით შთაგონებულ წარმოსახვას რომ ვერც ეპოვა აქ საკმარისი საზრდო, თავისთავად ქალაქი იმდენად ლამაზი იყო, რომ აღტაცებას გვგვრიდა. კოლეჯების შენობები სიძველით სუნთქავენ და ძალიან შთამბეჭდავნი არიან; მშვენიერი ქუჩებია, ხოლო კოხტა იზისი, რომელიც ქალაქის სიახლოვეს ჩაუყვება მწვანე მდელოებს, ფართოდ და მშვიდად ჰფენს თავის წყალს, რომელშიც საუკუნოვანი ხეებით გარემოცული კოშკების, გუმბათების და სასახლეების წვერების დიდებულება ირეკლება.

ამ სურათით ვტკბებოდი, მაგრამ წარსულის ღანდები და მომავლის ფიქრი მაინც მიფერმკრთალებდნენ ამ სიამეს. მშვიდი ბედნიერებისთვის ვიყავი შექმნილი. სიჭაბუკის წლებში უკმაყოფილება არ ვიცოდი რა იყო. ოდესმე თუ მძლევდა კიდეც ნაღველი, ბუნების მშვენებათა ცქერა ან ადამიანის საოცარი და ამაღლებული ქმნილებების შესწავლა ყოველთვის პოვებდა გამოძახილს ჩემს გულში და სულიერად ამამაღლებდა. ახლა კი იმ ხეს ვგავდი, რომელიც მეხს დაენარცხებინა. მან შიგ გულში დამჭრა, უკვე ვგრძნობდი, რომ ბედად მეწერა, ადამიანის მსგავსებად დავრჩენილიყავი მხოლოდ და კვდომის უბადრუკ სანახაობად ვქცეულიყავი, რომელიც თანაგრძნობას იწვევდა სხვებში და აუტანელი იყო საკუთარი თავისთვის.

ოქსფორდში საკმაო ხანი დავყავით, მის შემოგარენში დავხეტიალებდით, და ვცდილობდით თითოეული კუთხე ამოგვეცნო, რომელიც კი შეიძლებოდა ინგლისის ისტორიის საინტერესო პერიოდთან ყოფილიყო დაკავშირებული. ჩვენი პატარა ექსკურსიები ხშირად ხანგრძლივდებოდა სულ ახალ-ახალი ღირსშესანიშნაობებით, რომლებსაც მოულოდნელად აღმოვაჩენდით ხოლმე. მამაცი ჰემლდენის საფლავი

მოვინახულეთ და ბრძოლის ველი, რომელზეც დაეცა ეს პატრიოტი. ერთი წამით ჩემმა სულმა გაარღვია დამამცირებელი და უბადრუკი შიშის ბორკილები, რათა გამეაზრებინა ამ ადგილებში უკვდავყოფილი თავისუფლებისა და თავგანწირვის მაღალი იდეები. რაღაც წამით ისიც კი გავბედე, ჩემი ჯაჭვი გადამეგდო მხრებიდან და გარშემო თავისუფლად და ამაყად მომევლო თვალი. მაგრამ ჯაჭვის ფოლადს უკვე შეესანსლა ჩემი სული და მეც ისევ, აკანკალებული და სასოწარკვეთილი, ჩემს განცდებში ჩავიძირე.

დანანებით დავტოვეთ ოქსფორდი და მატლოკისკენ გავემართეთ – ჩვენი შემდეგი ნავსაყუდელისკენ. ამ დასახლების გარშემო არემარე შვეიცარიის პეიზაჟებს ჰგავს, მაგრამ აქ ყველაფერი შედარებით მცირე მასშტაბებისაა. მწვანე გორებს შორეული თოვლიანი ალპების გვირგვინი აკლია, რომლებიც მარადიულად ამკობენ ჩემი სამშობლოს ტყიან მთებს. საოცარ გამოქვაბულს ვესტუმრეთ და საბუნებისმეტყველო ისტორიის მინიატიურულ მუზეუმს, სადაც იშვიათი ექსპონატები ისევეა განთავსებული, როგორც სერვოსა და შამონის კრებულებში. ამ უკანასკნელის სახელწოდებაზე გამაკანკალა, როცა ანრიმ ხმამაღლა წარმოთქვა, და ნაჩქარევად დავტოვე მატლოკი, რომელსაც ჩემთვის ესოდენ საზარელი მოგონება დაუკავშირდა.

დერბიდან კიდევ უფრო ჩრდილოეთისკენ გავაგრძელეთ გზა და ორი თვე გავატარეთ კიმბერლენდსა და უესტმორლენდში. ახლა თითქმის უკვე შემეძლო საკუთარი თავის წარმოდგენა შვეიცარიის მთებში. თოვლის მცირე უბნები, რომლებიც მთების ჩრდილოეთ კალთებზე შემორჩენილიყო, ტბები, მთის მდინარეების მგზნებარე დინება – ეს ყველაფერი ჩემთვის ჩვეული იყო და ჩემი გულისთვის ძვირფასიც. აქ გარკვეული სანაცნობო წრე შევკრიბეთ. ამ ადამიანებმა თითქმის დამიბრუნეს უნარი, ბედნიერად მეგრძნო თავი. კლერვალი ყველაფერს გაცილებით მეტი აღტაცებით შეიგრძნობდა, ვიდრე მე. ნიჭიერი ადამიანების საზოგადოებაში ბრწყინავდა და საკუთარ თავში უფრო და უფრო მეტ შესაძლებლობებსა და უნარებს აღმოაჩენდა, ვიდრე როდესაც მათ შორის ტრიალებდა, ვინც მასზე დაბლა იდგა. „აქ მთელ ცხოვრებასაც გავატარებდი, – მითხრა ერთხელ, – ამ მთებში ნამდვილად არ მომენატრებოდა შვეიცარია და გეინი“.

თუმცა იმასაც აღიარებდა, რომ მოგზაურის ცხოვრებაში სიამეებთან ერთად ბევრი გასაჭირიც არსებობს. ის ხომ გამუდმებით დაძაბულია, ძლივს იწყებს დასვენებას, რომ უკვე იძულებულია მისთვის სასიამოვნოდ ქცეული ადგილები რაღაც ახლის საძიებლად დატოვოს, რაც კვლავ იპყრობს მის ყურადღებას, მერე კი, თავის მხრივ, ამაზეც უარი თქვას სხვა სიახლეებისთვის.

კიმბერლენდისა და უესტმორლენდის მრავალფეროვანი ტბებით ბოლომდე დატკბობაც ვერ მოვასწარით და ვერც მის ზოგიერთ ბინადართან დამეგობრებაც, რომ შოტლანდიელ მეგობართან ჩვენი გამგზავრების დრო მოახლოვდა. ჩვენი ახალი ნაცნობები დავტოვეთ და მოგზაურობა განვაგრძეთ. მე რაც შემეხება, ამას დიდად არ გავუნაწყენებივარ. გარკვეულ ხანს ჩემი პირობები მივივიწყე და ახლა მოტყუებული

დემონის მრისხანების მეშინოდა. შესაძლოა, ის შვეიცარიაში დარჩა, რომ თავისი შურისგება ჩემს ახლობლებზე დაეწთხია. ეს ფიქრი მდევდა თან და იმ დროსაც კი მტანჯავდა, როცა, წესით, უნდა დამესვენა და შვება მეპოვა. ციებცხელებიანივით ველოდი წერილებს: როცა იგვიანებდა ფოსტა, უბედურად ვგრძნობდი თავს და უსასრულო შიში მდევდა, ხოლო როცა წერილი მოდიოდა და ვხედავდი მისამართს, ელიზაბეტის ან მამის ხელით დაწერილს, ძლივს ვბედავდი მათ წაკითხვას და საკუთარი ბედის გაგებას. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ დემონი უკან მომდევდა და შეეძლო ჩემი სინელის გამო ჩემი თანამგზავრის მოკვლით ეძია შური. როცა ასეთი ფიქრები მიპყრობდა, წუთით არ ვტოვებდი ანრის და ლამის ჩრდილივით დავდევდი თან, რათა მისი დამღუპველის წარმოსახვითი მძვინვარებისგან დამეცვა. თითქოს დანაშაული ჩამედინოს, რომელზე ფიქრებიც არ მასვენებდა. დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ საკუთარ საზარელი წყევლა დავიმხე თავზე, თითქოს მართლაც ავაზაკი და ბოროტმოქმედი ვიყავი.

ედინბურგში სრული აპათიის მდგომარეობაში ჩავედი, არადა, ამ ქალაქს შეეძლო ჩემი უბედური არსება დაეინტერესებინა. კლერვალს ის ნაკლებად მოეწონა. ვიდრე ოქსფორდი: ის თავისი სიძველით იზიდავდა. თუმცა ახალი ედინბურგის სილამაზე და სწორი დაგეგმარება, მისი რომანტიკული სასახლე და მიდამოები, აღმაფრთოვანებელი იყო: ართურის სავარძელმა, წმინდა ბერნარდის წყარომ და პენტლანდის ამაღლებამ აღტაცება მოჰგვარა და პირველი შთაბეჭდილება გამოუსწორა. მე კი მოუთმენლად ველოდი მოგზაურობის დასრულებას.

ერთი კვირის შემდეგ ედინბურგი დავტოვეთ, კიუპარის, სენტ-ენდრიუსისა და ტეი დო პერტის ნაპირების გასწვრივ გავიარეთ, სადაც ჩვენი ნაცნობი გველოდა.

თუმცა ნამდვილად არ ვიყავი ხუმრობისა და უცნობებთან საუბრისთვის განწყობილი, არც სტუმრისთვის შესაფერისად შემეძლო მათთან მათი გრძნობებისა და თავაზიანი გეგმების გაზიარება. ამიტომაც კლერვალს გამოვუცხადე, რომ მსურდა მარტო გავმგზავრებულიყავი შოტლანდიაში.

– თვითონ გაერთე, – ვუთხარი მას, – აქ კი ჩვენი შეხვედრის ადგილი იქნება. ერთი-ორი თვე დაგტოვებ მხოლოდ, მაგრამ გევედრები, ნუ შემეწინააღმდეგები, მცირე ხნით მარტო დამტოვე, ხოლო როცა დავბრუნდები, იმედი მაქვს, უფრო მხიარული ვიქნები და უკეთაც აგიბამ მხარს.

ანრიმ სუსტად სცადა ჩემი გადარწმუნება. მალე მიხვდა, რომ მყარი გადაწყვეტილება მქონდა მიღებული და აღარ დაიჟინა. ისღა მთხოვა, ხშირად მიმეწერა მისთვის. „სიამოვნებით გამოგყვებოდი თან ყველგან, – მითხრა გამომშვიდობებისას, – თუნდაც იმ შოტლანდიელებთან, რომლებსაც არ ვიცნობ. ეცადე, მალე დაბრუნდე, ძვირფასო მეგობარო, რომ თავი ისე ვიგრძნო, როგორც საკუთარ სახლში, ეს კი შენ გარეშე შეუძლებელია“.

მეგობართან დაცილების შემდეგ გადავწყვიტე, რომელიმე განმარტოებული ადგილი მომეძებნა შოტლანდიაში და იქ, მარტოკას დამესრულებინა ჩემი შრომა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მტარვალი კვალდაკვალ გამომედევნებოდა და როგორც კი სამუშაოს დავასრულებდი, ჩემ წინაშე აღიმართებოდა, რათა ჩემგან თავისი მეგობარი ქალი მიეღო.

ამ გადაწყვეტილებამდე მისულმა ჩრდილოეთ მთიანეთი გადავკვეთე და ჩემი სამუშაოსთვის ორკნეის ერთ-ერთი შორეული კუნძული ავირჩიე. ეს შესაფერისი ადგილი იყო მსგავსი საქმისთვის – მაღალი კლდე, რომელსაც გამუდმებით სცემდნენ ტალღები; უნაყოფო მიწა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე უბადრუკი ძროხისთვის თუ აღმოაცენებდა მცირე ბალახს და კიდევ შვრიას – მცხოვრებთათვის, რომლებიც სულ ხუთნი თუ იყვნენ; მათი გამოფიტული, გალეული სხეული მათ ცხოვრებაზე ნათლად მეტყველებდა. ბოსტნეულისა და პურის, როცა მსგავსი ფუფუნების საშუალებას აძლევდნენ საკუთარ თავს, და დასალევი წყლის წამოღებაც კი დიდი კუნძულიდან უწევდათ, რომელიც დაახლოებით ხუთი მილის მანძილზე იყო აქედან.

მთელ კუნძულზე სამად სამი საცოდავი ქოხი იდგა. ერთ-ერთი მათგანი ცარიელი დამხვდა, როცა იქ ჩავედი. სწორედ ის ქოხი ვიქირავე. მასში სულ ორი ოთახი იყო და მეტისმეტად უხეიროდ გამოიყურებოდა. ჩალის სახურავი ადგილ-ადგილ ჩავარდნილი იყო, კედლები – გაულესავი, კარი – ანჯამებიდან ამოვარდნილი. განკარგულება გავეცი, ქოხი შეეკეთებინათ, მწირი ავეჯიც შევიძინე და ჩემს სამფლობელოში დავბინავდი; ეს გარემოებები უეჭველად გააოცებდათ ადგილობრივ მკვიდრთ, მათი ყველა გრძნობა რომ საშინელ სიღატაკეს არ ჰქონოდა გათელილი. რაც უნდა ყოფილიყო, ისე ვცხოვრობდი, არ მეშინოდა ცნობისმოყვარე მზერის და დაბრკოლებების, ძლივს ვიღებდი მადლიერებას იმ საკვებისა და ტანსაცმლისთვის, რასაც ვარიგებდი: ამ დონეზე ახშობს სიღატაკე ადამიანებში უმარტივეს გრძნობებს.

ამ თავშესაფარში დილის საათებს მუშაობას ვუთმობდი; საღამოჟამს კი, თუ ამინდი მაძლევდა ამის ფუფუნებას, ზღვის ქვიან სანაპიროს მივუყვებოდი, ტალღების დგაფუნს ვაყურადებდი, ჩემს ფერხთით რომ ეხეთქებოდნენ. ერთფეროვანი სურათი იყო, მაგრამ იმავდროულად ცვალებადიც. ვფიქრობდი შვეიცარიაზე, როგორ არ ჰგავდა ის ამ პირქუშ, კუშტ ლანდშაფტს! მისი გორაკები ვენახებით არის დაფარული, დაბლობში კი სახლებია მიმოფანტული. მისი მომაჯადოებელი ტბები უძირო, კამკამა ცას აირეკლავენ; ხოლო როცა ქარი მათამდე აწვდენს ტალღებს, ეს ხოლოდ და მხოლოდ მხიარული ბალღური თამაშია გიგანტური ოკეანის ღრიალთან შედარებით.

ასე გავანაწილე ჩემი მეცადინეობების საათები პირველ ხანობას. მაგრამ ჩემი სამუშაო ჩემთვის ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო საშინელი და დამღლელი ხდებოდა. ხანდახან რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ ვაიძულებდი თავს, რომ ლაბორატორიაში შევსულიყავი; ისეც ხდებოდა, დღედაღამ გადაბმით ვმუშაობდი, რაც შეიძლება მალე რომ დამემთავრებინა. მართლაც, ამაზრზენი საქმიანობა იყო. ჩემი პირველი ექსპერიმენტის დროს ერთგვარი აღტაცებული სიგიჟე მაბრმავებდა,

რომელიც არ მაძლევდა საშუალებას, მთელი ჩემი ძიებების სისასტიკე აღმექვა და გამეცნობიერებინა. გონება მთლიანად სამუშაოს დამთავრებისკენ მქონდა მიმართული და მის ამაზრზენ წვრილმანებზე თვალებს ვხუჭავდი. მაგრამ ახლა ყველაფერს გულცივად ვაკეთებდი და ხშირად ამიტანდა ხოლმე ღრმა ზიზღის განცდა.

ამ საძულველი საქმიანობისას, სრულ სიმარტოვეში, როცა არაფერი წამით არ მაცდენდა ჩემი ამოცანისგან, განწყობილებაც არათანაბარი გამიხდა: მოუსვენარი და ნერვიული გავხდი. წამდაუწუმ მელანდებოდა, რომ ვიღაც მდევდა თან და ჩემს მდევართან შეხვედრის მეშინოდა. ხანდახან მიწას მიშტერებული გავირინდებოდი, თავს ზევით ვერ ვწევდი წინასწარ დაზაფრული, რომ საძულველ არსებას დავინახავდი. მეშინოდა ადამიანებისგან ძალიან შორს მოცილება, რომ ურჩხულს მარტო არ მოვეხელთებინე და თავისი „წილი ქალი“ არ მოეთხოვა.

ამასობაში მუშაობას განვაგრძობდი და უკვე საგრძნობლად წავიწიე კიდეც წინ. მის დასრულებას სათუთი და მოუთმენელი იმედით ველოდი, რომლის საკუთარი თავისთვის გამოთქმასაც ვერ ვბედავდი, მაგრამ რომელიც უბედურების მრუმე წინათგრძნობას ერეოდა და გულს მიკუმშავდა.

XX თავი

ერთ საღამოს ჩემს ლაბორატორიაში ვიჯექი. მზე ჩავიდა, მთვარე კი ზღვის თავზე ნელა მოცურავდა. შუქი არ იყო საკმარისი საქმიანობისთვის და ვისვენებდი. ვფიქრობდი, დილამდე დამეტოვებინა ყველაფერი თუ მეჩქარა მუშაობის დასრულება და არ მოვწყვეტოდი საქმეს. ისევ წამიღო ჩემი ჩანაფიქრის შესაძლო შედეგებზე ფიქრებმა. მანამდე, სამი წლის წინ, იმავე საქმით ვიყავი დაკავებული და ურჩხული შევქმენი, რომლის უმაგალითო ბოროტმოქმედებებმა სული გამიფატრეს და სამუდამოდ ჩაასახლეს იქ მწარე სინანული. ახლა კი სხვა არსებას ვქმნი, რომლის მიდრეკილებების შესახებაც, ისევე, როგორც მაშინ, არაფერი ვიცი; ის შეიძლება თავის მეგობარზე ათასჯერ უფრო ბოროტი აღმოჩნდეს და სიამოვნება პოვოს მკვლელობებსა და სისასტიკეში. დემონმა დაიფიცა, რომ დასახლებულ ადგილებს მიატოვებდა და უდაბნოში მიიმალებოდა; მაგრამ ამას, ჯერაც შეუქმნელს, ასეთი ფიცი არ მოუცია; სავარაუდოდ, ისიც მოაზროვნე და გონიერი არსება იქნება და შეიძლება უარი თქვას იმ პირობის შესრულებაზე, რომელიც მის შექმნამდე დაიდო. შეიძლება, მათ ერთმანეთი შეიძულონ კიდეც. ჩემ მიერ უკვე შექმნილი არსება საკუთარ სიმახინჯეს ვერ იტანს; უფრო მეტ ზიზღს ხომ არ იგრძნობს, როცა ასეთივე სიმახინჯე წარუდგება ქალის სახით? მასაც ხომ შეუძლია, იმ ქალს, პირი ზიზღით იბრუნოს მისგან, როცა ადამიანის სილამაზეს დაინახავს. მას შეუძლია ურჩხული მიატოვოს და ის ისევ

მარტო დარჩეს, კიდევ უფრო გამძვინვარებული ახალი წყენით, ამჯერად უკვე თავისი მსგავსი არსების მხრიდან.

რომც მიატოვონ ევროპა და ახალი სამყაროს უდაბნოებში დასახლდნენ, ერთად ცხოვრების ერთ-ერთი პირველი შედეგი, რომლისკენაც ისწრაფვის დემონი, შვილები იქნება და დედამიწაზე გამრავლდება დემონების მთელი რასა, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ადამიანთა მოდგმის არსებობასაც კი. განა მაქვს უფლება, საკუთარი ინტერესების გამო ეს წყევლა დავატეხო თავს ადამიანთა ურიცხვ თაობებს? აქამდე ჩემ მიერ შექმნილი არსების სოფიზმებით ვიყავი შეძრული, მისმა ეშმაკისეულმა მუქარებმა დამაფრთხო და დამატყვევა; მაგრამ ახლა პირველად წარმოვიდგინე ჩემი აღთქმის უზნეობა. გამაჟრიალა იმაზე ფიქრმა, რომ მომავალი თაობები დამწყევლიან როგორც მათ დამლუპველს, ეგოისტს, რომელმაც უყოყმანოდ იყიდა საკუთარი კეთილდღეობა, შესაძლოა, მთელი კაცობრიობის განადგურების ფასად.

ავცახცახდი. საშინელმა მწუხარებამ მომიცვა. სწორედ ამ წამს, თვალები ავწიე და მთვარის შუქზე დემონი დავინახე, ფანჯარაში იჭყიტებოდა. საძაგელი ღიმილი უმანჭავდა ტუჩებს, როცა მის მიერ დავალებულ საქმესთან ჩაჩერებულს მხედავდა. სწორედაც, ის თან მდევდა მთელი ჩემი მოგზაურობის დროს, დაძრწოდა ტყეებში, იმალებოდა გამოქვაბულებსა თუ უდაბურ ტრამალებში, ახლა კი გამომეცხადა იმის სანახავად, როგორ მიიწევდა წინ საქმე, უნდა მოეთხოვა ჩემი პირობის შესრულება.

მისი სახე ბოროტებისა და ვერაგობის უმაღლეს ხარისხს გამოხატავდა. შიშით გავიფიქრე ჩემს პირობაზე, რომ მისი მსგავსი არსება შემექმნა და სიბრაზისგან აკანკალებულმა მთლად ნაფლეთებად ვაქციე ის საგანი, რომელზეც ამდენს ვშრომობდი. არამზადამ დაინახა, როგორ ვანადგურებდი ქმნილებას, რომელსაც ის მთელი თავისი მომავალი ბედნიერების იმედებს უკავშირებდა და გიჟური სასოწარკვეთისა და გაშმაგების გამომხატველი ღრიალით გაუჩინარდა.

ოთახიდან გამოვედი. კარი დავკეტე და საზეიმო ფიცი დავდე, აღარასდროს განმეახლებინა ეს სამუშაო. არამყარი ნაბიჯებით გავხეტიალდი საძინებლისკენ. მარტო ვიყავი, ჩემ ახლოს არავინ ჩანდა, რომ წყვდიადი გაეფანტა და ჩემი საშინელი ფიქრების მძიმე უღლისგან გავეთავისუფლებინე.

რამდენიმე საათი გავიდა, მე კი კვლავ ფანჯარასთან ვიჯექი და ზღვას გავყურებდი. ის თითქმის მშვიდი იყო, ქარი აღარ ქროდა და მთელ ბუნებას ეძინა დინჯი მთვარის მზერის ქვეშ. წყალში რამდენიმე თევზსაჭერი ხომალდი მიცურავდა და დრო და დრო მსუბუქი ნიავი მათი ხმების ექოს მოაშრიალებდა, მეთევზეები ერთმანეთს უხმობდნენ. სიჩუმეს ვგრძნობდი, თუმცა საეჭვოა, გამეცნობიერებინა, რა უზომოდ ღრმა იყო იგი, მაგრამ უცებ ჩემს ყურთასმენას ნიჩბების მოსმის ხმა მოსწვდა ნაპირის ახლოს და ვიღაცა ზედ ჩემს კართან მოცურდა.

რამდენიმე წუთში კარის ჭრიალი გავიგე, თითქოს მის ფრთხილად გაღებას ცდილობდნენ. მთელ სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. წინათგრძნობამ მიკარნახა, ვინ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო. გავიფიქრე, რომელიმე გლეხისთვის მეხმო, ჩემს სიახლოვეს მდებარე ქოხებიდან. მაგრამ უძლურების განცდამ დამთრგუნა, რომელიც ასე ხშირად გვეწვევა ხოლმე საშინელ სიზმრებში, როცა ამაოდ ცდილობ მოსალოდნელი საფრთხისგან გაქცევას. რაღაც ძალამ ადგილზე მიმალურსმა.

იმ წამსვე შემომესმა დერეფანში ნაბიჯების ხმა, კარი გაიღო და მტარვალი, რომელიც ასე მზაფრავდა, ზღურბლზე გამოჩნდა. კარი მიხურა, ქშენით მომიახლოვდა და მძიმედვე ამოთქვა: – შენ დაწყებული საქმე გაანადგურე, რას ნიშნავს ეს? ნუთუ ბედავ, შენს აღთქმას გადახვიდე? უამრავი განკვეთილობა განვიცადე, შვეიცარია შენთან ერთად დავტოვე. რაინის ნაპირების გასწვრივ ვიკვლევდი გზას, ტირიფებით მოფენილ კუნძულებსა და მთების მწვერვალებზე. მრავალი თვე გავატარე ინგლისისა და შოტლანდიის შიშველ ფერდობებზე. ვიტანდი სიცივეს, შიმშილს და დაღლილობას და შენ ბედავ, იმედები გამიცრუო?

– მომწყდი თავიდან! ჰო, უარს ვამბობ ჩემს პირობაზე, არასდროს შევქმნი სხვა არსებას, შენს მსგავსს, ასეთივე ამაზრზენს და სასტიკს.

– მონავ, აქამდე შენთან ერთად ვმსჯელობდი, მაგრამ ასეთი შემწყნარებლობის უღირსი აღმოჩნდი. გახსოვდეს, რომ მე ძლევამოსილი ვარ. უკვე უბედურად მიიჩნევ თავს, მე კი შემიძლია ისეთ უბადრუკად და არარაობად გაქციო, რომ დღის შუქი შეგძულდეს. შენ ჩემი შემქმნელი ხარ, მაგრამ მე ვარ შენი მბრძანებელი. დამემორჩილე!

– გაიარა იმ დრომ, როცა ვმერყეობდი და შენი ძალაუფლების დასასრულის ჟამიც დადგა. შენი მუქარა ველარ მაიძულებს ავი ზრახვის ჩადენას; პირიქით, ისინი ჩემს გადაწყვეტილებას ამყარებს, არ შეგიქმნა თანამზრახველი სიავეებში. ნუთუ ასე გულცივად გამოვუშვებ ქვეყანაზე მორიგ დემონს, რომელიც სიამოვნებას პოვებს მკვლელობასა და სისასტიკეში? გამეცალე! ჩემი გადაწყვეტილება ურყევია და შენი სიტყვები მხოლოდ აძლიერებენ ჩემს მრისხანებას.

ურჩხულმა ჩემს სახეზე სიმტკიცე ამოიკითხა და კბილები ააღრჭიალა. მიხვდა, აზრი არ ჰქონდა, კვლავ ჩემს გადარწმუნებაზე დაეხარჯა ძალები.

– ყოველი მამაკაცი, – აღმოხდა გამძვინვარებულს, – პოულობს თავისთვის ცოლს, ყველა ცხოველს ჰყავს მდედრი, მე კი მარტო უნდა ვიყო! მე მაქვს მიჩვევისა და სიყვარულის უნარი, საპასუხოდ კი სიძულვილსა და ზიზღს ვიღებ. ადამიანო! შენ შეგიძლია შემიძულო, მაგრამ მიფრთხილდი! შენი დღეები შიშითა და მწუხარებით იქნება სავსე და მალე დაგატყდება თავზე დარტყმა, რომელიც სამუდამოდ თან წაიღებს შენს ბედნიერებას. ნუთუ იმედი გაქვს, რომ ბედნიერი იქნები, როცა მე უზომოდ უბედური ვარ? შენ შეგიძლია ჩემში ყველა ვნება ჩაკლა, მაგრამ მრჩება შურისძიება, რომელიც ამიერიდან ჩემთვის სინათლესა და საკვებზე უფრო ძვირფასი

იქნება. შეიძლება დავიღუპო, მაგრამ მანამდე შენ, ჩემო ტირანო და მტანჯველო, მზეს დაწყევლი – შენი წამების მოწმეს. მიფრთხილდი, რამეთუ მე უშიშარი ვარ და ამიტომ ყოვლისშემძლეც. გველის სივერაგით დაგიდარაჯდები, რომ სასიკვდილოდ დაგგესლო. ერთი ნახე, როგორ ინანებ ჩემთვის მოყენებულ მთელ ტკივილსა და ბოროტებას.

– საკმარისია, ეშმავ, ნუ წამლავ ჰაერს შენი შხამიანი ლაპარაკით. მე გამოგიცხადე ჩემი გადაწყვეტილება და ლაჩარი არ ვარ, რომ მუქარის შემეშინდეს. თავი დამანებე, მე შეუვალი ვარ.

– კარგი, მივდივარ, მაგრამ გახსოვდეს, შენს პირველ საქორწინო ღამეს შენ გვერდით ვიქნები.

წინ წავიწიე და შევყვირე: – ნაძირალავ! სანამ მე სასიკვდილო განაჩენს გამომიტანდე, დარწმუნდი, თავად თუ ხარ უსაფრთხოდ.

ალბათ ყელში ვეცემოდი, მაგრამ ხელიდან დამისხლტა და სახლიდან შეპყრობილივით გავარდა. რამდენიმე წამის შემდეგ ნავში დავინახე, ისრის სისწრაფით სერავდა წყალს. სულ მალე ნავი ტალღებში ჩაიკარგა.

ისევ სიჩუმემ დაისადგურა, მაგრამ მისი სიტყვები ყურებში მიწუოდა. გაშმაგებულს მეწადა, ჩემი მოსვენებისა და სიმშვიდის დამრღვევს დავდევნებოდი და ოკეანეში ჩამეხრჩო. აღელვებული წინ და უკან ვცემდი ბოლთას ჩემს ოთახში. წარმოსახვაში ათასობით საშინელი სურათი მიტრიალებდა. რატომ არ დავედევნე და არ შევები სასიკვდილო შერკინებაში? ნება დავრთე წასულიყო... მაჟრიალებდა იმაზე ფიქრი, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი უძღები შურისძიების მორიგი მსხვერპლი. აქ გამახსენდა მისი სიტყვები: „შენთან ვიქნები შენს პირველ საქორწინო ღამეს“. მაშ ასე, ეს საათია დანიშნული ჩემი ბედის აღსასრულებლად. ამ ჟამს მოვკვდები და მაშინვე დავაკმაყოფილებ და დავაცხრობ მის ბოროტებას. ეს პერსპექტივა არ მაშინებდა; მაგრამ როცა საყვარელ ელიზაბეტზე გავიფიქრე, მისი ცრემლები და უსაზღვრო დარდი წარმოვიდგინე, თუ მიჯნურს ასე ვერაგულად გამოგლეჯდნენ მკლავებიდან, პირველად მრავალი თვის განმავლობაში თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა. გადავწყვიტე, მტერს არ დავმორჩილებოდი დაუნდობელი ბრძოლის გარეშე.

ღამე გავიდა და მზე ამოცურდა ოკეანიდან; ცოტათი დავწყნარდი, თუ შეიძლებოდა სიმშვიდე გეწოდებინა იმ მდგომარეობისთვის, როცა გააფთრებული სიშმაგე ღრმა სასოწარკვეთაში გადადის. ის სახლი დავტოვე, სადაც გასულ ღამეს საზარელი სცენა გათამაშდა და ზღვის სანაპიროსკენ გავეშურე, რომელიც თითქმის გადაულახავ ზღუდედ მეჩვენებოდა ჩემსა და ადამიანებს შორის. ისიც კი მომინდა, რომ ასეც ყოფილიყო. მინდოდა მთელი ცხოვრება ამ შიშველ კლდეზე გამეტარებინა, მართალია, აქ რთული ცხოვრება მელოდა, მაგრამ დაცული მოულოდნელი უბედურებებისგან. თუ აქედან წავალ, თვითონაც მომიწევს სიკვდილი ან იმის ნახვა,

ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანები როგორ იღუპებიან ჩემ მიერ შექმნილი ურჩხულის მარწუხებში.

კუნძულზე დავეხეტებოდი, როგორც მოუსვენარი მოჩვენება, ყველასგან განშორებული, ვინც მიყვარდა და უბედური ამ განშორებაში. როცა შუადღე დადგა და მზე მაღლა ამოიწვერა, ბალახში ჩავწექი და ძილი მომერია. მთელ გასულ ღამეს ვფხიზლობდი, აღგზნებული ვიყავი, თვალები კი უძილობითა და დარდით მქონდა დასიებული და დაწითლებული. სიზმარმა, რომელიც დამუფლებოდა, ცოტა გონს მომიყვანა; როცა გამომეღვიძა, ისევ ვიგრძენი, რომ ადამიანთა მოდგმას ვეკუთვნოდი და მომხდარის შესახებ ფიქრი მეტი სიმშვიდით დავიწყე. მაგრამ ურჩხულის სიტყვები ჯერ კიდევ ჩამესმოდა ყურებში, როგორც სამგლოვიარო რეკვა, სიზმარივით მეჩვენებოდა, მაგრამ მკაფიო და მტანჯველი სიზმარივით, როგორც სინამდვილე.

კაშკაშა მნათობი საგრძნობლად დაეშვა, მე კი კვლავ ნაპირზე ვიჯექი, დამთრგუნველ შიმშილს ფეტვის ორცხობილათი ვიცხრობდი. შევნიშნე, რომ ჩემთან სულ ახლოს მეთევზეთა ნავმა გაცურა. ერთ-ერთმა კაცმა ხვეულა გადმომცა. მასში ჟენევიდან იყო წერილები, ასევე წერილი კლერვალისგან, რომელიც მევედრებოდა, მასთან ჩავსულიყავი. მწერდა, რომ იქ, სადაც ამჟამად იმყოფებოდა, დროს უაზროდ კარგავდა. ლონდონში შეძენილი მეგობრები გამუდმებით სწერდნენ და სთხოვდნენ, მათთან დაბრუნებულიყო, დაესრულებინა მის მიერ ინდოეთში მოგზაურობასთან დაკავშირებით წამოწყებული მოლაპარაკებები, მას კი აღარ შეუძლია გამგზავრების გადადება. ხოლო რაკი ლონდონში გამგზავრების შემდეგ სულ მალე, იმაზე ადრეც კი, ვიდრე ის ვარაუდობდა, უფრო ხანგრძლივი მოგზაურობა ელოდა, მთხოვდა მასთან რაც შეიძლება მეტი დრო გამეტარებინა. დაჟინებით მარწმუნებდა, ჩემი განმარტოებული კუნძული მიმეტოვებინა და პერტაში შევხვედროდი, რათა შემდეგ ერთად აგვეღო გეზი სამხრეთისკენ. ამ წერილმა მაიძულა, ცოტა გამოვფხიზლებულიყავი და გადავწყვიტე, ორ დღეში დამეტოვებინა კუნძული.

თუმცა გამგზავრებამდე ერთი საქმე უნდა შემესრულებინა, რომელზე გაფიქრებისაც კი მეშინოდა: ჩემი ქიმიური ხელსაწყოები უნდა ჩამელაგებინა. ამ მიზნისთვის კი ჩემს ოთახში უნდა შევსულიყავი, სადაც საძულველ საქმეს ვაკეთებდი და ის ინსტრუმენტები ამეღო ხელში, რომელთათვის თვალის შევლებაც კი ზიზღს მგვრიდა.

მეორე დღეს გამთენიისას სიმამაცეს ვუხმე და ლაბორატორიის კარი გავაღე. იატაკზე ჩემ მიერ ნაკუწებად გაწყვეტილი ნახევრად დასრულებული ქმნილება გართხმულიყო; ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ცოცხალი ადამიანის სხეული დამენაწევრებინოს. მოვიცადე, რომ ძალები მომეკრიბა, მერე კი ოთახში შევედი. აკანკალებული ხელებით გამოვიტანე ხელსაწყოები და იქვე გავიფიქრე, რომ ჩემი ნამუშევრის ნაკვალევი არ უნდა დამეტოვებინა, რომელსაც შეიძლებოდა გლეხები დაეზაფრა ან რაიმე ეჭვი გამოეწვია მათში. ამიტომაც ნარჩენები კალათაში ჩავალაგე უამრავ ქვასთან ერთად და გადავწყვიტე, იმავე ღამით ზღვაში გადამესროლა. მანამდე

კი ნაპირზე დავჯექი და ჩემი ქიმიური ხელსაწყოების გასუფთავებასა და მოწესრიგებას მივყევი.

არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ ცვლილებაზე უფრო მკვეთრი, რაც ჩემს განცდებში მოხდა დემონის გამოჩენის შემდეგ. ადრე ჩემს პიროობას პირქუში სასოწარკვეთილებით ვუყურებდი, როგორც რაღაც ისეთს, რაც შესაძლო შედეგებისდა მიუხედავად უნდა შემესრულებინა, ახლა კი მეჩვენებოდა, რომ თვალებიდან ბინდი მოვიშორე და პირველად დავიწყე ცხადად ყურება. წამით არ მომდიოდა თავში აზრადაც კი, რომ სამუშაო განმეახლებინა. მუქარა, რომელიც მოვისმინე, მამძიმებდა, მაგრამ ვერაფრით დავუშვებდი იმ ფიქრს, რომ შეგნებულად წავსულიყავი დარტყმის ასაცილებელ ქმედებებზე. გადავწყვიტე, რომ ჩემ მიერ პირველად შექმნილი ურჩხულის მსგავსი მეორე არსების შექმნა ყველაზე მუხანათური და უმოწყალო ეგოიზმის აქტი იქნებოდა, და ნებისმიერ ისეთ აზრს ვაძევებდი, რომელსაც შეიძლებოდა სხვაგვარ დასკვნებამდე მივეყვანე.

დაახლოებით დილის ორი თუ სამი საათისთვის მთვარე ამოვიდა; კალათით ხელში პატარა კარჭაპზე ავედი და ნაპირიდან დაახლოებით ოთხ მეტრამდე გავცურე. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო; რამდენიმე ნავი ნაპირთან ბრუნდებოდა, მაგრამ მე მათგან მოშორებით გავცურე. მეჩვენებოდა, რომ საზარელ დანაშაულს ჩავდიოდი და შიშით ვუფრთხოდი ადამიანებთან შეხვედრას. მთვარე, რომელიც მკაფიოდ ანათებდა, უცებ სქელმა ღრუბელმა დაფარა. სიბნელით ვისარგებლე და კალათა ზღვაში გადავისროლე. დავაყურადე წყლის ბუყბუყს, სანამ ის იძირებოდა, მერე კი უკან წავედი. ცაზე ღრუბლები გამოჩნდა, მაგრამ ჰაერი სუფთა იყო, თუმცა კი ცივი, ჩრდილო-აღმოსავლეთის ახალამოვარდნილი ქარის გამო. ის მაფხიზლებდა და ისეთი საამური გრძნობებით მავსებდა, რომ გადავწყვიტე, ცოტა ხანს ზღვაში დავრჩენილიყავი. საჭე პირდაპირი მიმართულებით დავაყენე და ნავის ფსკერზე გავწექი. მთვარე ისევ ღრუბლებში მიიმალა, ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა, მხოლოდ წყლის დგაფუნი მესმოდა ტალღების გამრღვევი ნავის ქვეშ; ეს ზუზუნი მანანავებდა და მალე ღრმად ჩამეძინა.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, მაგრამ როცა გამომელვიძა, აღმოჩნდა, რომ მზე უკვე საკმაოდ მაღლა იდგა. ქარი გაძლიერდა, ტალღები კი უწყვეტად ემუქრებოდნენ ჩემი პაწაწინა ნავის უსაფრთხოებას. შევნიშნე, რომ ქარი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ქროდა, კარგა შორს მოვეცილებინე იმ ნაპირიდან, საიდანაც გეზი ავიღე. ვცადე კურსი შემეცვალა, მაგრამ მაშინვე დავრწმუნდი, რომ თუ მსგავს მცდელობას გავიმეორებდი, ნავი იმ წამსვე წყლით აივსებოდა. ასეთ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი ის რჩებოდა, რომ ქარის მიმართულებით მეცურა. ვაღიარებ, შიშმა მომიცვა. თან არ მქონია კომპასი, ხოლო გეოგრაფიის ცოდნა ქვეყნის ამ ნაწილის შესახებ იმდენად მწირი მქონდა, რომ მზის მდებარეობა ცოტა რამეს თუ მიკარნახებდა. შეიძლებოდა ღია ოკეანეში აღმოვჩენილიყავი, სადაც შიმშილით სიკვდილი მელოდა ან უძირო წყალში ჩაძირვა, რომელიც ჩემ გარშემო გრგვინავდა და ღმუოდა. ზღვაში უკვე რამდენიმე საათი გავატარე და მტანჯველ წყურვილს ვგრძნობდი – ეს ჩემი სხვა

განსაცდელის მაუწყებელი იყო. ცას ავხედე, სადაც ქარს ღრუბლები დაეშალა და უწყვეტად იცვლებოდნენ სხვა ღრუბლებით. მერე ზღვას მივაჩერდი, რომელიც ჩემს სამარედ უნდა ქცეულიყო. „ურჩხულო! – შევძახე, – შენი მუქარა უკვე აღსრულებულია!“ ელიზაბეტზე გავიფიქრე, მამაჩემსა და კლერვალზე, ყველას ვტოვებდი და ურჩხულს შეეძლო მათკენ მიემართა თავისი სისხლიანი სისასტიკე. ამ აზრმა ისეთ სასოწარკვეთაში ჩამაგდო და ისე შემაცბუნა, რომ ახლაც კი, როცა ჩემთვის ყველაფერი ცოცხალი სულ მალე გაქრება, მთლად ვცახცახებ ამის გახსენებისასაც კი.

ასე განვლო რამდენიმე საათმა, მაგრამ იმის მიხედვით, მზე როგორ მიიწევდა ჰორიზონტისკენ, ქარიც წყნარდებოდა, მსუბუქადღა უბერავდა, ზღვაზე კი აქაფებული ტალღები გაქრა. სამაგიეროდ, მდორე ლივლივი დაიწყო. გული მერეოდა და საჭეს ძლივსღა ვიმორჩილებდი, როცა უცებ სამხრეთით სანაპიროს მაღალი ზოლი დავინახე.

მართალია, დაღლილობითა და მომქანცველი გაურკვევლობით ვიყავი დაუძლურებული, რომელსაც რამდენიმე საათი განვიცდიდი, ხსნის ამ მოულოდნელმა რწმენამ თბილ ნაკადად დამიარა და გულში ჩამეღვარა, თვალებიდან კი ცრემლები წამომცვივდა.

როგორი ცვალებადია ჩვენი გრძნობები და რა საოცრად შეუპოვარია ადამიანის სიცოცხლისადმი სიყვარული ასეთი მტანჯველი დარდის დროსაც კი! მეორე იალქანი აღვმართე, ჩემი ტანსაცმლის ნაწილი გამოვიყენე საამისოდ და ნაპირისკენ გავეშურე. ის ველური და კლდოვანი ჩანდა, მაგრამ ახლოს მისულმა ისიც შევნიშნე, რომ უკაცრიელი არ იყო. ნაპირთან ხომალდებიც დავლანდე და ვიგრძენი, როგორ დავუბრუნდი ცივილიზაციის კალთას.

დაჟინებით მივაჩერდი სანაპირო ზოლს და სიხარულით მომეგება რომელიღაც შენობის მწვერვალი, რომელიც ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა მცირე კონცხიდან. უკიდურესად მოსუსტებული ვიყავი და გადავწყვიტე, პირდაპირ ქალაქისკენ გამეცურა, სადაც იოლად შევძლებდი საკვების მოპოვებას. საბედნიეროდ, თან აღმომაჩნდა ფული. კონცხს გავცდი და პატარა სუფთა დასახლება დავინახე, კარგი ნავმისადგომით, რომელსაც გულაძგერებული მივეახლე, მოულოდნელი ხსნით გახარებული.

სანამ ნავს ვამაგრებდი და იალქნებს ვაწყობდი, რამდენიმე ადამიანი შეიკრიბა ჩემ გარშემო. ჩანდა, ძალიან გააოცათ ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დახმარება შემოეთავაზებინათ, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, გაცხოველებული ჟესტიკულაციების თანხლებით, რომელიც ნებისმიერ სხვა დროს შეიძლებოდა საფრთხის შემცველი მომჩვენებოდა. რაც უნდა ყოფილიყო, მომესმა, რომ ინგლისურად ლაპარაკობდნენ და ამიტომ იმავე ენით მივმართე: – კეთილო

მეგობრებო, ხომ ვერ მეტყვით ამ ქალაქის სახელწოდებას და ამიხსნით, სად ვიმყოფები?

– მალე გაიგებ, – მიპასუხა ერთმა ჩახრინწული ხმით, – შეიძლება, ჩვენი არემარე არც ისე მოგეწონოს, მაგრამ ამას შენ არავინ გკითხავს, – ამაში შეგიძლია სავსებით დარწმუნებული იყო.

უკიდურესად გამაოცა ამ უხეშმა პასუხმა უცნობი ადამიანისგან, მისი თანამგზავრების მოქუფრულმა, გაბოროტებულმა სახეებმაც შემაშფოთა.

– ასე უხეშად რატომ მპასუხობთ? – პირდაპირ ვკითხე, – ეს სულაც არ არის ინგლისელებისთვის დამახასიათებელი – უცხო ქვეყნის ბინადრებს ასე არაგულთბილად შეხვდნენ.

– არ ვიცი, რა არის მიღებული ინგლისელებთან, მაგრამ ირლანდიელები დამნაშავეებს არ იბრალებენ, – მიპასუხა იმავე ტონით.

სანამ ეს უცნაური დიალოგი მიმდინარეობდა, შევნიშნე, რომ ბრბო სწრაფად იზრდებოდა. ადამიანებს სახეებზე ცნობისმოყვარეობა და სიბრაზე ერთად ეწერათ, რამაც გამაჯავრა და შემაშფოთა კიდეც. სასტუმროსკენ მიმავალი გზა ვიკითხე, მაგრამ არავინ მიპასუხა. მაშინ წინ გადავდგი ნაბიჯი, ბრბო თან გამომყვა და ყრუ ბუტბუტით შემომეჯარა. რომელიღაც მოღუშული სახის კაცი მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: – წამოდით, სერ, მისტერ კირვინთან გამომყევით, იქ აგებთ ყველაფერზე პასუხს!

– ვინ არის მისტერ კირვინი? რაზე უნდა ვაგო პასუხი? ნუთუ აქ თავისუფალი ქვეყანა არ არის?

– დიახ, სერ, საკმარისად თავისუფალი პატიოსანი ადამიანებისთვის. მისტერ კირვინი მოსამართლეა. პასუხისგება კი იმიტომ მოგიწევთ, რომ გასულ ღამით ვიღაც ჯენტლმენი იპოვეს მოკლული.

ამ სიტყვებმა გამაოგნა, თუმცა მალე დავწყნარდი. მე ხომ უდანაშაულო ვიყავი, ამის დამტკიცება იოლად შეიძლებოდა, ამიტომ უსიტყვოდ მივყევი ჩემს მეგზურს, რომელმაც ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სახლთან მიმიყვანა. ფეხზე ძლივს ვიდექი დაღლილობისა და შიმშილისგან, მაგრამ ხალხის ალყაში მოქცეულმა გონივრულად მივიჩნიე, არ მოვდუნებულიყავი, რათა ჩემი ფიზიკური სისუსტე შიშად ან ბრალის აღიარებად არ ჩაეთვალათ. არც კი მიეჭვია, რომ უბედურება მოხდა, რომელიც რამდენიმე წამის შემდეგ დამაქცევდა და ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდებდა, რომ მის წინაშე სირცხვილის შიშიც უკუიქცეოდა და სიკვდილის შიშიც.

ამაზე იძულებული ვარ გავჩერდე, რადგან მთელ ჩემს გამბედაობას უნდა მოვუხმო და გავიხსენო იმ საშინელი მოვლენების წვრილმანები, რომელთა მოყოლასაც ვაპირებ.

XXI თავი

მალე მიმიყვანეს მოსამართლესთან. მოხუცი მსაჯული ერთი შეხედვით გულკეთილი ადამიანი ჩანდა, მშვიდი და რბილი მანერებით. შემომხედა, თუმცა საკმაოდ მკაცრად. მერე ჩემს თანმხლებთ მიუბრუნდა და იკითხა, ვის შეეძლო მოწმედ გამოსულიყო აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

ექვსიოდე კაცი გამოდგა წინ, მოსამართლემ ერთ-ერთი ამოირჩია, რომელმაც ჩვენება მისცა. გასულ ღამით თევზის საჭერად ყოფილიყო თავის ვაჟსა და სიძესთან – დანიელ ნიუგენტთან ერთად. დაახლოებით ათი საათისთვის ძლიერმა ჩრდილოეთის ქარმა დაუბერა და გადაწყვიტეს ნავმისადგომთან დაბრუნებულიყვნენ. ძალიან ბნელი ღამე იყო, მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. ნავმისადგომის ნაცვლად ჩვეულებისამებრ ყურეში გაჩერდნენ, ორიოდე მილის ქვემოთ. თვითონ პირველი მიდიოდა, თევზსაჭერი აღჭურვილობებით, მისი თანამგზავრები კი მცირე მანძილის მოშორებით მიჰყვებოდნენ. ქვიშაზე მიმავალმა რაღაც საგანს წამოჰკრა ფეხი და დავარდა. თანამგზავრები მიუახლოვდნენ, რომ წამოეყენებინათ; ფარნების შუქზე აღმოაჩინეს, რომ ადამიანის სხეულს წამოსდებოდა, სავარაუდოდ, მკვდრის. თავდაპირველად ივარაუდეს, რომ დამხრჩვალი იქნებოდა, ნაპირზე გამორიყული; თუმცა კარგად რომ დაათვალიერეს, დაადგინეს, რომ ტანსაცმელი მშრალი ჰქონდა, გვამი კი ჯერ არ გაციებულიყო. მაშინვე ერთ მოხუც ქალთან ქოხში შეათრიეს, რომელიც იქვე მოშორებით ცხოვრობდა და ეცადნენ, რომ გაეცოცხლებინათ, თუმცაღა ამაოდ. ლამაზი ახალგაზრდა ბიჭი იყო, დაახლოებით ოცდახუთი წლის. აშკარად გაეგუდათ, რადგან ძალადობის არავითარი კვალი არ ემჩნეოდა, ყელზე თითების მუქი ნაკვალევის გარდა.

ამ ჩვენების პირველ ნაწილს ჩემში არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია, მაგრამ როცა თითების ნაკვალევი ახსენა, ჩემი ძმის მკვლელობა გამახსენდა და უკიდურესად გავოცდი, ჟრუანტელმა დამიარა, თვალთ დამიბნელდა. ამან მაიძულა, საყრდენის ძიებაში სავარძელს მივყრდნობოდი. მოსამართლე გამჭოლი მზერით მადევნებდა თვალს და უეჭველია, ჩემმა საქციელმა მასზე არასახარბიელო გავლენა მოახდინა.

ვაჟმა მამის ჩვენება დაადასტურა, ხოლო როცა დანიელ ნიუგენტი დაკითხეს, მან დაიფიცა, რომ მათი თანამგზავრის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე ნაპირის სიახლოვეს ნავი დაინახა, მასში კი – ადამიანი. რამდენადაც შეეძლო გაერჩია ვარსკვლავების შუქზე, ეს სწორედ ის ნავი იყო, რომლითაც ეს-ესაა მე ჩამოვედი.

ერთ-ერთმა ქალმა დაამოწმა, რომ ნაპირთან ახლოს ცხოვრობს და დაახლოებით ერთი საათით ადრე, სანამ გვამის აღმოჩენის შესახებ შეიტყობდა, თავისი სახლის კართან იდგა მეთევზეების დაბრუნების მოლოდინში; მანაც შენიშნა ნავი, მასში კი კაცი, რომელიც ნაპირზე სწორედ იმ ადგილიდან მიცურავდა, სადაც მოგვიანებით გვამი იპოვეს.

სხვა ქალმაც დაადასტურა მეთევზეების ნაამბობი, რომელთაც ცხედარი მის სახლში მიიტანეს. გვამი ჯერ კიდევ თბილი იყო. ლოგინზე დააწვინეს და სრესა დაუწყეს, დანიელი კი ქალაქში გაეშურა ექიმის მოსაყვანად, მაგრამ სხეულში სიცოცხლე უკვე ჩამქრალიყო.

კიდევ რამდენიმე ადამიანი დაკითხეს ჩემი ჩამოსვლის გარემოებებთან დაკავშირებით. ყველა იმაზე თანხმდებოდა, რომ ჩრდილოეთის ძლიერი ქარის დროს, რომელიც გასულ ღამით ამოვარდა, მე შეიძლებოდა სტიქიასთან მრავალი საათი მებრძოლა და იძულებული ვიქნებოდი იმ ადგილთან დავბრუნებულიყავი, საიდანაც დავიწყე ცურვა. გარდა ამისა, მათი აზრით, მე სავარაუდოდ გვამი სხვა ადგილიდან მოვიტანე, რადგან ნაპირი ჩემთვის უცნობი იყო, მერე კი შემეძლო ნავმისადგომში შევსულიყავი, რადგან ქალაქსა და იმ ადგილს შორის, სადაც გვამი დავტოვე, მანძილის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა.

ამ ჩვენებების მოსმენის შემდეგ მისტერ კირვინმა მოისურვა, რომ იმ ოთახში გავეყვანე, სადაც დაკრძალვისთვის მომზადებული გვამი იდო; მას სურდა დაენახა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე მკვდრის დანახვა. ეს აზრი, სავარაუდოდ, მას მერე გაუჩნდა, რაც მკვლელობის მეთოდის აღწერისას ჩემს უკიდურეს მღელვარებას ადევნა თვალი.

მაშ ასე, მოსამართლე და კიდევ რამდენიმე პირი ოთახისკენ გამიძღვნენ, სადაც ცხედარი იწვა. უნებურად გამაოგნა უცნაურმა დამთხვევებმა, რომლებიც ამ მოუსვენარ ღამეს მოხდა. თუმცა ვიცოდი, რომ შეიძლებოდა იმ კუნძულზე, სადაც ვცხოვრობდი, რამდენიმე ადამიანს დავენახე იქიდან წამოსვლამდე, დაახლოებით იმ დროს, როცა გვამი იპოვეს, ამიტომ საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით ნაკლებად ვღელავდი.

ოთახში შევედი და კუბოსთან მიმიყვანეს. სიტყვებით ვერ აღვწერ ჩემს განცდებს, რაც მიცვალებულის დანახვამ გამოიწვია ჩემში. ახლაც კი ტუჩები მიშრება იმის გახსენებაზე და ვერც ვიგონებ იმ საშინელ წამს კვნესისა და ჟრჟოლის გარეშე. დაკითხვა, მოსამართლისა და მოწმეების დასწრება – ყველაფერი სიზმარივით გაქრა, როცა ანრი კლერვალის უსიცოცხლო სხეული დავინახე. სუნთქვა შემეკრა, გვამს ზედ დავემხე და წამოვიყვირე: „ნუთუ ჩემმა დანაშაულებრივმა მაქინაციებმა სიცოცხლე შენც წაგართვეს, საყვარელო ანრი? ორი უკვე მოვკალი, სხვა მსხვერპლი თავის რიგს ელოდება, მაგრამ შენ, კლერვალ, ჩემო მეგობარო, ჩემო კეთილისმყოფელო...“

ადამიანს არ ძალუძს ამის მსგავსი ტანჯვის ატანა. ოთახიდან მთლად დაკრუნჩხული გამიყვანეს. ამას ციებცხელება მოჰყვა. ორი თვე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავი. ჩემი ბოდვა, როგორც მოგვიანებით მიამბობდნენ, ყველას თავზარს სცემდა: საკუთარ თავს უილიამის, ჟუსტინასა და კლერვალის მკვლელს ვუწოდებდი. ხან კი გარშემო მყოფებს ვევედრებოდი, ურჩხულთან გამკლავებაში დამხმარებოდნენ, რომელიც მტანჯავდა. თითქოს იმასაც ვგრძნობდი, რომ ეშმაკი ჩემს ყელს იყო

ჩაფრენილი და შიშისა და ძრწოლის გამომხატველ ხმამაღალ კვნესას გამოვცემდი. საბედნიეროდ, ჩემს მშობლიურ ენაზე ვბოდავდი და მხოლოდ მისტერ კირვინს ესმოდა ჩემი, თუმცა ჟესტიკულაციები და ღრიალი სავსებით საკმარისი იყო, რომ დანარჩენი მოწმეებიც დამეფრთხო.

რატომ არ მოვკვდი? ადამიანთა შორის ყველაზე ბედკრული რატომ არ ჩავვარდი უგონობაში და მარადიული სიმშვიდე არ ვპოვე? სიკვდილი რამდენ გაფურჩქნილ ბავშვს იტაცებს – მოსიყვარულე მშობლების ერთადერთ იმედს. რამდენი პატარძალი თუ ყმაწვილი მიჯნური დღეს ძალებითა და მშვენებით აღსავსეა, ხვალ კი მატლების ნადავლად იქცევა და სამარეში იხრწნება. მაინც რა მასალისგან ვარ ნაკეთი, რომ ამდენ დარტყმას გავუძელი, რისგანაც ჩემი წამება განუწყვეტლივ განახლდებოდა, თითქოს ბორბალში ვიყავი ჩაბმული.

მაგრამ სიკვდილი არ მეწერა. ორი თვის შემდეგ, თითქოსდა ღრმა ძილისგან გაღვიძებული, ციხეში გამოვფხიზლდი, უბადრუკ საწოლზე, პატიმრებით, ზედამხედველებით, ჰომორეითა და ტყვეობის ყველა სხვა პირქუში ატრიბუტით გარემოცული.

მახსოვს, დილა იყო, ცნობიერება რომ დამიბრუნდა. სულ მიმავიწყდა, რა შემემთხვა და მხოლოდ ის მახსოვდა, რომ რაღაც უბედურება დამატყდა თავს. გარშემო რომ მიმოვიხედე, ბინძური ოთახი და ფანჯრებზე გისოსები დავინახე, ყველაფერი ცხადად აღმიდგა გონებაში და მწარედ ავკვნესდი.

ჩემმა ვაებამ იქვე ჩემ გვერდით, სკამზე მთვლემარე მოხუცი ქალი გააღვიძა. ის ერთ-ერთი ზედამხედველის ცოლი ყოფილიყო, რომელსაც ჩემი მოვლა ევალებოდა თურმე. სახეზე ყველა ის მავნე მიდრეკილება ეწერა, რაც ამ წრის ადამიანებისთვის ხშირად არის დამახასიათებელი. უხეში და მკვეთრი ნაკვთები ჰქონდა, როგორც მათ აქვთ ხოლმე, ვინც მიჩვეულია სხვისი მწუხარების თანაგრძნობის გარეშე ყურებას. ტონი გულგრილობას გამოხატავდა, ინგლისურად მომმართა და ვიცანი ხმა, რომელიც არაერთხელ მსმენია ავადმყოფობის დროს.

– ახლა უკეთ ხართ, სერ? – მკითხა ქალმა.

ძლივს გასაგონად გავეპასუხე, ასევე ინგლისურად: – მგონი, კი. მაგრამ თუ ყველაფერი სიმართლეა, და არა სიზმარი, მწყინს, რომ ისევ ვცოცხლობ და საკუთარ მწუხარებას ვგრძნობ.

– რა გითხრათ, – მომიგო მოხუცმა, – თუ გულისხმობთ იმ ჯენტლმენს, რომელიც მოკალით, მაშინ ალბათ უკეთესი იქნებოდა, რომ მომკვდარიყავით, ცუდ დღეში ჩავარდებით. თუმცა ეს ჩემი საქმე არ არის. მე დამავალეს, რომ მოგიაროთ და ფეხზე დადგომაში დაგეხმაროთ. ამას მართლაც კეთილსინდისიერად ვაკეთებ. კარგი იქნებოდა, ყველამ რომ ასე იმუშაოს.

ზიზღით ვიბრუნე პირი ქალისგან, რომელსაც შეეძლო ასეთი უგრძნობი სიტყვებით მიემართა ადამიანისთვის, რომელიც სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ სუსტად ვიყავი და მომხდარში ვეღარ ვერკვეოდი. ჩემი ცხოვრებისეული გზა სიზმრად მეჩვენებოდა. ხანდახან ვეჭვობდი, სინამდვილეში კი ხდებოდა ყველაფერი? ჩემი ცხოვრების მოვლენები ხომ არც ერთხელ არ წარმოჩენილან ჩემ წინაშე რეალური სინამდვილის სიცხადით.

როცა თვალწინ მოცურავე სახეები უფრო მკაფიო გახდა, სიცხის აწევა ვიგრძენი. გარშემო ყველაფერი სიბნელეში ჩაიკარგა, გვერდით არავინ მყავდა, ვინც დამამშვიდებდა და მომეფერებოდა, არავითარი მეგობრული ხელი არ მეშველებოდა. ექიმი მოვიდა და წამლები გამოწერა. მოხუცმა ქალმა მოამზადა ისინი, თუმცა პირველის სახეზე სრული გულგრილობა იკითხებოდა, მეორისაზე კი – დაუნდობლობა. ვინ შეიძლებოდა დაინტერესებულიყო მის მიერ ჩადენილი საქმისთვის საზღაურის მომლოდინე მკვლელის ბედით, ჯალათის გარდა?

ასეთი იყო ჩემი პირველი ფიქრები, თუმცა მალე დავრწმუნდი, რომ მისტერ კირვინს ჩემ მიმართ არაჩვეულებრივი სიკეთე გამოუჩენია. მან ბრძანა, ციხეში ჩემთვის უკეთესი ოთახი მოეწყოთ (ეს მივარდნილი კამერა მართლაც საუკეთესო იყო იქ) და სწორედ მან იზრუნა ექიმსა და მომვლელზე. თუმცა იშვიათად მსტუმრობდა. მართალია, ცდილობდა ყველანაირად შეემსუბუქებინა თითოეული ადამიანის ტანჯვა, მაინც არ სურდა მკვლელის ვაებას დასწრებოდა და მისი ბოდვა ესმინა. ხანდახან მოდიოდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩემზე სათანადო მზრუნველობას იჩენდნენ; თუმცა მისი შემოვლა ხანმოკლე და საკმაოდ იშვიათი იყო.

ერთხელ, გამოჯანმრთელების პროცესში მყოფი, სკამზე ვიჯექი; თვალები ნახევრად მოჭუტული მქონდა, ლოყებზე კი მკვდრისფერი მედო. დარდით დათრგუნული ხშირად ვფიქრობდი, უკეთესი ხომ არ იქნებოდა სიკვდილი მეძებნა, ვიდრე დავრჩენილიყავი იმ სამყაროში, სადაც ამდენი ტანჯვა მეწერა. ერთხანობას ისიც კი ვიფიქრე, თავი დამნაშავედ ხომ არ მეცნო და სასჯელი მიმეღო საკუთარ თავზე – მე ხომ მეტად დამნაშავე ვიყავი, ვიდრე საბრალო ჟუსტინა. სწორედ ეს აზრი მეუფლებოდა, როცა კამერის კარი გაიღო და მისტერ კირვინი შემოვიდა. სახეზე თანაგრძნობა და სიბრალული ეწერა, სკამი მოაჩოჩა ჩემკენ და ფრანგულ ენაზე მომმართა: – ვშიშობ, აქ თავს ცუდად გრძნობთ, ხომ არ შემიძლია რაიმეთი შეგიმსუბუქოთ ხვედრი?

– გმადლობთ, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, ამქვეყნად ვეღარაფერი მომიტანს შვებას.

– ვიცი, რომ უცხოელის თანაგრძნობა სუსტი დახმარებაა იმისთვის, ვინც თქვენ მსგავსად ასეთი მძიმე ვარამით არის დაცემული, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე დატოვებთ ამ პირქუშ ადგილს. ეჭვი არ მეპარება, იოლად მოიპოვებთ მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდებას მოგიხსნით.

– ამის შესახებ ყველაზე ნაკლებად ვღელავ. უჩვეულო მოვლენების ძალით მოკვდავთა შორის ყველაზე ბედკრულად ვიქეცი. მთელი იმ განსაცდელების შემდეგ, რაც გადავიტანე და ახლაც განვიცდი, როგორ შეიძლება სიკვდილი ბოროტებად მივიჩნიო?

– მართლაც, არაფერი შეიძლება იყოს იმაზე სამწუხარო, ვიდრე ცოტა ხნის წინანდელი მოვლენები. თქვენ შემთხვევით აღმოჩნდით ამ ნაპირზე, რომელიც ცნობილია თავისი სტუმართმოყვარეობით, და დაუყოვნებლივ დაგაპატიმრეს, რასაც მკვლელობის ბრალდება მოჰყვა. პირველი, რაც იხილეთ, თქვენი მეგობრის გვამი იყო, ამოუხსნელ ვითარებაში მოკლულის და თითქოსდა რომელიღაც ეშმაკეულის მიერ თქვენთვის მოგდებულის.

როცა მისტერ კირვინმა ეს სიტყვები წარმოთქვა, მიუხედავად მღელვარებისა, რომელმაც ჩემი ტანჯვის გახსენებისას შემიპყრო, არანაკლებ გამაოცა იმ ცნობებმა, რომელთაც ის ფლობდა. ჩანდა, გაოცება ჩემს სახეზეც იკითხებოდა, რადგან მისტერ კირვინმა ნაჩქარევად დაამატა: – როგორც კი დაავადდით, თქვენს ხელთ არსებული ყველა ქაღალდი მე გადმომცეს. გადავხედე მათ, მსურდა რაიმე მინიშნებები მომეძებნა, რომლებიც თქვენი ახლობლების მოძებნაში დამეხმარებოდა და მათ თქვენს უბედურებასა და ავადმყოფობაზე ვაუწყებდი. რამდენიმე წერილი აღმოვაჩინე და მათ შორის ერთი, რომელიც, მიმართვის მიხედვით, მამათქვენს ეკუთვნოდა. დაუყოვნებლივ მივწერე ჟენევაში. ჩემი წერილის გაგზავნის შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა... მაგრამ თქვენ ავად ხართ, კანკალებთ, მღელვარება კი თქვენთვის საზიანოა.

– გაურკვევლობა ათასჯერ უარესია საშინელ უბედურებაზე. მითხარით, რაიმე მორიგი დრამა გათამაშდა და კიდევ ახალი მკვლელობა, რომელიც უნდა გამოვიტირო?

– თქვენს ოჯახში ყველაფერი რიგზეა, – ალერსიანად მითხრა მისტერ კირვინმა, – და თქვენი ერთ-ერთი ახლობელი თქვენს მოსანახულებლად ჩამოვიდა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცებ წარმოვიდგინე, რომ ის მკვლელი გამოცხადდა ჩემს უბედურებაზე გასახარად, რომ სურდა ჩემი მწუხარებით ესარგებლა და თავისი ჯოჯოხეთური მოთხოვნების შესრულებაზე თანხმობა გამოეძალა. თვალებზე ხელები ავიფარე და შემზარავად ვიყვირე: „ო, მოაშორეთ აქედან! არ შემიძლია მისი დანახვა; ღვთის გულისათვის, ნუ შემოუშვებთ!“

მისტერ კირვინმა გაოგნებულმა შემომხედა. უნებურად ეს ამოძახილი ჩემი ბრალეულობის დასტურად მიიღო და მკაცრად მითხრა: – მეგონა, ახალგაზრდავ, რომ მამათქვენის აქ ყოფნა გესიამოვნებოდათ და ასეთ მძვინვარე პროტესტს არ გამოიწვევდა თქვენში.

– მამაჩემი! – ამოვიძახე და ამ დროს ჩემი სახის თითოეულმა ნაკვთმა შიშის ნაცვლად სიხარული გამოხატა, – ნუთუ მამაჩემი ჩამოვიდა? ო, როგორი კეთილია! მაგრამ სად არის? რატომ არ მოიჩქარის ჩემკენ?

ჩემმა ცვალებადობამ მოსამართლე გააოცა და გაახარა. შესაძლოა, ჩემი წინანდელი შეძახილები ციებცხელებიანის ბოდვის მორიგ შეტევას მიაწერა. კვლავ დაუბრუნდა უწინდელი კეთილგანწყობა. გავიდა და მომვლელთან ერთად დატოვა კამერა, ერთ წუთში კი ჩემთან მამა შემოვიდა.

იმ წამს ვერაფერი მომანიჭებდა ამაზე მეტ სიხარულს. ხელი გავუწოდე და შევყვირე: „მაშ, გამოდის, ცოცხალი ხართ, ელიზაბეტიც და ერნესტიც?“

მამამ დამამშვიდა, დამარწმუნა, რომ ყველაფერი კარგად აქვთ და ცდილობდა, ჩემთვის საინტერესო ამ თემების გავრცობით ჩემი განწყობა აემაღლებინა. თუმცა მალევე იგრძნო, რომ ციხე შეასაფერისი ადგილი არ იყო მხიარულებისთვის.

– ეს რა დავიდარაბაში აღმოჩნდი, ჩემო შვილო, – დარდიანად თქვა და გისოსებიან ფანჯრებს თუ მთელ უბადრუკ ოთახს თვალი მოავლო, – შენ ბედნიერების საძიებლად გაემგზავრე, მაგრამ, ჩანს, ბედისწერა გდევნის. საბრალო კლერვალი კი...

ჩემი ბედშავი მოკლული მეგობრის გახსენებამ ისე ამაღელვა, რომ ჩემი დაუძლურების გამო თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი.

– სამწუხაროდ, ასეა, მამა, – ვუთხარი ტირილნარევი ხმით, – ბედისწერა თან მდევს, რათა ის აღასრულოს, რაც ჩემთვის არის დაწერილი, სხვაგვარად ანრის კუბოსთან უნდა მოვმკვდარიყავი.

საუბარი შეგვაწყვეტინეს, რადგან ჩემს მაშინდელ მდგომარეობას ზედმეტი მღელვარებისგან იცავდნენ. მისტერ კირვინი შემოვიდა და დამაჯერებლად თქვა, რომ მეტისმეტ დაძაბულობას შეიძლებოდა მთლად გავეთანგე. მაგრამ მამაჩემის ჩამოსვლა ჩემთვის მფარველი ანგელოზის გამოჩენას უდრიდა და თანდათან ჯანმრთელობაც გამომიკეთდა.

როცა დაავადებას გავუმკლავდი, საშინელი მელანქოლია მომეძალა, რომელსაც ვეღარაფერი ფანტავდა. მოკლული კლერვალის სახე აჩრდილივით გამუდმებით თვალწინ მედგა. ამ მოგონებებით გამოწვეული მღელვარება ბევრჯერ აიძულებდა ჩემს ახლობლებს, დაავადების შემობრუნების შეშინებოდათ. აფსუს! ნეტავ რისთვის უფრთხილდებოდნენ ჩემს უბედურ ცხოვრებას, რომელიც თავადვე მეზიზღებოდა? ალბათ, იმისთვის, რომ ყველაფერი ბოლომდე მომეთმინა, მაგრამ უკვე ახლოს არის აღსასრული. მალე, ოჃ! ძალიან მალე სიკვდილი ჩააქრობს ჩემს მღელვარებას და გამათავისუფლებს ტანჯვის უზომო უღლისგან. განაჩენი აღსრულდება და შვებას მოვიპოვებ. მაშინ კი სიკვდილი ძალიან შორს მოჩანდა, თუმცაღა სიკვდილის სურვილი მთელ ჩემს გონებას დაუფლებოდა და ხშირად საათობით უძრავად და

გარინდული ვიჯექი, კატასტროფას ვუხმობდი, რომელიც ნანგრევებში მოგვიყოლებდა მეც და ჩემს დამღუპველსაც.

სასამართლოს დრო ახლოვდებოდა. უკვე სამი თვეა ციხეში ვიყავი. მართალია, ჯერ კიდევ სუსტად გახლდით და გამუდმებით მემუქრებოდა დაავადების ხელახალი განვითარება, იძულებული ვიყავი თითქმის ასი მილის ოდენობის გზა გადამელახა, საგრაფოს მთავარ ქალაქამდე, სადაც სასამართლო იყო დანიშნული. მისტერ კირვინმა იზრუნა იმაზე, რომ მოწმეები და დაცვაც გამოეძახა. თავიდან ავიცილე დამნაშავის სახით საჯარო გამოჩენა, რადგან ჩემი საქმე არ გადასცეს იმ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებაზე არის დამოკიდებული სიკვდილი თუ სიცოცხლე. ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც იმ სასამართლოსთვის საქმის გადაცემის საკითხს განიხილავდნენ, ბრალდება მომიხსნეს, რადგან დამტკიცდა, რომ იმ დროს, როცა ჩემი მეგობრის გვამი იპოვეს, მე ორკნეის კუნძულებზე ვიმყოფებოდი; მთავარ ქალაქში გადასვლიდან ორი კვირის შემდეგ ციხიდან გამათავისუფლეს.

მამა ბედნიერი იყო, როცა გაიგო, რომ მძიმე ბრალდება მომიხსნეს, რომ ისევ შემეძლო სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა და სამშობლოში დაბრუნება. მე ვერ ვიზიარებდი მის განცდებს, ჩემთვის ერთნაირად საძულველი იყო ციხის თუ სასახლის კედლები. ცხოვრების ფიალა სამარადისოდ მოწამლული მქონდა. მართალია, მზე დამნათოდა თავზე, ისევე, როგორც ბედნიერ ადამიანებს, ჩემ გარშემო გაუვალ, საშინელ წყვდიადს ვგრძნობდი, რომელშიც სინათლის ვერც ერთი სხივი ვერ აღწევდა და სადაც მხოლოდ ჩემკენ დაჟინებით მაცქერალი წყვილი თვალი ციალებდა. ხანდახან ეს ანრის გამომხატველი თვალები იყო, დარდით სავსე, – მუქი ფერის, ნახევრად დახუჭული თვალები, შავი ლამაზი წამწამებით შემოჯარული; ხან კი – ურჩხულის წყლიანი, ამღვრეული თვალები, რომლებიც პირველად ინგოლშტადტში, ჩემს ოთახში ვნახე.

მამა ცდილობდა, ახლობლებისადმი სიყვარულის განცდა კვლავ გაეღვიძებინა ჩემში. მესაუბრობდა ჟენევაზე, სადაც უნდა დავბრუნებულიყავი, ელიზაბეტსა და ერნესტზე. მაგრამ მისი სიტყვები ჩემს მკერდში ღრმა ამოოხვრებს თუ იწვევდა. ისეც ხდებოდა, ბედნიერების უსუსური წყურვილი იღვიძებდა ჩემში. დარდითა და სინაზით ვფიქრობდი ჩემს საყვარელ ბიძაშვილზე თუ მტანჯველი maladie du pays-ით[15] მინდოდა კიდევ ერთხელ მენახა ცისფერი ტბა და სწრაფი რონა[16], რომლებიც ასე მეძვირფასებოდა ბავშვობაში, მაგრამ ჩემი ჩვეული მდგომარეობა აპათია იყო. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა – ციხეში ვიქნებოდი თუ უმშვენიერეს ბუნებაში. ეს განწყობა მხოლოდ სასოწარკვეთის შემოტევებით წყდებოდა. ასეთ წუთებში ხშირად ვცდილობდი ბოლო მომეღო ჩემი საძულველი არსებობისთვის. გამუდმებული მეთვალყურეობა იყო საჭირო, რომ თავზე ხელი არ ამეღო.

თუმცა მოვალეობით ვიყავი შებოჭილი, რომლის გახსენებამაც ბოლოს და ბოლოს ეგოისტურ სასოწარკვეთას აჯობა. დაუყოვნებლივ უნდა დავბრუნებულიყავი ჟენევაში, რათა მათი ცხოვრება დამეცვა, ვინც ეგზომ მიყვარდა; უნდა მიმეკვლია არამზადისთვის და თუ შემთხვევა კიდევ ერთხელ მომცემდა შესაძლებლობას, მისი

თავშესაფარი მენახა ან თვითონ კვლავ თუ გაბედავდა ჩემ წინაშე წარდგომას, უცილობლად დამემარცხებინა მტერი, რომელიც რაღაც სულის მაგვარით აღვჭურვე, უფრო მეტად მახინჯით, ვიდრე მისი სხეული იყო.

მამა ახანგრძლივებდა ჩვენი გამგზავრების დროს, იმის შიშით, რომ მოგზაურობის სიმძიმეს ვერ გადავიტანდი, მე ხომ ნამდვილი ნანგრევი ვიყავი – ადამიანის ჩრდილი. ძალა გამომლეოდა. ჩონჩხად ვიქეცი, დღითა და ღამით ჩემს დაჩიავებულ სხეულს ციებცხელება ნთქავდა.

თუმცა ისე შეშფოთებულმა და მოუთმენლად დავიჟინე ირლანდიიდან გამგზავრება, რომ მამამ არჩია, დაეთმო ჩემთვის. ბილეთები ავიღეთ გემზე, რომელიც ჰავრ დე გრაეში მიემართებოდა და ირლანდიის სანაპიროდან დავიძარით. შუა ღამე იყო. გემბანზე მწოლიარე ვარსკვლავებს მივჩერებოდი და ტალღების დგაფუნს ვაყურადებდი. სიბნელე მსიამოვნებდა, რომელიც ფარავდა ჩემს თვალთაგან ირლანდიის მიწებს. გული სიხარულით მიცემდა იმაზე ფიქრით, რომ მალე ვნახავდი ჟენევას. წარსული საშინელ კოშმარად მეჩვენებოდა, თუმცა ხომალდი, რომლითაც მივცურავდი, ქარი, რომელიც საძულველად ქცეული ირლანდიიის ნაპირიდან უბერავდა, და ჩემ გარშემო გადაშლილი ზღვა მეტისმეტად მკაფიოდ მაუწყებდნენ, რომ ეს სიზმარი არ იყო და რომ კლერვალი, ჩემი მეგობარი, ჩემი ძვირფასი მეგობარი, ჩემ გამო დაიღუპა, ჩემ მიერ შექმნილი ურჩხულის გამო. ჩემს მეხსიერებაში მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაიარა: წყნარმა ბედნიერებამ ჟენევაში, ოჯახურ წრეში, დედის გარდაცვალებამ და ინგოლშტადტში გამგზავრებამ. თრთოლით გავიხსენე ის გიჟური ენთუზიაზმი, რომელმაც შთამაგონა რაც შეიძლება სწრაფად შემექმნა ჩემი საზარელი მტერი. მეხსიერებაში ვუხმე იმ ღამეს, როცა ურჩხული პირველად გაცოცხლდა. მეტის გახსენება აღარ შემეძლო, გრძნობები მომეძალა და მწარედ ავტირდი.

გამომჯობინების შემდეგ ჩვევად მექცა ღამით ოპიუმის მცირე დოზა მიმეღო. მხოლოდ ამ წამლის მეშვეობით ვახერხებდი სიმშვიდის მოპოვებას, რომელიც სიცოცხლის შესანარჩუნებლად წამალივით მჭირდებოდა. ჩემს უბედობებზე მოგონებებით დათრგუნულმა ორმაგი დოზა მივიღე და მალე ღრმად დამეძინა. მაგრამ სიზმარს არ მოუტანია მტანჯველი ფიქრებისგან გათავისუფლება, ყველანაირი საშინელება მესიზმრა. დილისკენ მთლად კოშმარების გარემოცვაში ვიყავი. მეჩვენებოდა, რომ ურჩხული მწვდა ყელში, მე კი ვერ ვახერხებდი გათავისუფლებას, ყურებში კვნესა და ყვირილი ჩამესმოდა.

სასთუმალთან მჯდომმა მამაჩემმა რომ დაინახა, როგორ ვცქმუტავდი სიზმარში, გამაღვიძა. გარშემო ტალღები ღრიალებდნენ, თავზე ღრუბლიანი ცა დამყურებდა, ურჩხული არსად ჩანდა. უსაფრთხოების გრძნობამ, იმის განცდამ, რომ ამ ჟამსა და გარდაუვალ საზარელ მომავალს შორის მცირე შესვენება დადგა, ერთგვარი მივიწყების ტკბობა მომიტანა, რომლისკენაც ასეა მიდრეკილი თავისი ბუნებით ადამიანის გონება.

XXII თავი

მოგზაურობა დასასრულს მიუახლოვდა. ნაპირზე გადმოვსხედით და პარიზისკენ გავემართეთ. მალე დავრწმუნდი, რომ საკუთარი ძალების ზედმეტად ვირწმუნე და დასვენება მჭირდებოდა, სანამ გზას გავაგრძელებდი. მამა საოცარ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა ჩემ მიმართ, მაგრამ მან არ იცოდა ჩემი ტანჯვის მიზეზი და წამლებს მთავაზობდა, რომელთაც ჩემი განუკურნებელი დაავადების შველა არ შეეძლოთ. მას სურდა, რომ საზოგადოებაში გავთქვეფილიყავი, გული გადამეყოლებინა. ჩემთვის კი აუტანელი იყო ადამიანთა სახეები. ო, არა, აუტანელი კი არა! ისინი ძმები იყვნენ, ჩემი ახლობლები და მათ შორის ყველაზე უსიამოვნოებიც კი მიზიდავდნენ, თითქოს ანგელოზები იყვნენ, ზეციდან მოვლენილნი. მაგრამ მეჩვენებოდა, რომ უფლება არ მქონდა მათთან ურთიერთობის. მე მტერი დავგეშე, რომელსაც სიხარულს ანიჭებს მათი სისხლის ღვრა და მათი კვნესით ტკბობა. ალბათ როგორ შევძულდებოდი, ყველას ერთიანად, როგორ გამაძევებდნენ და მომიკვეთდნენ, რომ გაეგოთ ჩემი ცოდვილი საქმიანობისა და ბოროტმოქმედებების შესახებ, რომელთა წყარო მე ვიყავი!

ბოლოს და ბოლოს მამამ დამითმო, საზოგადოებისგან გარიდების ჩემს სწრაფვას აჰყვა და ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ჩემი დარდი გაეფანტა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მტკივნეულად აღვიქვამდი დამცირებას, მკვლელობაში ბრალდებასთან დაკავშირებულს, და ცდილობდა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ ეს ცრუ სიამაყე იყო.

– ეჰ, მამა, – ვპასუხობდი ჩაფიქრებული, – რა ცოტა იცით ჩემზე! ადამიანები, მათი გრძნობები და გატაცებები მართლაც დამცირებული იქნებოდა, ისეთ არამზადას, როგორიც მე ვარ, ქედმაღლობა და სიამაყე რომ გაებედა. ჟუსტინა, საბრალო ჟუსტინა, ისევე უდანაშაულო იყო, როგორც მე, არადა, მას ასეთივე ბრალდება წაუყენეს და იგი დაიღუპა, მისი სიკვდილის მიზეზი კი მე ვარ; მე მოვკალი ის. უილიამი, ჟუსტინა და ანრი – ყველანი ჩემი ხელით დაიღუპნენ.

ციხეში ჩემი ტყვეობის დროს მამას ხშირად ესმოდა ჩემგან მსგავსი აღიარება. როცა ასე ვიდანაშაულებდი თავს, მას ხანდახან, ალბათ, სურდა ახსნა-განმარტების მიღება, ხანდახან კი ბოდვად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ ამგვარი აზრები, ავადმყოფობის დროს მოვლენილი, შეიძლებოდა გამოჯანმრთელების შემდეგაც შენარჩუნებულიყო. ახსნას თავს ვარიდებდი და ვდუმდი იმ ბოროტმოქმედის შესახებ, რომელიც თავადვე შევქმენი. დარწმუნებული ვიყავი, რომ შეშლილად მიმიჩნევდნენ. ამას თავისთავად შეეძლო სამუდამოდ შეებოჭა ჩემთვის ენა. გარდა ამისა, საკუთარ თავს ვერ ვაიძულებდი იმ საიდუმლოს გამხელას, რომელიც ჩემს თანამოსაუბრეს სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა და შიშს ჩაუნერგავდა. ამიტომაც ვიკავებდი თანაგრძნობის მოუთმენელ წყურვილს და ვდუმდი, არადა, ამქვეყნად ყველაფერს დავთმობდი საბედისწერო საიდუმლოს გამხელის შესაძლებლობისთვის. მაგრამ ხანდახან უნებურად მწყდებოდა ტუჩებიდან მსგავსი სიტყვები. მე არ შემეძლო ისინი

ამეხსნა, მაგრამ ეს საბრალო სიტყვები ერთგვარად მიმსუბუქებდნენ იდუმალი გლოვის ტვირთს. ამჯერად მამამ უსაზღვრო გაოცებით მითხრა: – ძვირფასო ვიქტორ, რეებს ბოდავ? საყვარელო შვილო, გევედრები, აღარასდროს დაიწყო მსგავსი რამეების მტკიცება.

– მე გიჟი არ ვარ, – წამოვიძახე დამაჯერებლად, – მზეს და ცას, რომლებმაც უწყიან ჩემი საქმეები, შეუძლიათ დამიმოწმონ, რომ სიმართლეს ვამბობ. მე ამ უდანაშაულო მსხვერპლთა მკვლელი ვარ, ისინი ჩემს მახეებს შეეწირნენ. ათასჯერ მაინც დავღვრიდი საკუთარ სისხლს, წვეთ-წვეთობით, რათა მათი სიცოცხლე მეხსნა, მაგრამ არ შემეძლო ამის გაკეთება, მამა, არ შემეძლო მთელი ადამიანთა მოდგმის მსხვერპლად შეწირვა.

ამ სიტყვის დასასრულმა მამაჩემი დაარწმუნა, რომ გონება დაბინდული მქონდა. დაუყოვნებლივ შეცვალა საუბრის თემა და ეცადა ჩემი ფიქრებისთვის სხვა მიმართულება მიეცა. მას სურდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ჩემი მეხსიერებიდან ამოეშალა ყველა ის მოვლენა, რომელიც ირლანდიაში განვითარდა, არასდროს არ უხსენებია ისინი და მეც არ მრთავდა ნებას, ჩემს უბედობებზე მესაუბრა.

დროთა განმავლობაში ცოტა დავწყნარდი. ნაღველი მტკიცედ დამკვიდრებულიყო ჩემს გულში, მაგრამ აღარ ვლაპარაკობდი გაუგებრად და არეულად ჩემს დანაშაულებზე, ჩემთვის საკმარისი იყო მათი გაცნობიერება. საკუთარ თავს ძალა დავატანე და ტანჯვის ძლევამოსილი ხმა ჩავახშე, რომელიც ხანდახან გარეთ იწევდა, რომ მთელი ქვეყნიერებისთვის ეუწყებინა საკუთარი თავის შესახებ. უფრო წყნარი და თავშეკავებული გავხდი, ვიდრე ოდესმე, ყინულოვანი ზღვისკენ ჩემი გამომგზავრების შემდეგ.

პარიზიდან შვეიცარიაში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე შემდეგი წერილი მივიღე ელიზაბეტისგან: „ძვირფასო მეგობარო! უდიდესი სიხარულით წავიკითხე ბიძიას წერილი, პარიზიდან გამოგზავნილი. შენ უკვე აღარ ხარ ჩემგან დაშორებული უშველებელი მანძილით და იმედი მაქვს, სულ რაღაც ორიოდე კვირაში გიხილავ. საბრალო ვიქტორ, მაინც რამდენი უნდა გადაიტანო! ვშიშობ, რომ კიდევ უფრო სერიოზულად ხარ ავად, ვიდრე მაშინ, როცა ჟენევიდან მიემგზავრებოდი. ამ ზამთარმა ჩემთვის მოწყენილად ჩაიარა, გაურკვევლობისგან გამუდმებულ ტანჯვაში. მაინც იმედი მაქვს, რომ დამშვიდებულს გნახავ და რომ შენი გული სულ ცოტათი მაინც დაწყნარდა.

ოღონდაც, მაინც მეშინია, რომ ის შფოთვა, რომელიც ასე უბედურს გხდიდა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ახლაც არსებობს და შეიძლება, დროსთან ერთად გაძლიერდა კიდეც. არ მინდა დაგამწუხრო ახლა, როცა ამდენი უბედურება გადაიტანე. თუმცა ის საუბარი, რომელიც მე და ბიძიას გვქონდა მის გამგზავრებამდე, ალბათ ჩვენს შეხვედრამდე ჩემგან გარკვეულ განმარტებებს მოითხოვს.

განმარტებებს! უეჭველად მკითხავ: რა შეიძლება ჰქონდეს ელიზაბეტს ისეთი, რაც განმარტებას საჭიროებს? თუ სინამდვილეში ამას იტყვი, ამგვარად ჩემს შეკითხვებზეც მიღებული იქნება პასუხები და ჩემი ყველა ეჭვი გაიფანტება. მაგრამ ჩემგან შორს ხარ და შესაძლოა, გეშინია და გსურს კიდეც ამგვარი განმარტება. ვგრძნობ რა ამის ალბათობას, ვერ ვბედავ ამის მეტად გადადებას და გწერ იმას, რაც მთელი შენი არყოფნის დროს მინდოდა მომეწერა, მაგრამ სიმამაცეს ვერ ვიკრებდი.

შენ იცი, ვიქტორ, რომ ჩვენი კავშირი ჩვენი მშობლების ოცნება იყო, ჯერ კიდევ ჩვენი ბავშვობიდან. ამის შესახებ მაშინ განგვიცხადეს, როცა ჯერ კიდევ ნორჩები ვიყავით. გვასწავლეს ამ კავშირისთვის ისე შეგვეხედა, როგორც რაღაც გარდაუვალისთვის. ბავშვობაში ნაზი მეგობრობა გვაკავშირდება და იმედი მაქვს, ახლო მეგობრებადვე დავრჩით მას მერე, რაც გავიზარდეთ. მაგრამ ძმას და დას ხომ ხშირად აქვთ ერთმანეთისადმი ნაზი გრძნობები და უფრო ახლო ურთიერთობებისკენ არ ისწრაფვიან; ჩვენც ასე ხომ არ ვართ? მითხარი, საყვარელო ვიქტორ. მიპასუხე, გეხვეწები, ჩვენი ბედნიერებისთვის, სრული გულწრფელობით: სხვა ხომ არ გიყვარს ვინმე?

შენ მოგზაურობდი, რამდენიმე წელი ინგოლშტადტში გაატარე და გამოგიტყდები, ჩემო მეგობარო, როცა გასულ შემოდგომაზე დავინახე, რა უბედური იყავი, როგორ ეძებდი განმარტოებას და ნებისმიერ საზოგადოებას გაურბოდი, უნებურად ვივარაუდე, რომ შესაძლოა შენ ჩვენს ნიშნობას განიცდი და თავს შებოჭილად გრძნობ, რადგან ვალდებულად მიგაჩნია მშობლების ნების შესრულება, თუმცა კი ეს შენს მიდრეკილებებს ეწინააღმდეგება. მაგრამ ეს მცდარი მსჯელობაა. ვაღიარებ, ჩემო მეგობარო, რომ მიყვარხარ და ჩემს სამომავლო ოცნებებში შენ ყოველთვის ჩემი მეგობარი და თანამგზავრი იყავი. მაგრამ ბედნიერებას ისევე გისურვებ, როგორც საკუთარ თავს და ამიტომაც ვაცხადებ, რომ ჩვენი ქორწინება მარადიულ დარდად გვექცევა, თუ შენი თავისუფალი არჩევანის მიხედვით არ იქნება ის აღსრულებული. აი, ახლაც ვტირი იმის ფიქრში, რომ შენ, ბედის მძიმე დარტყმების გადატანის შემდეგ, პატიოსანი სიტყვის გამო შეგიძლია სიყვარულისა და ბედნიერების იმედი გაანადგურო, რომელსაც ძალუძს შენთვის სიმშვიდის დაბრუნება. უანგაროდ მიყვარხარ და შეიძლება ათმაგად გავზარდო შენი წამებანი, თუ დაბრკოლებად ვიქცევი შენი სურვილების ასრულების გზაზე. ო, ვიქტორ, დამიჯერე, შენს ბიძაშვილს და შენი ბავშვური თამაშების ამხანაგს მეტისმეტად გულწრფელად უყვარხარ, რომ ასეთი ვარაუდის გამო არ იტანჯებოდეს. ბედნიერი იყავი, ჩემო მეგობარო, და თუ ჩემს მხოლოდ ამ სურვილს შეასრულებ, გჯეროდეს, რომ ამქვეყნად ვერაფერი დაარღვევს ჩემს სიმშვიდეს.

ეს წერილი ნუ დაგაღონებს, ნუ მიპასუხებ ხვალ ან მომდევნო დღეს, ან თუნდაც შენს ჩამოსვლამდე, თუ ეს შენთვის მტკივნეულია. ბიძია მომწერს ცნობას შენი ჯანმრთელობის შესახებ და თუ ჩვენი შეხვედრის დროს შენს ტუჩებზე თუნდაც ღიმილს დავინახავ, ჩემ მიერ გამოწვეულს, სხვა ბედნიერება არც მინდა.

ჟენევა, 18 მაისი, 17.. წელი.

ელიზაბეტ ლავენცა“.

ამ წერილმა ჩემს გონებაში კვლავ წამოატივტივა ის, რისი დავიწყებაც მომესწრო – დემონის მუქარა: „მე ვიქნები შენთან შენს პირველ საქორწინო ღამეს“. ასეთი განაჩენი მქონდა გამოტანილი. იმ ღამით დემონი ძალას არ დაიშურებს, რომ მომკლას და მომაკლოს ის ბედნიერება, რომელიც ჩემი ტანჯვის შემსუბუქებას მპირდება. იმ ღამით გადაწყვიტა მან თავისი დანაშაულებების დასრულება ჩემი სიკვდილით. დაე, ასე იყოს: იმ ღამეს მოხდება სასიკვდილო ორთაბრძოლა და თუ ის გამარჯვებული გამოვა, მე სიმშვიდეს ვპოვებ, მის ძალაუფლებას ჩემზე ბოლო მოეღება. ხოლო თუ იგი დამარცხდება, მე გავთავისუფლდები. თუმცაღა, რა თავისუფლებაა ეს! ისეთივე თავისუფლება, როგორიც გლეხს აქვს, რომლის თვალწინ მთელი ოჯახი გაუწყვეტიათ, სახლი დაეწვა, უნაყოფო მიწაზე უდგას ფეხი, თვითონ კი უსახლკარო, ღატაკი, მარტოხელაა, მაგრამ თავისუფალი. ასეთივე იქნება ჩემი თავისუფლებაც. მართალია, ჩემი ელიზაბეტის სახით საუნჯეს შევიძენ, მაგრამ სასწორის მეორე პინაზე დარჩება სინდისის ტანჯვა და დანაშაულის განცდა, რომელიც სიკვდილამდე არ მომასვენებს.

ძვირფასი, საყვარელი ელიზაბეტი! კვლავ და კვლავ ვკითხულობდი მის წერილს. სინაზე ჩამეღვარა გულში და სიყვარულისა და სიამის სამოთხისეული გზნებით ავივსე, მაგრამ ვაშლი უკვე შთანთქმული იყო... მე კი თუნდაც სიკვდილისთვის ვიყავი მზად, ოღონდ კი ელიზაბეტი გამებედნიერებინა. სიკვდილი გარდაუვალია, თუ ურჩხული თავის მუქარას სისრულეში მოიყვანს. მაგრამ თავს განუწყვეტლივ ვუსვამდი ერთსა და იმავე შეკითხვას, დააჩქარებდა თუ არა ქორწინება ჩემი ბედის აღსრულებას. ჩემი გარდაცვალება შეიძლებოდა რამდენიმე თვით ადრე აღსრულებულიყო, მაგრამ თუ ჩემი მტანჯველი დაეჭვდებოდა, რომ ქორწინებას მისი მუქარის გამო ვაჭიანურებდი, უცილობლად იპოვიდა შურისძიების სხვა, შესაძლოა, უფრო საშინელ საშუალებებსაც. მან დაიფიცა, რომ ჩემთან იქნება ქორწინების პირველ ღამეს, მაგრამ მას სულაც არ მიაჩნია, რომ ეს მუქარა ავალდებულებს, ამ ღამის დადგომამდე სიმშვიდე დაიცვას. ჩემთვის იმის საჩვენებლად, რომ სისხლით ჯერ არ გამძღარა, მუქარის შემდეგ მალევე მოკლა კლერვალი. ამიტომაც, თუ ჩემი დაუყოვნებელი კავშირი ელიზაბეტთან მას ან მამაჩემს გააბედნიერებდა, მაშინ უფლება არ მქონდა თუნდაც ერთი საათით გადამევადებინა ის, როგორიც უნდა ყოფილიყო ჩემი მტრის ჩანაფიქრი და განზრახვა ჩემი სიცოცხლის წინააღმდეგ.

ასეთი განწყობილებით მივწერე ელიზაბეტს. წერილი მშვიდი და სინაზით აღსავსე იყო: „ვშიშობ, ჩემო საყვარელო გოგონა, რომ ამქვეყნად მცირე ბედნიერება დაგვრჩენია, მაგრამ ყველაფერი, რითაც შემიძლია გავიხარო, შენთან არის დაკავშირებული. შეეშვი ამაო დარდსა და შიშს, შენ ერთს გიძღვნი ჩემს ცხოვრებას და ბედნიერებისკენ სწრაფვას. მე მაქვს საიდუმლო, ელიზაბეტ, საშინელი საიდუმლო. როცა მას გაგიმხელ, შიშისგან ძარღვებში სისხლი გაგეყინება და მაშინ უკვე აღარ

გაგიკვირდება ჩემი დარდიანობის და ისღა განგაცვიფრებს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ მას მერე, რაც ამდენი რამ გადავიტანე. ამ საშინელ საიდუმლოს ჩვენი ქორწინების შემდეგ გაგანდობ, საყვარელო, რადგან ჩვენ შორის სრული ნდობა უნდა იყოს. მაგრამ ამ დღემდე გევედრები, ნუ შემახსენებ მას. ამას მთელი სერიოზულობით გთხოვ და ვიცი, რომ დამთანხმდები“.

ელიზაბეტისგან წერილის მიღებიდან ერთ კვირაში ჟენევაში დავბრუნდით. საყვარელი გოგონა ნაზი ალერსით შემხვდა, მაგრამ როცა ჩემი გამოფიტული სახე და ფერმკრთალი ლოყები დაინახა, თვალებში ცრემლები გაუკრთა. მასაც შევნიშნე ცვლილება. გამხდარიყო და უწინდელი აღმაფრთოვანებელი სიხალისე დაეკარგა, რომელიც ასე მაჯადოებდა. თუმცა მისი სათნოება და ნაზი, თანაგრძნობით სავსე მზერა მას კიდევ უფრო მეტად შესაფერისს ხდიდა ჩემნაირი განწირული და უბედური ადამიანის თანამგზავრად.

ჩემი სიმშვიდე ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. მოგონებები მაგიჟებდა. როცა განვლილ მოვლენებს ვიხსენებდი, ნამდვილი შეპყრობილივით ვხდებოდი. ხანდახან მძვინვარება მომივლიდა და თვალები სიბრაზით მიელავდა, ხან კი ღრმა უიმედობაში ვიძირებოდი. არავის არ ველაპარაკებოდი, არავის ვუყურებდი და უძრავად ვიჯექი, თავს დამტყდარი უამრავი უბედურებისგან გახევებული.

მხოლოდ ელიზაბეტი ახერხებდა ამ მდგომარეობიდან ჩემს გამოყვანას. მისი ნაზი ხმა მამშვიდებდა, როცა აღგზნებული ვიყავი, და ადამიანურ გრძნობებს მიღვიძებდა, როცა გავქვავდებოდი ხოლმე. ის ჩემთან ერთად ტიროდა და მე დამტიროდა. როცა გონება მიბრუნდებოდა, მელოლიავებოდა და ცდილობდა ბედის წინაშე მორჩილება შთაენერგა ჩემთვის. ო! უბედური შეიძლება შეურიგდეს ბედს, მაგრამ დამნაშავეს საშველი არ აქვს. სინდისის ქენჯნა გიწამლავს სიამოვნებას, რომელიც შეიძლება ხანდახან მაინც იპოვო ყველაზე უზომო სატანჯველშიც კი.

ჩემი ჩამოსვლიდან სულ მოკლე ხანში მამა ჩემი და ელიზაბეტის მოსალოდნელ ქორწინებაზე ალაპარაკდა. მე ვდუმდი: – იქნებ სხვა გატაცება გაგიჩნდა?

– არავითარი მთელ ქვეყნიერებაზე. მიყვარს ელიზაბეტი და სიხარულით ველი ჩვენს ქორწინებას. დანიშნეთ დღე. ამ დღეს ჩემს თავს, მკვდარს თუ ცოცხალს, ჩემი ბიძაშვილის ბედნიერებას მივუძღვნი.

– ძვირფასო ვიქტორ, ნუ ამბობ ასე. ჩვენ მძიმე უბედურებები გადავიტანეთ; მაგრამ უფრო მტკიცედ უნდა მოვეჭიდოთ იმას, რაც დაგვრჩენია და მათდამი სიყვარული, ვინც დავკარგეთ, მათზე უნდა გადავიტანოთ, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია. ჩვენი წრე ვიწრო იქნება, მაგრამ სიყვარულისა და საერთო მწუხარების ძაფებით შეკრული. ხოლო როცა დრო შეამსუბუქებს შენს ვარამს, ახალი საყვარელი არსებები დაიბადებიან, ჩვენი სიყვარულისა და ზრუნვის საგნები, მათ ნაცვლად, ვინც ასე უმოწყალოდ გამოგვაცალეს ხელიდან.

ასე მარიგებდა მამა. მე კი მხოლოდ დემონის მუქარა მედგა თვალწინ. ალბათ გასაკვირი არ არის, რომ სისხლიან საქმეებში ასეთ ძლევამოსილს თითქმის დაუმარცხებლად მივიჩნევდი და როცა წარმოთქვა სიტყვები: „შენთან ვიქნები შენს პირველ საქორწინო ღამეს“, – მოსალოდნელ საფრთხეს ისე შევეგუე, როგორც გარდაუვალს. თუმცა სიკვდილი არაფრად მეჩვენებოდა ელიზაბეტის დაკარგვასთან შედარებით. ამიტომ კმაყოფილებით და სიხარულითაც კი დავთანხმდი მამაჩემს და ვუთხარი, რომ თუ ელიზაბეტი არ იქნებოდა წინააღმდეგი, ათი დღის შემდეგაც კი შეიძლებოდა ქორწილი გვეზეიმა; სწორედ მაშინ გადაწყდება ჩემი ბედი – ვფიქრობდი გულში.

ღმერთო დიდებულო! ნეტავ ერთი წამით მაინც მეფიქრა, რა ჯოჯოხეთური განზრახვა ედო გულში ჩემს მტარვალ მეტოქეს, ჯობდა სამუდამოდ გადავკარგულიყავი მშობლიური ქვეყნიდან და მეხეტიალა მარტოხელა განდეგილად, ვიდრე ამ ავბედით ქორწილს დავთანხმებოდი. მაგრამ თითქოსდა რაღაც ჯადოსნობით ურჩხულმა დამაბრმავა მისი ნამდვილი ჩანაფიქრის წინაშე; და მეც, იმის ფიქრში, რომ სიკვდილი მხოლოდ ჩემთვის იყო გამზადებული, ჩემთვის იმაზე მეტად ძვირფასი ადამიანის აღსასრულს ვაჩქარებდი, ვიდრე თავად მე გახლდით.

ჩვენი ქორწინების ვადის მოახლოებასთან ერთად – სიმხდალის გამო თუ წინათგრძნობას აყოლილს – სულ უფრო მეტად მიქრებოდა სიმამაცე. თუმცა ჩემს გრძნობებს ვმალავდი მოჩვენებითი სიმხიარულის მიღმა, რომელიც ბედნიერ ღიმილს იწვევდა მამაჩემის სახეზე, მაგრამ საეჭვოა, მას ელიზაბეტის ყურადღებიანი თუ უფრო მახვილი თვალი მოეტყუებინა.

ის სიამოვნებით ელოდა ჩვენს კავშირს, თუმცა ერთგვარი შიშიც ერეოდა, რომელიც ჩვენი წარსული უბედობით იყო შთაგონებული; ის, რაც ახლა რეალურ და ხელშესახებ ბედნიერებად ეჩვენებოდა, შეიძლებოდა მალე სიზმრად ქცეულიყო, რომელიც არავითარ კვალს არ დატოვებდა ღრმა და მარადიული მწუხარების გარდა.

ზეიმისთვის აუცილებელი სამზადისი უკვე მოგვარებული იყო. მოსალოც ვიზიტებზე ვთანხმდებოდით და ყველგან მხიარული ღიმილით გვხვდებოდნენ. როგორც შემეძლო, გულში ვიჩქმალავდი მტანჯველი ხიფათის განცდას და თითქოსდა გატაცებით ვიზიარებდი მამაჩემის გეგმებს, თუმცა კი, შეიძლებოდა, მათ მხოლოდ ჩემი გარდაცვალება დაემშვენებინათ. მამის მეცადინეობების წყალობით ავსტრიულმა ხელისუფლებამ ელიზაბეტს მემკვიდრეობის ნაწილი დაუმტკიცა. მას ეკუთვნოდა პატარა მამული კომოს ნაპირზე. გადაწყდა, რომ შეუღლების შემდეგ ლავენცას ვილაზე გავემგზავრებოდით და ჩვენს პირველ ბედნიერ დღეებს იმ მშვენიერი ტბის პირას გავატარებდით, რომელზეც ეს ვილა იდგა.

ამასობაში სიფრთხილის ყველა ზომა მივიღე, რათა თავი დამეცვა, თუ დემონი ღიად დამესხმოდა თავს. ყოველთვის თან მქონდა დაშნა და პისტოლეტები, გამუდმებით ფხიზლად ვიყავი, რათა ნებისმიერი სივერაგე ამეცილებინა თავიდან. ეს

გარკვეულწილად მამშვიდებდა კიდეც. ქორწილის დღის მოახლოებასთან ერთად საფრთხე სულ უფრო ფუჭი მეჩვენებოდა და თითქოს არ ღირდა იმად, რომ მოსვენება დამეკარგა. იმავდროულად ბედნიერება, რომელსაც ჩვენი ქორწინებიდან ველოდი, სულ უფრო მტკიცედ მესახებოდა, რაც უფრო ნაკლები დღე რჩებოდა საზეიმო დღემდე, რომელზეც გამუდმებით ვსაუბრობდით, როგორც რაღაც გადაწყვეტილზე, რომელსაც ვერავითარი შემთხვევითობა ვერ შეუშლიდა ხელს.

ელიზაბეტი ბედნიერი ჩანდა, ჩემი სიმშვიდე მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მის დამშვიდებასაც. მაგრამ ჩემი სურვილების განხორციელებისა და ჩემი ბედის გადაწყვეტის დანიშნულ დღეს ელიზაბეტმა მოიწყინა და რაღაც ავმა წინათგრძნობამ მოიცვა. შეიძლება, იმ საშინელ საიდუმლოზე ფიქრობდა, რომლის გამხელასაც მეორე დღისთვის შევპირდი. მამა გახარებული უყურებდა მას და საქორწინო ფუსფუსს და ელიზაბეტის დარდში პატარძლის ჩვეულებრივ მორიდებულობას ხედავდა მხოლოდ.

საქორწინო ცერემონიის შემდეგ მამასთან ბევრი სტუმარი შეიკრიბა, მაგრამ დადგენილი იყო, რომ მე და ელიზაბეტი გემით გავეშურებოდით საქორწინო მოგზაურობაში, ევიანში გავათევდით ღამეს და მეორე დღეს გავაგრძელებდით გზას. შესანიშნავი ამინდი იყო, ზურგის ქარი გვდევდა თან და ყველაფერი ხელს უწყობდა ჩვენს მოგზაურობას.

ეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი საათები იყო, როცა ბედნიერი გახლდით. სწრაფად მივდიოდით წინ. მზე აცხუნებდა, მაგრამ მის სხივებს ბალდახინის ქვეშ შევეფარეთ, თან პეიზაჟის მშვენებით ვტკბებოდით – ხან ერთ ნაპირზე, სადაც მონ სალევს ვჭვრეტდით, მონტალეგრის საუცხოო ნაპირებს, შორს კი ყველაფრის თავზე წამომართულ მშვენიერ მონბლანს და თოვლიანი მწვერვალების გუნდს, რომლებიც კდემით მეტოქეობენ მასთან. ხან კი საპირისპირო ნაპირზე, უშველებელი იურის მთისკენ, რომელიც თავის მუქ თაღს იმ პატივმოყვარის წინაშე აღმართავდა, რომელიც სამშობლოს მიტოვებას ჩაიფიქრებდა, ხოლო მისი დაპყრობის მოსურნე მომხდურს წინ ელობებოდა.

ელიზაბეტის ხელს დავწვდი.

– მოწყენილი ხარ, საყვარელო. ო, ნეტავ იცოდე, რა გადავიტანე და შესაძლოა, რის გადატანა მელის კიდევ წინ, ალბათ ეცდებოდი დაგვიწყებინა ჩემთვის სასოწარკვეთა და სიმშვიდე მოგენიჭებინა – ის, რის მოძღვნაც შეუძლია ჩემთვის ამ დღეს.

– ბედნიერი იყავი, საყვარელო ვიქტორ, – მომიგო ელიზაბეტმა, – იმედი მაქვს, რომ არავითარი უბედურება აღარ გელის. დამიჯერე, რომ თავს კარგად ვგრძნობ, თუნდაც სახეზე არც მეწეროს სიხარული. რაღაც ხმა ჩამჩურჩულებს, რომ მეტისმეტად არ მივენდო ჩვენს მომავალს, მაგრამ არ დავუგდებ ყურს ამ ავისმომასწავებელ ხმას. ნახე, რა სწრაფად მივცურავთ, გახედე ღრუბლებს, რომლებიც ხან მალავენ, ხან კი აშიშვლებენ მონბლანის მწვერვალს და ამ საოცარ ხედს კიდევ უფრო ალამაზებენ. შეხედე ამ უთვალავ თევზს, რომლებიც გამჭვირვალე წყალში დაცურავენ,

თითოეული კენჭის გარჩევა რომ შეიძლება ფსკერზე, რა ღვთიური დღეა! რა ბედნიერი და უდრტვინველი ჩანს მთელი ბუნება!

ელიზაბეტი ცდილობდა ამგვარი საუბრებით გავერთე და ჩემი ფიქრები ნებისმიერი იმ საგნებიდან გადაეტანა, რომლებიც კი დამამწუხრებდნენ. თუმცა მაინც ცვალებადი განწყობა ჰქონდა თავად. რამდენიმე წამს მის თვალებში სიხარული კიაფობდა, მაგრამ მას ხშირად ცვლიდა მოუსვენრობა და შეფიქრიანება.

მზე დაბლა დაეშვა. მდინარე დრანსის განტოტებას ჩავუარეთ და მის გზას თვალი გავაყოლეთ მაღალი მთების ფერდობებამდე. აქ ალპები ტბასთან უფრო ახლოს არიან. მთების ამფითეატრს მივუახლოვდით, რომლებიც ტბას აღმოსავლეთიდან შემოჯარვიან. ევიანის მწვერვალები შემოგარენის ტყეების თავზე ელვარებდნენ.

ქარი, რომელიც ჯერაც საოცარი სისწრაფით მიგვაქანებდა, დაისისთვის ჩადგა, მსუბუქი ნიავით შეიცვალა. მისი ნაზი ქროლვა წყალს ოდნავ ალიცლიცებდა და ხეების ფოთლებსაც საამურად აშრიალებდა, როცა ნაპირს მივუახლოვდით, საიდანაც ყვავილებისა და ნამჯის საამური სუნი შემოგვეფრქვა, ჩამოვქვეითდით. მზე უკვე ჰორიზონტს ეფარებოდა. ის იყო, მიწას შევახეთ ფეხი, რომ ისევ ვიგრძენი, როგორ გამოცოცხლდა ჩემში შიში და ნერვიულობა, რომლებსაც სულ მალე ეწერათ, სამუდამოდ დაესადგურებინათ ჩემში.

XXIII თავი

რვა საათი იყო, როცა ნაპირზე გადავედით. ცოტა კიდევ გავისეირნეთ სანაპიროზე, მიმქრალი შუქის ძიებაში, მერე კი სასტუმროსკენ გავწიეთ, ბინდში ჩაძირული წყლის, ტყეებისა და მთების ლამაზი ხედებით დამტკბარნი.

სამხრეთის ქარი ჩაწყნარდა, სამაგიეროდ, ახალი ძალით დაუბერა დასავლეთიდან. მთვარემ ცაზე უმაღლეს წერტილს მიაღწია და დაშვება დაიწყო. ღრუბლები მასზე მტაცებელ ფრინველებზე უფრო სწრაფად დაცურავდნენ და მის სხივებს ფარავდნენ, ტბა კი მოუსვენარ ცას აირეკლავდა, რომელიც იქ კიდევ უფრო მოუსვენარი ჩანდა აქაფებული ტალღების გამო. მოულოდნელად წვიმამაც დაუშვა.

მთელი დღე მშვიდად ვიყავი, მაგრამ როგორც კი საგნების ფორმები წყვდიადში გაიფანტა, შიში დამეუფლა. აღელვებული და დამფრთხალი ვიყავი. მარჯვენა ხელით პისტოლეტს ვიჭერდი, უბეში ჩამალულს. თითოეული ბგერა მაშინებდა, მაგრამ გადავწყვიტე, ჩემი სიცოცხლე ძვირად გამეყიდა და ორთაბრძოლისგან არ ამერიდებინა თავი, სანამ მკვდარი არ დავეცემოდი ან ჩემს მოწინააღმდეგეს არ გავანადგურებდი.

ელიზაბეტი მცირე ხანს ადევნებდა თვალს ჩემს მღელვარებას, მდუმარებაში ჩაძირული. ალბათ ჩემს მზერაში იყო რაღაც, რაც მას აშინებდა, მთელი სხეულით აკანკალებულმა მკითხა: – რაღაც გაშფოთებს, საყვარელო ვიქტორ? რისი გეშინია?

– ო, დამშვიდდი, დამშვიდდი, ჩემო საყვარელო, – ვუპასუხე ნაძალადევი სიმშვიდით, – გაივლის ეს ღამე და ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ეს ღამე ძალიან საშიშია, ძალიან საშიში.

ასეთ განწყობაზე მყოფმა გავლიე დაახლოებით ერთი საათი, რომ უცებ იმაზეც ვიფიქრე, რა საზარელი იქნებოდა ჩემი ცოლისთვის შეტაკება, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდი. შევეცადე, დავეტოვებინე, გადავწყვიტე, მასთან არ მივსულიყავი, სანამ არ გავარკვევდი, სად იყო ჩემი მტერი.

დამტოვა და მცირე ხანს სახლის დერეფნებში მოვყევი ბოლთის ცემას, ყველა კუთხე-კუნჭულს ვათვალიერებდი, რომელიც კი შეიძლებოდა ჩემი მეტოქისთვის სამალავად გამომდგარიყო. მაგრამ ვერავითარი კვალი ვერ ვიპოვე და უკვე იმაზე დავიწყე ფიქრი, რომ რაღაც იღბლიანმა შემთხვევითობამ მას ხელი შეუშალა თავისი მუქარის აღსრულებაში, როცა უცებ საზარელი, გულის გამყინავი ღრიალი მომესმა. ის იმ ოთახიდან გამოდიოდა, სადაც ელიზაბეტი განმარტოვდა. ამ ყვირილის გაგონებისთანავე ყველაფერს მივხვდი; ხელები ძირს დავუშვი, სხეულის ყველა კუნთი გამეყინა; ძარღვებში სისხლის ძლიერი ცემა ვიგრძენი. ამ მდგომარეობამ სულ ერთ წამს გასტანა; ღრიალი განმეორდა და ოთახში შევვარდი...

ღმერთო მაღალო! როგორ არ მოვკვდი მაშინ! რატომ ვარ ახლა აქ და ვყვები ჩემი იმედებისა და ამქვეყნად ყველაზე სუფთა არსების დაღუპვის შესახებ! ლოგინზე გართხმული იწვა, უსიცოცხლო და უძრავი; თავი ძირს დაეკიდა, მისი სახის ფერმიხდილი და დამახინჯებული ნაკვთები ნახევრად დაეფარა თმას. საითაც უნდა გავიხედო, ყველგან ვხედავ მის უსისხლო ხელებს და უძლურ სხეულს, რომელიც მკვლელს საქორწინო სარეცელზე დაეგდო. როგორ შემეძლო ამის შემდეგ ცოცხალი დავრჩენილიყავი? ვაი, რომ ცხოვრება ჯიუტია და მით უფრო ძლიერად გვეჭიდება, რაც უფრო მეტად გვძულს იგი. წუთით გონება დავკარგე და უგრძნობი იატაკზე დავეცი.

გონს რომ მოვედი, სასტუმროს ბინადრების გარემოცვაში ვიყავი. ყველას სახეზე შიში ეწერა, მაგრამ ეს იმ გრძნობების ყველაზე სუსტი ანარეკლი იყო, რაც მე მფატრავდა. ოთახში დავბრუნდი, სადაც ელიზაბეტის სხეული ესვენა, ჩემი საყვარელი ცოლის, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ცოცხალი იყო და ისეთი ძვირფასი, ასეთი ღირსი სიყვარულისა. პოზა, რომელშიც ის დამხვდა, უკვე შეცვლილიყო; ამჯერად გამართული იწვა, თავი ხელზე ესვენა, სახესა და ყელზე კი ხელსახოცი ეფარა, შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ეძინა. გააფთრებული მივვარდი და მოვეხვიე. მაგრამ უსიცოცხლო და ცივ სხეულთან შეხებამ შემახსენა, რომ უკვე აღარ მყავდა

ელიზაბეტი, რომელიც ასე ნაზად მიყვარდა. ყელზე მკაფიოდ აჩნდა დემონის მომაკვდინებელი თითების კვალი და მისი ნესტოებიდან სუნთქვა აღარ ამოდიოდა.

მის თავს დამხობილმა, სასოწარკვეთილებით მოცულმა, შემთხვევით გარშემო მიმოვიხედე. ოთახის ფანჯრები ადრე ჩაბნელებული იყო, ახლა კი ძრწოლით შევნიშნე, რომ ოთახი მთვარის ფერმკრთალ ყვითელ შუქს გაენათებინა. დარაბებიც ღია იყო. ენით აუწერელი შიშის თანხლებით დავლანდე ღია ფანჯარაში ჩემთვის საძულველი და საზარელი ფიგურა. ურჩხულის სახე დამცინავ ღიმილს დაემანჭა. თითქოს ნიშნს მიგებდა, თან თავისი ეშმაკეული თითით ჩემი ცოლის გვამისკენ მიმანიშნებდა. ფანჯარას ვეცი და უბიდან პისტოლეტი ამოვიძრე, გავისროლე, მაგრამ მან მოასწრო გვერდზე გახტომა, მიტრიალდა და ელვის სისწრაფით გაიქცა ტბისკენ.

გასროლის ხმაზე ოთახში ხალხი შეიკრიბა. ვუჩვენე მიმართულება, საითაც ის გაიქცა და ნავებით დავედევნეთ, ბადეებს ვისროდით, მაგრამ ამაოდ. რამდენიმესაათიანი ძიების შემდეგ დავბრუნდით, მთლად უიმედონი. ჩემი ბევრი თანამგზავრი ვარაუდობდა, რომ ეს ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო. ნაპირზე გამოსულები, ჯგუფებად დაყოფილები იმ მიდამოებში განაგრძობდნენ ძიებას, სხვადასხვა მხარეს დანაწილებულნი, ტყესა და ვენახებს უვლიდნენ.

ვეცადე, მათ თან ვხლებოდი და სახლიდან გარკვეულ მანძილზე გავყევი კიდეც, მაგრამ თავი მიბრუოდა, მთვრალივით გადავადგილდებოდი და ბოლოს მთლად ქანცგაცლილი დავეცი; თვალები დამებინდა, კრუნჩხვები მომერია. ამ მდგომარეობაში მყოფი უკან, სახლში შემიყვანეს და ლოგინზე დამაწვინეს. ძლივს ვაცნობიერებდი, რა მოხდა, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, თითქოს რაღაცას ვეძებდი, რაც დავკარგე.

გარკვეული დრო გავიდა. წამოვდექი და ინსტინქტურად ისევ იმ ოთახისკენ გავწიე, სადაც ჩემი სატრფოს სხეული ესვენა. გარშემო მოქვითინე ქალები ედგნენ. ცხედართან მივედი და მათ ცრემლებს ჩემი მწარე ცრემლები შევმატე. მთელი ეს დრო არც ერთი მკაფიო აზრი არ მომსვლია თავში. ფიქრები საგნიდან საგანზე ხტოდნენ, ბუნდოვნად აირეკლავდნენ ჩემს უბედურებებს და მათ მიზეზს. რაღაც საშინელებების ზღვაში ვიძირებოდი. უილიამის სიკვდილი, ჟუსტინას სიკვდილით დასჯა, კლერვალის მკვლელობა და ბოლოს, ჩემი ცოლის. ამ მომენტშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემს უკანასკნელ ცოცხლად დარჩენილ ახლობლებსაც არ ემუქრებოდათ საფრთხე პირსისხლიანი ურჩხულისგან. შესაძლოა, მამაჩემი სწორედ ამ წუთს მასთან იყო ჩართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ერნესტი კი მის ფერხთით ეგდო მკვდარი. ამ ფიქრმა კიდევ ერთხელ დამკრუნჩხა და მოქმედებისკენ მიბიძგა. ფეხზე წამოვხტი და გადავწყვიტე, სასწრაფოდ დავბრუნებულიყავი ჟენევაში.

ცხენები ვერ ვიშოვე და იძულებული გავხდი, ისევ ტბით მესარგებლა, მაგრამ საზიზღარი ქარი უბერავდა და წვიმაც ნიაღვარივით მოდიოდა. თუმცა ჯერ კიდევ არ

გათენებულიყო და იმედი მქონდა, ღამემდე მივაღწევდი. ნიჩბოსნები დავიქირავე და თვითონაც ჩავაფრინდი ნიჩაბს, ფიზიკური შრომა ყოველთვის მიმსუბუქებდა სულიერ ტანჯვას. თუმცა ახლა ზღვა მწუხარება და უკიდურესი მღელვარება მაუძლურებდა. ნიჩაბი მოვისროლე, თავი ხელებში ჩავრგე და ნებაზე მივუშვი პირქუში ფიქრები, რომლებიც გონებაში მიტრიალებდნენ. საკმარისი იყო გარშემო მიმომეხედა, ჩემთვის ნაცნობ სურათებს ვხედავდი, რომლებიც გაცილებით უფრო ბედნიერი დღეებიდან მეცნობოდა. სულ ერთი დღის წინ მათით ვტკბებოდი მის საზოგადოებაში, ვინც ახლა მხოლოდ ჩრდილად და მოგონებად იქცა. თვალებიდან ცრემლები მცვიოდა. წვიმა მცირე ხანს შეწყდა და თევზები დავინახე, რომლებიც წყალზე ლივლივებდნენ, როგორც მაშინ, ადრე. მაშინ მათ ელიზაბეტი უყურებდა. არაფერი იწვევს ჩვენში უფრო მტანჯველ განცდებს, ვიდრე მკვეთრი და მოულოდნელი ცვლილება. მზე ანათებდა თუ ღრუბლები იკრიბებოდა, უკვე არაფერი წარმოდგებოდა ჩემთვის ისეთივე ეშხით, როგორც მანამდე. ურჩხულმა მომავალი ბედნიერების ყოველგვარი იმედი წამართვა; აქამდე არასდროს ყოფილა ჩემზე უფრო უბედური ქმნილება, არც ერთ ადამიანს არ განუცდია უფრო საზარელი მოვლენები.

მაგრამ რატომ უნდა შევჩერდე დაწვრილებით ეპიზოდებზე, რომლებიც ჩემს უკანასკნელ უბედურებას მოჰყვა? ჩემი მონათხრობი ისედაც საშინელებებით არის სავსე. მივაღწიე მათ ზღვარს და იმან, რასაც ახლა გიამბობთ, შეიძლება მოგაწყინოთ კიდეც. მაშ იცოდეთ, რომ ჩემს ახლობლებს ერთმანეთის მიყოლებით წაერთვათ სიცოცხლე. მე მარტოსული დავრჩი. მაგრამ ძალა აღარ მაქვს, ამიტომ შემიძლია მხოლოდ მოკლედ დავასრულო ჩემი საზარელი ამბის თხრობა.

ჟენევაში ჩავედი. მამაჩემი და ერნესტი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, მაგრამ პირველი ჩემ მიერ მიტანილი ცნობების სიმძიმემ დაღუპა. აშკარად ვხედავ ახლა კეთილ და დარბაისელ მოხუცს!

მისი ცარიელი თვალები სივრცეს მისჩერებოდნენ, რადგან მან თავისი უსაზღვრო სიხარული – თავისი ელიზაბეტი დაკარგა, რომელიც მისთვის მეტს ნიშნავდა, ვიდრე ქალიშვილს, მთელი გრძნობით უყვარდა, რომლის უნარიც კი ჰქონდა ხანდაზმულ ადამიანს, როცა მას მცირე გატაცებებიღა დარჩენია, მაგრამ მით უფრო ძლიერად ეჭიდება დარჩენილ სიამეებს. წყეულიმც იყოს და კიდევ ერთხელ წყეულიმც იყოს ეშმაკი, რომელმაც ამდენი უბედურება დაატეხა მის ჭაღარა თავს, გაწირა ნელი, სევდიანი კვდომისთვის! მას არ შეეძლო სიცოცხლე გაეგრძელებინა ამდენი უბედურების შემდეგ. სასიცოცხლო ძალები ამოეწურა; ლოგინიდან ვეღარ დგებოდა და რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს ხელებში დალია სული.

რა დამემართა მაშინ? არ ვიცი, რეალობის განცდა დავკარგე და მხოლოდ წნეხად ქცეულ სიმძიმესა და სიბნელეს ვგრძნობდი. ხანდახან მელანდებოდა, რომ აყვავებულ მდელოებსა და ფერადოვან ველებზე დავბორიალებდი ჩემი სიყმაწვილის მეგობრებთან ერთად. მაგრამ რაღაც საპყრობილეში მეღვიძებოდა. ამას მოჰყვებოდა დარდის შემოტევები, თუმცა თანდათანობით მკაფიოდ გავაცნობიერე საკუთარი

მწუხარება და საკუთარი მდგომარეობა... და მაშინ გამათავისუფლეს. თურმე, გიჟად ჩამთვალეს და როგორც შემეძლო გამეგო, ხანგრძლივი თვეების განმავლობაში ჩემს სამყოფლად შეშლილთა სახლის განმარტოებული პალატა ქცეულიყო.

თუმცა თავისუფლება ჩემთვის უსარგებლო ძღვენი იქნებოდა, რომ იმასთან ერთად, თუ როგორ მიბრუნდებოდა საღი აზრი, ჩემში შურისძიების განცდაც არ ამეტყველებულიყო. როცა დამიბრუნდა ცნობიერება და ყველა უბედურება გავიხსენე, მათ მიზეზზე ჩავფიქრდი – ურჩხულზე, რომელიც შევქმენი, ამაზრზენ დემონზე, რომელიც ქვეყანას მოვავლინე ჩემივე დასაღუპად. საშინელი მრისხანება მიპყრობდა, როცა მასზე ვფიქრობდი. მწადდა და მხურვალედ ვლოცულობდი, რომ ჩემს ხელთ აღმოჩენილიყო და მის წყეულ თავზე გადმომენთხია უდიდესი და სამართლიანი შურისძიება.

ჩემი სიძულვილი დიდხანს ვერ შემოიფარგლებოდა უნაყოფო სურვილებით. გადავწყვიტე მისი განხორციელების საუკეთესო საშუალებებზე მეფიქრა. ამ მიზნით, საავადმყოფოდან გამოსვლიდან დაახლოებით ერთ თვეში სისხლის სამართლის საქმეების საქალაქო მსაჯულს მივმართე და განვუცხადე, რომ ბრალდების წარდგენა მსურდა; რომ ჩემთვის ცნობილი იყო ჩემი ახლობლების მკვლელის ვინაობა და რომ მისგან ვითხოვდი მთელი მისი ძალაუფლების გამოყენებას ამ მკვლელის შესაპყრობად.

მსაჯულმა ყურადღებით და კეთილგანწყობით მომისმინა.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სერ, – მითხრა მან, – ძალასა და შრომას არ დავიშურებ, რომ დამნაშავე დავიჭიროთ.

– გმადლობთ, – მივუგე ოდნავ დამშვიდებულმა, – ამიტომაც მოუსმინეთ ჩემს ჩვენებას, რომლის მოცემასაც ვგეგმავ. ეს მართლაც ძალიან უცნაური ამბავია და ვშიშობ, არ დამიჯერებთ, თუმცა ჭეშმარიტებაში, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს იგი, არის რაღაც, რაც გაიძულებს მისი ირწმუნო. ჩემი ნაამბობი მეტისმეტად შეკრული და აწყობილი იქნება, რათა ის წარმოსახვის ნაყოფად მიიჩნიოთ, და არავითარი საფუძველი არ მაქვს, რომ ვიცრუო.

ეს ყველაფერი პათეტიკურად, თუმცა კი მშვიდად ვთქვი. სულის სიღრმეში გადავწყვიტე, რომ თვით სიკვდილამდე მედევნა ჩემი დამლუპველისთვის. ეს მიზანი, რომელიც საკუთარ თავს დავუსახე, ჩემს ტანჯვას ამსუბუქებდა და მან გარკვეული ხნით ცხოვრებასთანაც შემარიგა. ახლა მთელი ამბავი მოკლედ, მაგრამ მტკიცედ და მკაფიოდ გადმოვეცი, ზუსტი თარიღების დასახელებით და წყევლის თუ ჩივილისგან თავის შეკავებით.

თავდაპირველად მსაჯული, ჩანდა, ჩემს ნაამბობს სრული უნდობლობით მიუდგა, მაგრამ თანდათანობით სულ უფრო მეტ ყურადღებასა და ინტერესს იჩენდა. შევნიშნე, რომ შიშისგან კრთოდა, ხანდახან კი სახეზე ეჭვთან შეზავებული გაოცება ეხატა.

თხრობა რომ დავასრულე, ვუთხარი: „აი არსება, რომელსაც მე ბრალს ვდებ და მოგიწოდებთ, მთელი თქვენი ძალა გამოიყენოთ, რომ შეიპყროთ და დასაჯოთ. ეს თქვენი მოვალეობაა. მჯერა და ვიმედოვნებ, რომ თქვენი ადამიანური გრძნობები ამ შემთხვევაში არ მოგცემთ საშუალებას თქვენზე დაკისრებულ მოვალეობებს თავი აარიდოთ“.

ამ მიმართვამ თანამოსაუბრის სახეზე მკვეთრი ცვლილება გამოიწვია. ისეთი ნახევრად რწმენით მისმენდა, რითაც უსმენენ ხოლმე ამბებს იდუმალ და ზებუნებრივ მოვლენებზე. მაგრამ როცა მოვუწოდე, ოფიციალურად ემოქმედა, უწინდელი უნდობლობა დაუბრუნდა. სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მაინც რბილად მიპასუხა: – სიამოვნებით გაგიწევდით ნებისმიერ სამსახურს დამნაშავის დასაკავებლად; მაგრამ ქმნილება, რომლის შესახებაც თქვენ საუბრობთ, სავარაუდოდ, ისეთი ძალით არის აღჭურვილი, მთელ ჩემს მცდელობებს გააცამტვერებს. აბა, ვის შეუძლია იმ ცხოველის დევნა, რომელსაც ყინულოვანი ზღვის გადალახვის უნარის აქვს და გამოქვაბულებსა და სოროებში ცხოვრობს, სადაც ვერც ერთი ადამიანი ვერ გაბედავს შეღწევას? გარდა ამისა, ჩადენილი დანაშაულის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და ძნელი გამოსაცნობია, საით შეიძლებოდა ის გამგზავრებულიყო და ახლა სად შეიძლება ბინადრობდეს.

– ვეჭვობ, რომ ის სადღაც ახლო-მახლო ტრიალებს. ხოლო თუ მართლაც იპოვა თავშესაფარი ალპებში, მასზე თავისუფლად შეიძლება ნადირობის წამოწყება, როგორც არჩვზე, და შემდეგ – განადგურება, ისე, როგორც მტაცებელი ცხოველის. მაგრამ მე ვხვდები თქვენს აზრებს: არ გჯერათ ჩემი ნაამბობის და ამიტომაც არ აპირებთ ჩემი მტრის დევნას და მის დასჯას.

ამ დროს თვალები რისხვით ამენთო. მსაჯული შეცბა.

– თქვენ ცდებით, – მომიგო, – ძალებს არ დავიშურებ და გჯეროდეთ, რომ ის ღირსეულ სასჯელს მიიღებს. მაგრამ ვშიშობ, თქვენივე აღწერას თუ ვენდობით, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, – ამგვარად, ყველა ზომის მიუხედავად, არ არის გამორიცხული, თქვენ იმედგაცრუება გელოდეთ.

– ეს შეუძლებელია, მაგრამ თქვენი დარწმუნება ამაოა. ჩემი შურისძიება თქვენთვის არაფერს ნიშნავს. გეთანხმებით, რომ ეს ცუდი განცდაა, მაგრამ ვაღიარებ, რომ ის ყოვლისმშთანთქმელი და ერთადერთი ვნებაა ჩემს სულში დარჩენილი, წარმოუდგენელია ჩემი მრისხანების გამოხატვა, როცა იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ შექმნილი მკვლელი ჯერ კიდევ ცოცხალია. თქვენ უარს ამბობთ ჩემი სამართლიანი მოთხოვნის შესრულებაზე. ერთადერთი საშუალებაღა დამრჩენია და საკუთარ თავს, ჩემს სიცოცხლეს და სიკვდილს მისი განადგურების საქმეს მივუძღვნი.

ამ სიტყვების თქმისას მთლად ვცახცახებდი. ჩემს საუბარში სიგიჟე კრთებოდა და ალბათ რაღაც იმ უზადო პირქუშობისა, რომლითაც, როგორც ამბობენ, უხსოვარი დროის წამებულები გამოირჩეოდნენ. მაგრამ ჟენეველი მოსამართლისთვის,

რომელსაც თავი სულ სხვა ფიქრებით ჰქონდა გამოტენილი, ვიდრე მსხვერპლშეწირვის თუ ჰეროიზმის იდეა იყო, ასეთი აღგზნებადობა უფრო შეშლილობასთან ასოცირდებოდა. სცადა დავემშვიდებინე, ისევე, როგორც ძიძა ამშვიდებს ბავშვს და ჩემს მონათხრობს ისევე მიუდგა, როგორც ნაბოდვარს.

– ო, ადამიანებო, – წამოვიყვირე, – რა უმეცრები ხართ, არადა, თქვენი სიბრძნით მოგაქვთ თავი! საკმარისია! თვითონაც არ იცით, რას ამბობთ.

მისი სახლიდან გაღიზიანებული და აღელვებული გამოვიქეცი და მოქმედების სხვა საშუალებებზე დავიწყე ფიქრი.

XXIV თავი

იმ მდგომარეობაში ვიყავი, როცა გონივრულად აზროვნების უნარი არ გვაქვს. მძვინვარებამ მომიცვა, მაგრამ შურისძიების წყურვილმა ძალა შემმატა და თითქოს დამამშვიდა კიდეც. მან მაიძულა, თავი ხელში ამეყვანა და დამეხმარა, ანგარიშიანი და ცივსისხლიანი ვყოფილიყავი ისეთ წუთებშიც, როცა სიგიჟე ან სიკვდილი მელოდა.

ჩემი პირველი გადაწყვეტილება იყო, სამუდამოდ დამეტოვებინა ჟენევა. სამშობლო, ჩემთვის ესოდენ ძვირფასი მაშინ, როცა იქ ბედნიერი ვიყავი და როცა ყველას ვუყვარდი, ახლა საძულველი გახდა. ფული მოვიმარაგე, განსვენებული დედაჩემის კუთვნილი ცოტა ძვირფასეულობაც გავიყოლე და გავემგზავრე.

მას მერე დაიწყო ხეტიალი, რომელიც მხოლოდ ჩემს სიცოცხლესთან ერთად დასრულდება. პლანეტის უდიდესი ნაწილი შემოვიარე და ყველა ის სირთულე და განდეგილობის სიმწარე ვიგემე, რაც ჩვეულებრივ ერგებათ ხოლმე მოგზაურებს უდაბნოებსა და ველურ მხარეებში. არ ვიცი, როგორ გადავრჩი. არაერთხელ მიწაზე დავწოლილვარ არაქათგამოცლილი და ღმერთს სიკვდილს შევთხოვდი, მაგრამ შურისძიების წყურვილი სიცოცხლეს მინარჩუნებდა. უფლება არ მქონდა, მოვმკვდარიყავი და ჩემი მტერი ცოცხალი დამეტოვებინა.

ჟენევიდან გამგზავრების შემდეგ ჩემი მთავარი საზრუნავი იყო საძულველი დემონის კვალის მოძებნა, მაგრამ არავითარი გარკვეული გეგმა არ მქონია. დიდხანს დავწანწალებდი ქალაქის შემოგარენში, წარმოდგენაც არ მქონდა, რომელი მხარისკენ ამეღო გეზი.

ერთ დღესაც, შებინდებულზე, იმ სასაფლაოს კარიბჭესთან აღმოვჩნდი, სადაც უილიამი, ელიზაბეტი და მამა იყვნენ დაკრძალულნი. შევედი და მათ საფლავებს

მივეახლე. გარშემო მდუმარება იყო ჩამოწოლილი და მხოლოდ ფოთლები შრიალებდნენ, რომლებსაც ნიავი ოდნავ არხევდა. ბნელი ღამე იდგა, უცხო მაყურებლისთვისაც კი იყო აქ რაღაც ამაღელვებელი. თითქოს გარდაცვლილთა მოჩვენებები დაფარფატებდნენ და თან უხილავ, თუმცა კი საგრძნობ ჩრდილს სცემდნენ მათ საგლოვად მოსულს.

ღრმა მწუხარება, რომელიც თავდაპირველად განვიცადე, მალევე შეიცვალა მრისხანებით. ისინი სამარეში იწვნენ, მე კი ვცოცხლობდი, ცოცხლობდა მათი მკვლელიც და მე უნდა გამეჯანჯლებინა ჩემთვის საძულველი ცხოვრება იმისთვის, რომ მათი მკვლელი გამენადგურებინა. ბალახში მუხლებზე დავემხე, მიწას ვემთხვიე და ათრთოლებული ტუჩებით ვთქვი: „ვფიცავ იმ წმინდა მიწას, რომელზეც ვდგავარ, ჩრდილებს, რომლებიც გარშემო დაფრინავენ, ჩემს ღრმა და უნუგეშო მწუხარებას, ვფიცავარ შენს თავს, ღამევ, და იმ ძალებს, რომლებითაც შენ იმართები, რომ დავედევნები ეშმაკს, ყველა უბედურებაში დამნაშავეს, სანამ ან ის ან მე არ დავიღუპებით სასიკვდილო შერკინებაში. სწორედ ამისთვის არ ვწყვეტ ცხოვრებას, ამ ტკბილი შურისძიებისთვის კვლავ ვაგრძელებ მზის ხილვას და მწვანე ბალახზე სიარულს, რომლებიც სხვა შემთხვევაში სამუდამოდ გაქრებოდნენ ჩემთვის. მიცვალებულთა სულებო! და თქვენც, შურისძიების სულებო! დამეხმარეთ და გეზი მიჩვენეთ. დაე, წყეულმა ჯოჯოხეთურმა ურჩხულმა ბოლომდე შესვას ტანჯვათა ფიალა, დაე, შეიგრძნოს ის სასოწარკვეთა, რასაც მე განვიცდი“.

ეს შეფიცვა აღელვებულმა, ხმადაბლა დავიწყე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემთვის ძვირფასი მიცვალებულების სულებს ესმოდათ ჩემი და მხარში მედგნენ. ბოლოს შურისგების ცოფმა ამიტანა და ხმა მრისხანებისგან ჩამეხრინწა.

პასუხად ღამის სიჩუმიდან ხმამაღალი, ეშმაკეული ხარხარი გაისმა. დიდხანს მიწუოდა ყურებში, მთის ექო მას იმეორებდა და თითქოს მთელი ჯოჯოხეთი დაცინვით მდევდა თან. ამ წუთს, სასოწარკვეთის შემოტევისას, ჩემს უბადრუკ სიცოცხლეს ბოლოს მოვუღებდი, რომ არა ჩემი აღთქმა. ეს აღქთმა მოსმენილ იქნა და მე მეწერა სიცოცხლე, რათა შური მეძია. სიცილი მიწყდა და ჩემთვის ნაცნობმა ამაზრზენმა ხმამ, სადღაც ზედ ჩემს ყურთან, გესლიანად ჩაილაპარაკა: „მე კმაყოფილი ვარ, შენ გადაწყვიტე იცოცხლო, უბედურო! მე კმაყოფილი ვარ!“

იქით ვეცი, საიდანაც ხმა შემომესმა, მაგრამ დემონი ხელიდან დამიძვრა. სავსე მთვარემ გამოიჭყიტა და მახინჯი, ავბედითი ფიგურა გაანათა, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის წარმოუდგენელი სიჩქარით მირბოდა.

დავედევნე და მრავალი თვე მივყვებოდი მის კვალს. რაინზეც დავეშვი მის დევნაში, მაგრამ ამაოდ... ლურჯი ხმელთაშუა ზღვა გამოჩნდა. შემთხვევით მოვკარი თვალი ღამით, როგორ მიიმალა მტარვალი შავი ზღვის ნაპირებისკენ მიმავალი გემის ტრიუმში. იმავე გემზე დავჯექი, მაგრამ მან რაღაც უხილავი გზებით ისევ მოახერხა გაუჩინარება.

მის კვალზე წავედი რუსეთისა და აზიის უკიდეგანო ველებით, თუმცა გამუდმებით მისხლტებოდა ხელიდან. ხანდახან გლეხები, საზარელი არსების ხილვით დაშინებულნი, მეუბნებოდნენ, საით წავიდა. ისეც ხდებოდა, რომ თვითონ ურჩხული, სასოწარკვეთისგან რომ არ მოვმკვდარიყავი, თუ მთლად დავკარგავდი მის კვალს, რაღაც ნიშანს დამიტოვებდა, რომელიც მის კვალს დასადგომად გამომადგებოდა.

შუქი ეცემოდა და თეთრ ფერდობზე მისი უშველებელი ფეხების ნაკვალევს ვხედავდი. თქვენ, რომელმაც ჯერ კიდევ ახლა შეაბიჯეთ ცხოვრებაში და არ იცნობთ მის სიმძიმეებსა და სატანჯველს, ვერ გაიგებთ, რა გადავიტანე ან ახლა რისი ატანა მიწევს. სიცივე, შიმშილი და დაღლილობა მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რისი მოთმენაც მომიხდა. წყევლა მაწვა კისერზე და მარადიულ ჯოჯოხეთს ვატარებდი საკუთარ თავში, თუმცა ერთგვარი მფარველი სულიც მდევდა, რომელიც ჩემს ნაბიჯებს მიმართულებას აძლევდა. როცა ყველაზე მეტად ვეცემოდი ძირს და უკვე ფორთხვით ვიკვლევდი გზას, ის მიხსნიდა სირთულეებისგან, რომლებიც გადაულახავი მეჩვენებოდა. ყოფილა შემთხვევები, შიმშილით გათანგული ჩემი სხეული უარს მეუბნებოდა, რომ ჩემთვის ემსახურა. მაშინ უდაბნოში ტრაპეზს ვპოულობდი, რომელიც ძალებს აღმიდგენდა. ეს იყო უხეში საკვები, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი მიირთმევდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ის სულები მთავაზობდნენ, რომელთაც დასახმარებლად ვუხმობდი. ხშირად, როცა გარშემო ყველაფერი ხმებოდა, ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ ჭაჭანებდა და წყურვილი მტანჯავდა, პაწაწინა მსუბუქი ღრუბლის ფთილა გამოჩნდებოდა, მაცოცხლებელ წვეთს გადმომიგდებდა და ქრებოდა.

იქ, სადაც შესაძლებელი იყო, მდინარის ნაპირს მივუყვებოდი, მაგრამ დემონი ამ გზებიდან მოშორებით დაწანწალებდა, რადგან ისინი უფრო დაუსახლებელი იყო. სხვა ადგილებში ადამიანები თითქმის არ მხვდებოდა, ამიტომ შემხვედრი ცხოველების ხორცით ვიკვებებოდი. თან მქონდა ფული და ადგილობრივ მკვიდრთ ვუნაწილებდი და მათი სამსახურით ვსარგებლობდი. ან კიდევ, ჩემ მიერ მოკლული მტაცებელი მიმქონდა, ჩემთვის სულ მცირე ნაწილს ვიტოვებდი, დანარჩენს კი მათ ვუტოვებდი, ვინც ცეცხლით და საკვების მოსამზადებლად აუცილებელი სხვა საჭიროებებით უზრუნველმყოფდა.

ასე ცხოვრება აუტანელი იყო ჩემთვის და მხოლოდ ძილში თუ ვპოულობდი შვებას. დალოცვილი ძილი! ხშირად, როცა განსაკუთრებით უბედურად ვგრძნობდი თავს, ვიძინებდი და სიზმრებს ნეტარება მოჰქონდათ. ბედნიერების ეს საათები ჩემი მფარველი სულების ძღვენი იყო, რომ ძალები არ დამეკარგა და ბოლომდე გამეძლო. რომ არა ეს სულის მოთქმა, ვერ ავიტანდი ამ განდეგილობას. დღის განმავლობაში ღამით დასვენების სურვილი მინარჩუნებდა ძალას. სიზმრად ვნახულობდი მეგობრებს, ცოლს და საყვარელ სამშობლოს. ისევ ჩავყურებდი მამას კეთილ თვალებში, ელიზაბეტის წკრიალა ხმა მესმოდა, კლერვალს ვხვდებოდი, ჭაბუკსა და საღსალამათს. ხშირად რთული უღელტეხილებით გათანგული თავს ვიმშვიდებდი, რომ ჩემი დღე ძილი იყო, გამოფხიზლება კი ღამით მეწერა ახლობლების წრეში. რა

მტანჯველ სინაზეს ვგრძნობდი მათდამი! როგორ ვეჩიდებოდი მათ საყვარელ ხელებს, როცა კვლავ და კვლავ მეცხადებოდნენ ფხიზელსაც კი, როგორ ვარწმუნებდი თავს, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ! იმ წუთებში ჩემში აბრდღვიალებული შურისძიების კოცონი ცოტა ხნით წყნარდებოდა, დემონის დევნა უფრო ზეციურ ბრძანებად მესახებოდა. რაღაც ძალის ქმედებად, რომელსაც გაუცნობიერებლად ვემორჩილებოდი, ვიდრე ჩემს საკუთარ სურვილად.

არ ვიცი, რას განიცდიდა ის, ვისაც მე ვდევდი. ხანდახან ნიშნებსა და წარწერებს მიტოვებდა ხეების ტანზე ან ლოდებზე კვეთდა. ისინი მანიშნებდნენ გზას და ჩემს მძვინვარებას აათკეცებდნენ. „ჩემს მეუფებას ჯერ კიდევ არ მოღებია ბოლო, – იუწყებოდა ერთ-ერთი წარწერა, – შენ ცოცხლობ და შენც ჩემს ძალაუფლებაში ხარ. მომყევი თან, ჩრდილოეთის მარადიული ყინულებისკენ მივიწევ. გაიტანჯები სიცივისგან, რომლის მიმართაც მე უგრძნობი ვარ. აქ კი, თუ დიდხანს არ შეყოვნდები, კურდღლის ხორცს ნახავ, მიირთვი, გაძლიერდი. მომყევი თან, ჩემო მტერო, ჩვენ სიკვდილ-სიცოცხლის ორთაბრძოლა შეგვაერთებს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი წამება გელის წინ, სანამ ამ დღეს მოესწრები“.

დამცინავი ეშმაკი! ისევ ვფიცავ, რომ შურს ვიძიებ შენზე; ისევ გიძღვნი, წყეულო, სიკვდილსა და წამებას. არ მოგეშვები, სანამ ერთი ჩვენგანი არ დაიღუპება. მაშინ კი სიხარულით გავეშურები ელიზაბეტისა და ყველა ჩემი ახლობლისკენ, რომლებიც უკვე მიმზადებენ ჯილდოს ჩემი საშინელი მოგზაურობის ყველა ვარამისთვის!

იმის მიხედვით, თუ როგორ მივიწევდი წინ ჩრდილოეთისკენ, თოვლის საფარი სულ უფრო სქელდებოდა, სიცივე კი ძვალ-რბილში ატანდა. გლეხები თავიანთ ქოხებში იყვნენ გამოკეტილნი და თითო-ოროლა თუ გამოჩნდებოდა იმ ცხოველების დასაჭერად, რომლებსაც სიცივე აძევებდა გარეთ ნადავლის საძიებლად. მდინარეები ყინულს გაეყინა, თევზის მოპოვება შეუძლებელი გახდა და კვების მთავარი წყარო მომაკლდა.

რაც მეტად მიჭირდა, მით უფრო ხარობდა ჩემი მტერი. მის მიერ დატოვებული ერთ-ერთი წარწერა იუწყებოდა: „მოემზადე! შენი განსაცდელი მხოლოდ იწყება. გამოეხვიე ბეწვეულში, მოიმარაგე საკვები, ისეთ მოგზაურობაში მივეშურებით, რომ შენი სატანჯველი ჩემს დაუცხრომელ სიძულვილსაც კი დააცხრობს“.

ეს დამცინავი სიტყვები მხოლოდ სიმამაცესა და შეუპოვრობას მმატებდნენ. გადავწყვიტე, ჩემს განზრახვაზე ხელი არ ამეღო, ცას ვუხმე მაშველად და ურყევი ენერგიით შევუდექი თოვლიან ფერდობებს, სანამ ჰორიზონტზე ოკეანე არ გამოჩნდა. ო, როგორ არ ჰგავდა ის სამხრეთის ლურჯ ზღვებს! ყინულებით დაფარული, მიწისგან მხოლოდ ოდნავ ამაღლებული ზედაპირით გამოირჩეოდა. ოდესღაც ბერძნებს, რომელთაც აზიის გორებიდან ხმელთაშუა ზღვა დაუნახავთ, სიხარულისგან უტირიათ, რადგან ეს რთული გზის დასასრული იყო. მე არ ავტირებულვარ, მაგრამ გული ბოღმით ამევსო. მუხლებზე დაცემულმა კეთილ სულს შევწირე მადლობა,

რომელმაც მშვიდობიანად მიმიყვანა იქ, სადაც მტრის შეპყრობის და მისი იქედნური სიცილის მიუხედავად, მასთან შერკინების იმედი მქონდა.

რამდენიმე კვირით ადრე მარხილი და ძაღლები ვიშოვე და თოვლიან ტრამალებს არაჩვეულებრივი სისწრაფით ვევლებოდი. არ ვიცი, გადაადგილების რა საშუალებები ჰქონდა დემონს, მაგრამ თუ ადრე ყოველდღიურად სულ უფრო მეტად ჩამოვრჩებოდი ხოლმე, ახლა უკვე დაწევა დავიწყე. როცა პირველად დავინახე ოკეანე, დემონი მხოლოდ ერთი დღის სავალზე იყო ჩემ წინ და იმედი მქონდა, სანამ ის ნაპირს მიაღწევდა, მანამდე დავეწეოდი. გაორმაგებული ენერგიით დავიძარი წინისკენ და ორი დღის შემდეგ ერთ-ერთ უბადრუკ სანაპირო სოფელს მივადექი. მცხოვრებნი გამოვკითხე დემონის შესახებ და საკმაოდ ზუსტი ცნობებიც მივიღე. მითხრეს, რომ მახინჯი გოლიათი იქ წინა საღამოს ყოფილიყო, რომ თოფითა და რამდენიმე პისტოლეტით იყო შეიარაღებული და მისმა საზარელმა გარეგნობამ ერთ-ერთი განმარტოებული ქოხის ბინადარნი იქიდან გამოაქცია. მათგან საკვების მთელი ზამთრის მარაგი წაუღია, მარხილში გადაუტვირთავს, კიდევ რამდენიმე ძაღლიც წაუმძღვარებია და იმავე ღამეს, დამფრთხალი სოფლელების შვების მოსაგვრელად, გაუგრძელებია გზა, ზღვით, იქითკენ, სადაც არავითარი მიწა აღარ იყო. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ყინულის გახსნისთანავე ჩაიძირებოდა ან გაიყინებოდა.

ამ ცნობების შეტყობამ თავდაპირველად უიმედობაში ჩამაგდო. ისევ დამისხლტა და საშინელი და თითქმის უსასრულო გზა მელოდა გარინდული ოკეანის ყინულოვან ზედაპირზე, ისეთ ყინვაში, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნიც კი ვერ უძლებდნენ, მით უმეტეს, რა იმედი უნდა მქონოდა მე, თბილი ქვეყნების ბინადარს, რომ მას გადავიტანდი. მაგრამ იმის გაფიქრებაც კი, რომ დემონი იცოცხლებდა და იზეიმებდა, მაცოფებდა და შურისძიების წყურვილს მიჩენდა, რომელიც წყალდიდობასავით ძირავდა ყველა სხვა გრძნობას. ხანმოკლე შესვენების შემდეგ, რომლის დროსაც მიცვალებულთა აჩრდილები კვლავ ჩემ გარშემო დაქროდნენ და შურისძიებისკენ მაქეზებდნენ, ისევ მოვემზადე წასასვლელად.

ჩემი მარხილი გამოვცვალე – ყინულოვან ოკეანეზე სასიარულოდ უფრო მოსახერხებელი ვიქირავე, პროდუქტის დიდი მარაგი ვიყიდე და ნაპირიდან ზღვაზე გადავედი.

ვერ ვიტყვი, რამდენი დღე გავიდა მას მერე, მხოლოდ ის ვიცი, რომ ისეთი ტანჯვა გადავიტანე, რასაც ალბათ ვერ გავუძლებდი, რომ არა სამართლიანი შურისგების დაუცხრომელი წყურვილი. ხშირად გზაზე მელობებოდა ყინულის მასიური ლოდები. არც ისე იშვიათად ყინულის ქვეშ ტალღების დგაფუნის ხმაც კი მესმოდა, რომელიც დაღუპვით მემუქრებოდა. მაგრამ მერე ყინვა ისევ უჭერდა და ზღვაზე სიარულიც უფრო საიმედო ხდებოდა.

იმ პროდუქტის რაოდენობის მიხედვით, რომელიც გავხარჯე, ვივარაუდე, რომ გზაზე დაახლოებით სამი კვირა დავყავი. ძალა გამომელია, გამუდმებული

იმედგაცრუებისგან ხშირად მევსებოდა ცრემლებით თვალები, უძლურება და დარდი მამძიმებდა. უკვე სასოწარკვეთა მეუფლებოდა და, რა თქმა უნდა, სულ მალე დავმორჩილდებოდი მას და დავიღუპებოდი. მაგრამ ერთხელაც, როცა მარხილში შებმულმა საბრალო ცხოველებმა დაუჯერებელი სირთულით აათრიეს ციგა ყინულის მთის წვერზე და ერთ-ერთმა სასომიხდილმა ძაღლმა სული დალია, ნაღვლიანად მოვავლე მზერა ჩემ წინ გადაჭიმულ ფერდობს და უცებ მუქი წერტილი შევნიშნე. მზერა დავძაბე, რომ უკეთ გამერჩია და მოზეიმედ ავყვირდი: ეს მარხილი იყო, მასზე კი ჩემთვის კარგად ნაცნობი მახინჯი სხეული. იმედის მაცოცხლებელი ნაკადი ისევ ჩამეღვარა გულში. თვალები თბილმა ცრემლებმა ამივსო, მაშინვე შევიმშრალე, რომ დემონის ყურებაში ხელი არ შეეშალა, მაგრამ ცხელი სისველე კიდევ უფრო მიბინდავდა თვალებს და მღელვარებასთან ბრძოლის უუნაროთ ხმამაღლა დავიწყე ქვითინი.

თუმცა დროის გაწელვა აღარ შეიძლებოდა. მკვდარი ძაღლი მოვხსენი მარხილიდან და დანარჩენები მაძღრად დავანაყრე. ერთსაათიანი დასვენების შემდეგ, რომელიც აუცილებელზე აუცილებელი იყო, თუმცა კი ეს დრო მომქანცველად ხანგრძლივი მომეჩვენა, გზა განვაგრძე. მარხილი ჯერ კიდევ ჩანდა და სულ წამით თუ მეკარგებოდა თვალთაგან, როცა რომელიმე ყინულოვანი ღოდი ეფარებოდა. მნიშვნელოვნად ვეწეოდი და ორდღიანი დევნის შემდეგ სულ რაღაც მილის მანძილზე რომ აღმოვჩნდი მისგან, გული ამიჩქროლდა.

ჰოდა აი, უკვე ვაპირებდი ჩემს მტერს გააფთრებით ვცემოდი, რომ ბედმა კვლავ მიმუხთლა. ის დავკარგე, მთლად დავკარგე მისი კვალი, რაც ჯერ არც ერთხელ არ მომხდარა. ყინულმა გაპობა დაიწყო: ჩემ ქვეშ წყლის ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა. კვლავ წინ მივიწევდი, მაგრამ ყველაფერი ამაოდ. ქარი ამოვარდა, ზღვა ღმუოდა, უცებ ყველაფერი შეირყა, როგორც მიწისძვრის დროს და გამაყრუებელი გრგვინვით დაიმსხვრა. ეს ძალიან სწრაფად მოხდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემსა და ჩემს მტერს შორის ზღვა ღრიალებდა, მე კი მოწყვეტილი ყინული მიმაქანებდა, რომელიც სულ უფრო და უფრო სწრაფად პატარავდებოდა და საზარელ სიკვდილს მიმზადებდა.

ასე გავატარე მრავალი საათი. რამდენიმე ძაღლი მომიკვდა, თვითონაც მთლად დავუძლურდი უბედურებების უღელქვეშ, როცა თქვენი ღუზაჩაშვებული გემი შევნიშნე, რომელიც დახმარებასა და სიცოცხლეს მპირდებოდა. არც კი ვვარაუდობდი, რომ ხომალდები ასე შორს შეიჭრებოდნენ ჩრდილოეთისკენ და გაოგნებული ვიყავი. ნაჩქარევად დავამტვრიე ჩემი მარხილი, რომ ნიჩბები გამეკეთებინა, და მტანჯველი ძალისხმევით დავძარი გემისკენ ჩემი ყინულის ტივი. ისე რომ აღმოჩენილიყო, რომ თქვენ სამხრეთისკენ მიემართებოდით, მზად ვიყავი ტალღებს მივნდობოდი, ოღონდ კი უარი არ მეთქვა ჩემს განზრახვაზე. ვიმედოვნებდი, რომ დაგარწმუნებდით, ნავი მოგეცათ ჩემთვის, რათა ჩემი მტრის დევნა გამეგრძელებინა. მაგრამ თქვენ ჩრდილოეთისკენ გქონდათ გეზი აღებული. ბორტზე ამიყვანეთ, როცა მართლაც ზღვარზე ვიყავი, განდეგილობისგან გათანგული სიკვდილის პირას გახლდით,

მაგრამ ახლაც კი მეშინია მისი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ამოცანა ჯერ არ შემისრულებია.

ო, როდის მიმიყვანს ჩემი კეთილი ანგელოზი ურჩხულთან, მე კი ვიპოვი სასურველ სიმშვიდეს? ნუთუ მოვკვდები, ის კი იცოცხლებს? თუ ასეა, შემომფიცეთ, უოლტონ, რომ არ მისცემთ მას გაქცევის საშუალებას, რომ იპოვით და ჩემ მაგივრად იძიებთ შურს. მაგრამ რა არის ეს? ვბედავ ვითხოვო, რომ სხვამ გააგრძელოს ჩემი მოგზაურობა და გადაიტანოს ყველა ის სიმძიმე, რაც მე მერგო? არა, ასეთი პატივმოყვარე ნამდვილად არ ვარ. და მაინც, თუ ჩემი სიკვდილის შემდეგ ის თქვენ გადაგეყრებათ, თუ შურისძიების სულები მას თქვენთან მოიყვანენ, დაიფიცეთ, რომ ის ცოცხალი აღარ წავა, – დაიფიცეთ, რომ ის არ იზეიმებს ჩემს უბედურებაზე, არ გადარჩება და არ ჩაიდენს ახალ ბოროტებებს. ის მჭევრმეტყველია და შეუძლია დარწმუნება. ერთ დროს მის სიტყვებს ჩემზეც ჰქონდათ ძალაუფლება. მაგრამ ნუ დაუჯერებთ. ის ისეთივე ურჩხულია სულით, როგორიც გარეგნულად, ვერაგობითა და ჯოჯოხეთური ბოროტებით არის სავსე. ნუ მოუსმენთ მას. თქვენთვის, გულში გაიმეორეთ უილიამის, ჟუსტინას, კლერვალის, ელიზაბეტის, მამაჩემისა და თვით უბედური ვიქტორის სახელები – და პირდაპირ გულში განგმირეთ. ჩემი სული თქვენ გვერდით იქნება და თქვენს ხმალს მიმართულებას მისცემს.

უოლტონის დღიურის გაგრძელება

26 აგვისტო, 17.. წელი

შენ უკვე წაიკითხე ეს უცნაური და თავზარდამცემი მოთხრობა, მარგარეტ; დარწმუნებული ვარ, რომ შიშისგან ძარღვებში სისხლი გაგეყინა, რაც მეც ვიგრძენი. ხანდახან სულიერი ტანჯვის მოულოდნელი შემოტევები წყვეტდა მის მონათხრობს, ხან სულაც ძალდატანებით, ადგილ-ადგილ გაწყვეტილი ხმით წარმოთქვამდა სასოწარკვეთით სავსე სიტყვებს. მისი მშვენიერი თვალები ხან გულისწყრომით ინთებოდა, ხან ნაღველით იბინდებოდა და უსაზღვრო დარდში ქრებოდა. ისეც ხდებოდა, რომ მთლიანად ფლობდა საკუთარ თავსა და ხმას და ყველაზე საშინელ ამბებს სრულიად მშვიდი ტონით ჰყვებოდა; უმეტესად კი ვულკანის ლავასავით იფრქვეოდა რაღაც და რისხვით დამანჭული სახით წყევლას უგზავნიდა თავის მტარვალს.

მისი მონათხრობი სავსებით დაწყობილია და დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა მაინც გამოგიტყდები, რომ ფელიქსისა და საფიას წერილებმა, რომლებიც მან მიჩვენა, და თვით ურჩხულმა, რომელიც გაკვრით დავინახეთ გემიდან, მეტად დამარწმუნეს მისი ნაამბობის ჭეშმარიტებაში, ვიდრე მისმა ყველაზე სერიოზულმა

რწმუნებებმა. ამრიგად, ურჩხული ნამდვილად არსებობს! უკვე აღარ შემიძლია, ამაში ეჭვი შევიტანო, თუმცა გაოცებას ვერ ვწყვეტ. რამდენჯერმე ვცადე ფრანკენშტაინისთვის მისი პირმშოს შექმნის წვრილმანები დამეცდენინებინა, მაგრამ ამ საკითხში სრულიად შეუვალი იყო.

– ხომ არ გაგიჟდით, ჩემო მეგობარო, – მეუბნებოდა უცვლელად, – იცით თუ არა, სადამდე შეიძლება მიგიყვანოთ თქვენმა გადაჭარბებულმა ცნობისმოყვარეობამ? ნუთუ თქვენც გსურთ, რომ საკუთარ თავს და მთელ სამყაროს შეუქმნათ ჯოჯოხეთურად ბოროტი მტერი? იყუჩეთ და მოუსმინეთ ჩემი უბედურების ამბავს, ნუ ეცდებით, რომ ისინი საკუთარ თავს დაიტეხოთ.

ფრანკენშტაინმა აღმოაჩინა, რომ მის ნაამბობს ვიწერდი. მოისურვა, ჩემი ჩანაწერებისთვის გადაეხედა და ბევრ ადგილას შესწორებები და ჩამატებებიც კი გააკეთა; უფრო მეტად იქ, სადაც მტერთან მისი საუბრებია მოთხრობილი. „რაკი იწერთ ჩემს ამბავს, – მითხრა ერთხელ, – ასეთ შემთხვევაში ვისურვებდი, რომ ის შთამომავლობას დაუმახინჯებლად გადაეცეს“.

მთელი კვირა ვისმენდი მის ნაამბობს, ყველაზე უცნაურს, რაც კი შეეძლო ადამიანის წარმოსახვას შეექმნა. ჩემი სტუმრის ამბით და მისი პიროვნების ხიბლით მოჯადოებული, ხარბად ვისრუტავდი მის თითოეულ სიტყვას. მინდოდა მენუგეშებინა, მაგრამ როგორ უნდა შეჰპირდე ცხოვრებისეულ სიამეებს იმ ადამიანს, რომელიც უკიდეგანოდ უბედურია და ყველა იმედი წართმევია ამ ცხოვრებაში? არა! ერთადერთი სიხარული, რისი შეგრძნების უნარიც მას ჯერ კიდევ შერჩენია, მაშინ დაეუფლება, როცა მისი დამსხვრეული სული სიკვდილში პოვებს შვებას. თუმცაღა, ახლაც აქვს ერთი შვება, რომელიც მარტოობისა და ავადმყოფური ბოდვით არის ნაშობი: როცა ძილბურანში მყოფი თავის ახლობლებს ხედავს და მათთან ურთიერთობაში პოულობს თავისი ტკივილის მალამოს თუ ახალ ძალებს შურისძიებისთვის. მას ეჩვენება, რომ ეს სულაც არ არის მისი წარმოსახვის ნაყოფი, არამედ ნამდვილად ეცხადებიან საყვარელი ახლობლები მიღმიერი სამყაროდან. ეს რწმენა მის ოცნებებს მეტ სერიოზულობას სძენს და ჩემთვისაც თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანსა და საინტერესოს ხდის, როგორც თვით სიმართლეს.

თუმცა მისი ცხოვრებისა და უბედობების ამბავი ჩვენი საუბრების ერთადერთი თემა არ არის. საკმაოდ ნაკითხია და ყველა საკითხში უდიდეს ცოდნასა და გონებამახვილობას ავლენს. შეუძლია დამაჯერებლად და მგრძნობიარედ საუბარი, ცრემლების გარეშე ვერ მოუსმენ, როცა რაიმე ამაღელვებელ მოვლენაზე ლაპარაკობს ან შენი თანაგრძნობის გამოწვევა სურს. ალბათ რაოდენ მომხიბვლელი იქნებოდა ის თავისი გაფურჩქვნის დღეებში, თუ ახლაც კი, სიკვდილის მიჯნაზე, ასეთი კეთილშობილი და დიდებულია!.. როგორც ჩანს, თავადაც აცნობიერებს თავის უწინდელ ძალას და თავისი დაცემის სიღრმეს.

„ახალგაზრდობაში, – მითხრა ერთხელ, – თავს ვგრძნობდი, როგორც დიდებული საქმეებისთვის შექმნილს. შემიძლია ღრმად შევიგრძნო, მაგრამ იმავდროულად ფხიზელი გონება მაქვს, რაც აუცილებელია დიდი მიღწევებისთვის. იმის გაცნობიერება, თუ რამდენი რამ მქონდა მონიჭებული, მაშინ მამხნევებდა, როცა სხვა უიმედობაში ჩაეფლობოდა; რამეთუ დანაშაულად მიმაჩნდა უნაყოფო დარდში გამეხარჯა ნიჭი, რომელსაც შეეძლო ადამიანებისთვის სამსახური გაეწია. იმაზე ფიქრისას, თუ რისი განხორციელება შევძელი – რაც უნდა იყოს, მე ხომ გონიერი ცოცხალი არსება შევქმენი, – არ შეიძლებოდა არ გამეცნობიერებინა საკუთარი უპირატესობა ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით. მაგრამ ეს აზრი, რომელიც ფრთებს მასხამდა ჩემი გზის დასაწყისში, ახლა მაიძულებს, კიდევ უფრო დაბლა დავხარო თავი. ყველა ჩემი სწრაფვა და იმედი კრახით დასრულდა. მთავარანგელოზის მსგავსად, რომელმაც უმაღლესი ძალაუფლება მოისურვა, მეც მარადიულ ჯოჯოხეთს ვარ მიჯაჭვული. ერთდროულად ვიყავი დაჯილდოებული ცოცხალი წარმოსახვითაც და მახვილი, შეუპოვარი ანალიტიკური გონებით. ამ თვისებების შეთავსებამ საშუალება მომცა ჩამეფიქრებინა და განმეხორციელებინა ადამიანური არსების შექმნა. ახლაც ვერ ვიხსენებ აუღელვებლად, თუ როგორ ვოცნებობდი, სანამ მუშაობის პროცესში ვიყავი. ფიქრებში ღრუბლებზე დავაბიჯებდი, საკუთარი ძლევამოსილების გაცნობიერებას აღტკინებაში მოვყავდი, მთლად ვიწვოდი ჩემი აღმოჩენის კეთილისმყოფელი შედეგებზე ფიქრისას. ბავშვობიდან მიყვარდა ზეოცნებები და კეთილშობილი პატივმოყვარეობითაც სავსე ვიყავი – ახლა კი, რა საშინელი დაცემაა! ო, ჩემო მეგობარო, თქვენ რომ გაგეცანით ისეთი, როგორიც ოდესღაც ვიყავი, ალბათ ვერც მიცნობდით ჩემს ამჟამინდელ ბედშავ მდგომარეობაში. ჩემთვის თითქმის უცნობი იყო თავის დახრა და უიმედობა, თითქოს ყველაფერს მივყავდი დიდებული მიზნისკენ, სანამ არ დავეცი, რათა მეტად აღარც ავმდგარიყავი“.

ნუთუ ამ შესანიშნავი ადამიანის დაკარგვა მხვდა წილად? როგორ მწყუროდა მეგობრის შეძენა – იმის, რომელიც შემიყვარებდა და ჩემს მისწრაფებებს გაიზიარებდა. და – ჰოი, საოცრებავ! – მე ის ვიპოვე ამ შორეულ ზღვებში, მაგრამ ვშიშობ, ვიპოვე მხოლოდ იმისთვის, რომ ღირსეულად შევაფასო და მაშინვე ისევ დავკარგო. ვცდილობ, ცხოვრებასთან შევარიგო, მაგრამ ამის შესახებ ნებისმიერ ფიქრს თავშიც კი არ ივლებს.

– გმადლობთ, უოლტონ, – მპასუხობს ხოლმე ჩემს შეგონებებზე, – რომ ასეთი კეთილი ხართ უბედურის მიმართ, მაგრამ ახალ ურთიერთობებს და სიამეებს რომ მპირდებით, ნუთუ ფიქრობთ, რომ ისინი ჩემს დანაკარგს შემიცვლიან? ვინ შეიძლება გახდეს ჩემთვის ისეთივე, როგორიც კლერვალი იყო? რომელი ქალი შემიცვლის ელიზაბეტს? ბავშვობის მეგობრებს, მაშინაც კი, როცა გამორჩეული ღირსებებით არ ბრწყინავენ ისინი, თქვენს სულზე მაინც აქვთ ის ძალაუფლება, რაც იშვიათად ერგებათ ხოლმე შემდგომ წლებში შეძენილ მეგობრებს. მხოლოდ მათთვის არის ცნობილი თქვენი ბავშვური მიდრეკილებები, რომლებიც მოგვიანებით შეიძლება

შეიცვალოს, მაგრამ მთლიანად არასდროს არ ქრება. მათ შეუძლიათ ზუსტად იმსჯელონ თქვენს ქმედებებზე, რადგან უკეთ იციან თქვენი ჭეშმარიტი განზრახვების შესახებ. ძმას ან დას არ შეუძლიათ შეეჭვდნენ თქვენს სიცრუეში ან ღალატში, თუ მეტისმეტად ადრე არ აღმოაჩინეს თქვენი მათდამი ლტოლვა. აი მეგობარს კი, თუნდაც ძალიან ახლობელს, შეუძლია ხანდახან უნებურად გაუჩნდეს ეჭვი. მე მყავდა მეგობრები, რომლებიც მხოლოდ ჩვეულების გამო კი არ მყვარებია, არამედ მათი ღირსებების გამოც. სადაც უნდა ვიყო, ყველგან მესმის ელიზაბეტის ალერსიანი სიტყვები და კლერვალის ხმა. ისინი აღარ არიან, მე კი ისეთი მარტოსული აღმოვჩნდი, რომ მხოლოდ გრძნობაღა თუ მაძლევს სიცოცხლის ძალას. მე რომ მნიშვნელოვანი აღმოჩენებით ვიყო დაკავებული, რომელიც ბევრ სასიკეთო სარგებელს ჰპირდება ადამიანებს, ვისურვებდი სიცოცხლეს მათ დასასრულებლად, მაგრამ ეს აღარ მიწერია. უნდა ვიპოვო და გავანადგურო არსება, რომელსაც მე მივეცი სიცოცხლე, მაშინ ჩემი მიწიერი მისია შესრულებული იქნება და სიკვდილს შევძლებ.

2 სექტემბერი

საყვარელო დაო, ამ წერილებს გწერ ხიფათებს შორის მყოფი და წარმოდგენა არ მაქვს, მხვდება თუ არა კიდევ წილად საყვარელი ინგლისის და იქ მცხოვრები კიდევ უფრო საყვარელი ადამიანების ხილვა. ყინულის გაუვალი მთებით ვარ გარემოცული, რომლებიც ყოველწამიერად იმუქრებიან ჩემი ხომალდის გადათელით. გულადი ადამიანები, რომლებიც თანამგზავრებად ავირჩიე, იმედიანად შემომყურებენ, მაგრამ რისი გაკეთება შემიძლია? ჩვენი მდგომარეობა საზარელია, მაგრამ სიმამაცე და იმედი არ მტოვებენ. რა თქმა უნდა, საშინელებაა იმაზე ფიქრი, რომ ამდენი ადამიანი ჩავაგდე საფრთხეში. თუ დავიღუპებით, ჩემი გიჟური ჩანაფიქრი იქნება ამის მიზეზი.

შენ რას იფიქრებ, მარგარეტ? შენ ვერ გაიგებ ჩემი დაღუპვის შესახებ და მოუთმენლად დაელოდები ჩემს დაბრუნებას. გავა წლები და სასოწარკვეთის შემოტევები გექნება, მაგრამ იმედი მაინც არ მოგასვენებს. ო, ძვირფასო დაო, შენი იმედების მტანჯველი დაღუპვა საკუთარ სიკვდილზე არანაკლებ მაშინებს. და მაინც, შენ გყავს ქმარი და მშვენიერი შვილები, შეძლებ იყო ბედნიერი. ზეცამ გამოგიგზავნოს წყალობა და ბედნიერება!

ჩემი საბრალო სტუმარი ღრმა თანაგრძნობით მიყურებს. ცდილობს იმედი ჩამისახოს და ისე ლაპარაკობს, თითქოს სიცოცხლე ძვირფას ძღვნად მიაჩნია. ის მახსენებს, ამ უკიდეგანო სივრცეებში ზღვაოსნები რა ხშირად ხვდებიან მსგავს დაბრკოლებებს. მეც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ვიწყებ ბედნიერი დასასრულის რწმენას. მეზღვაურებსაც კი ძალა ემატებათ მისი ორატორობისგან, როცა ის ლაპარაკობს, მათ სასოწარკვეთილება ავიწყდებათ. ის მათ სულს უმაღლებს, მისი ხმის მოსმენისას იწყებენ იმის დაჯერებას, რომ უშველებელი ყინულის მთები მხოლოდ გორაკებია, თხუნელებით გავსებული, უმნიშვნელო წინააღმდეგობები, რომლებიც ადამიანის თავდაჯერებისა და შეუპოვრობის კვალდაკვალ გაქრება. თუმცა ეს ამაღლებული

განწყობა დიდხანს არ მიჰყვებათ. ყოველდღე მორიგი შეყოვნება შიშით ავსებს მათ და მეც შიში მეპარება, სასოწარკვეთამ ამბოხამდე არ მიგვიყვანოს.

5 სექტემბერი

ახლა ისეთი საინტერესო სცენა განვითარდა, არ შეიძლება, არ ჩავწერო, თუმცა კი ეჭვი მეპარება, ოდესმე მაინც მოხვდეს ეს ჩანაწერები შენს ხელში.

ჯერ კიდევ ყინულებით ვართ გარემოცული და ჯერ კიდევ გვემუქრება მათ ქვეშ მოქცევის საფრთხე. სიცივე მატულობს და ჩემს საბრალო თანამგზავრთაგან ბევრმა უკვე იპოვა სიკვდილი ამ პირქუშ მხარეში. ფრანკენშტანი დღითიდღე სუსტდება; თვალებში ჯერ კიდევ უელავს ციებიანის ცეცხლი, მაგრამ უკიდურესად გამოლეული, და როცა რაღაც ძალისხმევის გამოჩენა უწევს, მაშინვე თვლემაში გადაეშვება ხოლმე, რომელიც სასიკვდილო ძილს ჰგავს.

უწინდელ წერილში გწერდი, რომ ამბოხის მეშინოდა. ამ დილით, როცა ჩემი მეგობრის გამოფიტულ სახეს ვუყურებდი – თვალები ნახევრად დაეხუჭა და მთელი სხეული დასუსტებოდა, – რამდენიმე მეზღვაურმა მთხოვა კაიუტაში შემოსვლის ნებართვა. შემოვიდნენ და მათმა ბელადმა მომმართა. განაცხადა, რომ ის და მისი თანამგზავრები – დეპუტაცია მთელი ეკიპაჟიდან, თხოვნით მომმართავენ, რომელზეც, სამართლიანად თუ ვიმსჯელებთ, უარის თქმის უფლება არ მაქვს. ყინულებში ვართ გამომწყვდეული და შეიძლება საერთოდ ვერ დავაღწიოთ თავი. მაგრამ ისინი შიშობენ, რომ თუ ყინულში უცებ გასასვლელი გაიხსნება, მე იმდენად უგუნური შეიძლება ვიყო, რომ კვლავ გავაგრძელო გზა და მათ ახალი საფრთხეებისკენ გავუძღვე, როცა ისინი ამჟამინდელი საფრთხის თავიდან აცილებასაც კი ძლივს შეძლებენ. ამიტომაც დაჟინებით მთხოვენ, რომ საზეიმოდ აღვუთქვა მათ, სამხრეთისკენ ავიღოთ გეზი, როგორც კი ხომალდი ყინულებისგან გათავისუფლდება.

ამან ამაღელვა. ჯერ კიდევ არ გამქრობია მიზნის მიღწევის იმედი და სულაც არ ვფიქრობდი დაბრუნებაზე, თუ აქედან თავს დავიხსნიდით. მაგრამ სამართლიანად რომ ითქვას, მათ თხოვნაზე უარის თქმის უფლებაც არ მქონდა. ვყოყმანობდი, სწორედ ამ დროს ფრანკენშტაინი, რომელიც თავდაპირველად დუმდა და ისეთი მისუსტებული ჩანდა, რომ ძლივს გვისმენდა, წამოენთო, თვალები აუელვარდა, ლოყები შეეფაკლა ძალების ხანმოკლე მოდინებისგან. მეზღვაურებს მიმართა: – რა გინდათ? რას ითხოვთ თქვენი კაპიტნისგან? ნუთუ ასე იოლად იხევთ მიზნისკენ მიმავალი გზიდან? ნუთუ ამ ექსპედიციას მამაცურს არ უწოდებდით? და რატომ მამაცურს? იმიტომ სულაც არა, რომ წინ წყნარი და უშფოთველი გზა გელოდათ, როგორც სამხრეთ ზღვებში, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ის ხიფათითა და შიშით არის სავსე, იმიტომ, რომ აქ თითოეულ ნაბიჯზე საკუთარი სიმტკიცე და შეუპოვრობა უნდა გამოსცადოთ და სიმამაცე გამოავლინოთ. იმიტომ, რომ აქ სიკვდილი და ხიფათი გელით, თქვენ კი მათ პირდაპირ უნდა შეხედოთ და დაამარცხოთ. აი, რატომ

არის ეს ვაჟკაცური და საპატიო წამოწყება. თქვენ გელოდათ ადამიანთა მოდგმის კეთილისმქმნელთა სახელის მოხვეჭა, თქვენს სახელებს თაყვანისცემით გაიმეორებდნენ, როგორც გმირების სახელებს, რომელთაც სიკვდილის არ შეეშინდათ ღირსებისა და კაცობრიობის სარგებლობისთვის. თქვენ კი, ხიფათის პირველივე ნიშნებისთანავე, თქვენი სიმამაცის პირველივე მკაცრი გამოცდის წინაშე უკან იხევთ და მზად ხართ იმ ადამიანებს დაემსგავსოთ, რომელთაც გამბედაობა არ ეყოთ, სიცივე და საფრთხე გადაეტანათ, – საბრალონი გაითოშნენ და შინ მოუნდათ, თბილ კერებში. მაშ რა საჭირო იყო ეს შერჩევა, რა საჭირო იყო ასე შორს გადმოკარგვა და კაპიტნისთვის იმედის გაცრუება? – უფრო იოლი იქნებოდა, საკუთარი თავები მხდალებად გეღიარებინათ. თქვენ ნამდვილი ვაჟკაცების სიმტკიცე გჭირდებათ და უფრო მეტიც კი: კლდეების გამძლეობა და ურყევობა. ეს ყინული ისეთი მყარი სულაც არ არის, როგორც თქვენი გულები შეიძლება იყოს, რადგან ის დნება, ის თქვენ ვერ აღგიდგებათ წინ, თუ ასე გადაწყვეტთ. ნუ დაბრუნდებით თქვენს ახლობლებთან სამარცხვინოდ დადაღულები. გმირებად დაბრუნდით, რომლებიც იბრძოდნენ და გაიმარჯვეს, რომლებსაც ზურგი არ უჩვენებიათ მტრისთვის.

მისი ხმა მკაფიოდ გამოხატავდა მის მიერ გამოთქმულ გრძნობებს. თვალები სიმამაცითა და კეთილშობილებით უბრწყინავდა და გასაკვირი არ არის, რომ ჩემი ყველა თანმხლები ააღელვა. ერთმანეთს შეცბუნებულნი უყურებდნენ და ხმას არ იღებდნენ. ბოლოს მე ჩავერთე, ვუბრძანე დაშლილიყვნენ და ნათქვამის შესახებ ეფიქრათ; შევპირდი, რომ ჩრდილოეთისკენ აღარ წავიყვანდი, თუ ამ გადაწყვეტილებას დამაჯერებლად შეეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა იქვე იმედი გამოვთქვი, რომ გააზრებასთან ერთად მათ სიმამაცეც დაუბრუნდებოდათ.

დაიშალნენ, მე კი ჩემს მეგობარს დავუბრუნდი, უკიდურესად იყო დასუსტებული და თითქმის უსიცოცხლოდ მისვენებოდა სკამს.

რით დასრულდება ყველაფერი, არ ვიცი; მე პირადად ალბათ სიამოვნებით მოვკვდებოდი ჩემი ამოცანის შეუსრულებლად, ვიდრე ასე უსახელოდ დავბრუნებულიყავი უკან. თუმცა ვშიშობ, რომ სწორედ ეს მიწერია. რომ არა დიდებისა და პატივის წყურვილი, ადამიანები ვერაფრით ვერ აიტანდნენ, თანაც ნებაყოფლობით, ჩვენს ამჟამინდელ განდეგილურ მდგომარეობას.

7 სექტემბერი

კენჭი იყარა; დავთანხმდი დაბრუნებას, თუ არ დავიღუპებით. მაშ ასე, ჩემი იმედები სიმხდალემ და გაუბედაობამ დაღუპა. ვბრუნდები იმედგაცრუებული, ისე, რომ ვერც ვერაფერი შევიტყვე. მოთმინებით რომ გადაიტანო მსგავსი უსამართლობა, ალბათ მეტი ფილოსოფიური სიბრძნეა საჭირო, ვიდრე მე მაქვს.

12 სექტემბერი

ყველაფერი დასრულდა, ინგლისში ვბრუნდები. სახელის მოხვეჭისა და ადამიანთათვის სარგებლობის მოტანის იმედი დავკარგე – და მეგობარიც მოვისაკლისე. მაგრამ ვეცდები დაწვრილებით გიამბო ამ მწარე წუთებზე, საყვარელო დაო, რაკი ტალღები ინგლისისკენ და შენკენ მომაქანებენ.

ცხრა სექტემბერს ყინული დაიძრა; ყინულიანმა კუნძულებმა დაშლა დაიწყო და შორიდან მეხის გრგვინვის მსგავსი ხმა გაისმა. დიდი საფრთხე გველოდა, მაგრამ რადგან მხოლოდ მოვლენების პასიური ლოდინიღა დაგვრჩენოდა, ჩემი ყურადღება უპირველეს ყოვლისა ჩემი უბედური სტუმრისკენ იყო მიმართული, რომელიც უკვე ისე ცუდად შეიქნა, რომ ლოგინიდანაც ვეღარ დგებოდა. ყინული ჩვენ უკან ტკაცუნობდა, ჩრდილოეთისკენ ძალით მიექანებოდა. სამხრეთის ქარმა დაუბერა და 11-ში სამხრეთისკენ გასასვლელი მთლიანად გათავისუფლდა ყინულისგან. როცა მეზღვაურებმა ეს დაინახეს და სამშობლოში მოსალოდნელი დაბრუნების იმედი ჩაესახათ, სიხარულისგან შეჰყვირეს, ხმამაღლა და დიდხანს ყვიროდნენ.

ფრანკენშტაინი ძილბურანიდან გამოფხიზლდა და ხმაურის მიზეზი იკითხა. „მათ უხარიათ, – მივუგე ნირწამხდარმა, – იმიტომ, რომ მალე დაბრუნდებიან ინგლისში“.

– მაშ მართლა გადაწყვიტეთ, რომ დაბრუნდეთ?

– სამწუხაროდ, ასეა, მე ვერ შევეწინააღმდეგები მათ მოთხოვნებს. მათი ნების საწინააღმდეგოდ ვერ წავიყვან ამ სახიფათო მოგზაურობაში და იძულებული ვარ დავბრუნდე.

– მაშ კარგი, დაბრუნდით, მე არ დავბრუნდები. თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ თქვენს ამოცანაზე. ჩემი ამოცანა კი ზეცით მაქვს ნაბრძანები და მასზე უარის თქმას ვერ გავბედავ. დავსუსტდი, მაგრამ ამ შურისძიებაში ჩემი დამხმარე სულები საკმარის ძალებს შთამბერავენ.

ამ სიტყვების თქმის შემდეგ სცადა საწოლიდან წამოდგომა, მაგრამ ვეღარ შეძლო, უკან გადავარდა ფერმიხდილი და გონება დაკარგა.

ბევრი დრო გავიდა, სანამ ისევ გამოფხიზლდებოდა. არაერთხელ მომჩვენებია, რომ უკვე ცოცხალიც აღარ იყო. ბოლოს თვალები გაახილა, მძიმედ სუნთქავდა და ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. ექიმმა დამამშვიდებლები მისცა და ბრძანა, არავის შეეწუხებინა. მე კი მამცნო, რომ ჩემი მეგობრების საათები დათვლილი იყო.

ამრიგად, განაჩენი წარმოითქვა და ისღა დამრჩენოდა, მედარდა და დავლოდებოდი. მის სასთუმალთან ვიჯექი. თვალები დაეხუჭა, თითქოს ეძინა, მაგრამ მალე სუსტი ხმით მიხმო და მთხოვა უფრო ახლოს მივსულიყავი.

– ვაი, რომ ძალები, რომელთა იმედიც მქონდა, ამოიწურა. ვგრძნობ, რომ ვკვდები, ის კი, ჩემი მტერი და მდევარი, ალბათ, ცოცხალია. არ იფიქროთ, უოლტონ, რომ ჩემს უკანასკნელ წუთებში ჯერ კიდევ ვგრძნობ იმ სიძულვილსა და შურისძიების

წყურვილს, რომელიც ერთხელ გამოვთქვი თქვენთან; მხოლოდ იმას ვაცნობიერებ, რომ სრული უფლება მაქვს, ჩემი მტრის სიკვდილი ვისურვო. ამ დღეებში ბევრი ვიფიქრე ჩემს წარსულ ქმედებებზე – და მათ ვერ გავკიცხავ.

ჩემი იდეით გატაცებულმა გონიერი არსება შევქმენი და ვალდებული ვიყავი, რაც კი ჩემს ძალებს არ აღემატებოდა, მისი ბედნიერება და კეთილდღეობა უზრუნველმეყო. ეს ჩემი ვალი გახლდათ, მაგრამ მე სხვა მოვალეობაც მქონდა, კიდევ უფრო უმაღლესი. ვალდებულება ჩემი თანამოძმე ადამიანების წინაშე უპირველეს ადგილას იდგა, რადგან ამ შემთხვევაში საუბარი იყო მრავალთა ბედნიერებასა თუ უბედურებაზე. ამ მოვალეობის გრძნობით ნაკარნახევმა უარი ვთქვი – და მიმაჩნია, რომ მართებულად, – ჩემი პირველი ქმნილებისთვის მეგობრის შექმნაზე. აუწერელი ბოროტება და ეგოიზმი გამოავლინა. მან ჩემი ახლობლები მოკლა; გაანადგურა ადამიანები, მგრძნობიარენი, ბედნიერები და გონიერები. არ ვიცი, სად არის მისი შურისძიების წყურვილის ზღვარი. ის უბედურია, მაგრამ სხვებიც რომ არ გააუბედუროს, ის უნდა მოკვდეს. მისი განადგურება ჩემს ამოცანად იქცა, მაგრამ ამის შესრულება ვერ შევძელი. როცა ბოროტება და პირადი შურისძიება მამოქმედებდა, თქვენ გთხოვდით ჩემი დაუსრულებელი საქმის დასრულებას. მე ახლაც განვაახლებ ჩემს თხოვნას, ახლა ამისკენ გონება და ღირსება მიბიძგებენ.

მაგრამ მე არ შემეძლო მეთხოვა თქვენთვის, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად სამშობლოსა და მეგობრებს განდგომოდით. ახლა, როცა ინგლისში ბრუნდებით, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მას სადმე გადაეყაროთ. თქვენვე მოგანდობთ იმის გადაწყვეტას, რასაც თქვენს ვალდებულებად მიიჩნევთ. ჩემი ჭკუა და მსჯელობის უნარი უკვე დაბინდა სიკვდილის სიახლოვემ. ვერ გავკადნიერდები გთხოვოთ იმის გაკეთება, რაც მართებულად მიმაჩნია, რადგან მე ალბათ ჯერ კიდევ ვნებებით ვარ შეპყრობილი.

მე ის მაშფოთებს, რომ მტარვალი ცოცხალია და ბოროტებას ჩაიდენს. ეს რომ არა, ამჟდამინდელი წუთები, როცა სიმშვიდეს ველი, ერთადერთი ბედნიერი წუთები იქნებოდა ჩემი ცხოვრების ბოლო წლებში. ჩემთვის ძვირფასი მიცვალებულების აჩრდილები მეცხადებიან და მათკენ მივიჩქარი. მშვიდობით, უოლტონ! ეძებეთ ბედნიერება სიმშვიდეში და გეშინოდეთ პატივმოყვარეობის. გეშინოდეთ თუნდაც ერთი შეხედვით უცოდველი მისწრაფებისა, რომ სამეცნიერო აღმოჩენებით გამოირჩეთ სხვათაგან. თუმცა, რისთვის ვლაპარაკობ ამ ყოველივეს? მე თვითონ წარუმატებლობა განვიცადე, მაგრამ იქნებ სხვა უფრო ბედნიერი იყოს...

ხმა თანდათან დაუსუსტდა, ბოლოს და ბოლოს, ძალისხმევით დაღლილი გაჩუმდა. ნახევარი საათის შემდეგ ისევ სცადა დალაპარაკება, მაგრამ ვეღარ შეძლო. სუსტად ჩამომართვა ხელი და თვალები სამუდამოდ დაეხუჭა, სათნო ღიმილი კი სახიდან გაუქრა.

მარგარეტ, რა გითხრა ამ უდიდესი სულის უდროო დაღუპვაზე? როგორ გადმოგცე ჩემი გლოვის სიღრმე? ყველაფერი, რისი თქმაც შემეძლო, უსუსური და არასაკმარისი იქნება. მე ვტირი, ჩემი სული მძიმე დანაკარგით არის დაბინდული. მაგრამ ჩვენი გზა ინგლისის ნაპირებისკენ მიემართება და იქ ვიმედოვნებ ნუგეშის პოვნას.

მაგრამ მე სიტყვას მაწყვეტინებენ. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ხმები? ახლა შუა ღამეა; ცივი ქარი ქრის და გემბანზე მეთვალყურეები არ ჩანან... აი ისევ; თითქოს ადამიანის ხმა მესმის, მაგრამ უფრო ხრინწიანი. ხმა იმ კაიუტიდან გამოდის, სადაც ჯერ კიდევ წევს ფრანკენშტაინის ცხედარი. უნდა მივიდე და ვნახო, რა ხდება. ღამე მშვიდობისა, საყვარელო დაო.

...ღმერთო დიდებულო! რა სცენა გათამაშდა ამ წუთას! ჯერ კიდევ გაოგნებული ვარ. არ ვიცი, გავბედავ კი ყველა წვრილმანი გიამბო; თუმცა ჩემი მონათხრობი მაინც არასრული იქნებოდა ამ უკანასკნელი, დაუვიწყარი სცენის გარეშე.

კაიუტაში შევედი, სადაც ჩემი კეთილშობილი და ბედკრული მეგობრის ნარჩენები მეგულებოდა. მის თავზე რაღაც არსება დახრილიყო, რომელსაც სიტყვებით ვერ აღვწერ: გიგანტური ზომის, მაგრამ უშნოდ არაპროპორციული და მოუქნელი. მიცვალებულთან დახრილ სახეს გრძელი თმის ბულულები უფარავდა, მხოლოდ უშველებელი ხელი ჩანდა, ფერითა და სახით მუმიის სხეულს რომ მოგაგონებდა.

ჩემი ნაბიჯების ხმის გაგონებაზე ურჩხულმა თავისი მწუხარე მოთქმა შეწყვიტა და ფანჯარას ეცა. არასდროს მინახავს არაფერი ამ სახეზე უფრო საშინელი, ასეთი ამაზრზენი სიმახინჯე. უნებურად თვალები დავხუჭე და თავს შევახსენე, რომ მკვლელის წინაშე ვალდებულება მეკისრა. ვუბრძანე, გაჩერებულიყო.

შეჩერდა და თან გაოცებულმა შემომხედა, მაგრამ მაშინვე თავისი შემქმნელის უსიცოცხლო სხეულისკენ კვლავ მიბრუნებულმა, თითქოს ისევ მიმივიწყა, რაღაც გიჟურმა გააფთრებამ შეიპყრო.

– აი, ჩემი კიდევ ერთი მსხვერპლი! – დაიღრიალა, – ამით სრულდება ჩემი ბოროტმოქმედებების ჯაჭვი. ო, ფრანკენშტაინ! კეთილშობილო განდეგილო! რა ამაო იქნებოდა ახლა შენთვის პატიების თხოვნა! მე, რომელმაც დაღუპვამდე მიგიყვანე, დავღუპე ყველა, ვინც შენთვის ძვირფასი იყო. ვაი, რომ ის მკვდარია და ვეღარ მიპასუხებს.

აქ ხმა გაუწყდა. პირველი ის მომივიდა აზრად, რომ ჩემი მეგობრის სიკვდილისწინა სურვილი შემესრულებინა და მისი მეტოქე გამენადგურებინა, მაგრამ ვმერყეობდი, ცნობისმოყვარეობისა და თანაგრძნობის შერეული გრძნობებით გონებაარეული. ურჩხულს მივუახლოვდი, თუმცაღა ვერ ვბედავდი, კიდევ ერთხელ შემეხედა მისთვის – იმდენად საშინელი იყო მისი არაადამიანური სიმახინჯე. ვცადე დალაპარაკება, მაგრამ სიტყვები პირზე შემაშრა. დემონი კი ისევ ნაწყვეტ-ნაწყვეტ და

შეშლილივით საყვედურობდა საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, როცა წამით შეწყდა მისი მგზნებარე შეძახილები, გავბედე დალაპარაკება.

– შენი სინანული ამაოა, – ვუთხარი გაუბედავად, – შენ რომ სინდისის ხმისთვის მოგესმინა და მისი საყვედურები გეგრძნო, სანამ ამ ბოლო ზღვრამდე მოიყვანდი შენს ჯოჯოხეთურ შურისძიებას, ფრანკენშტაინი ახლა ცოცხალი იქნებოდა.

– შენ რა გგონია, – გამომეხმაურა დემონი, – რომ მაშინ არ ვგრძნობდი წამებას და სინანულს? მასაც კი, – განაგრძო და გვამისკენ მიმითითა, – არ უგრძნია სასიკვდილო სარეცელზე იმ ტანჯვის მეათიათასედი წილიც კი, რასაც მე ვგრძნობდი, სანამ მას დაღუპვისკენ მივაქანებდი. თავმოყვარული ინსტინქტი სულ უფრო შორს მიბიძგებდა, გული კი დანაშაულის განცდით მქონდა მოწამლული. შენ ფიქრობ, რომ კლერვალის კვნესა-ვაება ჩემთვის მუსიკად ისმოდა? ჩემი გული იმისთვის შეიქმნა, რომ სიყვარულსა და ალერსს გამოხმაურებოდა, ხოლო როცა უბედურებებმა სიძულვილი და ბოროტება აიძულეს, ეს იძულებითი გარდაქმნა ისეთ წამებად დაუჯდა, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენ.

კლერვალის მკვლელობის შემდეგ შვეიცარიაში განადგურებული და დათრგუნული დავბრუნდი. მებრალებოდა, ტკივილამდე მებრალებოდა ფრანკენშტაინი, საკუთარი თავი კი მძულდა. მაგრამ როცა შევიტყვე, რომ ის, რომელმაც შემქმნა მე და ჩემი აუწერელი სატანჯველიც, კვლავ ბედავდა ბედნიერებაზე ფიქრს, რომ ჩემი სასოწარკვეთაში ჩაგდების შემდეგ საკუთარი თავისთვის სიამეებს სწორედ იმ გრძნობებსა და ვნებებში ეძებდა, რომლებიც ჩემთვის სამუდამოდ მიუწვდომელი იყო, – როცა ეს გავიგე, უსუსურმა შურმა და მწუხარე გულისწყრომამ შურისძიების გაუმაძღარი წყურვილით ამავსო. ჩემი მუქარა გავიხსენე და გადავწყვიტე ამესრულებინა. ვიცოდი, რომ აუტანელ სატანჯველს ვუმზადებდი საკუთარ თავს. მთლიანად იმ განზრახვის ძალაუფლებაში აღმოვჩნდი, რომელიც თვითონვე მძულდა, მაგრამ ვერ ვლახავდი... და მაინც, როცა ელიზაბეტი გარდაიცვალა!.. არა, ვერც კი ვიტყვი, რომ ვიტანჯე. ყოველგვარი გრძნობა მოვიცილე, ყოველგვარი ტკივილი ჩავახშე და გულცივი სასოწარკვეთის ზღვარს მივაღწიე. იმ ხანიდან ბოროტება ჩემს ხეირად იქცა. ასე შორს შესულს არჩევანი აღარ მქონდა და იძულებული ვიყავი, ჩემ მიერ არჩეულ გზას მივყოლოდი. ჩემი ეშმაკეული ჩანაფიქრების დასრულება ჩემს დაუცხრომელ ვნებად ვაქციე. ახლა წრე შეიკრა და აი, ჩემი უკანასკნელი მსხვერპლი!

თავდაპირველად ამაღელვა უსასოობით სავსე მისმა სიტყვებმა, მაგრამ როცა გავიხსენე, როგორ გამაფრთხილა ფრანკენშტაინმა მისი მჭევრმეტყველებისა და დარწმუნების უნარის შესახებ, და კიდევ ერთხელ რომ გადავხედე ჩემი მეგობრის უსიცოცხლო სხეულს, ისევ აღშფოთებამ მომიცვა.

– არამზადავ! – შევძახე, – მაშ მოხვედი, რომ იმ უბედურებებზე ღვარო ცრემლები, რომლებიც თვითონვე მოიტანე? შენობაში ანთებული ჩირაღდანი შეაგდე, ხოლო

როცა ის დაიწვა, ნანგრევებზე ჯდები და მასზე გლოვობ. ფარისეველი ეშმაკი! ვისზეც გლოვობ, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, კვლავ იქცეოდა შენი ჯოჯოხეთური შურისძიების მსხვერპლად. შენში სიბრალული არ მეტყველებს, შენ მხოლოდ იმას ნანობ, რომ მსხვერპლი შენი ბოროტებისთვის უკვე მიუწვდომელია.

– ო, არა, ასე არ არის, ნამდვილად არ არის ასე, – შემაწყვეტინა დემონმა, – თუმცა ალბათ ასეთია შთაბეჭდილება, რომელსაც ჩემი ქმედებები ახდენენ. მაგრამ თანაგრძნობას არ ველი, ვერასდროს და ვერავისში ვერ ვპოვებ თანაგრძნობას. როცა პირველად დავიწყე მისი ძებნა, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვასთან გამეზიარებინა სიყვარული და სათნოება, სიყვარულისა და ერთგულების განცდით იყო სავსე მთელი ჩემი არსება. ახლა, როცა სიკეთე ჩემთვის აჩრდილად იქცა, როცა სიყვარული და ბედნიერება სიძულვილად და მწარე იმედგაცრუებად შემომიბრუნდა, რიღასთვის ვეძებო თანაგრძნობა? ეულად ტანჯვა მიწერია, სანამ ცოცხალი ვარ, ხოლო როცა მოვკვდები, თვით ჩემზე მოგონებასაც კი დაწყევლიან. ერთ დროს სიკეთეზე, დიდებასა და ბედნიერებაზე ოცნებებით ვიტყუებდი თავს, ოდესღაც ამაოდ მქონდა იმედი, რომ შევხვდებოდი ადამიანებს, რომლებიც მაპატიებდნენ ჩემს გარეგნულ სახეს და იმ კეთილი გრძნობებისთვის შემიყვარებდნენ, რასაც ვავლენდი. ღირსებასა და თავგანწირვაზე მაღალ იდეალებს ველოლიავებოდი. ახლა კი დანაშაულებმა უსაზიზღრეს ცხოველზე უფრო დამამდაბლეს. ამქვეყნად არ არსებობს დანაშაული, ბოროტება, ტანჯვა, რომელიც ჩემსას შეედრება. ჩემი ბოროტმოქმედებების საშინელ სიას რომ ვიხსენებ, ვერ ვიჯერებ, რომ მე სწორედ ის არსება ვარ, რომელიც ასე აღტაცებული ეთაყვანებოდა სილამაზესა და სიკეთეს. მაგრამ ასეა, დაცემული ანგელოზი პირსისხლიან ეშმაკად იქცევა. მაგრამ ღმერთისა და ადამიანების მტერსაც კი თავის დაცემისას მეგობრები და თანამგზავრები ჰყავდა, მხოლოდ მე ვარ მატოსული.

შენ, რომელიც საკუთარ თავს ფრანკენშტაინის მეგობარს უწოდებ, ალბათ, ყველაფერი იცი ჩემი სიმხეცისა და ჩემი უბედურებების შესახებ. მაგრამ რაოდენ დაწვრილებითაც უნდა მოეთხრო მათ შესახებ, ის ვერ აღწერდა იმ საათების სისასტიკეს – არა, საათების კი არა, მთელი თვეების, როცა დაუცხრომელი ვნება მწვავდა. მის ცხოვრებას ვანადგურებდი, მაგრამ ამაში სიამოვნებას ვერ ვპოულობდი. სურვილები უწინდებურად მათრობდა, კვლავ მწყუროდა სიყვარული და სიკეთე, არადა, ისევ ხელს მკრავდნენ. ნუთუ ეს სამართლიანია? რატომ მიმიჩნევენ ერთადერთ დამნაშავედ, როცა ჩემ წინაშე მთელი ადამიანთა მოდგმა ტყუის? რატომ არ განიკითხავთ ფელიქსს, რომელმაც მეგობარი ზიზღით გააძევა თავისი სახლიდან? რატომ არ აღგაშფოთებენ ის გლეხები, რომლებიც თავიანთი შვილის მხსნელის მოსაკლავად გამოქანდნენ? ო, არა, ისინი თქვენ უზადოდ და პატიოსნებად მიგაჩნიათ! მხოლოდ მე, მარტოხელასა და უბედურს მიწოდებენ ურჩხულს, მაგდებენ, მცემენ და ფეხით მთელავენ. ახლაც კი მიდუღს სისხლი ჩემ მიერ გადატანილი წყენისა და მწუხარების გახსენებისას.

მაგრამ მე არამზადა ვარ – ეს მართალია! მე მოვკალი ამდენი მშვენიერი და უსუსური არსება. უდანაშაულოებს მძინარეებს ვახრჩობდი, ვახრჩობდი მათ, რომელთაც არასდროს მოუყენებიათ ზიანი არც ჩემთვის და არც ვინმე სხვისთვის. მე ტანჯვისთვის გავწირე ჩემი შემქმნელი – ჭეშმარიტი ნიმუში ყველაფრისა, რაც ადამიანში სიყვარულისა და აღტაცების ღირსია. მე მას თან ვდევდი, სანამ საბოლოოდ არ დავღუპე. აი ის წევს, უსიცოცხლო და ცივი. შენ მე გძულვარ, მაგრამ შენი სიძულვილი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მე თავად ვგრძნობ საკუთარი თავისადმი. ვუყურებ ხელებს, რომლებმაც ეს საშინელებები ჩაიდინეს, ვფიქრობ გულზე, რომელშიც მსგავსი ჩანაფიქრი ჩაისახა და მწყურია წუთები, როცა მეტად ვეღარ დავინახავ ამ ხელებს, აღარ დამტანჯავს მოგონებები და სინდისის ქენჯნა.

ნუ შიშობ, რომ კიდევ ვინმეს მივაყენებ ზიანს. ჩემი საქმე თითქმის დამთავრებულია. იმ ყველაფრის დასასრულებლად, რაც დედამიწაზე მიწერია, არ მჭირდება არც შენი, არც კიდევ ვინმეს სიკვდილი – მხოლოდ ჩემი საკუთარი. ნუ იფიქრებ, რომ ამ მსხვერპლის მიტანისას არ ავჩქარდები. შენს გემს იმავე ყინულის ტივით დავტოვებ, რომელმაც აქამდე მომიყვანა, და კიდევ უფრო შორს ჩრდილოეთით გავემგზავრები. იქ გავაჩაღებ სამგლოვიარო კოცონს და საკუთარ ავისმომასწავებელ სხეულს ფერფლად ვაქცევ, რათა ჩემი ნარჩენები ვინმე ცნობისმოყვარისთვის გასაღებად არ იქცეს აკრძალული საიდუმლოსკენ და არ ჩაიფიქროს სხვა, ჩემი მსგავსის შექმნა. მე მოვკვდები. მეტად აღარ ვიგრძნობ იმ მწუხარებას, რომელიც ახლა მანადგურებს, აღარ დამტანჯავს სურვილები, რომლებსაც ვერც ვიცხრობ და ვერც ვთრგუნავ. ის, ვინც მე სიცოცხლე შთამბერა, უკვე მკვდარია, ხოლო მეც რომ აღარ ვიქნები, ჩვენზე ორივეზე მოგონებაც სულ მალე გაქრება. მე ვეღარ დავინახავ მზესა და ვარსკვლავებს, ვერ ვიგრძნობ საკუთარ ლოყებზე ქარის სუნთქვას. ჩემთვის გაქრება სინათლეც და ყველა განცდა, და ამ მივიწყებაში უნდა ვპოვო ბედნიერება. რამდენიმე წლის წინ, როცა პირველად წარმომიდგა ამ სამყაროს სახეები, როცა ზაფხულის ალერსიანი სითბო ვიგრძენი, ფოთლების ხმა და ჩიტების გალობა შემომესმა, სიკვდილზე ფიქრი ცრემლებს მომგვრიდა; ახლა კი ეს ჩემი ერთადერთი ნუგეშია. ბოროტმოქმედებებით წაბილწული, სინდისის ქენჯნით განგმირული, სადღა ვპოვებ სიმშვიდეს, თუ არა სიკვდილში?

მშვიდობით! შენთან გამომშვიდობებით ვემშვიდობები უკანასკნელს, ვისაც ეს თვალები დაინახავენ. მშვიდობით, ფრანკენშტაინ! შენ რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და შურისძიება გწყუროდეს, ალბათ ჯობდა მარადიული სიცოცხლისთვის გაგეწირე, ვიდრე განადგურებისთვის. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად იყო. შენ ისწრაფოდი ჩემს გაცამტვერებას, რათა ავი ზრახვები აღარ განმეხორციელებინა; და თუ რაიმე ჩემთვის უცნობი კანონებით, შენში ფიქრები და გრძნობები ჯერ არ ჩამქრალა, ალბათ ვერ მისურვებდი უფრო სასტიკ ტანჯვას, ვიდრე ის არის, რასაც ახლა განვიცდი. რაოდენ უბედურიც უნდა ყოფილიყავი, ჩემი წამება კიდევ უფრო ძლიერი იყო, რამეთუ სინანულის ნესტარი არ შეწყვეტს ჩემი ჭრილობების მოშხამვას, სანამ მათ სამუდამოდ არ დაფარავს სიკვდილი.

მაგრამ მალე, ძალიან მალე მოვკვდები და უკვე ველარაფერს ვიგრძნობ. მწველი სატანჯველი მალე ჩაქრება ჩემში. ამაყად შევდგები ჩემს დასაწვავ კოცონზე და სიხარულის ყიჟინით მივეცემი ხარბ ცეცხლს. მერე კოცონი ჩაქრება და ქარი ჩემს ფერფლს წყლის სივრცეებზე მიმოფანტავს. ჩემი სული მშვიდად დაიძინებს; ხოლო თუ აზროვნებას განაგრძობს, მაშინ ეს, რასაკვირველია, უკვე სულ სხვა ფიქრები იქნება. მშვიდობით!

ამ სიტყვებით კაიუტის ფანჯრიდან გადახტა თავის ყინულის ტივზე, რომელიც ჩვენს გემთან მოეყენებინა. სულ მალე ტალღებმა წაიღეს და ბნელ სივრცეში გაუჩინარდა.

[1] „მოხუცი ზღვაოსანი“, სემუელ ტეილორ კოლრიჯის პოემა.

[2] სინდიკი – (ბერძნ. syndikos) ზოგიერთ უცხოურ ქვეყანაში (მაგალითად, იტალიაში, მექსიკაში) ქალაქის ან თემთა თვითმმართველობის მეთაური.

[3] ლიე – ძველებური ფრანგული მანძილის საზომი, უდრის 4445 მეტრს.

[4] ჰენრიზ კორნელიუს აგრიპა – XV საუკუნის გერმანელი ასტროლოგი, ექიმი, ალქიმიკოსი, ფილოსოფოსი, მწერალი და ოკულტიზმის თეორეტიკოსი.

[5] პარაცელსიუსი – ნამდვილი სახელი ფილიპ აურეოლ ტეოფრასტ ბომბასტ ფონ ჰოჰენჰაიმი. XV საუკუნის ცნობილი გერმანელი ალქიმიკოსი, ოკულტისტი, ექიმი; ალბერტ დიდებული – ალბერტ ფონ ბოლშტედტი, XIII საუკუნის ფილოსოფოსი, თეოლოგი, მეცნიერი, კათოლიკური ეკლესიის მიერ ეკლესიის მასწავლებლად აღიარებული, თომა აკვინელის მოძღვარი.

[6] კონსტანტინ ფრანსუა ვოლნეი, XVIII-XIX საუკუნეების ფრანგი ფილოსოფოსი, განმანათლებელი, პოლიტიკური მოღვაწე.

[7] სიროკო – ძლიერი, თბილი და მშრალი სამხრეთის ქარი.

[8] შვეიცარიის ქალაქები.

[9] ალპური სოფლები.

[10] დაუმარცხებელი არმადა, ან ესპანური არმადა უშველებელი ფლოტია, რომელიც 1587-1588 წლებში ესპანელებმა ინგლისში შესაჭრელად აღჭურვეს.

[11] გრეივსენდი – ქალაქი სამხრეთ ინგლისში, ტემზის ნაპირზე.

[12] ვულიჯი – რაიონი სამხრეთ ლონდონში.

[13] გრინვიჩი – ლონდონის ისტორიული ადგილი, ლონდონის `საზღვაო კარიბჭე~. ცნობილია იმით, რომ დედამიწის სარტყელების ნულოვან წერტილად მიიჩნევა. ნულოვანი მერიდიანი ისტორიულად დაკავშირებულია გრინვიჩის ობსერვატორიასთან.

[14] კარლოს I – ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფე 1625 წლის 27 მარტიდან, სტიუარტების დინასტიიდან. მისმა რეფორმებმა შოტლანდიასა და ირლანდიაში აჯანყება გამოიწვია, ასევე ინგლისის რევოლუცია. კარლოს I დამარცხდა, სასამართლოს გადასცეს და 1649 წლის 30 იანვარს ლონდონში სიკვდილით დასაჯეს

[15] სამშობლოს მონატრება (ფრანგ.).

[16] მდინარე შვეიცარიასა და საფრანგეთში.